

იორგენ ვორსტი, პეტერ რემენტლოუ

ფირმის ეკონომიკა

**წინათქმა დიურთო დო რედაქციო გოუკეთო რამაზ ნაშიხვიშვილმა
მთარგმნელთი ჟგუფის ხელმძღვანელი ზურაბ შიქაბერიძე**

**მთარგმნელები: რამაზ ნაშიხვიშვილი, ზურაბ შიქაბერიძე, ინეზა
წერეთელი, ვაჟული ბარბაქაძე, თეიმურაზ ოჩხიციძე, დოდო უკლუბა,
იულია ონიანი, თამარ მარტვილიანი, გელა თუთხერიძე, ბიბი
ტაბუცაძე, ნანა ლუხუტაშვილი**

**ქუთაისის ბ. ტაბიძის სახელობის
სააქციო საზოგადოება „სტამბის“
საბავშვო-საბავშვო ცენტრი
ქუთაისი
1996**

ცნობილი მეცნიერის—იორგენ ვორსტიისა და პეტერ რევენტლოუს დასავლეთში პოპულარული წიგნი—“ჟირომის ეკონომიკა“ სტუდენტებისა და საბაზრო ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვისაა გათვალისწინებული.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ისეთ კიტეგორიებზე, როგორაცაა—მოგება, ბალანსები, კალკულაცია, დანახარჯები, წარმოების ოპტიმალური მოცულობის გინსაზღვრა, დაფინანსების წყაროები, შიდასაფირმო ლიგეგმვა და სხვა.

განხილული საკითხების გაგება ეკონომიკის ცოდნის საჭიროებს.

გამომცემლობის რექტორი გონა ჩიტინი

წიგნი გამოდის მთარგმნელთა ხარჯით

წინათქმა

დასავლეთში ცნობილი მეცნიერების იორგენ ვორსტისა და პეტერ რევერტლოუს „ფირმის ეკონომიკა“ სტუდენტებისა და საბაზრო ეკონომიკით დაინტერესებული მკითხველისათვის ვთარგმნეთ. ჩვენი არჩევანი უმთავრესად წიგნის პრაქტიკული სარგებლიანობით არის განპირობებული. მასში მოცემული საკითხების საფუძვლიანი გაგება ეკონომიკის (ეკონომიკის თეორიის) ცოდნას საჭიროებს. ამის გათვალისწინებით უხვადაა მოტანილი პრაქტიკული მაგალითები, სავარჯიშოები, თანაც ისეთი შინაარსითა და მასშტაბებით, რომ ეკონომიკური ანალიზის ჩვეებისა და უნარის გამოიუმჯეუვას უწყობს ხელს ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია ისეთ კატეგორიებზე, როგორცაა მოგება, ბალანსები, დანახარჯები, კალკულაცია, წარმოების ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა, ინვესტიციების ეფექტიანობა, მოთხოვნილება კაპიტალზე დაფინანსების წყაროები და შიდასაფირმო დაგეგმვა.

წიგნის მთარგმნელები არიან ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის თანამშრომლები: რამაზ ნამიჭვიშვილი, ზურაბ მიქაბერიძე, ინეზა წერეთელი, მამული ბარბაქაძე, თეიმურაზ ოჩხიკიძე, დოდო უკლება, იულია ონიანი, თამარ მარგველიანი, ნანა ლუსუტაშვილი, გელა თუთბერიძე.

წიგნი შედგება თერთმეტი თავისაგან, ახლავს დანართები და დისკონტირების კოეფიციენტების ცხრილი. ბოლოში მოტანილია ამოცანათა კრებული მათი ამოხსნის მეთოდური მითითებებით.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ „ფირმის ეკონომიკა“ სარგებლობას მოუტანს ყველას, ვინც მას წაიკითხავს.

რამაზ ნამიჭეიშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

თავი I შესავალი

1.1. კურსის ამოცანები

„ფირმის ეკონომიკის“ კურსის სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებულია შემდეგი ამოცანები: „ფირმის ეკონომიკის“ კურსის ძირითად მიზნად ითვლება მსმენელების მიერ საწარმოს სამეურნეო საქმიანობის მართვის სფეროს ფუნქციონირების ცნებების ათვისება.


სწავლების პროცესში ხორციელდება მსმენელთა მომზადება გადაწყვეტილებების დამოუკიდებელი მიღებისათვის ეკონომიკური ინფორმაციის უველა ფაქტორის ათვისების საფუძველზე, რომელიც უშუალოდ ფირმის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებს ეხება.

„საწარმოს ეკონომიკის“ ცნება ხშირად იცვლება ცნებით „საწარმოს ეკონომიკური მართვა“, მოცემული სასწავლო კურსის ამოცანების თვალსაზრისით უადგილო არ იქნებოდა რამდენაღმე დაწვრილებით შევჩერებულიყავით ცნებაზე „ეკონომიკური მართვა“

1.2. ეკონომიკური მართვა


გლაპარაკობთ რა საწარმოს მართვაზე, აუცილებელია განსაზღვრული ამოცანების ჩამოყალიბება, რომელთა გადაწყვეტა მართვის ძირითად მიზნად ითვლება. ესაა საქონლის ან მომსახურების რეალიზაციის, წარმოებისა და ტექნოლოგიის შემუშავების ამოცანები, რომლის შესატყვიერად მიღებულია ვილაპარაკოთ რეალიზაციის მართვაზე, აგრეთვე საწარმო და ტექნოლოგიური პროცესების მართვაზე. უფრო დაწვრილებით მოცემული ამოცანების დასმა საწარმოს მიმართ და მათი ძირითადი შინაარსი განიხილება კურსში „საწარმოს ორგანიზაცია“.

ფირმის მრავალგვარი საქმიანობის ერთადერთ საერთო კრიტერიუმად ითვლება მისი ეკონომიკური შედეგები შემოსავლების, ხარჯებისა და კაპიტალური დაბანდებების ფორმით. ამგვარად, საწარმოს მართვაში გადამწყვეტ როლს თამაშობს სწორედ ეკონომიკური მართვა (ნახ. 1.1.).



ნახ. 1.1. მართვის ამოცანები

ეკონომიკური მართვის ძირითადი შინაარსი წარმოდგენილია ჩაკეტილი ჯაჭვის სახით, რომელიც მოცემულია ნახ. 1.2-ზე.



ნახ. 1.2. ეკონომიკური მართვა

კიდურა მარცხენა ისარი მიუთითებს იმაზე, რომ გადაწვეტილებები თავისთავად არის მიზანმიმართული პროცესების შედეგი (ნახ. 1.3.).

ბიუჯეტის შედგენა — არის საწარმოს განზრახული სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვა დროის განსაზღვრული პერიოდისათვის ღირებულებით გამოხატულებაში.


ბიუჯეტი — ესაა სამეურნეო საქმიანობის მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგების აღწერა, რომელიც დროის საგეგმო პერიოდში მოხდება.

სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას რეგისტრირდება ფაქტობრივი ეკონომიკური შედეგები. ამის საფუძველზე დროის მოცემული პერიოდის მიხედვით დგება ანგარიში.

ანგარიშს უწოდებენ სამეურნეო საქმიანობის ფაქტობრივი ეკონომიკური შედეგების აღწერას დროის გასულ პერიოდში.

როცა ანგარიში შედგენილია, ხორციელდება კონტროლი (შემოწმება) მასში მოცემული მაჩვენებლების ბიუჯეტთან შედარების გზით, რომელიც შედგენილია დროის მოცემულ პერიოდში. თუ ფაქტობრივი შედეგები განსხვავდება ბიუჯეტში მოცემულისაგან, მაშინ შესაბამისი გადანრები გულმოდგინედ შეისწავლება ამის გამომწვევი მიზეზების გარკვევის მიზნით. ამგვარად, საფუძველი იქმნება ახალი გადაწვეტილებების მიღებისათვის, რითაც გამომწვეულია კიდევ ჩაქვის ჩაკტილობა, რომელიც მოცემულ პროცესს აღწერს.

ბიუჯეტური კონტროლი — ესაა ბიუჯეტის მაჩვენებლების შედარება დროის შესაბამისი პერიოდის ანგარიშთან.



ნახ. 1.3. ეკონომიკურად მიზანმიმართული გადაწვეტილებების მიღების პროცესი

როგორც ნახ. 1.2-დან ჩანს, ჯაჭვი იწყება რიგი გადაწყვეტილებების მიღებიდან. უფრო დაწვრილებით უნდა იქნეს განხილული, რა ზღედა ეკონომიკურად მიზანმიმართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ანალიზის სტადიაზე განიხილება საწარმოში და მის გარეთ არსებული ეკონომიკური პირობები. ამის საფუძველზე ისმება განსაზღვრული ალტერნატიული აოცანები, რომლის შესაბამისად ფორმულირდება ერთი ან რამდენიმე კონკრეტული წინადადება. თითოეული წინადადების ეკონომიკური შედეგები აღიწერება ე.წ. ალტერნატიული ანგარიშის (ან უბრალოდ ანგარიშის) შედეგების გზით.

ალტერნატიულ ანგარიშით იწოდება სხვადასხვა ვარიანტების მომდევნო სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური შედეგები.

ალტერნატიული ანგარიშების საფუძველზე შესაძლებელი ზღედა გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც უფრო ადეკვატურად პასუხობს დასახულ ეკონომიკურ ამოცანებს.

გავვეთ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს ფირმა სააქციო საზოგადოება „პამერის“ მაგალითზე, რომელიც ხელის ინსტრუმენტებით ვაჭრობას ეწევა. დროის განსაზღვრულ შუალედში ფირმის საქმიანობაში გამოიკვეთა მასალებისა და მასთან დაკავშირებული დანახარჯების ორ ნაწილად დაყოფის აშკარა ტენდენცია მყიდველთა ორი ძირითადი ჯგუფის, შესაბამისად:

კერძო პირების მიმართ საოჯახო მეურნეობისათვის და ხელოსნების მიმართ ანალიზის შედეგად გამოიკვეა, რომ შემოსავლები სავაჭრო ოპერაციებისაგან ხელოსნებთან შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, მაშინ, როცა საქონლის რეალიზაციას საოჯახო მეურნეობისათვის ფრიად მოკრძალებული შედეგები (ანალიზი) მოაქვს. ემყარება რა ამ ანალიზს გასაღების განყოფილების უფროსი წინადადებას სვამს გაზარდოს კერძო პირების დანახარჯები, მიმართული გასაღების წილის გადიდებაზე 400 000 კუბონით წელიწადში, რამაც მისი აზრით უნდა გამოიწვიოს გასაღების გაფართოება მყიდველთა ამ ჯგუფის მიმართ 10 %-ით. სააქციო საზოგადოება „პამერის“ დირექტორი კი თვლის, რომ შეიძლება საერთოდ უარი ვთქვათ კერძო პირების პროდუქციის გასაღებაზე საოჯახო მეურნეობისათვის და მთელი ყურადღება მივმართოთ სავაჭრო ოპერაციებზე ოსტატებთან. ამ შემთხვევაში მისთვის მოსალოდნელი ეფექტი შეადგენს გასაღების 15%-იან გადიდებას (ალტერნატიული ამოცანების დასმა).

ამასთან დაკავშირებით მთავარი ბუღალტერი ადგენს სავარაუდო ხარჯებისა და შემოსავლების ანგარიშს თითოეული შესაძლო ვარიანტის მიხედვით:

1. გაგრძელდეს საქმიანობა ადრინდელი გასაღებით;
2. გაგრძელდეს საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სავაჭრო

ოპერაციებთან კერძო პირების მომსახურებასთან დაკავშირებით;

3. უარი თქვან გასაღებაზე კერძო პირებისათვის (მოსალოდნელი შედეგების აღწერა).

შედგენილი ანგარიშის საფუძველზე და სააქციო საზოგადოება „პამერის“ მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით ახლა შესაძლებელი ხდება ალტერნატივების შერჩევა, რომელიც უმეტესწილად პასუხობს საწარმოს მიზნების მიღწევას (გადაწყვეტა).

მოცემული პარაგრაფის დასასრულს შევეცდებით შევაჩამოთ ყველა ადრე თქმული იმის შესახებ, რაც შედის „ეკონომიკური მართვის“ ცნების შინაარსში.

ეკონომიკურ მართვაში გულისხმობენ შიდასაფირმო დაგეგმვას (ბიუჯეტის შედგენას) და კონტროლს სამეურნეო საქმიანობის შედეგების გამო (ბიუჯეტური კონტროლი). ეკონომიკური მართვა იგება რიგ ეკონომიკურ მიზანმიმართულ გადაწყვეტილებებზე, რომელიც თავის მხრივ ეურდნობა ანალიზსა და ანგარიშებს.

1.3. სახელმძღვანელოს შინაარსი

იგულისხმება, რომ „ფირმის ეკონომიკის“ კურსის შემსწავლელები ბუღალტრული აღრიცხვის განსაზღვრულ საწყის ცოდნას ფლობენ. წინამდებარე სახელმძღვანელოს მეორე თავში მოცემულია ცნობები ფირმის წლიური ანგარიშის შესადგენად დანიის მოცემული კანონმდებლობის გათვალისწინებით ბუღალტრული ანგარიშების საკითხების მიხედვით.

მესამე თავში, რომელიც საწარმოს ანგარიშების ანალიზს ეძღვნება, ნაჩვენებია ანგარიშების საფუძველზე რანაირად შეიძლება ინფორმაციის მიღება ფირმის ეკონომიკის მდგომარეობის ზოგიერთ ძირითად ასპექტზე. მეოთხე და მეხუთე თავი ითვლება აგრეთვე თავისებურ შესავლად რიგი ძირითადი საწარმოო ეკონომიკური ცნებების არსში, რომელიც ფირმის ხარჯებსა და შემოსავლების საკითხებს ეხება, მოცემულ ცნებების ათვისება აუცილებელია პრობლემის გაგებისათვის, რომელიც მეექვსედან იწყება და მეთავეში მთავრდება. მეექვსე თავში აღიწერება ანგარიშების შედგენა რეალიზაციის ოპტიმალური მოცულობის (უფრო ხელსაყრელის) შერჩევის მიზნით, მოცემული ანგარიშები შეიცავს, კონკრეტულ შემთხვევაში, ფირმის გასაღების არსებული ალტერნატიული შესაძლებლობების შემოსავლებისა და დანახარჯების ანგარიშს რიგ სიუაციებში შემოსავლები დამოკიდებული არ არის ალტერნატიული შესაძლებლობების შერჩევაზე. ასეთ შემთხვევაში სრულიად საკმარისი აღმოჩნდება დანახარჯების მხოლოდ მოსალოდნელი დონის ანგარიშებში აღწერა. მსგავსი ანგარიშების მაგალითები, რომლებიც მხოლოდ დანახარჯებს ითვალისწინებს, მეშვიდე თავში განიხილება.

იმ შემთხვევაში, როცა ალტერნატივების არჩევა ლიკვიდური

სახსრების (ინვესტიციების) მოზიდვას ითვალისწინებს დროის ხანგრძლივი შუალედი და ანგარიშების განსაკუთრებული ტექნიკა გამოიყენება. ამას ეძღვნება მერვე თავი. მე-6-ე, მე-7-ე და მე-8-ე თავებში ძირითადი ყურადღება ეთმობა საწარმოს შემოსავლების მართვას. ფირმის სამეურნეო საქმიანობის პროცესში მოთხოვნილებას განიცდის აუცილებელი ფინანსური სახსრების უზრუნველყოფაში. მე-9-ე თავში განიხილება საწარმო როგორ ანგარიშობს თავის მოთხოვნილებას კაპიტალზე, ხოლო მე-10-ე თავში განიხილება დაფინანსების ძირითადი წყაროები, ე.ი. კაპიტალის შექმნა.

მე-11-ე თავში განიხილება ეკონომიკური საქმიანობის საერთო შიდასაფარმო დაგეგმვა ბიუჯეტის შედგენის გზით.

სახელმძღვანელოს ბოლოს მოცემულია ორი დანართი.

A დანართში მოცემულია კორდინატთა სისტემის გამოყენების ფუძემდებლური ცნებები, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ანალიზისას, როცა საჭიროა სიტუაციის აღწერა მრუდების (გრაფიკების) საშუალებით.

B დანართში, ზომილიც მე-8-ე თავს ეკუთვნის, აღწერილია პროცენტული გამოთვლების ცხრილის გამოყენება (დისკონტირების კოეფიციენტები).

პროცენტული გამოთვლების ცხრილი დაბეჭდილია სახელმძღვანელოს ბოლოში.

თავი 2

ანგარიშების შედგენა


2.1 ბანსაზღვრა

საწარმოს სამეურნეო საქმიანობის მართვა ეკონომიკური წარმატების მიღწევის უმნიშვნელოვანეს პირობად ითვლება. მიწოდებები დროულად უნდა ანაზღაურდეს, დვალიანების გადასახადები და მის გამო პროცენტები გადაარიცხული უნდა იქნეს ზუსტ ვადებში, სახსრების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი თვით საწარმოს განკარგულებაში უნდა დარჩეს. ამიტომ დროის თანაბარ შუალედებში უნდა ჩატარდეს განსაზღვრული ანგარიშები იმის გამოსარკვევად, რა ეკონომიკურ შედეგებს მოიტანს სამეურნეო საქმიანობის შესრულება. სხვა სიტყვებით, წარმოიქმნება ანგარიშების შედგენის აუცილებლობა.

ანგარიშს უწოდებენ დროის განვლილ პერიოდში სამეურნეო საქმიანობის ფაქტობრივი ეკონომიკური შედეგების აღწერას.

დროის განსაზღვრულ პერიოდში ეკონომიკური რეზულტატები (ფირმის მოგება ან წაგება), როგორც სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური შედეგები მოგების ანგარიშში აისახება. პერიოდის ბოლოს დგება კრებსითი ანგარიში, ბალანსი, სადაც მიეთითება ფორმები, რომლებშიც მოცემულია საწარმოს სამეურნეო საშუალებები (აქტივები), აგრეთვე მათი დაფინანსების წყაროები (პასივები). პერიოდის ბოლოს ბალანსის (საბოლოო ბალანსი) და საწყისის ბალანსთან (საწყისი ბალანსი) შედარების გზით შეიძლება მივიღოთ მხოლოდ ინფორმაცია იმის შესახებ, რა გავლენას ახდენდა ფირმის საქმიანობა დროის მოცემულ პერიოდში იმ ფორმებზე (რომლებშიც მოცემულია მისი ფინანსური საშუალებები) და აგრეთვე მისი დაფინანსების პირობებზე (ფინანსური ანგარიში).

საწარმოთა უმრავლესობაში ყოველთვიური ან ყოველკვარტალური ანგარიშების შედგენის აუცილებლობა არსებობს. მსგავს შემთხვევებში მათ ხანმოკლე პერიოდულ ანგარიშს უწოდებენ.



მოცემულ თავში ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ და მხოლოდ იმ ანგარიშს, რომელიც ყოველწლიურად წლის შედეგების მიხედვით დგება, ე. ი. წლიურ ანგარიშს.

2.2. მიზნები

ყველა საწარმოში დგება წლიური ანგარიშები. ეს განმტკიცებულია კანონმდებლობით. დანიის კანონით ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ყველა საწარმოს ევალება განვლილი 12 თვის პერიოდის ანგარიშების შედგენა. სააქციო საზოგადოებებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამზანაგობებისათვის ანგარიშების ყოველწლიური შედგენის მოთხოვნა ზუსტდება ანგარიშების შესახებ განსაკუთრებული კანონით. კანონმდებლობაში ამ საკითხის სპეციალურად გამოყოფა ნაკარნახევია ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმების აუცილებლობით საერთო ბაზრის (E"С) ფარგლებში.

საწარმოს წლიური ანგარიშის შედგენის საკითხის კანონმდებლური განმტკიცება, პირველ ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ სამეურნეო საქმიანობის რიგი სუბიექტები, თვით საწარმოს გარდა, მათ მიერ გასატარებელ ეკონომიკურ პოლიტიკაზე დამოკიდებულნი. ამასთან

კავშირში ისინი ინფორმაციას საჭიროებენ მოცემული ფირმის სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე, რომლებიც წლიურ ანგარიშსაც ასახვენ.

საფინანსო ინსტიტუტები. საფინანსო ინსტიტუტები წარმოადგენს იმ ერთ-ერთ ძირითად ჯგუფს, რომლებიც დაინტერესებულია საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის ინფორმაციით. როდესაც ფირმა სესხისათვის მიმართავს საფინანსო დაწესებულებას, სესხზე შუამდგომლობის მნიშვნელოვან ელემენტად მისი წლიური ანგარიში ითვლება. მის საფუძველზე დაწესებულებას შეუძლია მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება საჭირო სესხის სიდიდისა და აგრეთვე მოცემული ფირმისათვის კრედიტის დაბრუნების პირობების ხელსაყრელობის შეფასება და პროცენტული გადასახადების დარიცხვა.

მომწოდებლები. საწარმოს მომწოდებლები დაინტერესებული არიან მისი წლიური ანგარიშის შესწავლით, რადგანაც სწორედ ამგვარად შეექმნება მათ წარმოდგენა იმის შესახებ, იწლევა თუ არა საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობა იმის საშუალებას, იმედი იქონიონ მასზე, როგორც შესაძლო მყიდველზე მომავალში.

განიხილავენ რა მომწოდებლების მიერ მოცემული ფირმისათვის კრედიტის გამოყოფის შესაძლებლობას, ამ უკანასკნელის წლიური ანგარიშის შესწავლა საშუალებას იძლევა გამოთვალონ მასზე არადროული გადახდის რისკი.

აქციონერები და მეპაიეები. სააქციო საზოგადოებებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობების შესაბამისად აქციონერები და მეპაიეები წარმოადგენენ. მსხვილი საზოგადოებების უმეტესობაში მფლობელები უშუალოდ არ მონაწილეობენ ოპერატიულ ხელმძღვანელობაში. ამიტომ ისინი მით უმეტეს დაინტერესებული არიან ინფორმაციით იმ ფირმის საქმიანობის შესახებ, რომელშიც თავიანთი სახსრები დააბანდეს. ფირმის ლიკვიდურობას და მოგებას უარესად დიდი მნიშვნელობა აქვს დივიდენდების დანაწილებისა და აქციების ან პაიების ფასის (კურსის) განსაზღვრისათვის.

მსგავსი საწარმოების ანგარიშებით დაინტერესებული არიან არ მარტო მათი ახლანდელი აქციონერები ან მეპაიეები. ანგარიშზე ინფორმაციის მოთხოვნებს საჭიროებენ აგრეთვე ის პირები ან დაწესებულებები, რომლებიც მერყეობენ აქციების შესყიდვისა ან პაის მიღების შესაძლებლობებს შორის. ეს მათ ესაჭიროებათ იმ კურსის განსაზღვრისათვის, რომლის მიხედვით მათთვის ხელსაყრელია აქცია იყიდოს, თუ პაი.

პერსონალი. როგორც ისინი, ვინც საწარმოს შტატშია, აგრეთვე ისინიც, ვინც იქ სამუშაოს მიღებას ცდილობს, ცხადია დაინტერესებულნი არიან ფირმის სამეურნეო საქმიანობის შედეგებით დასაქმებისა და

ხელფასის პერსპექტივების თვალსაზრისით.

მუიღველები. თუ საწარმო ერთ ან რამდენიმე სხვა ფირმის შიშწოდებლად გამოდის, მაშინ ეს ფირმა (ფირმები), როგორც მუიღველები ასევე ფრიად დაინტერესებულია საწარმოს წლიური ანგარიშით, იმის გამო, რომ მომწოდებლის ეკონომიკურ საიმედობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიწოდების შესრულებისათვის.

ადმინისტრაციული ორგანოები. საბაჟო და საგადასახადო ორგანოები, ასევე წარმოების დარგების ხელმძღვანელები და ოფიციალური ხელისუფლება ადმინისტრაციულ ორგანოთა მაგალითად გამოდის, რომლებიც ანგარიშებზე ინფორმაციის წარდგენას ითხოვენ.

ფირმის ხელმძღვანელობა. როგორც § 2.1.-ში იყო ნათქვამი, თვით საწარმოს მუშაკები არიან დაინტერესებულნი მისი ეკონომიკური მდგომარელების ინფორმაციით. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოში არ დგება მოკლევადიანი პერიოდული ანგარიშები, წლიური ანგარიში მნიშვნელოვან რგოლად ითვლება ფირმის სამეურნეო საქმიანობის პერსპექტიულ მართვაში.

2.3. მობების ანბარიში

მოგების ანგარიშში იგულისხმება საწარმოს შემოსავლებისა და დანახარჯების ანგარიში დროის განსაზღვრულ შუალედში.

მომდევნო განყოფილებაში დაწვრილებით შევჩერდებით დანახარჯების ცნებაზე, რის შემდეგაც დავუბრუნდებით მოგების ანგარიშის შედგენას.

2.3.1. დანახარჯების ცნება

სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისათვის ფირმამ სახსრები უნდა დააბანდოს წარმოების ფაქტორებში. საწარმოო ფაქტორები მოიცავს საწარმოო ძალას (გამყიდველები, მუშები, მოსამსახურეები და ა.შ.), წარმოების მატერიალურ საშუალებებს (მანქანები, ნედლეული, ორგტექნიკა და ა.შ.), ასევე მომსახურებას (იურიდიული დანმარება, აუდიტორული სამსახური და სხვ.). ტერმინი „საწარმოო ფაქტორები“ ფართო აზრით უნდა იყოს გაგებული; იგი სხვათა შორის იმ საქონელსაც შეიცავს, რომელსაც ფირმა ყიდულობს მისი შემდგომი გაყიდვის მიზნით.

როდესაც საწარმო წარმოების საშუალებებს იძენს, ნაყიდების ფასი წარმოების გასაავალს შეადგენს. ხარჯვის მომენტი, რომლის თანხა საწარმოს საბუღალტრო დოკუმენტებში რეგისტრირდება, როგორც წესი, მოცემული წარმოების საშუალების მიწოდებას ემთხვევა.

თუ ფულის გაცემა ხდება საწარმოს სალაროდან, საბანკო და სხვა

ანგარიშებიდან, მას ეწოდება გადასახადი. გადახდა შეიძლება განხორციელდეს-წარმოების საშუალებების შექმნის მომენტში, თუმცა მასზეა საუბარი ხელფასის გაცემისას, მფლობელის პირადი საკურობისათვის ფულის გაცემისას და სხვა.

წარმოების ამა თუ იმ ფაქტორის გამოყენების შემთხვევაში საქმე ეხება საწარმოს დანახარჯებს.

დანახარჯები ეწოდება საწარმოო ფაქტორების გამოყენების ფულად გამოხატულებას, რომლის შედეგია პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ტერმინებს „გასავლები“, „გადასახადები“, „დანახარჯები“, რომლებსაც ხშირად სინონიმებად ხმარობენ, საწარმოს ეკონომიკაში თითოეულს სრულიად განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს.

მაგალითი. 19... წ. ფირმამ შეიძინა ჩარხი, რომელიც 80 000 კრონი ღირს. მისი სამსახურის საეარაუდო ვადა 5 წელიწადია. 1992 წლის იანვარში მასში გადასახადს 40 000 კრონი, ხოლო დანარჩენი თანხა გადასდილი უნდა ყოფილიყო ნაწილ-ნაწილად, 10 000 კრონი ყოველ კვარტალში. გასავლები, გადასახადები და დანახარჯები 5 წელზე გაანგარიშებით შემდეგნაირად ნაწილდება:

19..2 წ. 19..3წ. 19..4წ. 19..5წ. 19..6წ.

გასავლები, კრონი	80 000				
გადასახადები, კრონი	70 000	10 000			
დანახარჯები, კრონი	16 000	16 000	16 000	16 000	16 000

თებერვალში ფირმამ 20 000 კრონის საქონელი შეიძინა. მიწოდების პირობებით გადასდის ვადა 60 დღეს შეადგენს. საქონლის ურთი ნახევარი ფირმის მიერ მარტში რეალიზდება (გამოიყენება). მეორე მისში. გასავლები, გადასახადები და დანახარჯები შემდეგნაირად ნაწილდება:

	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
გასავლები, კრონი	20 000			
გადასახადები, კრონი			20 000	
დანახარჯები, კრონი		10 000		10 000

დროის მოცემულ მომენტში დანახარჯებზე წარმოდგენა რომ შეგვექმნას, აუცილებელია ჩატარდეს იმის ანგარიში, შექმნილი საწარმოო ფაქტორების რა ნაწილია გამოყენებული მოცემული პერიოდის განმავლობაში. მაგალითად, შეიძლება გამოითვალოს რამდენი ნედლეულია გამოყენებული წარმოების პროცესში, რამდენი დასჭირდება ელექტროენერგია მანქანების პარკის ექსპლუატაციას და ა. დ. ანგარიშების ზოგიერთი სახეები ფრიად რთული ჩასატარებელია. ეს ეხება, მაგალითად, აღნიშნულ პერიოდში მანქანის ამორტიზაციის პროცენტს.

როდესაც საწარმოში მოგების წლიური ანგარიში დგება, მაშინ საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ დანიის კანონის თანახმად შესაძლე-

ბელია დანახარჯების დაჯგუფება ან ეკონომიკური ელემენტების, ან კალკულაციის მუხლების მიხედვით. მომდევნო განყოფილებებში მოტანილი იქნება სავაჭრო ორგანიზაციების მოგების ანგარიშის მაგალითები, სადაც დანახარჯები დაჯგუფებულია კალკულაციის მუხლების მიხედვით.

2.3.2. დანახარჯების დაჯგუფება ეკონომიკური ელემენტების მიხედვით

ცხრ. 2.1.-ში ნაჩვენებია სავაჭრო საწარმოს „მელსენ-ენგროსის“ მოგების ანგარიში, სადაც დანახარჯები დაჯგუფებულია ეკონომიკური ელემენტების მიხედვით.

ცხრილი 2.1.

„მელსენ-ენგროსის“ მოგების ანგარიში ეკონომიკური ელემენტების მიხედვით დანახარჯების დაჯგუფებით, 19.. 3წ.

ამონაგები რეალიზაციიდან	8216	
-დანახარჯები საქონლის შექმნაზე	<u>4183</u>	
რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი	4033	
-სხვა გარეშე დანახარჯები	1448	
-პერსონალის შენახვის დანახარჯები	<u>1318</u>	<u>2766</u>
+ რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავალი	1267	
-ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	<u>615</u>	
მოგება პროცენტის დარიცხვამდე და სხვა შემოსავლები პროცენტზე გადასახადების გამო და სხვა	91	
- დანახარჯები პროცენტულ გადასახადებზე და სხვა	<u>218</u>	<u>127</u>
მოგება ექსტრაორდინარული შედეგების გარეშე	525	
+ ექსტრაორდინარული შემოსავლები	23	
- ექსტრაორდინარული გასავლები	<u>138</u>	<u>115</u>
წმინდა მოგება	410	

აქ საწეის პუნქტს წარმოადგენს ამონაგები რეალიზაციიდან, მას აკლდება დანახარჯების ისეთი ჯგუფები, როგორიცაა საქონლის შეძენის ხარჯები, სხვა გარეშე დანახარჯები, პერსონალის შენახვის დანახარჯები და ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია. ცხრილში გვხვდება აგრეთვე შუალედური მაჩვენებლები. მაჩვენებელი „მოგება პროცენტის დარიცხვამდე და სხვა“ გვიჩვენებს სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებულ საკუთარ მოგებას; რომელზეც არ მოქმედებს არავითარი ფინანსური ოპერაციები (მოგება რეალიზაციიდან). შემდეგ ცხრილში ჩართულია ფინანსური მუხლები (პროცენტების დარიცხვით მიღებული შემოსავლები და გასავლები), რის შედეგადაც გამოიყვანება მოგება ექსტრაორდინარული შედეგების გარეშე; ანუ მოგება შემოსავლებისა და გასავლების ექსტრაორდინარული მუხლების გათვალისწინების გარეშე.

მოგების ანგარიშის დასასრულს მოტანილია რეალიზაციის გარეშე ოპერაციებზე შემოსავლებისა და გასავლების ექსტრაორდინარული მუხლები. ეს მუხლები მოიცავს შემოსავლებისა და გასავლების ორ სახეს:

ა) ერთჯერადი, ანუ განუმეორებადი შემოსავლები და გასავლები. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ საწარმოს გადატანასთან დაკავშირებული გასავლები, დანაკარგები ზარალის შედეგად და დაუზღვევლობის გამო და განსაკუთრებით დიდი დანაკარგები სასაქონლო დებიტორის მიზეზით.

ბ) შემოსავლები და გასავლები, წარმოქმნილი სხვა საანგარიშო წელს განხორციელებული საქმიანობის ედეგად. მაგალითად, ადრე გაცემული ვალდებულებების გადახდა, დანაკარგები და მოგება ძირითადი კაპიტალის გადახდის გამო.

მოგების ანგარიშში აჯამებს საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის ეკონომიკურ შედეგებს. ვაფასებთ რა მოგების ანგარიშს, შეიძლება შეიქმნას წარმოდგენა იმის შესახებ, ღირს თუ არა იგივე სახით სამეურნეო საქმიანობის გაგრძელება, თუ უნდა ვეძიოთ მეურნეობრიობის სხვა გზები. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ შემოსავლებისა და გასავლების ექსტრაორდინარული მუხლები, რომელთა დაგეგმვა შეუძლებელია, სხვა დანარჩენს უნდა გამოეყოს. ავხსნათ ეს მაგალითით.

მაგალითი:

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საწარმო შემდეგ მოგებას იღებდა:

	19..2 წ.	19..3 წ.	19..4 წ.	19..5 წ.
წმინდა მოგება, ათ. კრონი	+714	730	+756	+773

მოგების მაჩვენებლები, უეჭველია, საწარმოს სტაბილური განვითარების შემთხვევაში შემოსავლის უმისშენელო მუდმივი მატების შთაბეჭდილებას ქმნიან, თუმცა უფრო დაკვირვებული განხილვისას აღმოჩნდება, რომ მოგების მოცემულ

მაჩვილებზე გავლენას ახდენს რეალიზაციის გარეშე შემოსავლები და გასაღები, რაზეც შეტყულებს შემდეგი მონაცემები:

	19..2 წ.	19..3 წ.	19..4 წ.	19..5 წ.
მოგება არაექსტრარდინარული შედეგებით,				
ათ. კრონი +714	+714	+884	756	+685
ექსტრარდინარული შემოსავლები და				
გასაღები, ათ. კრონი		- 154		
წმინდა მოგება, ათ. კრონი	+714	+730	+756	+773

მოგების ანალიზი არაექსტრარდინარული შედეგებით გვიჩვენებს სამეურნეო საქმიანობის მკვეთრ დაცემას 19..4 წ. 19..3 წ. შედარებით და 19..5 წ. 19. 4 წ. შედარებით. თუმცა წმინდა მოგების შედეგების შეჯამებისას იგი დაფარული აღმოჩნდება ექსტრარდინარული შემოსავლებისა და გასაღების ხარჯზე.

ცხრილი 2.1. ზოგიერთი სტრიქონი დანახარჯების რამდენიმე სახეს შეიცავს. ეს ეხება, მაგალითად, სტრიქონს „სხვა გარე დანახარჯები“ და პერსონალის შენახვაზე დანახარჯები“ ანალოგიური სტრიქონები შეიძლება დეტალურად გაიშფოროს სტრიქონების განმარტებებში (ან შენიშვნებში).

დავეუშვათ, რომ აუცილებელია გაიშფოროს ფირმა „მელსენ-ენგროსის“ მოგების ანგარიშის სტრიქონი „სხვა გარეშე ხარჯები“ ეს შესაძლებელია გავკეთდეს შესაბამის სტრიქონზე ნომრის მინიჭებით და მისი მუხლობრივი დანაწილების გამოტანით ანგარიშის დანართში (ცხრ. 2.2.1).

ცხრ. 2.1.-ის ერთ-ერთი სტრიქონის გაშიფვრის მაგალითი

სტრიქონი 1- „სხვა გარეშე ხარჯები“	ათ. კრონი
შენობის არენდა	710
სადაზღვევო შენატანები	88
სატრანსპორტო ხარჯები	101
გარეშე ორგანიზაციების მომსახურება	199
რეკლამა	186
სხვადასხვა	164
სულ	<u>1448</u>

2.3.3. დანახარჯების დაჯგუფება კალკულაციის მუხლების მიხედვით

ცხრ. 2.3-ში მოტანილია საწარმოო საწარმო „მეტალია“-ს 19..4 წ. მოგების ანგარიში. აქ დანახარჯების დაჯგუფება ეკონომიკური ელემენტების მიხედვით შეცვლილია მათი საკალკულაციო მუხლებად დაჯგუფებით მათი წარმოქმნის სფეროსაგან დამოკიდებულებაში (წარმოება, რეალიზაცია, მართვა). მსგავსი დაჯგუფება ნაჩვენებია სტრიქონი 1-ის გაშიფვრისას.

დაწყებული სტრიქონიდან „მოგება პროცენტების დარიცხვამდე და სხვა“ განსხვავება დანახარჯების ეკონომიკურ ელემენტებად და საკალკულაციო მუხლებად დაჯგუფებას შორის პრაქტიკულად არ არსებობს.

ცხრილი 2.3.

ფირმა „მეტალიას“ მოგების ანგარიში 19..4 წ. დანახარჯების საკალკულაციო მუხლებად დაჯგუფებისას ,

სტრიქონი	მაჩვენებლები	ათ. კრონი
	ამონაგები რეალიზაციიდან	60817
1	- საწარმოო დანახარჯები	35287
	არაწმინდა მოგება	25532
1	- სარეალიზაციო დანახარჯები	8230
1	- ადმინისტრაციულ-მმართველობითი დანახარჯები	9764
	მოგება პროცენტის დარიცხვამდე და სხვა	17994
	+ შემოსავლები პროცენტებზე გადასახადის გამო და სხვა	7538
	- დანახარჯები პროცენტების გადახდის გამო და სხვა	1218
	მოგება ექსტრაორდინარული შედეგების გარეშე	3530
	- ექსტრაორდინარული შემოსავლები	2312
	- ექსტრაორდინარული შედეგების გარეშე	5226
	- ექსტრაორდინარული შემოსავლები	914
	- ექსტრაორდინარული გასავლები	1910
	996	
	წმინდა მოგება	4230

სტრუქტურა 1. „საწარმოო, სარეალიზაციო და ადმინისტრაციულ-მმართველობითი დანახარჯები“

	წარმოება რეალიზაცია მართვა			სულ
ნედლეული და მასალები	18340	—	—	18340
ხელფასი და სარგოები	8413	2788	4452	15653
შენობის არენდა	2710	1310	1814	6834
გარეშე ორგანიზაციების მომსახურება	413	314	1683	2410
რეკლამა	—	2508	—	2508
ამორტიზაცია	3314	510	818	4642
სხვადასხვა	<u>1095</u>	<u>800</u>	<u>997</u>	2892
ს უ ლ	<u>35285</u>	<u>8230</u>	<u>9764</u>	53279

2.4. ბალანსი

ბალანსში იგულისხმება ანგარიში, რომელშიც ასახულია საწარმოს ქონება ფულად გამოხატულებაში და მისი დაფინანსების წყაროები საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ბალანსის შედგენისას საწარმოს სამეურნეო საშუალებებს უწოდებენ აქტივებს, ხოლო მათი დაფინანსების წყაროებს — პასივებს. ცხრ. 2.4. ნაჩვენებია საწარმოო საწარმო „მეტალია“-ს (რომელზედ საუბარი იყო განყ. 2.3.3.-ში) 19.4-წ. ბალანსი.

აქტივების ჯამი — ცხრ. 2.4.-ში 30 407 000 კრონი — პასივების ჯამის ტოლია. სამეურნეო საშუალებათა თანხა, რომელიც ამა თუ იმ მომენტში საწარმოს მიერ მის აქტივში შეიტანება, აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს პასივში ასახულ მის დასაფინანსებლად დახარჯულ თანხას.

“Goodwill” ითვლება იმის ასახვად, რომ თვით საწარმოს ყიდვას-საკუთრივ ხელშესახები აქტივებისა თან ახლავს ხელსაყრელ გარემოებათა მთელი რიგი: საწარმოს მოხერხებული ადგილმდებარეობა, პერსონალის ჩამოყალიბებული შტატი; შემუშავებული ტექნოლოგიური ციკლი და ა. შ.

საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ დანიის კანონის შესაბამისად არამატერიალური აქტივები პერიოდულად ამორტიზდება (ამორტიზაციის პერიოდი 5 წელს არ აღემატება).

მატერიალური აქტივები შეიცავს ინვესტიციებს მიწაზე, ტექნიკურ ნაგებობებზე, მანქანებზე, ტრანსპორტზე, მოწყობილობებზე და ა.შ.

მოცემული აქტივები სისტემატიურად უნდა ამორტიზდეს ამორტიზაციის სააგნარიშო პერიოდის შესაბამისად. როგორც წესი გამოწვევისა, მიწა, რადგან ჩვეულებრივ საკითხი მისი ამორტიზაციის შესახებ არ წარმოიქმნება.

ფინანსურ აქტივებში იგულისხმება გრძელვადიანი დაბანდებები ფასიან ქალაქებში (მაგალითად, აქციებში).

მოგების ანგარიშებში ცხრ. 2.1, 2.2, 2.3-ში ნაჩვენებია მტრიქონებზე შენიშვნების მაგალითები, რომლის მიზანია ანგარიშის ზოგიერთი მტრიქონის გაშიფვრა. ანგარიშისადმი სხვა შენიშვნებს შეუძლია ინფორმაციის მოცემა აქტივების სიდიდეების (ღირებულების განსაზღვრა) შეფასების გამოყენებულ პრინციპებზე. ეს ნაჩვენებია მტრიქონი 2-ის გაშიფვრის მაგალითზე ცხრ. 2.4 და 2.5-ში.

ბ. საბრუნავი კაპიტალი

ძირითადი კაპიტალის ანგარიშის შემდეგ ხდება საბრუნავი კაპიტალის ანგარიში.

საბრუნავი კაპიტალი ეწოდება იმ აქტივებს, რომლებიც საწარმოს ნორმალური სამეურნეო საქმიანობის დროს შედარებით მოკლე ვადაში (1 წელზე ნაკლები) იცვლის ფორმას.

2.4.1. აქტივები

აქტივებში იგულისხმება საწარმოს სამეურნეო საშუალებები, რომლებიც დაბანდებულია მისი კაპიტალი.

საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ კანონის შესაბამისად აქტივები იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

ძირითადი კაპიტალი:

არამატერიალური აქტივები;

მატერიალური აქტივები;

ფინანსური აქტივები;

საბრუნავი კაპიტალი:

სასაქონლო მარაგები;

დებიტორული დავალიანება;

ფასიანი ქალაქები და სხვა მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები;

ფულადი სახსრები.

ა) ძირითადი კაპიტალი

ძირითადი კაპიტალი — საწარმოოს მიერ დროის ხანგრ ლივი პერიოდის განმავლობაში გამოყენებისათვის გამიზნული აქტივებია.

აქტივების გამოყენების ხანგრძლივი პერიოდი ნიშნავს, რომ ჩვეულებრივ ვითარებაში ეს პერიოდი ერთ წელზე მეტია.


არამატერიალურ აქტივებში იგულისხმება ინვესტიციები არახელშესახებ აქტივებში, რომლებსაც მოგების მოტანა შეუძლია რამდენიმე წლის განმავლობაში. მაგალითად ეს შეიძლება იყოს გასავლები პროდუქციის ახალი სახეების შემუშავებაზე, სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციაზე, რეალიზაციაზე, პატენტებზე, ასევე ე.წ. „good will“-ზე.

გასავალი „good will“-ზე წარმოიქმნება არამატერიალური აქტივების სახით განსაზღვრული ფირმის (ან მისი ნაწილის) შეძენისას, თუ შეძენის ფასი აღემატება მოცემული ფირმის საბუღალტრო წიგნებში დაფიქსირებულ ფასს.

ამრიგად საბრუნავი კაპიტალი წარმოადგენს აქტივების უფრო მეტად მოძრავ ნაწილს. საქონლური მარაგები გაჰიდვის გზით დებიტორულ დავალიანებაში გადადის, რომელიც, თავის მხრივ, გადახდის დროის დადგომასთან ერთად ფულად საშუალებებად გადაიქცევა.

სავარო საწარმოებში საქონლურ მარაგებს შეადგენს ის საქონელი, რომელიც ბალანსის შეჯამების დროს შეძენილია, მაგრამ არ არის გაყიდული.

საწარმოო საწარმოში რომელთაგან ერთ-ერთის მაგალითი მოცემულია ცხ. 2.4., სასაქონლო მარაგების სამი სახე არსებობს. თავისებური ბუფერის სახი შესყიდვასა და საკუთრივ საწარმოებს შორის იქმნება ნედლეულის მარაგები — (საწარმოო მარაგი), ხოლო წარმოებასა და რეალიზაციას შორის — მზა მზა პროდუქციის მარაგები. რადგან წერმოების პროცესი გარკვეულ დროს საჭიროებს, ამიტომ თვით საწარმოო ქვედანაყოფებშიც იქმნება მარაგები. არ ითვლება მზა პროდუქციად, საქონელი ნებისმიერ მომენტში შეიძლება შევიდეს დამუშავებაში.



დებიტორული დავალიანება მოიცავს დაკრედიტების ყველა ფორმას, რომელთა გადახდის ვადა წელიწადს არ აღემატება. ეს დავალიანება შეიძლება წარმოიქმნას საქონლის კრედიტით გაყიდვისას (საქონლური დებიტორები). თუ დებიტორმა გასცა ვექსილი, მაშინ მიღებული თანხა შეიტანება სტრიქონში „დებიტორული დავალიანება“

მიღებული ვექსიოების გამო“, ანუ „ვექსილური დებიტორები“

დებიტორულ დავალიანებაში შედის აგრეთვე სტრიქონი „გაცემული ავანსები“ იგი შეიცავს ბალანსის შეჯამებამდე შესრულებულ გადასახადებს, რომლის ბრუნვა მოსალოდნელია მომდევნო პერიოდში. მაგალითისათვის აქ შეიძლება დავასახელოთ წინასწარ გადახდილი საარენდო გადასახადი და სახსრები მასალების შექმნაზე, ისეთებისა, როგორცაა საკანცელარიო საქონელი ან სარეკლამო მასალები.

ფასიანი ქაღალდები და სხვა მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები მიეკუთვნება საბრუნავ კაპიტალს, თუ ლაპარაკია ადვილად რეალიზებად აქტივებზე, რომლებიც ხანგრძლივი ფლობისათვის არაა განკუთვნილი. მსგავსი აქტივები ხშირად საწარმოს ლიკვიდურ რეზერვებს შეადგენს.

ფულადი საშუალებები მოიცავს სალაროს ნაღობას, აგრეთვე ფირმის საშუალებებს საბანკო და სხვა ანგარიშებში.

2.4.2: პასივები

პასივებში იგულისხმება საწარმოს დაფინანსების წყაროები.

საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ კანონის თანახმად პასივები შემდეგ ჯგუფად იყოფა:

საკუთარი კაპიტალი;

სადაზღვევო მარაგები;

კრედიტორული დავალიანება გრძელვადიან ვალდებულებებში;

მოკლევადიანი ვალდებულებები.

ა) საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი მოიცავს ფირმის მფლობელის (მფლობელების) ანაბარს, ასევე ფირმის განკარგულებაში დარჩენილი მოგების (ან წაგების) შესაბამის ნაწილს.

ფირმის საკუთარი კაპიტალი მფლობელის (მფლობელთა) განკარგულებაში ხვდება იმ პირობით, რომლებიც მოცემული საწარმოს არსებობის იურიდიული ფორმითაა ნაკარნახევი. ცხრ. 2.4.-ში მოცემულ მაგალითში საუბარია ერთი მფლობელის საწარმოზე ე.წ. ერთპიროვნულ საწარმოზე.

ერთპიროვნულ საწარმოში საკუთარი კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს, როგორც მოგების ხარჯზე, და შემცირდეს, როგორც დანაკარგების, ასევე მფლობელის მიერ საკუთარი საპირობისათვის თანხების ამოღების ხარჯზე. ცხრ. 2.4.-ში საწარმოს საკუთარი კაპიტალი 10 833 000 კრონს შეადგენს. საანგარიშო წლის განმავლობაში საკუთარი

კაპიტალის სიდიდის ცვლილებები ნაჩვენებია ცხრ.2.5.-ის მე-3-ე სტრიქონში. მსგავსი ანგარიშის ჩატარება ნაკარნახევა დანიის კანონით საბუღალტრო ადრიცხვის შესახებ. უნდა დავუმატოთ, რომ ცხრ. 2.5.-ში მოტანილი მონაცემები, ეს მხოლოდ კერძო შემთხვევაა. დანიის კანონმდებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვნად უფრო ვრცელია და გაცილებით მეტი რაოდენობის სტრიქონის ანგარიშს შეიცავს, რომლებიც თუმცა თავიანთი მრავალრიცხოვნების გამო არ შეიძლება შეტანილი იქნეს მოცემულ სახელმძღვანელოში.

§2.5 ჩვენ ისევ დავუბრუნდებით საკითხს საწარმოთა სხვა ფორმების ძირითადი კაპიტალის შესახებ.

ბ) სადაზღვევო მარაგები

სადაზღვევო მარაგებს ბევრი საერთო აქვს კრედიტორულ დავალიანებასთან. კრედიტორული დავალიანება ხასიათდება იმით, რომ კრედიტორი, თანხა და გადახდის ვადა ცნობილია. სადაზღვევო მარაგების შემთხვევაში პირიქით, არც კრედიტორი, არც თანხა და არც გადახდის ვადა ცნობილი არ არის. მაგალითისათვის მოვიტანოთ საგარანტიო ვალდებულებების, კომპენსაციებისა და რეკლამაციების დანახარჯების დაფარვა სადაზღვევო მარაგებიდან.

გ) კრედიტორული დავალიანება

გრძელვადიანი ვალდებულებები.

გრძელვადიანი ეწოდება ისეთ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც გადახდის ვადა ერთ წელიწადზე მეტია.

გრძელვადიანი დავალიანების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ოპოთეკური დავალიანება, ანუ სესხი, გაცემული უძრავობის საწინდრით. ასეთი სესხები, როგორც წესი, იპოთეკური დაწესებულებების (საკრედიტო საზოგადოებების და ა.შ.) მიერ გაიცემა.

გრძელვადიანი სესხი ფირმებს შეუძლია მისცეს აგრეთვე საფინანსო დაწესებულებებმა.

მოკლევადიანი ვალდებულებები.

მოკლევადიანი ეწოდება ისეთ ვალდებულებას, რომლის გადახდის ვადა წელიწადის ფარგლებს არ სცილდება.

მოკლევადიანი ვალდებულებების მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ საქონლური და ვექსილური კრედიტორები, დავალიანება დამატებითი ღირებულების გადასახადებზე, მოგების გადასახადი, საფინანსო ორგანიზაციების მოკლევადიანი კრედიტები (მათ რიცხვში სპეცსესხის ანგარიშის მიხედვით).

თუკი სესხის მთლიანად დაფარვა გათვალისწინებულია რიგი წლების შემდეგ, კრედიტის ნაწილი, რომლის დაფარვაც უახლოეს წელიწადზე მოდის, მოკლევადიან ვალდებულებებს მიეკუთვნება.

ცხრილი 2.4. ფირმა „მეტალიას“ ბალანსი 31.12.19..4 წ. ათ. კრონი
აქტივები **პასივები**

ხტრიქონი

ხტრიქონი

ძირითადი კაპიტალი	
არამატერიალური აქტივები	
Goodwill	<u>300</u>
მატერიალური აქტივები:	
მანქანები და მოწყობილობები	9942
ინვენტარი	<u>4710</u>
	<u>14652</u>
2 ფინანსური აქტივები	
სხვა კომპანიების აქციები	<u>1631</u>
სულ	<u>16538</u>
ხარუნავი კაპიტალი	
სასაქონლო მარაგები:	
ნედლეული და მასალები	1810
დაუმთავრებელი წარმოება	1280
მზა პროდუქცია	<u>2718</u>
	<u>5808</u>
დებიტორული დაგლიანება:	
საქონლური დებიტორები	7602
გაცემული ავანსები	310
	<u>7912</u>
ფულადი საშუალებები:	
ნაღდი ფული ხალაროში	34
საბანკო ანგარიშები	43
სხვადასხვა ანგარიშები	<u>27</u>
	<u>104</u>
სულ	<u>13824</u>
აქტივების ხაერთო ჭამი	<u>30407</u>

3 საკუთარი კაპიტალი	<u>10833</u>
კრედიტორული დაგლიანება	
გრძელვადიანი ვალდებულებები:	
ბანკის სესხი	10183
მოკლევადიანი ვალდებულებები:	
კრედიტი სპეცხეხის ანგარიშით	3729
საქონლური კრედიტორები	4210
მოგების გადასახადი	538
დამატებითი ღირებულები	
გადასახადი	<u>914</u>
	<u>9391</u>
სულ	<u>19574</u>
პასივების ხაერთო ჭამი	<u>30407</u>

**ცხრილი 2.5. შენიშვნა ბალანსზე ცხრ. 2.4., ათ კრონი
სტრიქონი 2 „ სხვა კომპანიების აქციები “**

სააქციო საზოგადოება „ფიქსი“-ს აქციები 1000 კრონის ნომინალური ღირებულებით აყვანილია ბალანსზე 31.12.19..4 წ. კურსით.

სტრიქონი 3 „ საკუთარი კაპიტალი “	
საკუთარი კაპიტალი 1.1.19..4 წ.	9770
- წმინდა მოგება წლის შედეგების გამო	4230
- ამოღებულია მფლობელის მიერ წლის განმავლობაში პირადი საჭიროებისათვის	3167
საკუთარი კაპიტალი 31.12.19..4 წ.	10838

2.5. სანარმოს ფორმები

საწარმოს იურიდიული ფორმის აღწერისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, თუ როგორ პასუხისმგებლობას ატარებენ მფლობელები თავიანთი ფირმის საფინანსო ვალდებულებების მიმართ. ამრიგად, პირველ ყოვლისა, ჩნდება კითხვა, რა პასუხისმგებლობა აქვთ მფლობელებს. განასხვავებენ ორი სახის პასუხისმგებლობას: შეზღუდულსა და შეუზღუდავს.

შეუზღუდავი პასუხისმგებლობის დროს მფლობელები პასუხს აგებენ მთელი თავიანთი ქონებით, ე.ი. როგორც იმ ნაწილით, რომელიც დაბანდებულია ფირმაში, აგრეთვე იმ ნაწილითაც, რომელიც დაბანდებული არაა.

შეზღუდული პასუხისმგებლობისას მფლობელები პასუხს აგებენ თავიანთი ქონების მხოლოდ იმ ნაწილით, რომელიც მათ ფირმაში აქვთ დაბანდებული.

შემდეგ დგება საკითხი, რაზე აგებენ პასუხს მფლობელები აქ პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სოლიდარული და წილობრივი. (Pro rata)

სოლიდარული პასუხისმგებლობის დროს თითოეული მფლობელი პასუხს აგებს ფირმის მთელ ფინანსურ ვალდებულებებზე (ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის).

წილობრივი პასუხისმგებლობისას (Pro rata) თითოეული მფლობელი პასუხს აგებს ფირმის ფინანსური ვალდებულებების მხოლოდ ნაწილზე.

ერთპიროვნული საწარმო. ერთპიროვნული საწარმოს მფლობელი სრულ პირად პასუხისმგებლობას ატარებს თავისი ფირმის ყველა ვალდებულებებზე. ეს ნიშნავს, რომ იგი პასუხისმგებელია არა მარტო

თავისი ქონების ნაწილით, არამედ მთელი თავისი პირადი ქონებით საერთოდ.

ცხრ. 2.3, 2.4 და 2.5-ში მოტანილია ერთპიროვნული საწარმოს წლიური ანგარიშის მაგალითები.

სრული ამხანაგობა. სრულ ამხანაგობაში ორი ან მეტი მფლობელი შეუზღუდავ სოლიდარულ პასუხისმგებლობას ატარებს ფირმის ყველა ვალდებულებაზე. თითოეული მფლობელი, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონებით. ამას გარდა ის პასუხს აგებს საწარმოს ყველა ვალდებულებაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში შეუძლია გავიდეს ამხანაგობიდან და მოთხოვოს სხვა მფლობელებს მისი წვლილის შესაბამისი პაი.

თითოეული მფლობელის საკუთარი კაპიტალი ბალანსში აისახება, როგორც დამოუკიდებელი თანხა, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ისე, როგორც ეს ნაჩვენებია ერთპიროვნული საწარმოს მაგალითზე.

სრული ამხანაგობის მფლობელთა შორის, როგორც წესი, იდება ხელშეკრულება. მასში განისაზღვრება მფლობელთა შორის დანაწილების პრინციპები, ასევე ამხანაგობიდან მათი გამოსვლის პირობები და ვალდებულების განაწილების პრინციპები.

სააქციო საზოგადოება. სააქციო საზოგადოების მფლობელებს აქციონერები ეწოდებათ. აქციონერებად აქციების ყიდვით ხდებიან, რომლებიც წარმოადგენენ სააქციო საზოგადოების საკუთარი კაპიტალის ნაწილს.

სააქციო საზოგადოების მფლობელები შეზღუდულ პასუხისმგებლობას ატარებენ, ე.ი. კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მხოლოდ იმ საკუთარი კაპიტალით, რომელიც დაბანდებულია მოცემულ ფირმაში.

ამრიგად, სწორედ სააქციო საზოგადოება და არა ცალკეული აქციონერი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც პასუხისმგებელია ვალდებულებებზე.

შეზღუდულ პასუხისმგებლობას საზოგადოებისათვის ის უპირატესობა აქვს, ადვილებს საკუთარი კაპიტალის გადიდების შესაძლებლობას. პოტენციურ მენაბრეთა წრე ფართოვდება, რადგან თითოეული მათგანის რისკი შეზღუდულია საკუთარი ანაბრით, და პირიქით, შეზღუდულ პასუხისმგებლობას ფირმისათვის ის ნაკლოვანება აქვს, რომ შესაძლო კრედიტორები საკიოდ თავშეკავებული არიან სესხის გაცემის საკითხში. ისინი ხომ აქციონერთა მთელი ქონების იმედად ვერ იქნებიან, თუ საზოგადოება ვერ შეძლებს პროცენტების გადახდას ან კრედიტის სრულ დატარვას.

წინა პარაგრაფებში ჩვენ არაერთხელ მივუთითეთ დანიის კანონმდებლობაზე საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ. იქედან

გამომდინარეობს, რომ მხოლოდ სააქციო საზოგადოებები და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგოებები ექცევიან მის დადგენილებებში. მაინც ამ დადგენილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სხვა საწარმოების ანგარიშების შედგენისათვის. ამიტომ წლიური ანგარიშების შედგენის მოტანილ მაგალითებში ჩვენ ჩავთვალეთ გვეჩვენებინა საწარმოთა ყველა ტიპი.

გარდა საბუღალტრო აღრიცხვიანობის შესახებ კანონისა სააქციო საზოგადოებების საქმიანობა რეგულირდება კანონით სააქციო საზოგადოების შესახებ.

სააქციო საზოგადოებების საკუთარი კაპიტალი შედგება სააქციო და სარეზერვო კაპიტალისაგან. მაგალითად, სააქციო კაპიტალი სააქციო საზოგადოებების შესახებ დანიის კანონის შესაბამისად, არანაკლებ 300 000 კრონს უნდა შეადგენდეს, სარეზერვო კაპიტალი ყალიბდება ფირმის დარჩენილი მოგების ნაწილის ხარჯზე. მიღებულია აგრეთვე, რომ მოგება ირიცხება სარეზერვო კაპიტალში.

ცალკეულ აქციონერს დივიდენდი უწესდება პროცენტის ფორმით სარეზერვო კაპიტალიდან.

წლიური მოგების ნაწილი, რომელიც არ ირიცხება სარეზერვო კაპიტალში და არ ნაწილდება აქციონერებს შორის დივიდენდის სახით, შეიტანება საკუთარ კაპიტალში სტრიქონით „გაუნაწილებელი მოგება“ სინამდვილეში იგი ასევე შეიძლება განხილული იქნას, როგორც სარეზერვო კაპიტალის ნაწილი. არ არის არსებითი ეკონომიკური განსხვავება თუ რომელი აღნიშვნით შეიტანება მოგება საკუთარ კაპიტალში.

შემდეგი მაგალითით ვაჩვენოთ მოგების განაწილება 19..6 წ., აგრეთვე სააქციო საზოგადოება „რებუსის“ საკუთარი კაპიტალის ანგარიშში 31.12.19..6 წ

მაგალითი.

19..6 წ. 1 იანვრისათვის სააქციო საზოგადოება „რებუსის“ საკუთარი კაპიტალი შეადგენს, კრონი

სააქციო კაპიტალი	600 000
სარეზერვო კაპიტალი	386 000
გაუნაწილებელი მოგება	171 000
	<hr/>
	1 157 000

მოგებამ 19..6 წ. შეადგინა 220 000 კრონი და საერთო კრების გადაწყვეტილებით შემდეგნაირად განაწილდა, კრონი:

დივიდენდები აქციონერებისათვის 8% 600 000-დან	48 000
გადარიცხვა სარეზერვო კაპიტალში	100 000
გაუნაწილებელი მოგება წლის შედეგების მიხედვით	72 000
	<hr/>
	220 000

ამის შესაბამისად საკუთარი კაპიტალის სიდიდე 19..6 წლის 31 დეკემბრისათვის შეიძლება შემდეგნაირად იქნეს გამოთვლილი, კრონი:

სააქციო კაპიტალი		600 000
სარეზერვო კაპიტალი წლის დასაწყისში	386 000	
- გადარიცხვები 19..6 წ.	<u>100 000</u>	486 000
+ გაუნაწილებელი მოგება:		
გასულ წლებში	171 000	
+ საანგარიშო წელს	<u>72 000</u>	243 000
		<u>1 329 000</u>

ცხრ. 2.6. და 2.7-ში ნაჩვენებია ფირმა სააქციო საზოგადოება „რებუსის“ მოგების ანგარიში 19..6 წ., რომლის მაგალითი ჩვენ ახლახან განვიხილეთ. ანგარიშის სტრიქონები დეტალურად არაა განხილული.

მოგების ანგარიშის ბოლო ნაწილში (ცხრ. 2.6) არის სტრიქონი „გადასახადი წლიურ მოგებაზე“ სააქციო საზოგადოება იბეგრება გადასახადებით, რომლებიც განსაზღვრულია დანიის კანონით სააქციო საზოგადოებების დაბეგრის შესახებ. გადასახადის სიდიდემ 19..1 წ. მაისისათვის შეადგენდა 38 %-ს დასაბეგრი მოგებიდან. გადასახადი ან წელს მიღებულ მოგებაზე გადახდილი უნდა იქნეს მხოლოდ მომდევნო წლის ნოემბერში, ამიტომ საბუღალტრო აღრიცხვიანობის შესახებ დანიის კანონის შესაბამისად გადასახადი წლიურ მოგებაზე უნდა ფიგურირებდეს მოგების ანგარიშში როგორც დანახარჯები, ხოლო ბალანსში - როგორც კრედიტორული დავალიანება.

ცხრილი 2.6. სააქციო საზოგადოება „რებუსის“ მოგების ანგარიშ

ამონაგები მოგებიდან	_____	8114
- დანახარჯები საქონლის შექმნაზე	_____	4181
მთლიანი შემოსავალი რეალიზაციიდან	_____	3933
- სხვა გარეშე დანახარჯები	_____	1410
- პერსონალის შენახვის დანახარჯები	_____	1816
		3226
წმინდა მოგება რეალიზაციიდან	_____	707
- ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	_____	230
მოგება პროცენტების დარიცხვამდე და სხვა	_____	477
- დანახარჯები პროცენტების გადახდაზე და სხვა	_____	122
წლიური მოგება გადასახადების დარიცხვამდე	_____	355
- გადასახადი წლიურ მოგებაზე	_____	135

წმინდა მოგება -----	220
წმინდა მოგება ნაწილდება შემდეგნაირად:	
დივიდენდების გადარიცხვა აქციონერებზე -----	48
გადარიცხვები სარეზერვო კაპიტალში -----	100
გაუნაწილებელი მოგება წლის შედეგების მიხედვით -----	72
	<u>220</u>

მოგების ანგარიშის შედეგის შემდეგ ნაჩვენებია მოგების განაწილება.

**ცხრილი 2.7. სააქციო საზოგადოება „რეზუსის“ ბალანსი
31.12.19..6 წ., ათ. კრონი**

აქტივები	ბასივები
ძირითადი კაპიტალი	საკუთარი კაპიტალი
მატერიალური აქტივები:	სააქციო კაპიტალი ----- 600
ინვენტარი ----- 610	სარეზერვო კაპიტალი ----- 486
ავტომობილები ----- 380	გაუნაწილებელი მოგება:
სულ ----- 990	გასულ წლებში ----- 171
საბრუნავი კაპიტალი	საანგარიშო წელს ----- 72
სასაქონლო მარაგები ----- 566	
დებიტორული დაგალიანება:	სულ ----- 1 329
სასაქონლო დებიტორები --- 676	გადარიცხვები სადაზღვევო
გაცემული ავანსები ----- 44	რეზერვში
	ვალდებულებები საგარანტო
სულ ----- 720	მომსახურებაზე ----- 100
ფულადი საშუალებები ----- 86	
	დავალიანებები
სულ ----- 1372	მოკლევადიანი:
	კრედიტი სპეცსესხის
	ანგარიშიდან ----- 348
	საქონლური კრედიტორები --- 326
	მოგების გადასახადი ----- 135
	დღგ და სხვა ----- 76
	დივიდენდები წლის
	შედეგებით ----- 48
	სულ ----- 933
აქტივების საერთო ჯამი --- 2362	ბასივების საერთო ჯამი --- 2362

ბალანსში (ცხრ. 2.7.) ვხედავთ სააქციო საზოგადოების გადასახადების ანგარიშს 19..6 წ., რომელიც მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანების სახით ფიგურირებს (წარედგინება საგადასახადო ორგანოებს).

19..6 წ. მოგების განაწილებისას აქციონერების აქლიონერების დივიდენდებმა 48 000 კრონი შეადგინა (8% - 600 000 კრონი სააქციო კაპიტალიდან) და უნდა მიეცეთ აქციონერებს საერთო კრების ჩატარების შემდეგ. დივიდენდების გადახდის დავალიანება, სააქციო საზოგადოების მხრიდან განხილული უნდა იქნეს მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანების სახით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა. შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის სტატუსი განისაზღვრება დანიის კანონით შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობების შესახებ. ანგარიშების შედგენის წესი ჩაწერილია დანიის კანონში საბუღალტრო აღრიცხვიანობის შესახებ. სააქციო საზოგადოებასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობას შორის ბევრი საერთოა. ასე მაგალითად, აღნიშნული ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობა შეზღუდულია ფირმაში დაბანდებული მათი საკუთარი კაპიტალით.

დანიაში შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის კაპიტალმა არა ნაკლები 80 000 კრონი უნდა შეადგინოს და საწარმოების ეს ფორმა განსაკუთრებით მოსახერხებელია მცირე ფირმებისათვის.

შერეული ამხანაგობა. შერეულ ამხანაგობათა მფლობელები იყოფიან ორ ჯგუფად. ნამდვილი წევრი (ან ნამდვილი წევრები) შეუზღუდავ პასუხისმგებლობას ატარებს, მაშინ, როცა წევრი-მენაბრეების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საწარმოს ვალდებულებებით. თუ ნამდვილი წევრი რამდენიმეა, მაშინ ყველა ისინი სოლიდარულ პასუხისმგებლობას ატარებენ.

თავი 3

ანგარიშების ანალიზი

მოცემულ თავში შევეცდებით ანგარიშებს შევხედოთ იმ თვალსაზრისით, წლიური ანგარიშის შესწავლისას თუ რომელი ინფორმაცია უნდა ავირჩიოთ.

როცა ინვესტორი იხილავს საკითხს რომელიმე საწარმოს აქციების შესყიდვის შესახებ, ანდა საფინანსო დაწესებულება აფასებს ფირმაზე სესხების გაცემის მიზანშეწონილობას, საბოლოო გადაწყვეტილება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად იზიდავს შესაბამის ინვესტორს

ან საფინანსო დაწესებულებას მოცემული საწარმოს მომავალი ეკონომიკური განვითარება. საწარმოს პოტენციალური შესაძლებლობების შეფასებისას მეტად მნიშვნელოვანია წარმოდგენის შექმნა მის მომავალ სამეურნეო საქმიანობაზე. ეს ხომ ის ფუნდამენტია, რომელსაც ემყარება ფირმის პერსპექტიული განვითარება.

უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშების ანალიზის შემდგომი განხილვისას საუბარი იქნება მხოლოდ გარეგან ანალიზზე. ეს ნიშნავს, რომ მსგავსი ანალიზი ტარდება გარედან დაინტერესებული პირების ან პირთა ჯგუფების მიერ მოცემული საწარმოს მიმართ (იხ. § 2.2). ამის შედეგად ანგარიშის ანალიზის ჩამტარებელ პირს, როგორც წესი, წლიური ანგარიშის გარდა, არავითარ სხვა რაიმე ანალიტიკურ მასალებზე ხელი არ მიუწვდება.

ანგარიშების ანალიზი მდგომარეობს მისი ძირითადი და მეორეხარისხოვანი მაჩვენებლების თანაფარდობის გამორკვევაში და ამ გზით ე.წ. საკვანძო ინდიკატორების გამოყენებაში.

შემდგომში ჩვენ განვიხილავთ საკვანძო ინდიკატორების ანგარიშებს, რომლებიც წარმოდგენას იძლევა ფირმის საქმიანობის შემდეგ მხარეებზე: რენტაბელობა, შემოსავლიანობა, ლიკვიდობა, გადახდისუნარიანობა.

ჯერ მოვიყვანოთ სააქციო საზოგადოება ფირმა „ბროსტრემი“ 19..1 და 19..2 წლის წლიური ანგარიშები რომლებიც საფუძველი გახდება შემდგომი გაშუქებისათვის.

3.1. სავაჭრო სანარმო სააქციო საზოგადოება „ბროსტრემი“

ცხრ.3 1, 3 2 და 3.3 - ში ნაჩვენებია შესაბამისად ანგარიშში მოგების შესახებ, შენიშვნები ამ ანგარიშებზე და საწარმოს საბოლოო ბალანსი 19..1 და 19.. 2 წლ.

ცხრილი 3.1.

სააქციო საზოგადოება „ბროსტრემი“ მოგების ანგარიში ათ. კრონი

	19..1	19..2
სტრუქტურა		
ამონაგები რეალიზაციიდან	8083	9273
დანახარჯები ხაქონლის შექმნაზე	4873	5865
საერთო შემოსავალი რეალიზაციიდან	3210	3408
1 - სხვა გარეშე ხარჯები	1159	1228
2 - ბერხონალის შენახვის ხარჯები	1348	1483

წმინდა მოგება რეალიზაციიდან	703	697
- ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	210	243
მოგება პროცენტის დარიცხვამდე	493	454
დანახარჯები პროცენტის გადახდაზე	87	219
მოგება გადასახადების დარიცხვამდე	406	335
გადასახადი წლიურ მოგებაზე	154	127
წმინდა მოგება	252	208
წმინდა მოგების განაწილება:		
აკციონერებზე დივიდენდების გადახდა	60	90
ანარიცხები სარეზერვო კაპიტალში	190	110
გაუნაწილებელი მოგება წლის შედეგების მიხედვით გადატანილი მომდევნო წელს	2	8
ჯამი	252	208

ცხრილი 3.2.

სააქციო საზოგადოება „ბროსტრემი“. შენიშვნები და გაშიფვრები ათ. კრონი

	19..1	19..2
სტრიქონი 1. სხვა გარეშე ხარჯები		
შენობის არენდა	447	384
გაყიდული საქონლის გადატანა	90	98
ხარჯები გარეშე ორგანიზაციების მომსახურებაზე	198	225
სადაზღვევო შესატანები	80	86
სხვადასხვა	334	336
ჯამი	1159	1228
სტრიქონი 2. პერსონალის შენახვის ხარჯები		
საკომისიო გამყიდველებისათვის	240	270
თანამდებობრივი სარგოები	1108	1213
ჯამი	1348	1483

სააქციო საზოგადოება „ბროსტრემი“. ბალანსი ათ. კრონი


აქტივი	31 12. 31 12.	31 12. 31.12	პასივი	31 12. 31.12	31 12. 31 12.
<u>ძირითადი კაპიტალი</u>			<u>საკუთარი კაპიტალი</u>		
ინვენტარი	604	712	სააქციო კაპიტალი	600	600
ავტომანქანა	238	235	სარეზერვო კაპიტალი	500	610
	842	947	გაუნაწილებელი მოგება	15	23
				1115	1233
<u>საბრუნავი კაპიტალი</u>			<u>დავალიანება</u>		
საქონლური მარაგები	602	902	გრძელვადიანი		
დებიტორული დავალ	951	1411	კრძო კრედიტი	200	300
ფულადი სახსრები	46	30	<u>მოკლევადიანი</u>		
	1599	2343	კრედიტი სპეცსახსრების		
			ანგარიშზე	518	681
			საქონლური კრედიტორება	200	679
			მოგების გადასახადი	154	127
			გადასახადი დამატებით		
			ღირებულებაზე და სხვა	194	280
			ღივიდენდები	60	90
			ჯამი	1126	1857
				1326	2057
აქტივის საერთო ჯამი	2441	3290	პასივის საერთო ჯამი	2441	3290

3.2. რენტაბელობის ანალიზი

მოგების ანგარიშის ანალიზმა ყველაფრის მიუხედავად შეიძლება წარმოდგენა მოგვცეს იმაზე, შეუძლია თუ არა ფირმას მიიღოს დამაკმაყოფილებელი მოგება. არის თუ არა მოგება დამაკმაყოფილებელი, უნდა შეფასდეს სხვასთან ერთად დამოკიდებულებით. იმისგან, რამდენი ფული უნდა დაბანდეს საწარმოს აქტივებში, შემოსავალი რომ მივიღოთ. წარმოების რენტაბელობაში იგულისხმება მისი უნარი დაბანდებული კაპიტალის გაზრდაზე.

სწარმოს აქტივები უმეტეს შემთხვევაში ფინანსდება საკუთარი და ნასესხები კაპიტალის ხარჯზე. ამიტომ მოგების მნიშვნელობა, რომელიც

უნდა შეფასდეს აქტივების სიდიდის მიმართ, უნდა მოიცავდეს, როგორც ნასესხები კაპიტალის ნაზრდს (პროცენტული დარიცხვები), ასევე საკუთარი კაპიტალის ნაზრდს (მოგება პროცენტების გადახდის შემდეგ).
საკვანძო ინდიკატორს, რომელიც ასახავს მთელი დაბანდებული კაპიტალის (აქტივების) ნაზრდს, საერთო რენტაბელობის დონე უწოდება.



ნახ. 3.1. მოგებისა და დაბანდებული კაპიტალის ურთიერთკავშირი

საერთო რენტაბელობის დონე	=	$\frac{\text{მოგება პროცენტების დარიცხვამდე} \cdot 100}{\text{აქტივები}}$
--------------------------	---	---

სააქციო საზოგადოება „ბროსტრემის“ წლიური ანგარიშების (იხ. § 3.1) საფუძველზე მისი საერთო რენტაბელობის დონე შეიძლება გამოითვალოს შემდეგნაირად:

	19..1 წ.	19..2 წ.
საქონლის რენტაბელობის დონე	$\frac{493 \cdot 100}{2441} = 20,2$	13,8

ჩვენ ვხედავთ, რომ სააქციო საზოგადოება „ბროსტრემის“ რენტაბელობა 19..2 წ. ძალზე დადაბლდა 19..1 წელთან შედარებით, რამდენადაც საერთო რენტაბელობის დონე დაეცა 6,4 პუნქტით (ანუ 32 %-ით). ფირმის საერთო რენტაბელობის დონე 19..2 წ. მხოლოდ რამდენადმე აღემატება დანიის სახელმწიფო ობლიგაციების პროცენტის ეფექტიან განაკვეთს (19..1 წ. აპრილს – მხოლოდ 11 %-ით), სააქციო საზოგადოება „ბროსტრემის“ მოგების ანგარიშის განხილვისას ცხრ. 3.1-დან ჩანს, რომ საერთო რენტაბელობის დონის ანგარიშში ფიგურირებადი მოგება გამოითვლება მისგან მოგების გადასახადის გამოკლებამდე. ამის

მიზეზი ის არის, რომ საწარმოს ეკონომიკური თვალსაზრისით მოგების გადასახადი დანახარჯებს არ მიეკუთვნება (საწარმოო ფაქტორების ხარჯვა), არამედ საწარმოს მოგებისაგან საზოგადოების მიერ წილის მიღების მანვეებლად ითვლება.

საერთო რენტაბელობის დონე — ძირითადი საკვანძო ინდიკატორია საწარმოს რენტაბელობის ანალიზისას. თუ საჭიროა ზუსტად განისაზღვროს ფირმის განვითარება მისი საერთო რენტაბელობის დონიდან გამომდინარე, აუცილებელია დამატებით გამოითვალოს კიდევ ორი საკვანძო ინდიკატორი: ბრუნვის რენტაბელობა და კაპიტალის ბრუნთა რიცხვი.

ბრუნვის რენტაბელობა ასახავს დამოკიდებულებას საწარმოს მთლიან ამონაგებსა (ბრუნვასა) და დანახარჯებს შორის და გამოითვლება ფორმულით:

$$\text{ბრუნვის რენტაბელობა} = \frac{\text{მოგება პროცენტების დარიცხვამდე} \cdot 100}{\text{საერთო ამონაგები}}$$

რაც მეტია მოგება საწარმოს მთლიან ამონაგებთან შედარებით, მით მეტია ბრუნვის რენტაბელობა.

კაპიტალის ბრუნთა რიცხვი ასახავს თანაფარდობას საწარმოს მთლიან ამონაგებისა (ბრუნვასა) მისი კაპიტალის სიდიდესთან და გამოითვლება ფორმულით:

$$\text{კაპიტალის ბრუნთა რიცხვი} = \frac{\text{მთლიანი ამონაგები}}{\text{აქტივები}}$$


რაც მაღალია ფირმის მთლიანი ამონაგები, მით მეტია მისი კაპიტალის ბრუნთა რიცხვი.

საწარმოს საერთო რენტაბელობის დონე უდრის ბრუნვის რენტაბელობისა და კაპიტალის ბრუნთა რიცხვის ნამრავლს.

$$\text{საერთო რენტაბელობის დონე} = \text{ბრუნვის რენტაბელობა} \cdot \text{კაპიტალის ბრუნთა რიცხვი}$$

მოგება პროცენტების დარიცხვამდე · 100		=
აქტივები		
მოგება პროცენტების დარიცხვამდე ·100		მთლიანი ამონაგები
მთლიანი აქტივები		აქტივები

შეგვეყვავთ რა განტოლების მარჯვენა მხარეს „მთლიან ამონაგებზე“, ვლებულობთ მარჯვენა და მარცხენა ნაწილების ტოლობას. კავშირი სამივე საკვანძო ინდიკატორს შორის ილუსტრირებულია ნახ. 3.2.



ნახ. 3.2. საერთო რენტაბელობის დონის შემადგენელი ნაწილები

სააქციო საზოგადოება „ბროსტრემისათვის“ ბრუნვის რენტაბელობა და კაპიტალის ბრუნთა რიცხვი გამოითვლება შემდეგნაირად:

		19..1 წ.	19..2 წ.
ბრუნვის რენტაბელობა	$\frac{493 \cdot 100}{8083} =$	6,1	4,9
კაპიტალის ბრუნთა რიცხვი	$\frac{8083}{2441} =$	3,3	2,8-ჯერ

ადრე აღწერილი ურთიერთკავშირი სამ განხილულ საკვანძო ინდიკატორს შორის შეიძლება დამტკიცდეს სააქციო საზოგადოება. „ბროსტრემის“ კონკრეტული ციფრებით.

19..1 წ. ბრუნვის რენტაბელობისა და კაპიტალის ბრუნთა რიცხვის ნამრავლმა შეადგინა 20,1 % (6,1 – 3,3); ცოტა დავამრგვალებთ რა ამ მაჩვენებელს, ჩვენ იგივე შედეგს ვღებულობთ, რასაც საერთო რენტაბელობის დანის გამოთვლისას, რომელიც ზემოთ მოტანილი ანგარიშების თანახმად ტოლია 20,2 პროცენტისა. 19..2 წ. შესაბამისად ვღებულობთ 13,7 % ადრე გამოთვლილი საერთო რენტაბელობის დონის 13,8 % -ის ნაცვლად. ანგარიშები გვიჩვენებს, რომ საწარმოს რენტაბელობის შემცირება, რომლის მაჩვენებლად გამოდის საერთო რენტაბელობის დონის შემცირება, წარმოადგენს შემოსავლების დანახარჯებთან შედარებითი შემცირების შედეგს (ე.ი. ბრუნვის რენტაბელობას), აგრეთვე მთლიანი ამონაგების დაბანდებულ კაპიტალთან, ე.ი. კაპიტალის ბრუნთა რიცხვთან თანაფარდობის შემცირების შედეგს. ამრიგად, ბრუნვის რენტაბელობა დაეცა 20%-ით, ხოლო კაპიტალის ბრუნთა რიცხვი შემცირდა 15%-ით.

როგრც ადრე იყო აღნიშნული, საერთო რენტაბელობის დონე ბრუნვის რენტაბელობისა და კაპიტალის ბრუნთა რიცხვის ნამრავლის ტოლია. „საერთო რენტაბელობის დონის“ მაჩვენებლის ერთი და იგივე მნიშვნელობა შეიძლება მიღწეული იქნას ამ ორი საკვანძო ინდიკატორის კომბინირების სხვადასხვა ხერხებით. მაგალითად, საერთო რენტაბელობის დონე, რომელიც 24%-ს უდრის, შეიძლება მიღწეული იქნას ან 4% ბრუნვის რენტაბელობის სიდიდის

გამრავლებით კაპიტალის ბრუნთა რიცხვზე, რომელიც 6-ის ტოლია, ან 8%-იანი ბრუნვის რენტაბელობის გამრავლებით კაპიტალის ბრუნვის რიცხვზე, რომელიც 3-ს უდრის.

საწარმოებში მსხვილი თანხები ხშირად ექცევა ძირითად კაპიტალში (მანქანები და ა.შ.), იქნება პროდუქციის დიდი მარაგები, მყიდველებს ეძლევათ გრძელვადიანი კრედიტები. ამის შედეგად კაპიტალის ბრუნთა რიცხვი შედარებით მცირეა, რაც თავის მხრივ კომპენსირდება მოგების დიდი სიდიდით, ე.ი. ბრუნვის შედარებით მაღალი რენტაბელობით.

სავაჭრო საწარმოებში პირიქით, ხშირად ადგილი აქვს კაპიტალის დიდ ბრუნთა რიცხვს ბრუნვის დაბალი რენტაბელობისას, მაგრამ არის სხვადასხვა სავაჭრო საწარმოები, მაგალითად, სუპერმარკეტებში და საფუნთუშეებში ბრუნვის რენტაბელობა შედარებით დაბალია, რაც კომპენსირდება კაპიტალის ბრუნთა დიდი რიცხვით.

ავეყის მაღაზიებში კი მდგომარეობა პირდაპირ საწინააღმდეგოა — ბრუნვის რენტაბელობა მაღალია და კაპიტალის ბრუნთა რიცხვი — მცირე.

როგორც ნაჩვენები იყო, საერთო რენტაბელობის დონე ითვლება მთელი კაპიტალის ნაზრდის ასახვად (ყველა აქტივისა). ეს ჩანს, მაგალითად, ნახ. 3.1-ში. შევეცადოთ სააქციო საზოგადოება „ბროსტრემის“ 19..1 წ. ლხრ.3.1 და 3.3 შევიტანოთ ნახ.3.1.

მოგება პროცენტების დარიცხვამდე — 493	→	აქტივები — 2441
- დანახარჯები პროცენტების გადას- დაზე = 87		- ნასესხები კაპიტალი = 1326
= მოგებას გადასახადის დარიცხვაზე 406	→	= საკუთარი კაპიტალი 1115

ნახ. 3.3. სააქციო საზოგადოება „ბროსტრემი“. დაბანდებული კაპიტალისა და მოგების ურთიერთკავშირი

ფირმის მესაკუთრის თვალსაზრისით საინტერესო იქნებოდა გარკვეულიყო, თუ როგორ გამოისყიდება საკუთარი კაპიტალი. ნახ. 3.2-ის თანახმად საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონის გამოსათვლელი ფორმულა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

$$\text{საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონე} = \frac{\text{მოგება გადასახადების დარიცხვაზე} \cdot 100}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

სააქციო საზოგადოება „ბროსტრემისათვის“ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონე ორი საანგარიშო წლიდან თითოეულში შემდეგი იქნება:

	19..1 წ.	19..2 წ.
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონე	$\frac{406 \cdot 100}{1115} = 36,4$	27,2

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონე 19..2 წ. ძალზე დადაბლდა 19..1 წელთან შედარებით, თუმცა მიუხედავად ამისა პროცენტის ეფექტიანი განაკვეთი მნიშვნელოვნად მაღალი დარჩა დანიის სახელმწიფო ობლიგაციებისათვის (დაახლოებით 11%). საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონე ორივე წელს მნიშვნელოვნად მაღალია

და საწარმოს საერთო რენტაბელობის დონეც — შესაბამისად 20,2 და 13,8 პროცენტი. სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავს, რომ ორივე ამ წელს ნასესხები კაპიტალის გამოყენება მოგებას იძლეოდა. მსგავსი შემთხვევები განიხილება ცოტა მოგვიანებით.

19..1 წ. გამოთვლილი საერთო რენტაბელობის დონეს და საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონეს შემდეგი მნიშვნელობები აქვს: საერთო რენტაბელობის დონე — 20,2%, საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონე — 36,4%.

წარმოიქმნება კითხვა: რანაირად ხდება, რომ საკუთარი კაპიტალის ნაზრდს უფრო მაღალი პროცენტი აქვს, მთელი დაბანდებული კაპიტალის ნაზრდთან შედარებით. ამაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია გამოვთვალოთ პროცენტული გადარიცხვების სიდიდე ნასესხებ კაპიტალზე. როგორც ცხრ. 3.1-დან ჩანს, სააქციო საზოგადოება „ბროსტრემმა“ 19..1წ. პროცენტების მიხედვით გადაიხადა 87 000 კრონი, ხოლო ცხრ.3.3-დან ჩანს, რომ ნასესხებმა კაპიტალმა 19..1წ. შეადგინა 132 600 კრონი. ეს ნიშნავს, რომ გადარიცხვებმა პროცენტების მიხედვით შეადგინა 6,6%.

ამგვარად, ყოველი დაბანდებული კრონი გვაძლევს 20,2 ერე მოგებას (საერთო რენტაბელობის მაჩვენებელი 1 კრონი = 100 ერე). რამდენადაც გადასახადი პროცენტების გამო მხოლოდ 6,6 ერეს შეადგენს თითოეულ დასაქმებულ კრონზე, მოგება ყოველ დასაქმებულ კრონზე შეადგენს 13,6 ერეს ეს მოგება ზვდება საკუთარ კაპიტალში. ამგვარად მფლობელები ლებულობენ ნაზრდს თავისი კაპიტალიდან რენტაბელობის საერთო დონის ტოლად, პლუს ნასესხები კაპიტალის მოგება. თუკი გადახდის პროცენტი ნასესხებ კაპიტალზე საერთო რენტაბელობაზე მაღალი იქნებოდა, მაშინ ნასესხები კაპიტალის გამოყენება ზარალს მოიტანდა.

ამ შემთხვევაში საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონე საერთო რენტაბელობის დონეზე დაბალი იქნებოდა. თვალსაჩინოებისათვის ცხრ.3.4-ზე მოცემულია სააქციო საზოგადოება ფირმა „ბროსტრემის“ რენტაბელობის ანალიზი.

ცხრილი 3.4.

სააქციო საზოგადოება „ბროსტრემის“ რენტაბელობის ანალიზი

	19..1წ.	19..2წ.
საერთო რენტაბელობის დონე	20,2 %	13,8 %
ბრუნვის რენტაბელობა	6,1 %	4,9 %
კაპიტალის ბრუნვა რიცხვი	3,3 - ჯერ	2,8 - ჯერ
საკუთარი რენტაბელობის კაპიტალის დონე	36,4 %	27,2 %

დანახარჯები ჯგუფდება ან ეკონომიკური ელემენტების ან კალკულაციის მუხლების მიხედვით. ანალიზისას — საწარმოს ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმის ფარგლებში — უფრო მიზანშეწონილად წარმოგვიდგება, რათა ხარჯები დაჯგუფდეს ყოველთვის მათი წარმოქმნისთანავე, როცა საწარმოო აფართოებს ანდა ამცირებს მის საქმიანობას (წარმოებასა და რეალიზაციას). ვიდრე გავავრცელებდეთ სააქციო საზოგადოება „ბროსტრემის“ წლიური ანგარიშების ანალიზს, დავვრილებით შევჩერდეთ ამ საკითხზე.

3.3.1. დანახარჯებისა და მობეზის სტრუქტურის ცნებები

ა. მუდმივი ხარჯები

თუ მაგალითად, ვინმე ცდილობს გახსნას საწარმოო საწარმო, მაშინ მანამდე, ვიდრე დაიწყებდეს ნედლეულის შესყიდვას, საკუთრივ წარმოებას და პროდუქციის რეალიზაციას, იგი ვალდებულია შექმნას საწარმოო პოტენციალი შენობების, მანქანების, ადმინისტრაციული პერსონალისა და სხვა სახით.

წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ იქმნება საწარმო „კვიკი“ საკონტორო სავარძლების "CUT" გამოშვებაზე ორი მოდიფიკაციით (A და B). საწარმოს საწარმოო პოტენციალი საშუალებას აძლევს მას მიაღწიოს წარმოების ისეთ ღონეს, როცა თვეში შეიძლება წარმოებული და რეალიზებული იქნეს მაქსიმუმ 8 000 სავარძელი. ასეთი საწარმოო პოტენციალის შექმნა ყოველთვისად მოითხოვს შემდეგ დანახარჯებს, კრონი:

შტატის მუშაკთა თანამდებობრივი ხარჯები	700 000
შენობის არენდა	75 000
სხვადასხვა (დაზღვევები, ორგტექნიკა და ა.შ.)	275 000
მანქანების ამორტიზაცია	230 000
ინვენტარის ამორტიზაცია	110 000
ჯამი	1 390 000

დავუშვათ, რომ თვეში „კვიკი“ აწარმოებს და ყიდის 6 000 საკონტორო სავარძელს, რაც ნიშნავს მისი საწარმოო პოტენციალის 75 პროცენტით გამოყენებას. ამ შემთხვევაში ზემოთმოყვანილი დანახარჯების სიდიდე ისევ 1 390 000 კრონი იქნება თვეში. ეს ხდება იმიტომ, რომ თუმცა ფირმის პოტენციალი მხოლოდ 75 პროცენტით გამოიყენება, მაინც თანამშრომელთა შტატები, შენობები და ა.შ., რომლებიც იგივე

დანახარჯებს საკურობებს სარგოებზე, არენდაზე და ა.შ., ცვლილების გარეშე რჩება. ასეთი დანახარჯები მუდმივად იწოდება.

მუდმივ დანახარჯებში იგულისხმება ისეთი დანახარჯები, რომელთა თანხა დროის მოცემულ პერიოდში უშუალოდ დამოკიდებული არაა წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობასა და სტრუქტურაზე.

ამ დანახარჯების ნაწილის განაღდების ხარჯებს საწარმო უოველწლიურად ახორციელებს. საწარმო „კვიკში“ მას მიეკუთვნება დანახარჯები შტატის თანამშრომელთა სარგოებზე, შენობების არენდაზე, დაზღვევაზე, ორგტექნიკაზე და ა.შ. ასეთი მუდმივი დანახარჯები უოველწლიურად განახლებად მუდმივ დანახარჯებად იწოდება.

უოველწლიურად განახლებად მუდმივ ხარჯებში გულისხმობენ მუდმივ დანახარჯებს, რომელთა გადანდას ფირმა ახორციელებს უოველ სამეურნეო წელს.

საწარმოო პოტენციალის სხვა შემადგენელი ნაწილები, რომლებიც ფირმის მიერ წლების განმავლობაში გამოიყენება, შექმნის მომენტში ერთდროულად ანაზღაურდება. ესაა მანქანები, ავტომობილები, ინვენტარი. შემდგომში ჩვენ განვიხილავთ მუდმივი დანახარჯების იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი კაპიტალის პერიოდულ გამოყენებასთან (ამორტიზაცია).

ამორტიზაციაში იგულისხმება მუდმივი დანახარჯების ის ნაწილი, რომელიც უაღიბდება ერთდროული დანახარჯების განაწილების გზით — ძირითადი კაპიტალის შექმნაზე მისი გამოყენების რამდენიმე პერიოდზე.

ბ. ცვლადი დანახარჯები

როგორც ადრე იყო ნაჩვენები „კვიკის“ საწარმოო პოტენციალი თვეში შეადგენს 8 000 საკონტროლო სავარძელს 1 390 000 კრონის მუდმივი დანახარჯებისას. შემდეგ მითითებული იყო, რომ ფირმა „კვიკმა“ განსახილველ პერიოდში აწარმოა და გაყიდა 6 000 სავარძელი. მუდმივ ხარჯებში ამან არ იმოქმედა — ისინი უცვლელი დარჩება დამოუკიდებლად იმისგან, ფირმა თვეში 6 000 სავარძელს აწარმოებს თუ 8 000.

სხვაგვარად დგება საკითხი, მაგალითად მასალების გამოყენებაზე. მოცემულ თვეში ქსოვილები და დასაჯდომები, ბორბლები, ფეხები და სხვა გამოიყენება მხოლოდ 6 000 სავარძლის დასამზადებლად, იგივე შეიძლება ითქვას მუშათა შრომის ანაზღაურების მიმართაც.

დაქირავებული საწარმოო მუშების უნდა შეესაბამებოდეს დაგეგმილი სამუშაოს მოცულობას. თუ გამყიდველების შრომის ანაზღაურება სრულად ან ნაწილობრივ ხდება გაყიდვის საკომისიოების ხარჯზე (პროცენტი ამონაგებიდან), მაშინ მომუშავეთა ამ ნაწილს შრომის

ანაზღაურებაც უნდა გამოითვალოს 6 000 სავარძლიდან მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო პოტენციული ითვისწინებს 8 000-მდე დამზადებას და რეალიზაციას. ასეთ დანახარჯებს ცვლადი დანახარჯები ეწოდება.

„კვიკის“ ცვლადი დანახარჯების ანგარიში შემდეგ შედეგებს იძლევა:

	CUT-A 1 ცლ.	CUT-B 1 ცლ.
მასალები	140 კრ.	268 კრ.
ხელფასი	55 კრ.	60 კრ.
საკომისიოები გამუდმდებლებისათვის	15 კრ.	22 კრ.
ჯამი	200 კრონი	350 კრონი

თუ აღნიშნული 6000 სავარძლიდან 2000 მიეკუთვნება A მოდიფიკაციას, ხოლო 4000 — B-ს, მაშინ ცვლადი დანახარჯები საერთოდ შეადგენს:

CUT-A: 2000ც. x 210 კრონი	420 000 კრ.
CUT-B: 4000ც. x 350 კრონი	1 400 000 კრ.
ჯამი:	1 820 000 კრ.

თუკი A სავარძელი შეადგენს 4000, ხოლო B — 2000, მაშინ ამ დანახარჯების სიდიდე უკვე სხვაგვარი იქნება:

CUT-A: 4000ც. x 210 კრონი	8 400 000 კრ.
CUT-B: 2000ც. x 350 კრონი	700 000 კრ.
ჯამი:	1 540 000 კრ.

ცვლად დანახარჯებში იგულისხმება დანახარჯები, რომელთა საერთო სიდიდე დროის მოცემულ პერიოდში უშუალოდ დამოკიდებულებაშია წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობაზე, აგრეთვე ასორტიმენტის სტრუქტურაზე რამდენიმე სახის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისას.

გ. საქონლის დაფარვის სიდიდე

ფირმა „კვიკის“ მაგალითში გათვალისწინებულია, რომ 1 ცალი CUT-A რეალიზაციის ფასი შეადგენს 400 კრონს, ხოლო 1 ცალი CUT-B—710 კრონს.

ყოველთვის ყიდის რა ან მოდელის ერთ სავარძელს საწარმოო ღებულობს შემოსავალს (ამონაგებს), რომელიც ამ სავარძლის რეალიზაციის ფასის ტოლია, მაგრამ ამასთან ხარჯებსაც ეწევა, რომელიც საშუალო ცვლადი დანახარჯების ტოლია (დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე).

სხვაობა რეალიზაციის ფასსა და საშუალო ცვლად დანახარჯების სიდიდეს შორის საქონლის დაფარვის სიდიდეს უწოდებენ.

	1ცლ. CUT-A 400 კრონი	1ცლ. CUT-B 710 კრონი
რელიზაციის ფასი		
– საშუალო ცვლადი დანახარებები (საქონლის ერთეულზე).	210 კრონი	350 კრონი
დაფარვის სიდიდე (საქონლის ერთეულზე)	190 კრონი	360 კრონი

საქონლის დაფარვის საშუალო სიდიდეში იგულისხმება სხვაობა საქონლის ერთეულის რელიზაციის ფასსა და საშუალო ცვლადი დანახარებების სიდიდეს შორის.

საქონლის დაფარვის სიდიდე შეადგენს სახსრების ჯამს, რომლის ნაწილი მიდის საწარმოს მუდმივი დანახარებების დასაფარავად, ხოლო მეორე მოგებაში აისახება.

დ. მოგების სტრუქტურა

იმ პირობისას – როცა ფირმა „კვიკის“ CUT-A პროდუქციის გასაღება თვეში 2000 ცალს შეადგენს, ხოლო CUT-B – 4000 ცალს, „კვიკის“ მოგების სტრუქტურა შეიძლება ილუსტრირდეს 3.5. ცხრილით. ამასთან „კვიკის“ ფინანსური ხარჯები (პროცენტის გადახდის დანახარებები) მიღებულია 130 000 კრონის ტოლად თვეში.

ცხრილი 3.5.

ფირმა „კვიკის“ მოგების სტრუქტურა

	A	B	სულ
რელიზაცია	2000	4000	–
რელიზაციის ფასი, კრონი	400	710	–
საშუალო ცვლადი დანახარებები	210	350	–

მთლიანი ამონაგები	800000	1840000	3640000
-ცვლადი დანახარებები	420000	1400000	1820000
დაფარვის სიდიდე	380000	1440000	1820000
-უოველწლიურად განახლებადი მუდმივი დანახარებები			1050000
წმინდა მოგება რელიზაციიდან			770000
-ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია			340000
მოგება პროცენტის ღარიცხვამდე			430000
-დანახარებები პროცენტის გადახდაზე			130000
წ მ ი ნ დ ა მ ო გ ე ბ ა			300 000

საწარმოო საწარმოში ცვლადი ხარჯებისა; მაგალითად გარდა მასალებისა, მუშათა ხელფასისა, გამყიდველების საკომისიოებისა, დამხმარე მასალებისა, საწარმოო პროცესში გამოყენებული ენერჯის ხარჯებისა, შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე რეალიზაციიდან დაკავშირებული შესაძლო ცვლადი დანახარჯები (შეფუთვა და საქონლის გადაზიდვა).

აქამდე ჩვენ საუბარი გვქონდა ფირმა „ჯიკზე“, რომელიც საწარმოო საწარმოს წარმოადგენდა. თუ საუბარი იქნება სავაჭრო ფირმაზე, მაშინ ცვლად დანახარჯებში არ მოექცევა ნედლეულისა და მუშათა ხელფასის დანახარჯები, არამედ იგი ჩამოყალიბდება პირველ ყოვლისა, იმ საქონლის შექმნის ფასის ხარჯზე („ფრანკო-საწყობი მყიდველისა“), რომელიც შემდეგ რეალიზდება, ე. ი. საქონლის შექმნის ხარჯებს ანგარიშზე. მას ემატება რეალიზაციასთან დაკავშირებული შესაძლო ცვლადი დანახარჯები (მაგალითად, გამყიდველების საკომისიოები და შესაფუთი მასალები).

სავაჭრო საწარმოს მოგების სტრუქტურა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ცხრილი 3.6.

სავაჭრო ფირმის მოგების სტრუქტურა

მთლიანი ამონაგები

- დანახარჯები საქონლის შექმნაზე
- რეალიზაციასთან დაკავშირებული ცვლადი დანახარჯები
დაფარვის სიდიდე
- უოველწლიურად განახლებადი მუდმივი დანახარჯები
წმინდა შემოსავალი
-) ირითადი კაპიტალის ამორტიზაცია
მოგება პროცენტის დარიცხვამდე
- დანახარჯები პროცენტის გადახდაზე
წმინდა მოგება

თუ სავაჭრო ფირმას არ აქვს რეალიზაციასთან დაკავშირებული არავითარი დანახარჯები, მაშინ მთლიანი შემოსავალი და დაფარვის სიდიდე ერთმანეთს ემთხვევა.

3.3.2. სააქციო საზოგადოება „ბროსტრემო“-ს მოგების ანგარიშის სხვაგვარი სტრუქტურა

ცხრილში 3.7 სააქციო საზოგადოება „ბროსტრემი“-ს მოგების ანგარიში და მასზე შენიშვნა, რომელიც 3.1. და 3.2. ცხრილებში იყო მოყვანილი, შეცვლილია იმ კატეგორიების მიხედვით, რომლებიც ჩვენ

ესაა აღვწერეთ. ცვლადი დანახარჯების სახით საქონლის შექმნის დანახარჯების გარდა, აქ ფიგურირებს გაყიდული საქონლის გადატანის დანახარჯები, აგრეთვე გამყიდველების საკომისიოები (იხ. მუხლებში ცხრ. 3.2-ში). ვადასახადი წლიურ მოგებაზე არ შეიტანება, ვინაიდან როგორც ადრე აღვნიშნეთ ეს მუხლი უნდა აღვიქვათ უფრო როგორც მოგების განაწილების ნაწილი.*

ცხრილი 3.7.

სააქციო საზოგადოება „ბროსტრემი“-ს მოგების ანგარიშის სხვაგვარი სტრუქტურა მოგების ანგარიში, ათ. კრონი

	19...1 წ.	19...2 წ.
მთლიანი ამონაგები	8083	9273
- დანახარჯები საქონლის შექმნაზე	4873	5865
მთლიანი შემოსავალი	3210	3408
- ცვლადი დანახარჯები, დაკავშირებული რეალიზაციასთან	330	368
დაფარვის სიდიდე	2880	3040
- უოველწლიურად განახლებადი მუდმივი დანახარჯები	2177	2343
წმინდა შემოსავალი	703	697
-)ირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	210	243
მოგება პროცენტის დარიცხვამდე	493	454
- დანახარჯები პროცენტის გადახდეზე	87	119
წ მ ი ნ დ ა მ ო გ ე ბ ა	406	335

3.3.3. საკვანძო ინდიკატორების ანგარიში

თანაფარდობა მთლიან ამონაგებსა და ცვლად დანახარჯებს შორის გამოიხატება საკვანძო ინდიკატორით, რომელსაც დაფარვის კოეფიციენტი ეწოდება.

$$\text{დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{\text{დაფარვის სიდიდე} \cdot 100}{\text{მთლიანი ამონაგები}}$$

* — ამ მიზეზით ვადასახადი წლიურ მოგებაზე არაა გათვალისწინებული ცხრილების 3.5. და 3.6. შედგენისას. (აგრეთვე რიგ სხვა მომდევნო ცხრილებშიც, რომლებიც ახასიათებენ მოგების სტრუქტურას) — რედაქტ. შენიშვნა.

სააქციო საზოგადოება „ბროსტრემი“-ს დაფარვის კოეფიციენტი აღნიშნულ ორ წელს შემდეგნაირად გამოითვლება:

	19..1 წ.	19..2 წ.
დაფარვის კოეფიციენტი = $\frac{2880 \cdot 100}{8083}$	35,6	32,8

ორი წლის განმავლობაში სააქციო საზოგადოება „ბროსტრემი“-ს დაფარვის კოეფიციენტი შესამჩნევად შემცირდა. ამის მიზეზია ის, რომ ცვლადი დანახარჯები გაცილებით მეტად გაიზარდა, ვიდრე მთლიანი ამონაგები. 19...1 წ. დაფარვის სიდიდე შეადგენდა 35,6 ერე-ს ბრუნვაში ჩაშვებულ ყოველ კრონზე, მაშინ როცა 19...2 წ. — მხოლოდ 32,8 ერეს.

დაფარვის კოეფიციენტის შემცირება შეიძლება მრავალი მიზეზით აიხსნას. მასზე შეიძლება იმოქმედოს ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოტანილმა ფაქტორებმა:

ა) რეალიზაციის ფასის შემცირებამ;

ბ) საშუალო ცვლადი დანახარჯების მატებამ, მათ რიცხვში შესასყიდი ფასებისა;

გ) გასაღების სტრუქტურის გაუარესებამ ე.ი. აქციენტის გადატანამ დაფარვის შედარებით მაღალი კოეფიციენტის საქონლის რეალიზაციიდან, დაფარვის შედარებით დაბალი კოეფიციენტის საქონლის სასარგებლოდ.

ზემოთ მოტანილი ციფრები არ იძლევა იმის საშუალებას სრულად ვიმსჯელოდ იმის შესახებ, მოცემული ფაქტორებიდან რომელს ან რომლებს ჰქონდათ ადგილი სააქციო საზოგადოება „ბროსტრემი“-ს მაგალითში.

სააქციო საზოგადოება „ბროსტრემი“-ს საერთო დანახარჯები შეადგენს, ათ. კრონი:

	19..1 წ.	19..2 წ.
ყოველწლიურად განახლებადი მუდმივი დანახარჯები	2177	2343
ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	210	243
ჯ ა მ ი	<u>2387</u>	<u>2587</u>

თანაფარლობა მოგების ფორმირებაზე, მიმართული დაფარული სიდიდის ნაწილისა და მუდმივ დანახარჯებს შორის განისაზღვრება საკვანძო ინდიკატორის არამომგებიანი ბრუნვით.

არამომგებიანი ბრუნვა შეესაბამება რეალიზაციის ისეთ ობიექტს, რომლის დროსაც საწარმოო მოვების სიდიდე პროცენტების დარიცხვამდე ნულის ტოლია. არამომგებიანი ბრუნვისას დაფარვის სიდიდე ღირებულებით გამოხატულებაში მუდმივ დანახარჯებს შეესაბამება. რამდენადაც დაფარვის კოეფიციენტი გვიჩვენებს დაფარვის სიდიდე (ერეთი) ბრუნვაში ჩაშვებულ თითოეულ კრონზე, მაშინ არამომგებიანი ბრუნვა გამოითვლება ფორმულით:

$$\text{არამომგებიანი ბრუნვა} = \frac{\text{მუდმივი დანახარჯები} \cdot 100}{\text{დაფარვის კოეფიციენტი}}$$

სააქციო საზოგადოება „ბროსტორემი“-ს არამომგებიანი ბრუნვა შემდეგნაირად გამოითვლება:

	19..1 წ.	19..2 წ.
არამომგებიანი ბრუნვა =	$\frac{2387 \cdot 100}{35,6} = 6705$	7884

19..1 წ-დან 19..2 წლამდე სააქციო საზოგადოება „ბროსტორემი“-ს არამომგებიანი ბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს გამოიწვია მუდმივი დანახარჯების ზრდამ დაფარვის კოეფიციენტის ერთდროული შემცირებისას. მოცემულმა გარემოებამ აამალა ფირმის შესუსტება მთლიანი ამონაგების შესაძლო შემცირების მხრიდან. ეს შესუსტება შეიძლება განისაზღვროს საიმედობის მარაგის სიდიდის გამოთვლის გზით.

$$\text{საიმედობის მარაგი} = \frac{\text{მთლიან ამონაგებს} - \text{არამომგებიანი ბრუნვა} \cdot 100}{\text{მთლიანი ამონაგები}}$$

სააქციო საზოგადოება „ბროსტორემის“ მაგალითზე ვლებულობთ შემდეგ ციფრებს:

	19..1 წ.	19..2 წ.
საიმედობის მარაგი =	$\frac{(8083 - 6705) \cdot 100}{8083} = 17\%$	15%

აქედან ჩანს, რომ 19...1 წ. ფირმამ შეძლო შეეჩერებინა მთლიანი ამონაგების შემცირება 17 პროცენტით, მანამ, ვიდრე არამომგებიანი ბრუნვის პირობებში აღმოჩნდა 19...2 წ. ეს მაჩვენებელი დაეცა 15 პროცენტამდე ე.ი. საწარმოს შესუსტება მთლიანი ამონაგების შესაძლო შემცირების მხრიდან გაიზარდა.

თვალსაჩინოებისათვის ცხრ. 3.8-ზე მოტანილია სააქციო საზოგადოება „ბროსტრემის“ შემოსავლიანობის ანალიზი.

ცხრილი 3.8.

სააქციო საზოგადოება „ბროსტრემი“. შემოსავლიანობის ანალიზი

	19..1 წ.	19..2 წ.
დაფარვის კოეფიციენტი %	35,6	32,8
არამომგებიანი ბრუნვა, ათ. კრონი	6705	7884
საიმედობის მარაგი, %	17	15

კო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი:

ორ წელიწადში დაფარვის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო რეალიზაციის ფასები, საშუალო ცვლადი დანახარჯების ზრდა და (ა.წ.) ვასალების სტრუქტურის გაუარესება. არამომგებიანი ბრუნვა 19..2 წელს 19..1 შ-თან შედარებით ამალდა, რაც წარმოადგენს დაფარვის კოეფიციენტის შემცირებასთან ერთად მუდმივი დანახარჯების ზრდის შედეგს. საიმედობის მარაგის დინამიკა გვიჩვენებს, რომ სააქციო საზოგადოება „ბროსტრემი“ განდა უფრო სუსტი მთლიანი ამონაგების შესაძლებელი შემცირების მხრიდან.

3.4. ლიკვიდობის ანბარიში

ფირმის ლიკვიდობაში იგულისხმება მისი უნარი შეასრულოს თავისი მოვალეობა დავალიანების მიხედვით ზუსტად, გადასახადების ვადის დადგომის მომენტში.

სულ არ არის აუცილებელი, რომ საწარმოს შემოსავლიანობა კორესპონდებოდეს მის ლიკვიდურობასთან ფირმა, რომელიც კარგი შემოსავლიანია სრულად შეიძლება განიცდიდეს განსაზღვრულ სიძველეებს ლიკვიდობის გეგმით და პირიქით, არსებობს საწარმოები, რომლებიც მიუხედავად დაბალი შემოსავლიანობისა, ლიკვიდობის დიდ პოტენციალს ფლობენ, მაგრამ რაც შეეხება გრძელვადიან პრესპექტივებს, მაშინ ფირმის მალალი შემოსავლიანობა იმის წინამძღვრად ვკველინება.

საწარმოს ლიკვიდობის დაბალი პოტენციალი მრავალ სიტუაციაში შეიძლება მკვეთრი მიზეზი გახდეს მათთვის თავისი გადასახადების შეწყვეტისათვის. ამის გამო გასაგებია, საწარმოს ეკონომიური ანალიზისას ამ საკითხის გაშუქების ჩვეულებრივ რატომ ეძლევა დიდი მნიშვნელობა.

უკეთესი წარმოდგენა საწარმოს პრესპექტიული გადასახადისუნარიანობის შესახებ შეიძლება მივიღოთ ლიკვიდობის ანგარიშის ჩატარების გზით, რომელშიც მითითებულია მომავალი შემოსავლები და გადარიცხვები. მაგრამ ლიკვიდობის ანგარიში ცხადია, არ შეიძლება ჩატარდეს გარე დამკვირვებლის მიერ მხოლოდ საწარმოს წლიური ანგარიშის საფუძველზე.

ფირმის ლიკვიდობის პოტენციალის განსაზღვრისათვის გამოითვლება საკვანძო ინდიკატორი, რომელსაც ლიკვიდობის კოეფიციენტი ეწოდება.

მაღალლიკვიდირებულ აქტივებო • 100

$$\text{ლიკვიდობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მაღალლიკვიდირებულ აქტივებო}}{\text{მოკლევადიანი დავალიანება}}$$

მაღალლიკვიდირებულს მიეკუთვნება ის აქტივები, რომელიც ან უკვე არსებობს ფულადი ფორმით, ანდა მასში გადავლენ უახლოეს მომავალში. როგორც წესი მას მიეკუთვნება საბრუნავი კაპიტალი, საქონლური მარაგების გამოკლებით.

როგორც ადრე იყო აღნიშნული, მოკლევადიან დავალიანებებს მიეკუთვნება ფირმის სავალო ვალდებულებები, რომლის გადახდის ვადა მთავრდება წლის განმავლობაში.

სააქციო საზოგადოება „ბროსტრემის“ მაღალლიკვიდურ აქტივებს, რომლებიც ცხრ. 3.3-დან ჩანს, შეადგენს დებიტორული დავალიანებებისა და ფულადი სახსრების ჯამი. ფირმის ლიკვიდობის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად:

19..1 წ. 19..2 წ.

$$\text{ლიკვიდობის კოეფიციენტი} = \frac{997 \cdot 100}{1126} = 89\% \qquad 78\%$$


ჩვეულებრივ ითვლება, რომ ლიკვიდობის კოეფიციენტი აღემატება 100, მაშინ ფირმის ლიკვიდობის გამო შეშფოთების საფუძველი არ არსებობს. მიუხედავად ამისა მაინც მხოლოდ ერთი ლიკვიდობის კოეფიციენტის საფუძველზე არ ღირს საბოლოო დასკვნების გაკეთება.

მაგალითად, პრიცხველში და მნიშვნელში მდგარი ციფრი, შეიძლება აღებული იქნეს დროის განსხვავებულ მომენტში. ამას გარდა, ლიკვიდობის კოეფიციენტი სტატიკურია ანუ მაჩვენებელთა თანაფარლობას გამოხატავს მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ მომენტში. ეს ანგარიშები არაფერს ამბობენ შემოსავლების ადა გადარიცხვების დინამიკაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. თავი 2).

3.5 გადახდისუნარიანობის ანბარიში

საწარმოს გადახდისუნარიანობაში ივლისსმება მისი უნარი გაუძლოს ზარალს.

ფირმის გადახდისუნარიანობის შეფასებისას ძირითადი ყურადღება ეთმობა საკუთარ კაპიტალს. რა თქმ აუნდა შესაძლებლობების ზღვრებში, სწორედ საკუთარი კაპიტალით იფარება ზარალი, რომელიც შეიძლება ეკონომიკური საქმიანობის პროცესში წარმოიქმნეს (ნახ.3.4.)



ნახ. 3.4. შეფარდება საკუთარ კაპიტალსა და გადახდის უნარიანობას შორის

ორი სვეტი წარმოადგენს შესაბამისად ფირმის აქტივებსა და პასივებს; თითოეულის სიდიდე შეადგენს 5000000 კრონს. თუ ფირმა ზარალს განიცდის — შეუძლებელია დანადგარების გამოყენება, საქონელი არ იყიდება, დებიტორები აღმოჩნდნენ გადახდის უუნარონი და ა.შ. მაშინ მათი დაფარვა, პირველყოვლისა გვიხდება საკუთარი კაპიტალის ხარჯზე. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ზარალი გადააჭარბებს 2 მლს. კრონს, მათი დათარვისათვის ნასესხები კაპიტალის გამოყენება მოგვიწევს.

როცა საწარმოს აქტივები აღემატება მის ნასესხებ კაპიტალს ე.ი. როცა საკუთარ კაპიტალს დადებითი მნიშვნელობა აქვს, წარმოებას უწოდებენ გადახდიუნარიანს და შესაბამისად თუ ნასესხები კაპიტალი აღემატება აქტივებს ე.ი. თუ შესაძლო დახურვის შემთხვევაში საწარმოს არ შეუძლია გაუსწორდეს ყველა მის კრედიტორს, მაშინ იგი გადახდისუნაროდ ითვლება.

4. ფირმის ეკონომიკა

საწარმოს გადახდილუნარობაზე წარმოდგენა შეიძლება მისი გადახდისუნარობის კოეფიციენტის გამოთვლით.

$$\text{გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი} \cdot 100}{\text{აქტივები}}$$

სააქციო საზოგადოება „ბროსტრემის“ გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი გამოითვლება მისი ბალანსის საფუძველზე (ცხრ.3.3) შემდეგნაირად:

19..1 წ. 19..2 წ.

$$\text{გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი} = \frac{1115 \cdot 100}{2441} = 46\% \quad 37\%$$

ანგარიშები გვიჩვენებს, რომ სააქციო საზოგადოება „ბროსტრემმა“ შეიძლება დაკარგოს თავისი აქტივების შესაბამისი 56 და 37%, ვიდრე ნასესხებ კაპიტალს შეეხება. ამგვარად ფირმის გადახდისუნარიანობა 19...2წ. დაეცა 19...1წ. შედარებით.

საერთოდ არ შეიძლება ითქვას საწარმოს გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის როგორი სიდიდე არის დამაკმაყოფილებელი. როგორც წესი, პირობითობის გარკვეული წილი თუ გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი 50-ის ტოლია ან მეტია, მაშინ ითვლება, რომ მისი გადახდისუნარიანობისათვის შეშფოთების მიზეზი არ არის. სინამდვილეში კი ეს უმეტეს წილად დამოკიდებულია იმაზე საწარმოში და საწარმოს ბალანსში რამდენად რეალისტურადაა შეფასებული აქტივები.

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი არ იძლევა ინფორმაციას ისეთ მნიშვნელოვან ასპექტზე, როგორცაა ფირმის უნარიანობა პესრპექტივაში გაზარდოს თავისი გადახდისუნარიანობა მომავალი მოგების ხარჯზე

სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის უნარისა და მისწრაფების განსაზღვრა შეინარჩუნოს მისი გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია აქციების შიდა ღირებულების ანგარიშზე.

$$\text{აქციების შიდა ღირებულება} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი} \cdot 100}{\text{სააქციო კაპიტალი}}$$

აქციების შიდა ღირებულებას აგრეთვე უწოდებენ „აქციის საანგარიშო ღირებულებას“ ანუ „საანგარიშო კურსს“

სააქციო საზოგადოება „ბროსტრემის“ შიდა ღირებულება შეადგენს:

19..1 წ. 19..2 წ.

$$\text{აქციების შიდა ღირებულება} = \frac{1115 \cdot 100}{600} = 186 \quad 206$$

რამდენადაც საკუთარი კაპიტალის სიდიდე ყალიბდება როგორც სააქციო და სარეზერვო კაპიტალის სიდიდეების ჯამი, მაშინ ვიცით რა აქციების შიდა ღირებულება 19...წ., შეიძლება ვთქვათ, რომ მან კრონი თითოეული 100 კრონიანი აქციებიდან სარეზერვო კაპიტალში გროვდება. შევადარებთ რა აქციების შიდა ღირებულებას 19...1წ. და 19...2წ. დავინახავთ, რომ 19...2 წ. მოხდა მოგების შემდგომი გადარიცხვა სარეზერვო კაპიტალში. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ წარმოება ახორციელებს მოგების კაპიტალიზაციას.

აქციების გასაყიდი ღირებულება (რიგი მსხვილი სააქციო საზოგადოებისათვის — საბირჟო კურსი) შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს შიდა ღირებულებისაგან. მაშინ როცა აქციების შიდა ღირებულება გამოითვლება მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული ციფრების (ანგარიშების) საფუძველზე. აქციის გასაყიდი ღირებულება პირველ ყოვლისა დამოკიდებული შესაბამისი ფირმის პერსპექტივის სახეებზე. ეს სახეები, თავის მხრივ, განისაზღვრება კანონმდებლობით ეკონომიკის, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში, სიტუაციებით სავარაუდო ექსპორტულ ბაზარზე, ხელმძღვანელობის ყაიროთიანობით და ა.შ.

საბირჟო უწყებების უმრავლესობაში შეიძლება ვიპოვოთ მაჩვენებელი, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

საბირჟო კურსი

შიდა ღირებულება

თუ, მაგალითად, ამ მაჩვენებლების სიდიდე 2-ის ტოლია, მაშინ ეს ნიშნავს რომ, შესაბამისი აქციების ბირჟაზე დაფიქსირებული კურსი (გასაყიდი ფასი) ორჯერ აღემატება მის შიდა ღირებულებას.

თავი 4

საწარმოს დანახარჯები

4.1 კიდევ ერთხელ დანახარჯების ცნების შესახებ

4.1.1 ხარჯები

დანახარჯები — საწარმოო ფაქტორების ფულადი გამოხატულებაა, რომელიც აუცილებელია საწარმოს მიერ თავისი საწარმოო და სარეალიზაციო საქმიანობის განხორციელებისათვის.

ჩვენ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ საწარმოო ფაქტორების ხარჯვა აღირიცხება თანხებში, რამდენადაც აუცილებელია საერთო კრიტერიუმის გამოყენება სხვადასხვა ფაქტრის აღრიცხვისათვის (სამუშაო დრო, კვ. ნედლეული, კვტ. ელექტროენერგია და ა.შ.), თუმცა მათ ფულად შეფასებასაც აქვს სხვაგვარი განსაზღვრული სირთულეებიც.

სირთულეები შეიძლება წარმოიქმნას მოცემულ პერიოდში დახარჯული საწარმოო ფაქტორების მოცულობის განსაზღვრის დროსაც.

ზოგიერთ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია ხარჯების აბსოლუტური სიზუსტით გამოთვლა. მაგ., როგორ განისაზღვროს, წლის წინათ ნაყიდი და გამოყენების რამდენიმე წელიწადზე გათვალისწინებული მოწყობილობის რა ნაწილი დაიხარჯება (ამორტიზებული იქნება) დროის მოცემულ განსაზღვრულ პერიოდში?

ამიტომ გვიხდება იმის კონსტატირება, რომ საწარმოს დანახარჯების ანგარიშისას გარკვეული წილის უზუსტობა არსებობს. ეს უზუსტობა შეიძლება შემცირდეს ანგარიშების ხერხების შერჩევისას, თუ მხედველობაში გვექნება მისი საბოლოო შედეგი.

დასასრულს შევნიშნავთ, რომ აქ აღწერილ დანახარჯებში იგულისხმება ხარჯები, რომლის შესაბამისადაც საქმე ეხება ხარჯვით მეთოდს და რამდენადაც საწარმოს ანგარიშებში შემავალი დანახარჯები გაიანგარიშება ამ მეთოდით, ამიტომ ზოგჯერ მათზე ლაპარაკობენ, როგორც საბუღალტრო დანახარჯებზე.

4.1.2. დაკარბული შესაძლებლობების

დანახარჯები

ზოგჯერ აუცილებელი ხდება დანახარჯებს შევხედოთ მხედველობის სხვა კუთხიდან და ამ შემთხვევაში მათ განსაზღვრავენ, როგორც დაკარგული შესაძლებლობების დანახარჯებს.

დაკარგული შესაძლებლობების დანახარჯებში იგულისხმება დანახარჯები და შემოსავლის დანაკარგები, რომლებიც წარმოიქმნება

სამეურნეო ოპერაციების განხორციელების მეთოდების არჩევანის არსებობისას ერთ-ერთზე უპირატესობის მიცემის ხარჯზე სხვა შესაძლო ხერხების უარყოფისას.

რადგანაც დაკარგული შესაძლებლობების დანახარჯები გულისხმობს ორ შესაძლებლობას შორის არჩევანის არსებობას, ამიტომ მათ ზოგჯერ ალტერნატიულ დანახარჯებს (ალტერნატიული ღირებულება) უწოდებენ.

ფირმის სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვის სტადიაზე ხშირად წარმოიქმნება არჩევის პრობლემა შესაძლებლობების ორ ან მეტ რაოდენობას შორის. ამ შემთხვევაში გვიხდება იმ დანახარჯების დაგეგმვა, რასაც გამოიწვევს სამეურნეო საქმიანობის განხორციელების თითოეულ ვარიანტზე უპირატესობის მინიჭება, ანუ საქმე ეხება მომავლის ხარჯებს. აძლევის რა უპირატესობას ერთ-ერთს შესაძლო ხერხებიდან, ფირმა არა მარტო ამ ხერხთან დაკავშირებულ ხარჯებს გასწევს, არამედ რაღაცას დაკარგავს (უარს იტყვის, დააკლდება) იმის გამო, რომ უარს თქვა ალტერნატიულ შესაძლებლობებზე, ამიტომ სამეურნეო საქმიანობის განხორციელების შედეგების გამო დანახარჯების ანგარიშისას შესაბამისი ხერხით აუცილებელია შეფასდეს ისინი სხვა შესაძლებლობების დაკარგვის თვალსაზრისითაც. ავსნათ ჩვენი მსჯელობები კონკრეტულ მაგალითზე.

მაგალითი.

ფირმის მფლობელმა 19..2 წ. დაგეგმა შემდეგი შედეგები:

19..2 წ. ბიუჯეტი (გეგმა) ათ. კრონი

მთლიანი ამონაგები	-----	5 000 000
— დანახარჯები, ხარჯვითი მეთოდის მიხედვით	-----	4 000 000
მოგება	-----	400 000
საკუთარი კაპიტალი (მიანლობით)	-----	1 500 000

ფირმის მფლობელს უხდება გადაწყვიტოს, გააგრძელებს თუ არა იგი თავის სამეურნეო საქმიანობას თუ გაყიდოს საწარმოს და გამოათავისუფლებს საკუთარ კაპიტალს და თავის პირად სამუშაო ძალას.

თუ ჩვენ განვიხილავთ დანახარჯებს ფირმის მიერ სამეურნეო საქმიანობის გაგრძელების შემთხვევაში, მაშინ ხარჯვითი მეთოდის შესაბამისად მისი სიდიდე, როგორც ნაჩვენებია 4 600 000 კრონი იქნება.

დაკარგული შესაძლებლობების თვალსაზრისით კი ფირმის დანახარჯები სამეურნეო საქმიანობის გაგრძელებაზე შეადგენს (კრონი):

დანახარჯები ბიუჯეტის შესაბამისად ----- 4 600 000

+ შემოხვედის დანაკარგები (პროგნოზი) მფლობელების სხვა ფირმაში მუშაობის შესაძლებლობების დაკარგვის გამო ----- 300 000

+ პროცენტების გამო გადასახადების შესალო მიღების
დანაკარგები საკუთარი კაპიტალის — 1 500 000 კრონი —

— შესალო განთავსების სხვა შესალებლობების ან რაიმე

სხვანაირად დაკარგვასთან კავშირში — 180 000

კ ა მ ი ————— 5 080 000

ჩვენს მიერ ადრე განსაზღვრული მოგება (400 000 კრონი) — დანახარჯების დაკარგული შესაძლებლობების თვალსაზრისით ანგარიშისას — სინამდვილეში მოგების კი არა, არამედ 80 000 კრონის ზარალით მოვკებრუნდა: მთლიანი ამონაგები 5 000 000 კრონი — დანახარჯები 5 080 000 კრონი*.

საწარმოებში მიღებული გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ალტერნატიული შესაძლებლობების არჩევაში მდგომარეობს. როგორც ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, ამ დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დაკარგული შესაძლებლობები. დაკარგული შესაძლებლობები განმსაზღვრელი ფაქტორები ხდება სხვა თანაბარ პირობებში. ამაში მდგომარეობს პირდაპირი მნიშვნელობა ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა „ხელიდან გაშვებული სარგებელი“, „დაკარგული შესაძლებლობების თვალსაზრისით“ . „დაკარგული შესაძლებლობების დანახარჯები, ალტერნატიული დანახარჯები“ და სხვა.

4.2. კიდევ ერთხელ მუდმივი დანახარჯების შესახებ

4.2.1. მუდმივი დანახარჯების ღინამიკა,

3.3 1. განყოფილებაში მუდმივი დანახარჯები განმარტებული იყო შემდეგნაირად:

მუდმივ დანახარჯებში იგულისხმება ისეთი დანახარჯები, რომლის ჭამი დროის მოცემულ პერიოდში დამოკიდებული არ არის წარმოების სიდიდეს, სტრუქტურასა და რეალიზაციასზე.

* — დანახარჯები, გამოთვლილი დაკარგული შესაძლებლობების პრინციპის შესაბამისად, ხშირად „ეკონომიკურ დანახარჯებად“ იწოდება. სხვაობას მთლიან ამონაგებსა და ეკონომიკურ დანახარჯებს შორის განსაზღვრავენ, როგორც ეკონომიკურ მოგებას, საბუღალტრო მოგებისაგან განსხვავებით, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა მთლიან ამონაგებსა და საბუღალტრო დანახარჯებს შორის— რედ. შენიშვნა..

ამ განყოფილებაში უფრო დეტალურად განვიხილავთ მუდმივი დანახარჯების ქცევას — დინამიკას წარმოებისა და რეალიზაციის გადიდებისა და შემცირებისას.

მაგალითი.

ფირმა, რომელიც აწარმოებს და ყიდის ერთი სახის პროდუქციას, მომავალი პერიოდისათვის გეგმავს შემდეგ მუდმივ დანახარჯებს (ყოველწლიურად განახლებადი და საამორტიზაციო), კრონებში:

თანამშრომელთა ხარჯები	600 000
შენობის არენდა	75 000
სხვადასხვა	125 000
ამორტიზაცია	200 000
ჯამი	1 000 000

მოცემულ პერიოდში დაგეგმილია მოცემული საქონლის 10 000 ერთეულის წარმოება და რეალიზაცია.

თანათვარდობა, ერთის მხრივ, წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის მოცულობასა და ფირმის მუდმივ დანახარჯებს შორის შეიძლება აღიწეროს, როგორც ნაჩვენების ცხრ. 4.1-ში. საშუალო მუდმივი დანახარჯები (პროდუქციის ერთეულზე) გამოითვლება მუდმივი დანახარჯების დანაწილების გზით მისი შესაბამისი წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის მოცულობაზე.

ცხრილი 4.1. მუდმივი და საშუალო მუდმივი დანახარჯები


წარმოება და რეალიზაცია, პროდუქციის ერთეული	მუდმივი დანახარჯები კრონი	საშუალო მუდმივი დანახარჯები (ერთეულ პროდუქციაზე), კრონი
0	1 000 000	—
1 000	1 000 000	1 000
2 000	1 000 000	500
3 000	1 000 000	333
4 000	1 000 000	250
5 000	1 000 000	200
6 000	1 000 000	167
7 000	1 000 000	143
8 000	1 000 000	125
9 000	1 000 000	111
10 000	1 000 000	100

მუდმივი დანახარჯების დინამიკა შეიძლება ილუსტრირდეს აკრეთვე ორი გრაფიკით. კოორდინატთა სისტემის გამოყენების შესახებ იხ. დანართი A.

მუდმივი დანახარჯების გრაფიკული გამოხატულება (ნახ. 4.1.) იქნება აბსცისთა ღერძის პარალელური სწორი. ამით ნაჩვენებია, რომ მუდმივი ხარჯები პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე 0-დან 10 000 ერთეულის ინტერვალში დამოკიდებული არ არის წარმოებისა და რეალიზაციის სიდიდესა სტრუქტურაზე. სხვაგვარადაა საშუალო მუდმივი დანახარჯების საქმე. ნახ. 4.2-ზე ისინი მცირდება წარმოებისა და რეალიზაციის გაზრდისას.

ჩვენს მაგალითში მუდმივი დანახარჯების სიდიდე განსახილველ პერიოდში მიღებული იყო 1 000 000 კრონის ტოლად. საჭიროა აღინიშნოს, რომ მუდმივი დანახარჯები სხვადასხვა პერიოდში შეიძლება სხვადასხვა სიდიდეებს შეადგენდეს. მაგალითად, სრულიად შესაძლებელია, რომ შენობის საარენდო გადასახადი და თანამშრომელთა საარგოები უფრო გვიან პერიოდში მაღალი იქნეს, ადრინდელი საწარმოო პოტენციალის მიუხედავად.

გარკვეულ პერიოდში დანახარჯების მოცემული სახე მიეკუთვნოს თუ არა მუდმივს — განსაზღვრისას გადამწყვეტ ფაქტორად ითვლება ის, რომ დარჩება თუ არა ისინი უცვლელი წარმოებისა და რეალიზაციის გადიდების ან შემცირების შემთხვევაში.



ნახ. 4.1. მუდმივი ხარჯები



ნახ. 4.2. საშუალო მუდმივი დანახარჯები

4.2.2. ნარჩენი და სასტარტო დანახარჯები


მუდმივი დანახარჯები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ნარჩენი და სასტარტო.

ნარჩენ დანახარჯებს მიეკუთვნება მუდმივი დანახარჯების ის ნაწილი, რომლის გაგრძელებას ეწევა საწარმო მიუხედავად იმისა, რომ წარმოება და რეალიზაცია რაღაც დროით სრულად შეჩერებულია.

სასტარტო დანახარჯებს მიეკუთვნება მუდმივი ხარჯების ის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნება წარმოებისა და რეალიზაციის განახლებასთან ერთად.

ნარჩენ და სასტარტო დანახარჯებს შორის არ არსებობს მკვეთრი გამიჯვნა. მასზე (დანახარჯების ესა თუ ის სახე მიეკუთვნოს თუ არა ამა თუ იმ ჯგუფს) ძირითადად გავლენას ახდენს ვადა, რომლის განმავლობაშიც შეჩერებულია წარმოება და რეალიზაცია. რაც უფრო ხანგრძლივია სამეურნეო საქმიანობის შეჩერება, მით ნაკლები იქნება ნარჩენი დანახარჯები, რამდენადაც იზრდება სხვადასხვა ხელშეკრულებებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობები (მაგ. ხელშეკრულებები სამუშაოზე მიღებაზე და კონტრაქტები შენობების არენდაზე).

მაგალითად, თუ მუდმივი დანახარჯები 1 500 000 კრონის სიდიდით იყოფა ნარჩენ — 1 100 000 და სასტარტო 400 000 კრონად, მაშინ ეს თანაფარდობა გრაფიკულად შეიძლება ილუსტრირდეს ასე (ნახ 4.3):



ნახ. 4.3. ნარჩენი და სასტარტო დანახარჯები

დანახარჯების განსხვავება ნარჩენად და სასტარტოდ შეიძლება ინტერესს წარმოადგენდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა განიხილება საკითხი სამეურნეო საქმიანობის სრული შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ.

4.2.3. მუდმივი დანახარჯების ნახტომები

როგორც აღნიშნული იყო, მუდმივი დანახარჯების განსაზღვრელი სიდიდე იმის გამოხატულებად ითვლება, რომ შექმნილია განსაზღვრული პოტენციალი, რომელიც საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას წარმოებისა და რეალიზაციის განსაზღვრული მოცულობა. თუ სამეურნეო საქმიანობა ნორციელდება განსაზღვრული მოცულობის ფარგლებში, მუდმივი დანახარჯები უცვლელი იქნება. პოტენციალის გაფართოება, მაგ. სამანქანო პარკის გადიდების ფორმით, შტატის თანამშრომელთა რიცხვის გადიდება

და შენობის გაფართოება მუდმივი დანახარჯების ზრდას გამოიწვევს (ამორტიზაციის, სარგობისა და საარენდო გადასახადისა). ეს ზრდა მოხდება ნახტომების-ფორმით, რადგან ჩამოთვლილი საწარმოო ფაქტორები შეიძლება შექმნილი იქნეს მხოლოდ განსაზღვრული — ვანუყოფელი რაოდენობით.

მაგალითი.

დავუბრუნდეთ 4.2.1. ვანუყოფილებაში მოტანილ მაგალითს (ცხრ. 4.1). დავუშვათ, რომ მოცემულმა ფირმამ შესაძლებლობა მიიღო გაეფართოებინა თავისი პოტენციური პროდუქციის 10001 ერთეულიდან 15 000 -მდე, მუდმივი დანახარჯების შესაბამისი ზრდით — 400 000 კრონით და 15 001-დან 20 000 ერთეულამდე, მუდმივი დანახარჯების შესაბამისი ზრდით კიდევ 500 000 კრონით.

მუდმივი დანახარჯები და საშუალო მუდმივი დანახარჯები შეიცვლება ისე, როგორც ნაჩვენებია ცხრ. 4.2. და ნახ. 4.4. და ნახ. 4.5-ზე.

ცხრილი 4.2. მუდმივი დანახარჯების ნახტომები


წარმოება და რეალიზაცია ერთ.	მუდმივი ხარჯები, კრონი	საშუალო მუდმივი დანახარჯები, კრონი
5 000	1 000 000	200
7 500	1 000 000	133
10 000	1 000 000	100
10 001	1 400 000	140
12 500	1 400 000	112
15 000	1 400 000	93
15 001	1 900 000	127
17 500	1 900 000	109
20 000	1 900 000	95

ამ მაგალითში ჩვენ მოვიყვანეთ სიტუაცია, როცა საწარმოს პოტენციური იზრდება. შეიძლება აგრეთვე წარმოვიდგინოთ სიტუაციები, როცა წარმოიქმნება მოთხოვნილება შემცირდეს პოტენციური, მუდმივი დანახარჯების შესაბამისი შემცირებით. მაგალითად, თუ საქმე ეხება შტატების შემცირებას წარმოების შეკვეცასთან კავშირში, მაშინ ამის განხორციელება შესაძლებელი იქნება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, რომელიც სხვათა შორის განთავისუფლების შესახებ უწყების გაცემის ვადას შეესაბამება. ასეთი დანახარჯები — ჩვენს შემთხვევაში სარგობების გაცემაზე წოდებული იქნება უკუქცევითად.

• სხვანაირად დგას საქმე მუდმივი დანახარჯების იმ ნაწილის შემცირებისას, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ძირითად ფონდებთან, მაგ., მანქანებისა და მოწყობილობების ამორტიზაცია. რა

თქმა უნდა, შეიძლება მანქანური პარკის ნაწილის გაყიდვა. მაგრამ ხშირად ხდება ისე, რომ, როცა რომელიმე დარგის ერთ-ერთ საწარმოს გააჩნია ზედმეტი საწარმოო სიმძლავრეები აქვს სხვა ფირმებსაც, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში პოტენციური მყიდველები იქნებოდნენ. მსგავსი სიტუაცია იწვევს იმას, რომ ფასები საკმაოდ დაბალი აღმოჩნდება, რაც დიდ დანაკარგებს იწვევს მისი გამყიდველი საწარმოსათვის ექსტრაორდინალური ჩამოწერების ფორმით (ამორტიზაცია). ასეთ დანახარჯებს — მოცემულ შემთხვევაში მანქანების და სხვა ამორტიზაცია — შეუქცევადს (საერთოდ და მთლიანად) უწოდებენ.

თუ ფირმის პოტენციალის გაფართოება გამოიწვევს შეუქცევადი დანახარჯების ზრდას, მაშინ ეს გაცილებით უფრო სარისკოა, ვიდრე იმ შემთხვევაში, ეს დანახარჯები შექცევადი რომ ყოფილიყო.



ნახ. 4.4. მუდმივი დანახარჯების ნახტომები
მუდმივი დანახარჯები



ნახ. 4.5. საშუალო მუდმივი დანახარჯების ნახტომები

4.3. კიდევ ერთხელ ცვლადი დანახარჯების შესახებ

3.3.1. განყოფილებაში ცვლადი დანახარჯები ჩვენ შემდეგნაირად ვანემარტეთ:

ცვლად დანახარჯებში იგულისხმება ისეთი დანახარჯები, რომელთა საერთო სიდიდე დროის მოცემულ მომენტში უშუალო დამოკიდებულებაში იმყოფება წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობასთან, აგრეთვე რამდენიმე სახის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სტრუქტურასთან.

საწარმოო პროცესში ცვლადი ხარჯების მაგალითად ითვლება წარმოების საწარმოში აუცილებელი დანახარჯები ნედლეულის, სამუშაო ძალისა და ენერჯის შეძენაზე.

სავაჭრო საწარმოებში უფრო მნიშვნელოვან ცვლად დანახარჯებად ითვლება დანახარჯები საქონლის შეძენაზე. სხვა ცვლად დანახარჯებს შეიძლება მიეკუთვნოს დანახარჯები შეფუთვაზე და საკომისიოები გამყიდველებისათვის. §4.7-ში ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით დანახარჯების ცალკეულ სახეებს. მომდევნო განყოფილებაში განიხილება ცვლადი დანახარჯების შესაძლო დინამიკა წარმოებისა და რეალიზაციის ვაფართოებისა და შემცირებისათვის.

4.3.1. პროპორციული ცვლადი დანახარჯები

პროპორციულ ცვლად დანახარჯებში იგულისხმება ცვლადი დანახარჯები, რომლებიც შეფარდებით იმავე პრინციპით იცვლება, როგორც წარმოება და რეალიზაცია.

მაგალითი.


დავუშვათ, რომ თირმას კვირის განმავლობაში შეუძლია აწარმოოს და გაყიდოს პროდუქცია 500 ერთეულამდე, როცა ცვლადი დანახარჯები პროდუქციის 100 ერთეულზე 2 000 კრონის ტოლია.

ცხრილი 4.3. ნაჩვენებია ცვლადი დანახარჯებისა და საშუალო ცვლადი დანახარჯების (პროდუქციის ერთეულზე) დინამიკა წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა მოცულობისას. საშუალო ცვლადი დანახარჯები წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა მოცულობისას განისაზღვრება ცვლადი დანახარჯების სიდიდის დანაწილების გზით წარმოებისა და რეალიზაციის სიდიდეზე.

ცხრილი 4.3. პროპორციული ცვლადი დანახარჯები

წარმოება და რეალიზაცია ერთ.	ცვლადი დანახარჯები, კრონი	საშუალო ცვლადი დანახარჯები, კრონი
0	0	—
100	2 000	20,00
200	4 000	20,00
300	6 000	20,00
400	8 000	20,00
500	10 000	20,00

ნახ. 4.6. წარმოადგენს ცვლადი და საშუალო ცვლადი დანახარჯების შესაბამისი მნიშვნელობის გრაფიკულ ილუსტრაციას.



ნახ. 4.6. პროპორციული ცვლადი დანახარჯები

ცვლადი დანახარჯების ზაზი იწყება კოორდინატთა სისტემის ნულოვანი წერტილიდან: ცვლადი დანახარჯები უდრის 0-ს, რადგან არაფერი არ იწარმოება და არ იყიდება.

ცვლადი დანახარჯების გრაფიკული გამოსახულება წარმოადგენს აღმავალ სწორ ზაზს, რამდენადაც ცვლადი დანახარჯების სიდიდე პროდუქციის ერთეულზე წარმოებისა და რეალიზაციის გადიდებასთან ერთად ერთი და იგივე თანხით — 20 კრონით მუდმივად იზრდება.

საშუალო ცვლადი დანახარჯების გრაფიკული გამოსახულება წარმოადგენს აბსცისთა ღერძის პარალელურ წრფეს, რამდენადაც საშუალო ცვლადი დანახარჯები უცვლელი რჩება წარმოების და რეალიზაციის მოცულობების ცვლილებებისაგან დამოუკიდებლად. შევნიშნავთ, რომ ცხრ.4.3 და ნახ. 4.6-ზე წარმოებისა და რეალიზაციის ნულოვანი მნიშვნელობებისას იგი არ არის გამოთვლილი (არ არის აღნიშნული, რადგან არავითარი აზრი არა აქვს ვისაუბროთ საშუალო ცვლად დანახარჯებზე წარმოებისა და რეალიზაციის ნულოვანი მაჩვენებლებისას).

4.3.2. დებრესიული ცვლადი დანახარჯები

დებრესიულ ცვლად დანახარჯებში იგულისხმება დანახარჯები, რომლებიც შედარებით მცირე პროპორციით იცვლება, ვიდრე წარმოება და რეალიზაცია.


მაგალითი.

წარმოვიდგინოთ, რომ ფირმამ, რომელზეც საუბარი იყო წინა განყოფილებაში, წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობების ზრდასთან ერთად შეძლო მიეღწია ნედლეულის უკეთ გამოყენება, რამაც ცვლადი დანახარჯების შესაბამისი ცვლილება გამოიწვია, როგორც ნაჩვენებია ცხრ. 4.4-ში. თუ ამასთან ერთად გამოვთვლით საშუალო ცვლადი დანახარჯების მნიშვნელობას, ვღებულობთ:


ცხრ. 4.4. დებრესიული ცვლადი დანახარჯები

წარმოება და რეალიზაცია, ერთეული	ცვლადი დანახარჯები, კრონი	საშუალო ცვლადი დანახარჯები, კრონი
0	0	—
100	2000	20,00
200	3000	15,00
300	3800	12,67
400	4500	11,25
500	5000	10,00

ათ. კრონი



კრ./ერთ.



ნახ. 4.7. დებრესიული ცვლადი დანახარჯები

ცვლადი და საშუალო ცვლადი დანახარჯების დინამიკა ილუსტრირებულია ნახ. 4.7-ზე.

ცვლადი დანახარჯების მრუდი აღმავალია, მაგრამ მისი აღმასვლა ნულდება წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობების ზრდასთან ერთად — ცვლადი დანახარჯები დებრესიულია, საშუალო ცვლადი დანახარჯები, როგორც გვიჩვენებს ნახ.4.7, ეკონომიკური აქტიურობის ზრდასთან ერთად მცირდება.

4.3.3. პროგრესული ცვლადი დანახარჯები

პროგრესულ ცვლად დანახარჯებში იგულისხმება ცვლადი დანახარჯები, რომლებიც შედარებით დიდი პროპორციით იცვლება, ვიდრე წარმოება და რეალიზაცია.

მაგალითი.

თუ შევიტანთ გარკვეულ ცვლილებებს 4.3.1 განყოფილებაში მოცემულ მაგალითში, მივიღებთ სიტუაციას, რომელიც ცვლადი დანახარჯების პროგრესულ დინამიკას ასახავს. წარმოვიდგინოთ, რომ წარმოებისა და რეალიზაციის გაფართოება ცვლადი დანახარჯების ისეთ მაჩვენებლებს გამოიწვევს, როგორიც ცხრ. 4.5.-შია მოტანილი.


საშუალო ცვლადი დანახარჯები აქ ისევ გამოითვლება, როგორც წინა ორ განყოფილებაში. დინამიკის გრაფიკული გამოხატულება ცვლადი და საშუალო ცვლადი დანახარჯების შესაბამისად ნაჩვენებია ნახ. 4.8-

დავხედავთ რა ცვლადი დანახარჯების მრუდს, ჩანს, რომ იგი აღმავალია და მათი ზრდის ტემპი იზრდება წარმოებისა და რეალიზაციის ზრდასთან ერთად. მაშასადამე აქ საუბარია პროგრესულ დინამიკაზე. წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობების ზრდასთან ერთად საშუალო ცვლადი დანახარჯებიც იზრდება.


ცხრილი 4.5. პროგრესული ცვლადი დანახარჯები

წარმოება და რეალიზაცია, ერთეული	ცვლადი დანახარჯები, კრონი	საშუალო ცვლადი დანახარჯები, კრონი
0	0	—
100	2 000	20,00
200	4 500	22,50
300	7 500	25,00
400	11 000	27,50
500	15 000	30,00

ათ. კრონი



კრ./კრთ.



ნახ. 4.8. პროგრესული ცვლადი დანახარჯები

4.4. წარმოების მთლიანი დანახარჯები

წარმოების მთლიან დანახარჯებში იჯულისხმება მისი მუდმივი და ცვლადი დანახარჯების ჯამი.

წინა პარაგრაფებში ჩვენ განვიხილეთ საწარმოს მუდმივი და ცვლადი დანახარჯები. ახლა შევეჩერდეთ მის მთლიან დანახარჯებზე. მოვვაქვს შემდეგი მარტივი მაგალითი.


მაგალითი.

დაუშვათ, რომ საწარმოს მუდმივი დანახარჯები მოცემულ პერიოდში 300 000 კრონს შეადგენს, ხოლო ცვლადი დანახარჯების დინამიკა ისეთია, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრ. 4.6. შემდეგ ვანგარიშობთ მთლიან დანახარჯებს ვაჯამებთ, რა მუდმივ და ცვლად დანახარჯებს წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა მოცულობისას. საშუალო მთლიანი დანახარჯები (პროდუქციის ერთეულზე) გამოითვლება მთლიანი დანახარჯების მნიშვნელობების გაყოფით წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობების შესაბამის მნიშვნელობებზე.


ცხრილი 4.6. მთლიანი დანახარჯები

წარმოება და რეალიზაცია, ერთეული	მუდმივი დანახარჯები, ათ. კრონი	ცვლადი დანახარჯები, ათ. კრონი	მთლიანი დანახარჯები, ათ. კრონი	საშუალო მთლიანი დანახარჯები კრონი
0	300	0	300	—
1 000	300	200	500	500
2 000	300	350	650	325
3 000	300	550	850	283
4 000	300	900	1 200	300
5 000	300	1 300	1 600	320

ნახ. 4.9 და 4.10 მოცემულია შესაბამისად მთლიანი და საშუალო მთლიანი დანახარჯების დინამიკის გრაფიკული გამოსახულებები.



ნახ. 4.9. მთლიანი დანახარჯები



ნახ. 4.10. საშუალო მთლიანი დანახარჯები

შევნიშნოთ, რომ განმსაზღვრელ მომენტად იმისათვის, თუ როგორ იმოქმედებს მთლიანი დანახარჯები წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობების ზრდისას, გვევლინება ცვლადი დანახარჯების დინამიკა, რამდენადაც მუდმივი დანახარჯები უცვლელ სიდიდეს — 300 000 კრონს შეადგენს (ნახ.4.9 იგი აღნიშნულია პუნქტირული ხაზით).

§4.6.-ში ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით მთლიანი დანახარჯების განხილვას.

4.5. ზღვრული დანახარჯები

4.5.1. საკუთრივ ზღვრული დანახარჯები

საწარმოებში ხშირად დგება საკითხი, რამდენად შეიძლება გაამართლოს წარმოებისა და რეალიზაციის გაფართოებამ ან შემცირებამ. ამ საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა დანახარჯების ნაზრდის სიდიდის გამოთვლა ეკონომიკური საქმიანობის გაფართოებისას და შესაბამისად შემცირების დანახარჯებისა მისი შეკვეცისას. ნაზრდისა და შემცირების მსგავსი დანახარჯები გამოიხატება ზოგადი ცნებით „საკუთრივ ზღვრული დანახარჯები“

საკუთრივ ზღვრულ დანახარჯებში იგულისხმება მთლიანი დანახარჯების სიდიდის ცვლილება, რომელიც ერთეულის წარმოებისა და რეალიზაციის სიდიდის ცვლილების შედეგად ხდება.

მაგალითი.

ცნობილია, რომ ფირმის მუდმივი დანახარჯების მოსალოდნელი სიდიდე მომავალ წელს 5 მლრ. კრონი იქნება ცვლადი დანახარჯების ისეთი მნიშვნელობისას, როგორც ცხრ.4.7 მოცემული. ცხრილში ასევე შეტანილია მთლიანი დანახარჯების გამოთვლილი მნიშვნელობები და ისეთი ცვლილებები, რომლებსაც ისინი განიცდის: საკუთრივ ზღვრული დანახარჯები.

ცხრილი 4.7. საკუთრივ ზღვრული დანახარჯები

წარმოება და რეალიზაცია, ერთ.	მუდმივი დანახარჯები, ათ. კრონი	ცვლადი დანახარჯები, ათ. კრონი	მთლიანი დანახარჯები, ათ. კრონი	საკუთრივ ზღვრული დანახარჯები, ათ. კრონი
0	5 000	0	5 000	—
1	5 000	2 000	7 000	2 000
2	5 000	3 700	8 700	1 700
3	5 000	5 200	10 200	1 500
4	5 000	6 200	11 200	1 000
5	5 000	9 000	14 000	2 800

ამგვარად, საკუთრივ ზღვრული დანახარჯები პროდუქციის პირველი ერთეულის წარმოებასა და რეალიზაციაზე შეადგენს 2 მლნ. კრონს (7 მლნ. კრონი — 5 მლნ. კრონი). თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შემდგომში წარმოება და რეალიზაცია გაიზრდება 1-დან პროდუქციის 2 ერთეულამდე, მაშინ მთლიანი ხარჯები 7 მლნ.-დან 8,7 მლნ. კრონამდე ანუ 1,7 მლნ კრონის ტოლი სიდიდით გაიზრდება, რაც საკუთრივ ზღვრულ დანახარჯებს წარმოადგენს პროდუქციის მეორე ერთეულზე.

აღვნიშნავთ, რომ საკუთრივ ზღვრული დანახარჯების სიდიდე შეიძლება გამოითვალოს აგრეთვე, როგორც ცვლადი დანახარჯების სიდიდეების სხვაობა, მუდმივი დანახარჯები უცვლელი დარჩება. მაგრამ უზრაღდება უნდა მიექცეს იმას, რომ საკუთრივ ზღვრული დანახარჯების სიდიდეში შეიძლება შეტანილ იქნეს მუდმივი დანახარჯების მუდმივი სავარაუდო ნახტომიც (იხ. განყ. 4.2.3.). ამას გარდა, პირველი ერთეულის საკუთრივ ზღვრულ ხარჯებში შეიძლება შეტანილ იქნეს სავარაუდო სასტარტო დანახარჯებიც (იხ. განყ. 4.2.2.).

ჩვენს მიერ მოტანილ მაგალითში საუბარი იყო ცვლადი დანახარჯების მილიონი კრონების პროდუქციის დიდ და „ძვირ“ ერთეულებზე — შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მხედველობაში იყო ტიპური სახლები, იახტები და ა.შ. მოცემულ სიტუაციაში უფრო მეტად მოსახერხებელია და მიზანშეწონილია ანგარიშების ჩატარება, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის ყველაზე მინიმალურ ცვლილებებს შეესაბამება ერთ ერთეულზე.

მაგრამ ხშირად დანახარჯების ცვლილებები წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობების გაცილებით დიდი ცვლილებების შესატყვისად იგეგმება. ასეთ შემთხვევებში საკუთრივ ზღვრული დანახარჯების გამოთვლა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა შეიძლება გამოითვალოს სიდიდე, რომელიც მნიშვნელობით საკუთრივ ზღვრულ დანახარჯებს უახლოვდება, ე.წ. გასაშუალებული ზღვრული დანახარჯები (შემდგომში — ზღვრული ხარჯები).

4.5.2. ზღვრული დანახარჯები

ზღვრულ დანახარჯებში იგულისხმება ნამატის დანახარჯების ან შემცირების დანახარჯების საშუალო მნიშვნელობა პროდუქციის ერთეულზე, რომელიც წარმოიქმნება როგორც წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობების ერთი ერთეულით მეტი ცვლილების შედეგი.

ავხსნათ ზღვრული დანახარჯების ცნება მაგალითით.


მაგალითი.

საწარმოს მთლიანი დანახარჯები ცხრ. 4.8. მოტანილი ციფრების შესაბამისად იგეგმება. ზღვრული დანახარჯების გაანგარიშებული მნიშვნელობები წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობების მითითებული ცვლილების ფარგლებში მოტანილია განაპირა მარჯვენა სვეტში.

ცხრილი 4.8. ზღვრული დანახარჯება

წარმოება და რეალიზაცია, ერთ.	მთლიანი დანახარჯები, კრონი	ზღვრული დანახარჯები კრონების ანგარიშში
0	10 000	20 000 – 10 000 100 – 0
100	20 000	25 000 – 20 000 200 – 100
200	25 000	28 000 – 25 000 300 – 200
300	28 000	30 000 – 28 000 400 – 300
400	30 000	34 000 – 30 000 500 – 400
500	34 000	42 000 – 34 000
600	12 000	600 – 500

ცხრ. 4.8. გაანგარიშებული ზღვრული დანახარჯები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს გრაფიკულად (ნახ. 4.11).



ნახ. 4.11. ზღვრული დანახარჯები

წვევტილ პუნქტირული ხაზებით აქ ნაჩვენებია ცხრ. 4.8 მოცემული ზღვრული დანახარჯების კონკრეტული მნიშვნელობების გრაფიკული გამოხატულება.

ამ ცხრილიდან გამომდინარეობს, რომ მაგალითად, ზღვრული დანახარჯები პროდუქციის ყველა ერთეულზე 0-დან 100 ცალამდე ინტერვალში საშუალოდ შეადგენს სიდიდეს, რომელიც 100 კრონის ტოლია პროდუქციის ერთეულზე. გრაფიკზე ეს ნაჩვენებია პუნქტირული ხაზით, რომელიც აბსცისათა ღერძზე (100 კრონი) 0-დან 100-მდე ინტერვალში დევს ორდინატთა ღერძზე 100 კრონის მნიშვნელობისას.

ვამოვსახეთ რა მათი სიდიდეების ცვლილება უწყვეტი მრუდით, ჩვენ ვაჩვენებთ ზღვრული დანახარჯები ნახ.4.11. თვით ზღვრული დანახარჯები კი იმ ინტერვალში, რომელშიც გაიანგარიშება მათი მნიშვნელობა, ვანლაგებულია წერტილების სახით. მიღებული მრუდი, რომელიც ზღვრული დანახარჯების დინამიკას ასახავს, შეიძლება დასახელებული იქნეს, როგორც ზღვრული დანახარჯების მრუდი, რომელიც საკუთრივ ზღვრული დანახარჯების მრუდს უახლოვდება (მისი ზუსტი ანვარიშისას და გრაფიკული ასახვის საკმარისი ინფორმაცია რომ არსებობდეს).

4.6. დანახარჯების ტიპური დინამიკა

მაგალითი.

განვიხილოთ, როგორ გადაიქცევა დანახარჯები წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობების ცვლილებებისას ნულოვანი მნიშვნელობიდან ფირმის მიერ მთელი თავისი პოტენციალის სრულ გამოყენებამდე. ივლისსებება, რომ ყველა მუდმივი დანახარჯი ნაჩვენებია, ანუ სასტარტო დანახარჯები არ არსებობს. 6.7 გრ. და 4.9. ცხრილის ზოგიერთი რიცხვები დაძრვავებულია მთელ კრონამდე.

ცხრ.4.9-დან აღებული მნიშვნელობების გრაფიკულ გამოსახულებას ჩვენ ვპოულობთ დანახარჯების საერთო (ნახ.3.12) და საშუალო (ნახ.4.13) მნიშვნელობების ნახაზებზე. ეს წარმოდგენას იძლევა სხვადასხვა სახის დანახარჯების სიდიდეთა თანაფარდობაზე. ნახ.4.13-ზე საშუალო მთლიანი დანახარჯების მნიშვნელობათა გრაფიკული გამოსახულებები, შესაბამისად პროდუქციის 10, 20 და 30 ერთეულიწარმოებისა და რეალიზაციისას გამორიცხულია ადგილის ეკონომიის მოსაზრებით. წარმოებისა და რეალიზაციისას, გამორიცხულია ადგილის ეკონომიის მოსაზრებით.

ცხრილი 4.9. დანახარჯების ტიპიური დინამიკა


წარმოება და რეალიზაცია, ერთ.	მუდმივი დანახარჯები, კრონი	ცვლადი დანახარჯები, კრონი	მთლიანი დანახარჯები, კრონი	ზღვრული დანახარჯები, კრონი	საშუალო მუდმივი დანახარჯები, კრონი	საშუალო ცვლადი დანახარჯები, კრონი	საშუალო მთლიანი დანახარჯები, კრონი
0	10 000	0	10 000	—	—	—	—
10	10 000	2 000	12 000	200	1 000	200	1 200
20	10 000	3 600	13 000	160	500	180	680
30	10 000	4 000	14 000	40	334	133	467
40	10 000	4 500	14 000	50	250	113	363
50	10 000	5 100	15 000	60	200	102	302
60	10 000	5 800	15 000	70	166	97	263
70	10 000	7 000	17 000	120	143	100	243
80	10 000	9 000	19 000	200	125	113	238
90	10 000	12 000	22 000	300	111	133	244
100	10 000	16 000	26 000	400	100	160	260

ცხრ.4.9. წარმოდგენილი რიცხვები ნახ.4.12 და 4.13 მნიშვნელობები აღებულია თვითნებურად, ხოლო თვალსაჩინოებისათვის შერჩეულია დაუჯერებლად მცირე სიდიდეები. რიცხვები შერჩეულია ისეთნაირად, რომ ვაჩვენოთ, როგორ შეიძლება დანახარჯების ტიპური დინამიკის წარმოდგენა საწარმოო საწარმოში.

განვიხილოთ ნახ.4.12 წარმოდგენილი მთლიანი დანახარჯების მრუდი. მრუდი იწყება წარმოებისა და რეალიზაციის ნულოვანი მოცულობისას წერტილიდან, რომელიც 10 000 კრონის მუდმივი დანახარჯების სიდიდეს აღნიშნავს (გრაფიკზე მუდმივი დანახარჯების სიდიდე აღნიშნულია პუნქტირული ხაზით).


წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის ზრდასთან ერთად ჩნდება ცვლადი დანახარჯები. თავიდანვე ისინი ჩვეულებრივ წარმოების მოცულობაზე ნელა იზრდებიან (დეგრესიულია). ამის მიზეზი, ყველაფრის მიუხედავად, შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ ეკონომიკური საქმიანობის გაფართოებასთან ერთად უმჯობესდება სამუშაო ძალის გამოყენება. დაიჭირავება ახალი მუშები, რის შედეგადაც მიიღწევა შრომის უკეთესი დანაწილება და სპეციალიზაცია. ამას გარდა, ზოგჯერ ნედლეულისა და მასალების უფრო დაბალი ფასებით შეძენის შესაძლებლობა ჩნდება. მაგრამ განსაზღვრულ მომენტში სამეურნეო საქმიანობა ისეთ დონეს აღწევს, როცა რაციონალიზაციისა და სხვათა ნაესხები შესაძლებლობები ამოწურული აღმოჩნდება. როცა ფირმა თავისი პოტენციალის სრული გამოყენების დონეს უახლოვდება, ცვლადი დანახარჯები წარმოების

მოცულობაზე უფრო სწრაფ ზრდას იწყებს (პროგრესულია). ამის ახსნად, უოლტოვს მოეხდებოდა, ითვლება ის ფაქტი, რომ სამუშაო ძალა უფრო ღირსი ხდება ზევანაკეთური სამუშაოს მიზეზით, ხოლო მასალის და სხვათა დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე მატულობს, რამდენადაც ზევანაკეთური სამუშაოები და სამუშაოთა ფორმირებული ტემპები წუნის პროდუქციის გადიდებას იწვევს. 4.13 ნახაზზე ნაჩვენებია საშუალო მთლიანი დანახარჯების, საშუალო ცვლადი დანახარჯების და ზღვრული დანახარჯების მრუდები. საშუალო მუდმივი დანახარჯები აქ აღნიშნული არაა. მაგრამ მათი მნიშვნელობა შესაძლებელია განისაზღვროს ორდინარტოა ლერძზე საშუალო მთლიან დანახარჯებსა და საშუალო ცვლად დანახარჯებს შორის სხვაობის სახით წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა მოცულობებისას (ნახაზზე ის ნაჩვენებია ვერტიკალური ანუქტივირული ხაზებით)



ნახ. 4.12. დანახარჯების ტიპური დინამიკა (საერთო სიდიდეები)

წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობას, რომლის დროსაც საშუალო ზღვრული დანახარჯები მინიმალურია (ჩვენს მაგალითში 238 კრონი. პროდუქციის 80 ერთეულის წარმოებისა და რეალიზაციისას), ეწოდება ოპტიმუმი დანახარჯების მიხედვით. თუ მხედველობაში გვექნება განსაკუთრებით დანახარჯები, მაშინ წარმოებისა და რეალიზაციის ასეთი მოცულობა ყველაზე ხელსაყრელი იქნება საწარმოებისათვის, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ წარმოებული და რეალიზებული უნდა იქნეს პროდუქციის სწორედ ასეთი რაოდენობა, რადგან იქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას. თავისი პროდუქციის რეალიზაციის რა ფასების მიღწევა უხდება ფორმას მომდევნო თავებში (განსაკუთრებით მე-6-ში) ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით მოცემულ პრობლემას.



ნახ. 4.13. დანახარჯების ტიპური დინამიკა
(საშუალო მნიშვნელობები პროდუქციის ერთეულზე)

4.7. დანახარჯების მუხლები

ამ პარაგრაფში შევისწავლით და აღვწერთ დანახარჯების იმ ძირითად სახეებს, რომლებიც ჩვეულებრივ წარმოიქმნება საწარმოებში.

4.7.1. მასალები

საწარმოო და სავაჭრო ფირმების უმრავლესობისათვის მასალების ხარჯები დანახარჯების ყველაზე მნიშვნელოვან პუნქლს შეადგენს. საწარმოო საწარმოებში საქმე ეხება ხარჯებს ნედლეულისა და დამხმარე მასალებზე, აგრეთვე გარედან მისაღებ შესაძლო ნახევარფაბრიკატებზე. სავაჭრო საწარმოებში ესაა ხარჯები საქონლის შეძენაზე. რამდენადაც ამ დანახარჯების სიდიდე უშუალოდ დამოკიდებულია წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობაზე, ისინი ფირმის ცვლად დანახარჯებს მიეკუთვნება.

დანახარჯები მასალებზე ჩვეულებრივ წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის პროპორციულად იცვლება. ამასთან დაბალმა საშემსყიდველო ფასებმა დიდი პარტიების შეძენისას, მაგალითად, საბითუმო ფასდაკლების ფორმით, შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ დანახარჯები უფრო ნელ-ნელა გაიზარდება, ვიდრე წარმოების მოცულობა (დეგრესიული), და პირიქით, საწარმოო სიმძლავრეების გაძლიერებული გამოყენებისას შესაძლოა ნედლეულის გადახარჯვა და წუნის გამო დანაკარგების ზრდა, რასაც თან სდევს მასალებზე დანახარჯების პროგრესული ზრდა.

მაგალითი.

ავხსნათ სავაჭრო ფირმის მაგალითზე საბითუმო ფასდაკლების

ვავლენა საქონლის შეძენის ხარჯების დინამიკაზე. ფირმამ მიაღწია მოლიბარაკებას ერთ-ერთ თავის მიმწოდებელთან. საქონელი - „ლანოს“ შესასყიდ შემდეგ-ფასებზე:


საქონლის შესყიდვა, ცალი/წელი	ფასი	
0 - 100	100 კრონი	1 ცალზე ამ მოცულობის შესყიდვისას
1001 - 1500	90	-----"-----
1501 - 2000	80	-----"-----
2001 - 2500	70	-----"-----
2501 - 3000	50	-----"-----

თუ დავუშვებთ, რომ ფირმა ინარჩუნებს „ლანოს“ მუდმივ მარაგს ისე, რომ საქონლის ხარჯვის სიდიდე მისი შესყიდვის სიდიდის ტოლია, მაშინ საქონლის შეძენის დანახარჯები შემდეგნაირად გაიანგარიშება:

ცხრილი 4.10. დანახარჯები საქონლის შეძენაზე („ლანოს“ შევლითზე)

საქონლის შეძენა წელიწადში, კრონი	ცვლადი დანახარჯები, კრონი	ზღვრული დანახარჯები, კრონი	საშუალო ცვლადი დანახარჯები, კრონი
0	0	—	—
1 000	100 000	100	100
1 500	145 000	90	97
2 000	185 000	80	93
2 500	220 000	70	88
3 000	245 000	50	82

ცვლადი, საშუალო და ზღვრული დანახარჯების შესაბამისი დინამიკა შეიძლება გამოისახოს აგრეთვე გრაფიკულად (ნახ. 4.14).



ნახ.4.14. დანახარჯები საქონლის შეძენაზე

მარცხენა გრაფიკზე ნაჩვენებია დეგრესიული ცვლადი დანახარჯების დინამიკა. მარჯვენა გამოსახულებაზე (დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე) გრაფიკულად ნაჩვენებია კლებადი საშუალო ცვლადი დანახარჯები და ზღვრული დანახარჯები.

4.7.2. შრომის ანაზღაურება

საწარმოთა უმრავლესობაში შრომის ანაზღაურება ასევე მიეკუთვნება დანახარჯების ძირითად მუხლებს. განსაზღვრულ საწარმოებში მომსახურების სფეროებში, აგრეთვე ფირმებში, რომლებიც თავისუფალი პროფესიის პირებს აერთიანებენ, მაგალითად, ფირმები, რომლებიც დასუფთავებას ეწევიან, სამკურნალო და რევიზორულ ფირმებში, დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე დომინირებულად ითვლება. უნდა აღინიშნოს, რომ განსაზღვრულ პერიოდში შრომის ანაზღაურებაზე თავისი საერთო დანახარჯების ანგარიშისას საწარმომ მათ რიცხვში საკუთრივ ხელფასის გადარიცხვების გარდა უნდა შეიტანოს გადარიცხვები საპენსიო ფონდებში საშვებულებოები და ა.შ.

ზოგჯერ საკმაოდ ძნელია განისაზღვროს დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე მუდმივს მიეკუთვნება თუ ცვლებად დანახარჯებს. ტრადიციულად ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს (სარგობი) მუდმივი დანახარჯებიდან თვლიან, მაშინ როცა მუშების ხელფასი ცვლად დანახარჯებს მიეკუთვნება. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციულ პერსონალად და მუშებად დაყოფა ყოველთვის არ ითვლება საფუძვლიან მიზეზად, რათა შესაბამისი თანამშრომლის შრომის ანაზღაურება ერთ-ერთს მიეკუთვნოს, დანახარჯების ამ ორი სახიდან. საზოგადოების განვითარების განსაზღვრული ტენდენციები — და ამ ფარგლებში კოლექტიური ხელშეკრულებები, შეტყობინებები განთავისუფლების გამო წასვლასთან დაკავშირებული დანხარების გადახდით, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა — იქეთკენ მიდის, რომ საწარმოს დანახარჯების სულ უფრო მეტი ნაწილი შრომის ანაზღაურებაზე მუდმივ დანახარჯებს უნდა მიეკუთვნოს. ასეთივე დასკვნამდე მიყვავართ იმ გარემოებასაც, რომ ტექნოლოგიების განვითარება სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს მუშათა უმეტესი ნაწილის პროფესიული ღონის ამალვებას. ეს ამცირებს ფირმების მისწრაფებას უარი თქვას თანამშრომელთა ნაწილის მომსახურებაზე ეკონომიკური აქტივობის დაქვეითების პერიოდებში, რადგან მხედველობაში მიიღება, რომ საქმიანობის განახლებისას ისევ გვიხდება დანახარჯების გაწევა ახალი თანამშრომლების მოზადებასა და სწავლაზე.

გადაწყვეტილებების მიღების კონკრეტულ სიტუაციებში, როცა საწარმოში წამოიჭრება არჩევის პრობლემა შესაძლო მოქმედებების რამდენიმე ვარიანტს შორის. გამოითვალოს მათი შესაბამისი დანახარჯების

საღიდეგები. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია სრული წარმოდგენა ვკონდეს, მიკუთვნება თუ არა დანახარჯების მოცემული სახე — მოცემულ შემთხვევაში დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე — მუდმივ თუ ცვალებად დანახარჯებს.

ამ წიგნში ჩვენ განვიხილავთ, გარკვეული შენიშვნებით, მუშების ხელფასს (როგორც დროით, ასევე სანარდოს) ცვლადი დანახარჯების სახით. ყველა დანახარჯი შრომის ანაზღაურებაზე მიკუთვნებული იქნება მუდმივზე.

უფრო დაწვრილებით განვიხილავთ შრომის ანაზღაურების დანახარჯების სამ ჯგუფს:

- ა) მუშების ხელფასს;
- ბ) გამყიდველთა გასამრჩელოს;
- გ) შრომის ანაზღაურების სხვა სახეებს.

ა) მუშების ხელფასი

არსებობს ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული შრომის ანაზღაურების ორი ფორმა. ანაზღაურება დგება იმ დროის შესაბამისად, რომლის განმავლობაში ფირმამ გამოიყენა სამუშაო ძალა. — დროითი ანაზღაურება, ან შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად — სანარდო ანაზღაურება. მეორე შემთხვევაში შესაძლებელია სანარდო ანაზღაურების სხვადასხვა მოდიფიკაციები: სანარდო — ერთდროული ბონუსების დარიცხვით (მაგალითად, კოლექტიური ბონუსების სახით) და სანარდო—პრემიალური. გვხვდება შრომის ანაზღაურების შერეული ფორმებიც, რომლებიც სანარდო და დროითის ელემენტებს შეიცავს, მაგალითად სანარდო ანაზღაურება გარანტირებული მინიმუმით. ამასთან კავშირში ჩვეულებრივ ამბობენ ანაზღაურების მასტიმულირებელ ფორმებზე ანუ გასამრჩელოს. ფორმებზე, რომელიც შრომის ნაყოფიერების ამაღლებას სტიმულს აძლევს.

დროითი ანაზღაურება ჩვეულებრივ გამოიყენება იმ სახით სამუშაოების ანაზღაურებისას, სადაც მთავარ როლს ხარისხი თამაშობს, იქ სადაც სამუშაოს შესრულების სიჩქარე და მაშასადამე დროის ერთეულში წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, დამოკიდებული არ არის მუშის მონდიმებაზე. მაგალითად კონვეიერულ ხაზებზე ან ნახევრად ავტომატურ ჩარხებზე მუშაობისას. დროითი ანაზღაურება გამოიყენება იქაც, სადაც რთულია ან შეუძლებელია შესრულებული სამუშაოს მოცულობის გამოთვლა.

სამუშაოს დროითი ანაზღაურებისას მუშისათვის მთავარი უპირატესობა მასში მდგომარეობს, რომ მას გარანტირებული ყოველკვირეული ან ყოველთვიური ხელფასი აქვს, რომელიც

დამოუკიდებელი არ არის წარმოების დონის შესაძლო შემცირებაზე დროის მოცემულ პერიოდში. აქ ნაკლოვანებად ითვლება ის, რომ მუშას საშუალება არა აქვს ვაზარდოს თავისი ნამუშევარი, საწარმოო პროცესში მონაწილეობის პირადი წილის გაღრმავების გზით.

ფირმის თვალსაზრისით დროითი ანაზღაურების მთავარ ნაკლოვანებად ითვლება ის, რომ იგი სტიმულს არ აძლევს მუშის ინდივიდუალური მონდომების ამაღლებას. მეორე მხრივ, საწარმოს ამ შემთხვევაში შესაძლებლობა აქვს განსაზღვრული სარგებელი ამოიღოს გამომუშავების გადიდების ხარჯზე დროის მოცემულ პერიოდში, (შრომის ანაზღაურების უფრო ნაკლები დანახარჯების ფორმით), თუ რა თქმა უნდა, ასეთი მიღწევა შესაძლებელია.

მაგალითი.

დავუშვათ, რომ საათური ანაზღაურების სიდიდე შეადგენს 100 კრონს პირველ გრადიენტზე (ნახ. 4.15. ნაივანებია, რომ მუშის გამომუშავების სიდიდე 1 სთ-ში მუდმივი (100 კრონი) იქნება დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა რაოდენობის პროდუქცია გამოუშვა მან. ახლა ეს განვიხილოთ საწარმოს ინტერესების თვალსაზრისით. თუ 1 სთ-ში იწარმოება პროდუქციის 5 ერთეული, მაშინ დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე შეადგენს 20 კრონს პროდუქციის ერთეულზე, 1 სთ-ში 10 ერთეულის გამომუშავებისას — 10 კრონს და ა.შ.

შრომის ანაზღაურების სანარდო ფორმა გამოიყენება, მაგალითად საფეიქრო მრეწველობაში, საქონლის სასაკლაოებზე. საბინაო და კაპიტალიურ მშენებლობაში. შრომის ანაზღაურების ასეთი ფორმის ეფექტიანად გამოყენებისათვის აუცილებელია, რათა მანქანები, ინსტრუმენტები და მასალები იყოს ერთი ხარისხის. ამასთან მნიშვნელოვანია რათა შეთანხმებებს სანარდო ანაზღაურების შესახებ საწარმოსა და მუშებს შორის მკაფიო ნორმატიული ბაზა ჰქონდეს, რომელიც განსაზღვრავს ნორმალური შრომის ნაყოფიერების შენარჩუნების წინა პირობებს (სამუშაოების ტემპი, შესვენებები და სხვა). სპეციალისტების მიერ შესრულებული დროისა და ნორმატივების ანგარიშები ჩვეულებრივ ანალოგიური შეთანხმებების საფუძველს შეადგენს.

მუშის თვალსაზრისით, შრომის ანაზღაურების სანარდო ფორმას ის ცხადი უპირატესობა აქვს, რომ გამომუშავების გადიდების შესაძლებლობას იძლევა. აქ ნაკლოვანებად ითვლება სამუშაოების მძიმე ტემპები, და როგორც ამის შედეგი, უბედური შემთხვევებისა და პროფესიონალური დაავადებების დიდი რისკი.

საწარმოსათვის სანარდო ანაზღაურების არსებით უპირატესობად ითვლება მუშის სტიმულირების შესაძლებლობა მიაღწიოს დიდ გამომუშავებას. ძირითადი კაპიტალი გამოიყენება უკეთ, და მუდმივი

დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე მცირდება. მიუხედავად ამისა, იქ მაინც არის ნაკლოვანებები — გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის შექცევების რისკი.



მაგალითი.

წარმოვიდგინოთ, რომ საწარმოში დადებულია ხელშეკრულება სანარდო ანაზღაურების შესახებ, რომლის შესაბამისად წარმოებული პროდუქციის ერთეულზე გაიცემა 10 კრონი. ამასთან მუშის გამომუშავებას 1 სთ-ში ისეთი დინამიკა ექნება, როგორც ნაივნებია 4.16. ნახაზზე — იგი ამ საათში წარმოებული პროდუქციის მოცულობის პროპორციული იქნება. საწარმოს თვალსაზრისით დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე პროდუქციის ერთეულის მიმართ შეადგენს უცვლელ სიდიდეს (10 კრონი), რომელიც დამოკიდებული არაა წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე.



იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მუშა გამომუშავების მინიმალური სიდიდით სანარდო ანაზღაურების უპირატესობის ერთდროული გამოყენებისას, ხშირად გამოიყენება ანაზღაურების შერეული ფორმა — სანარდო ანაზღაურება გარანტირებული მინიმუმით, სადაც ხელფასის მინიმალური სიდიდე შეიძლება დადგენილ იქნას, მაგალითად, მოცემულ დარგში საათური ანაზღაურების შესაბამისად.

მაგალითი.



საწარმოში მიღწეულია შეთანხმება სანარდო ანაზღაურების შესახებ, წარმოებული პროდუქციის ერთეულზე 10 კრონის ანგარიშით. ამას გარდა, თითოეულ მუშას გარანტირებული აქვს მინიმალური საათური ანაზღაურება 100 კრონი. 4.17. ნახაზზე ჩვენ ვხედავთ მუშის საათური ანაზღაურების ცვლილებას, მის მიერ სხვადასხვა რაოდენობის პროდუქციის წარმოებისას. თუ იგი 10 ერთეულამდე პროდუქციას აწარმოებს სთ-ში, მაშინ მოქმედებს პირობა გარანტირებული საათური ანაზღაურების შესახებ (100 კრონი 1 სთ-ში) და ანაზღაურება მინიმალური იქნება. როცა მის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა 10 ერთეულს გადააჭარბებს, სანარდო ხელფასი აქტუალური ხდება, ხოლო ამის შედეგად იზრდება საათური გამომუშავებაც.



ნახ. 4.15. დროითი ხელფასი



ნახ. 4.16. სანარდო ხელფასი



ნახ. 4.17. სანარდო ხელფასი გარანტირებული მინიმუმით

მეორე ვარიანტზე ნაჩვენებია საწარმოს დანახარჯები ხელფასზე პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით. მანამდე, როგორც კი პროდუქციის მოცულობა მიაღწევს 10 ერთეულს 1 სთ-ში, დანახარჯების მრუდი ეყვება 10 კრონის მნიშვნელობამდე პროდუქციის ერთეულზე, რის შემდეგაც რჩება ამ დონეზე წარმოებული პროდუქციის რაოდენობის შემდგომში ზრდის მიუხედავად.

ბ) გასამრჩელო გამყიდველებისათვის

როგორც მუშების შრომის ანაზღაურების შემთხვევაში, გამყიდველებს გასამრჩელო უდგინდებათ ორი ძირითადი ფორმის შესაბამისად: ან როგორც მყარი ხარჯები, მაგალითად თვიური, ან როგორც თანხა, დაშოკიდებული გამყიდველების მუშაობის ხარისხზე — საკომისიოები.

საკომისიოები, როგორც წესი, მყიდველების მიღწეული ბრუნვის სიდიდის განსაზღვრულ პროცენტს შეადგენს, ან — იმ შემთხვევაში, როცა მყიდველს გამოუღდის იმოქმედოს რეალიზაციის ფასზე — დაფარვის

სიდიდისა, რომელიც გამყიდველის მონდომების წყალობით ფირმის ბოგებაში შედის.

და პოლის. გამოიყენება მყარი სარგოების სხვადასხვა შერეული ფორმები საკომისიოსთან შეხამებაში. მყარი სარგოები საწარმოს პუდმივ დანახარჯებს ეკუთვნის, ხოლო საკომისიოები — ცვლად დანახარჯებს.

მყარი სარგოები ჩვეულებისამებრ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ფირმა ძირითად ყურადღებას რეალიზაციის პროცესზე სრული კონტროლის შენარჩუნებას უთმობს, მაგალითად, როცა საჭიროა ახალი სახის პროდუქციის რეალიზაციის დაწყება ან მყიდველთა ახალი ჯგუფების მიზიდვა. საცალო ვაჭრობაში, რა თქმა უნდა ფიზისათვის მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რომ გამყიდველი ყოველთვის სამუშაო ადგილზე დახვდეს მყიდველს. რივ ფირმებში და ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში გამყიდველების ვალდებულებების ხასიათი იცვლება. გარდა წმინდა სარეალიზაციო ფუნქციისა იგი ამასთან ერთად — ხოლო ხშირად კი ძირითადად — ატარებს ინსტრუქტორის (კონსულტაციის) ფუნქციას; ეს გარემოებაც აფრთვე მყარი სარგოების სასარგებლოდ მეტყველებს. საწარმოს თვალსაზრისით აქ ნაკლოვანებები იმაში მდგომარეობს, რომ მყარი სარგო სტიმულს არ აძლევს უშუალოდ გამყიდველის მონდომებას მიაღწიოს რეალიზაციის მეტ მოცულობას.

ადრე, ანაზღაურდება საკომისიოების ფორმით გამყიდველების გასამრჩელოს უფრო გავრცელებული სახე იყო, მაგრამ მყარი სარგოების შემთხვევაში აღნიშნულმა უპირატესობებმა იმოქმედეს ისე, რომ ანაზღაურება მარტოდენ საკომისიოების სახით დღეისათვის შედარებით იშვიათად გამოიყენება.

ამის ნაცვლად ხშირად გამოიყენება ანაზღაურების ფორმა, რომელშიც მყარი სარგო ეხამება საკომისიოების ამა თუ იმ სახეს. ამ შემთხვევაში ცდილობენ გამოიყენონ ორვე ფორმის უპირატესობები, მათი თანმდევი ნაკლოვანებების მინიმუმამდე დაყვანით. ანაზღაურების ასეთი შერეული ფორმის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევა, როცა გამყიდველი იღებს ბრუნვიდან 10%, წელიწადში 240 000 კრონი მინიმალური გარანტირებული ხელფასის შემთხვევაში. თუ გამყიდველი წელიწადში ყიდის 2 400 000 კრონზე ნაკლებ პროდუქციას, მაშინ ძალაში შედის გარანტიის პირობები; თუ ის ყიდის დაუშვავთ 3000000 კრონზე მეტ საქონელს, მაშინ მისი საკომისიო იქნება 300 000 კრონი. შერეული ანაზღაურების მეორე სახე — როცა მყარ სარგოს ემატება საკომისიოები (უმეტესწილად მცირე) — გაყიდული პროდუქციის მთლიანი მოცულობიდან.

გ) ანაზღაურების სხვა სახეები

ფირმის სხვა მუშაკების შრომის ანაზღაურების (ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა) ჩვეულებრივ ფორმად ითვლება მყარი სარგოები (ზოგჯერ წოდებული თანამდებობრივ სარგოებად), რამდენადაც მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობები ძნელი გასაზომია. იმისათვის, რომ სტიმულირდეს მოცემული ჯგუფის მუშაკების შრომის ეფექტიანობა, მყარი სარგოების გარდა ხშირად გამოიყენება ტანტემები ჩვეულებრივ შეთანადებული ფირმის მოგებასთან.

საჭიროა აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ფირმები აფორმებენ ხელშეკრულებებს თავიანთ თანამშრომლებთან (ან თანამშრომელთა ჯგუფებთან) მოგების ამა თუ იმ ფორმით ვანაწილების შესახებ. ეს შეიძლება გაფორმდეს სხვადასხვა ხერხებით. მთავარი კი აქ ის არის, საწარმო საკუთარი შემოსავლების (მოგების) ამა თუ იმ ნაწილს ნაღდი გადახდების ფორმით (ან აქციების ფორმით სააქციო საზოგადოებებში) ანაწილებს თავის თანამშრომლებს შორის.

ის „გასამრჩელო“ რომელსაც ღებულობს ფირმის მფლობელი მის საქმიანობაში მონაწილეობისათვის, ასევე განხილული უნდა იქნეს როგორც მისი დანახარჯები. თუ საუბარია სააქციო საზოგადოებაზე ან შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობაზე, დირექტორისა და ხელმძღვანელობის წევრების ანაზღაურება ფიქსირდება საბუღალტრო დოკუმენტებში, როგორც გასავლები (იხ. 4.1.1. განყ. საბუღალტრო ხარჯების შესახებ). სხვაგვარადაა საქმე, თუ საუბარია, მაგალითად, ერთპიროვნულ საწარმოზე. მის საბუღალტრო დოკუმენტებში მფლობელზე არავითარი „გასამრჩელო“ არ ფიქსირდება. გასამრჩელოს თანხა (თუკი ასეთი საერთოდ არის) მთლიანად შეიტანება საკუთარი კაპიტალის მუხლში და ამრიგად არ ფიგურირებს საწარმოს მოგების ანგარიშებში. მსგავს სიტუაციაში ფირმის მფლობელის შრომის ანაზღაურება — ე.წ. მესაკუთრის ხელფასი — გამოითვლება დაკანგული შესაძლებლობების (ალტერნატიული დანახარჯების) (ნაწილი 4.1.2.) თვალსაზრისით.

მოცემული ანგარიშის საწყის პუნქტად ითვლება სავარაუდო თანხა, რომლის გამოიმუშავება შეეძლო ფირმის მფლობელს, თავისი სამუშაო ძალა რომ საკუთარ ფირმაში კი არა, არამედ სადღაც სხვა ადგილზე გამოეყენებინა.

4.7.3. შენობის არენდის გადასახადი

დამოუკიდებლად იყენებს ფირმა არენდით აღებულ შენობებს თუ თვითონ ფლობს მას, საარენდო გადასახადი, როგორც წესი, დანახარჯების შედარებით მსხვილ მუხლს შეადგენს. ჩვეულებისამებრ ისინი მუდმივ

დანახარჯებს მიეკუთვნება, მაგრამ თუ საარენდო გადასახადის სიდიდე განისაზღვრება საწარმოს ბრუნვიდან განსაზღვრული პროცენტის სახით, მაშინ ასეთი დანახარჯები ცვლადებს მიეთვლება. თუ ფირმა არენდით იღებს შენობას, მაშინ დანახარჯები საარენდო გადასახადის საერთო სიდიდის ტოლი იქნება. თუ შენობა თვით საწარმოს ეკუთვნის, მაშინ მისი გადასახადი არენდის გამო რიგ მუხლებში დანაწილდება: გადასახადები იპოთეკურ დავალიანებაზე, უძრავ ქონებაზე, ზოგიერთი სხვა სახის გადასახადები, დაზღვევა, საექსპლუატაციო ხარჯები, შენობებისა და მოწყობილობების ამორტიზაცია, აგრეთვე დაკარგული შესაძლებლობების თვალსაზრისით, პროცენტები მოცემულ უძრავობაში დაბანდებული საკუთარი კაპიტალიდან.

4.7.4. სხვა დანახარჯები

მანქანებისა და ძირითადი კაპიტალის სხვა ელემენტების ექსპლუატაციისა და რემონტის ხარჯები, როგორც წესი, საწარმოს მუდმივი დანახარჯების ნაწილად ითვლება, რადგან ამ დანახარჯების წარმოქმნა უშუალოდ დამოკიდებული არაა წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობასა და სტრუქტურაზე.

დანახარჯები სხვადასხვა სახის ენერჯო შემცველებზე (ელექტრობა, გაზი, ნავთობი, ქვანახშირი) ორ ჯგუფად იყოფა. ერთი მოიცავს ცვლად დანახარჯებს, რომელიც უშუალოდ დამოკიდებულებაში იმყოფება წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობასა და სტრუქტურასთან მაგალითად, დანახარჯები მანქანების მუშაობისათვის აუცილებელ ელექტროენერჯიაზე. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი ელექტრომთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, მაგალითად განათებასა და გათბობაზე, რომლებიც წარმოადგენენ მუდმივ დანახარჯებს. სავაჭრო საწარმოებში ჩვეულებრივ ყველა დანახარჯი ენერჯომთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე მუდმივ დანახარჯებს მიეკუთვნება.

დანახარჯები საქონლის მყიდველებამდე მიტანაზე ცვლად დანახარჯებად ითვლება, მომსახურების ეს სახე ფირმის მიერ გადაევალა რომელიმე მესამე მხარეს, მაგალითად, დანიის სახელმწიფო რკინიგზებს, ფოსტას ან რომელიმე სატრანსპორტო კომპანიას. თუ საწარმოში ამ მიზნისათვის თავისი საკუთარი ტრანსპორტი არსებობს, მაშინ მასზე დანახარჯების ძირითადი ნაწილი მუდმივ დანახარჯებს მიეკუთვნება.

ტელეკომუნიკაციური დანახარჯები და საფოსტო მოსაკრები, როგორც წესი, მიეკუთვნება მუდმივ დანახარჯებს, რადგან აქ ლაპარაკი არ არის მათ უშუალოდ დამოკიდებულებაზე წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობასა და სტრუქტურასთან.

4.7.5. მარკეტინგული დანახარჯები

მარკეტინგული დანახარჯები გამოიზნულია ფირმის მიერ საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გასადიდებლად. მათ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს გასამრჩელო გამყიდველებისა და სავაჭრო ელემენტებისათვის (იხ. ქვეგანყოფილება 4.7.2. ბ). აქვე შედის გასავლები რეკლამაზე ყველაზე ფართო გაგებით, გამოფენებში, ბაზრებზე მონაწილეობებზე და ა.შ. ეს დანახარჯები მიეთვლება მუდმივს, რადგან მათი სიდიდე დროის განსაზღვრულ პერიოდში უცვლელია.

4.7.6. ამორტიზაცია

განყ. 3.3.1 ჩვენ დავყავით მუდმივი დანახარჯები ორ ჯგუფად: ყოველწლიურად განახლებადი მუდმივი დანახარჯები და მუდმივი დანახარჯები, რომელიც გათვალისწინებულია საწარმოს მიერ თავისი ძირითადი კაპიტალის გამოყენებაზე რამდენიმე პერიოდის განმავლობაში. უკანასკნელი ჯგუფი იწოდება საამორტიზაციო დანახარჯებად და ცნება — ამორტიზაცია — განისაზღვრება შემდეგნაირად:

ამორტიზაციაში იგულისხმება მუდმივი დანახარჯების ნაწილი, რომელიც იქმნება ძირითადი კაპიტალის შექმნაზე ერთდროული დანახარჯების დანაწილების გზით მისი გამოყენების რამდენიმე პერიოდზე.

როდესაც საწარმო იძენს ძირითად კაპიტალს — მიწას, შენობებს, მანქანებს, ავტომობილებს, მოწყობილობებს და ა.შ. ის იღებს ხარჯებს წარმოების საშუალებებზე, რომლის გამოყენებასაც ვარაუდობს რიგი წლების მანძილზე. დროის დინებასთან ერთად ძირითადი კაპიტალის პრაქტიკულად ყველა ელემენტი ფასში იკლებს და ბოლოს და ბოლოს უფასურდება. აქ ძირითად გამოწვევას შეადგენს მიწა და განსაკუთრებით მაღალი ინფლაციის პირობებში განსაზღვრული სახეობის შენობები, რომელთა ფასი ამ პერიოდში არა თუ ეცემა, არამედ იზრდება კიდევ. აღნიშნული ჩვეულებრივ ფასის დაკლებისას შეადგენს ძირითადი კაპიტალის შესაბამისი ნაწილის ხარჯვის გამო (ამორტიზაცია) და ამიტომ მიეკუთვნება დანახარჯებს.

დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ძირითადი კაპიტალის ფასის დაკემას, ანუ მის პერიოდულ ამორტიზაციას, ორი ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული მიზეზი გააჩნია. მას შეუძლია ფიზიკურად გაცვდეს გამოყენების გამო, ან მორალურად მოძველდეს (მორალური ცვეთა) გამოყენებისაგან დამოუკიდებლად. მაგალითისათვის, ამბობენ, რომ მანქანა მოძველდა, თუ ტექნოლოგიის განვითარებამ გამოიწვია ახალი ტიპი მანქანების შექმნა უფრო დაბალი საშუალო მთლიანი დანახარჯებით პროდუქციის ერთეულზე. ეს გარემოება იწვევს იმას, რომ ადრინდელი კომპიუტერულ მოწყობილობებზე ფასების

მნიშვნელოვანი დაცემა, რომელიც ახალი მოდელების ხარისხის განუწყვეტელმა ზრდამ განაპირობა იწვევს იმას, რომ სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ შექმნილი ხელსაწყო, დღეს პრაქტიკულად ვაუფასურებულია. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ხელსაწყო მორალურად მოძველდა. შეიძლება ასევე წარმოვიდგინოთ, რომ მოცემულ მანქანებზე წარმოებული პროდუქცია, მორალურად მოძველდა და ამის გამო მისი რეალიზაცია შეწყდა. თუ ამ მანქანის გამოყენება შეუძლებელია სხვა სახის მომგებიანი პროდუქციის წარმოებისათვის, ეს აგრეთვე იწვევს მანქანის ფასის დაცემას. უმეტეს შემთხვევაში ფასის დაცემას იწვევს ორივე ფაქტორის — ფიზიკური და მორალური ცვეთის — შეთავსება. არ არსებობს უშუალოდ ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება ეკონომიკური საქმიანობის მოცულობასა და პერიოდულ ამორტიზაციას შორის, ამდენად ამორტიზაცია მუდმივ დანახარჯებს მიეკუთვნება.

პრაქტიკაში შეუძლებელი ხდება ზუსტად განისაზღვროს ძირითადი კაპიტალის ელემენტების პერიოდული ამორტიზაცია. არ არსებობს მეთოდები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ზუსტად განვსაზღვროთ შენობების, მანქანების, საწერი მაგიდის და ა.შ. რა ნაწილია „გამოყენებული“ ამ პერიოდში. ამიტომ ის თანხა, რომელიც მიღებულია ამორტიზებული იქნეს, ყოველთვის იქნება რაიმე შეფასების გამოხატულება. როგორც წესი, პრაქტიკაში გამოიყენება შემდგომში განვიხილავთ ამორტიზაციის ესა თუ ის მეთოდი. შემდგომში განვიხილავთ ამორტიზაციის უფრო გავრცელებულ მეთოდს: ა) ხაზურ ამორტიზაციას; ბ) ამორტიზაციას ნარჩენი ღირებულებით. შემდგომში შევეხებით აგრეთვე გ) ამორტიზაციას წარმოების მოცულობის გამო.

ა) ხაზური ამორტიზაცია

ხაზური ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებისათვის აუცილებელია ძირითადი კაპიტალის მოცემული ელემენტების საწყისი ღირებულების ცოდნა, აგრეთვე განისაზღვროს მისი სასამსახურო ვადა და სავარაუდო სალიკვიდაციო ღირებულება (მისი რეალიზაციის ღირებულება სასამსახურო ვადის გასვლის შემდეგ). საწყისი ღირებულება გარდა შექმნის ფასისა შეიცავს მოტანისა (ტრანსპორტირების) და დაყენების (მონტაჟის) ხარჯებს. სასამსახურო ვადაში იჯულისხმება დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საწარმო გეგმავს ძირითადი კაპიტალის მოცემული ნაწილის გამოყენებას. სალიკვიდაციო ღირებულება — ეს ის ფასია, რომლის მიღებასაც ფირმა იმედოვნებს ძირითადი კაპიტალის მოცემული ნაწილის რეალიზაციის შედეგად მისი სასამსახურო ვადის გასვლის მერე. ამის შესაბამისად, კაპიტალის ამორტიზაციის ყოველწლოური სიდიდე შეადგენს ერთნაირ თანხას, რომელიც იანგარიშება ფორმულით:


$$\text{ყოველწლიური ამორტიზაცია} = \frac{\text{საწყისი ღირებულება} - \text{სალიკვიდაციო ღირ.}}{\text{სასამსახურო ვადა (წლებისრაოდენობა)}}$$

მაგალითი.

მანქანა შეძენილია 450 000 კრონად. მიტანისა და დადგმის ხარჯები შეადგენს 150 000 კრონს. ამრიგად, მისი საწყისი ღირებულება იქნება 600 000 კრონი. სასამსახურო ვადა მიღებულია 5-ის ტოლად, ხოლო სალიკვიდაციო ღირებულება — 100000 კრონად.

$$\text{ყოველწლიური ამორტიზაცია} = \frac{600\,000 \text{ კრონი} - 100\,000 \text{ კრონი}}{5 \text{ წელი}} = 100\,000 \text{ კრონი/წელი}$$

მოცემულ მანქანაში კაპიტალდაბანდების სიდიდის ყოველწლიური ცვლილება (ნარჩენი ღირებულება) შეიძლება გამოისახოს 4.18. ნახაზით.



ნახ. 4.18. ნაწერი ამორტიზაცია

გ) ამორტიზაცია ნარჩენი ღირებულებების მიხედვით

რიგი ეკონომისტებისა ამტკიცებენ, რომ ძირითადი კაპიტალის ღირებულება განსაკუთრებით ძლიერ იკლებს მისი გამოყენების პირველ წლებში. ეს იოლია ვაჩვენოთ ამორტიზაციის ტემპების მაგალითზე, რომელიც აღიწერება კაპიტალის ნარჩენი ღირებულების (რომელიც ფიქსირდება საბუღალტრო დოკუმენტებში) განსაზღვრული პროცენტის ყოველწლიური ამორტიზაციის გზით.


მაგალითი.

აღვწერთ ეს ზემოთდასახელებული მანქანის მაგალითზე, რომლის საწყისი ღირებულება 600 000 კრონია. დაუშვათ, რომ ყოველწლიური საამორტიზაციო ჩამოწერა შეადგენს 30 პროცენტს მისი ნარჩენი ღირებულებიდან.

ცხრილი 4.11. ამორტიზაცია ნარჩენი ღირებულების მიხედვით

წლები	ნარჩენი ღირებულება (პერიოდის დასაწყისში) კრონი	ამორტიზაცია 30%, კრონი	ნარჩენი ღირებულება (პერიოდის ბოლოს) კრონი
1	600 000	180 000	420 000
2	420 000	126 000	294 000
3	294 000	88 200	205 800
4	205 800	61 740	144 060
5	144 060	43 218	100 842

ჩვენ ვხედავთ, რომ ამორტიზაციის მსხვილი თანხები პირველ წლებში, დროის გასვლასთან ერთად, უფრო და უფრო მცირე ხდება. რამდენადაც აქ აშკარად შეიმჩნევა ამორტიზაციის სიდიდის შემცირების ტენდენცია, ამდენად ამორტიზაციის მეთოდს ნარჩენი ღირებულების მიხედვით აგრეთვე დეგრესიულ მეთოდს უწოდებენ. უნდა შევნიშნოთ, რომ კაპიტალი სრულებით არასდროს ამორტიზდება (0 კრონამდე). ეს მავალითი შეიძლება ილუსტრირდეს 4.19. ნახაზზე.



ნახ. 4.19. ამორტიზაცია ნარჩენი ღირებულების მიხედვით

გ) ამორტიზაცია წარმოების მოცულობის მიხედვით

როგორც აღრე იყო აღნიშნული, ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია განიხლება მუდმივი დანახარჯების ხარისხში. თუ კაპიტალს წარმოვიდგენთ საქონლის მარაგის სახით (ქვანახშირის საბადოს, ნავთობის საბადოს, ლორღის კარიერის მაგალითზე), მაშინ მისი ამორტიზაცია (გამოყენება) მიეკუთვნება ცვლად დანახარჯებს. დავეუშვათ რომ 2 მლნ. კრონად შექმნილია ლორღის კარიერი, რომელიც შეფასებით 1 მლნ. მ³ ლორღს შეიცავს. ამ შემთხვევაში ამორტიზაცია შეადგენს:

$$\frac{2 \text{ მლნ.}}{1 \text{ მლნ}} = 2,00 \text{ კრონი ყოველ მოპოვებულ 1 შ'ლორღზე.}$$

ანალოგიურად ამორტიზირდება ძირითადი კაპიტალის სხვა ელემენტებიც, თუ მათი ღირებულების დაცემის ერთადერთ მიზეზად ითვლება გამოყენება და მასთან ერთად ფიზიკური ცვეთა და აგრეთვე თუ შესაძლებელია ობიექტურად გაიზომოს ღირებულების დაცემა, პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით. თუ მაგალითად, საწარმომ შეიძინა სამსხმელო ფორმა 100 000 კრონად და იგულისხმება, რომ სანამ მწყობრიდან გამოვა, მას შეუძლია გაუძლოს 25 000 მზა სხმულს (სარეალიზაციოდ ვარგისს), მაშინ მოცემული ფორმის ამორტიზაცია მისი გამოყენების მიხედვით მოხდება. ამორტიზაცია ერთ სხმულზე შეადგენს:

$$\begin{array}{r} 100\ 000 \\ - 25\ 000 \\ \hline \end{array} = 4,00 \text{ კრონი}$$

4.7.7. პროცენტის გადახდასთან დაკავშირებული დანახარჯები

პროცენტების გადახდასთან დაკავშირებული საწარმოს დანახარჯები, როცა ისინი ხარჯვითი მეთოდით გამოითვლება, დამოკიდებულია იმაზე, როგორია საწარმოში ნასესხები კაპიტალის წილი და მის გამო როგორი პროცენტები, საკომისიოები და ა.შ. უნდა იქნეს, აუცილებელად, გადახდილი. ამას უნდა მიემატოს აგრეთვე, რომ დაკარგული შესაძლებლობების თვალსაზრისით ფირმის მფლობელი შემოსავალს კარგავს მის მიერ საწარმოში დაბანდებულ საკუთარ კაპიტალზე პროცენტული დარიცხვების გამო, ეგრეთ წოდებულ პროცენტებს საკუთარ კაპიტალზე. ამის მაგალითი მოტანილია განყ. 4.2.1.

მე-3 თავში უკვე განხილული იყო საკითხი პროცენტების შესახებ, და ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით მას მე-8 და მე-10 თავების განხილვისას, ინვესტიციების გაანგარიშებასთან დაკავშირებით, სადაც საუბარია დაფინანსების შესახებ.

4.8. დანახარჯების სტრუქტურა

დანახარჯების სტრუქტურაში იგულისხმება საწარმოს ცვლადი და მუდმივი დანახარჯების პროცენტული თანაფარდობა მისი მთლიანი დანახარჯების ფარგლებში.


თუ საწარმოო საწარმოების A და B მთლიანი დანახარჯები ეფარდებიან შემდეგნაირად:

	A	B
ცვლადი დანახარჯები	70%	40%
მუდმივი დანახარჯები	30%	60%
მთლიანი დანახარჯები	100%	100%

მაშინ შეიძლება გაცეთდეს დასკვნა, რომ ისინი დანახარჯთა სხვადასხვა სტრუქტურას ფლობენ.

ასეთი განსხვავების ტიპურ მიზეზად ითვლება, ის რომ საწარმო A ავტომატიზაციის ნაკლებ ხარისხს ფლობს, და მაშასადამე, დიდი მოთხოვნილება აქვს ხელით შრომის გამოყენებაზე. A ფირმის მუდმივი დანახარჯები ამორტიზაციაზე და კაპიტალზე პროცენტების გადახდაზე, გამოყენებული მანქანური პარკის შეძენაზე, ამასთან კავშირში საკმაოდ მცირეა, იმ დროს როცა, პირიქით, ცვლადი დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე — მაღალი. B საწარმოსთან საქმე საწინააღმდეგოდ დგას: წარმოების ავტომატიზაციის ხარისხი მაღალია მუდმივი დანახარჯების შესაბამისად და მცირე ცვლადი დანახარჯების ხელით შრომის ანაზღაურებაზე (ნახ. 4.20).

პირველ გრაფიკზე გამოსახულია A და B საწარმოების მთლიანი დანახარჯების დინამიკა (BIA და BИB). გრაფიკი გვიჩვენებს, რომ M სიდიდეზე ნაკლები წარმოების მოცულობისას A ფირმის წარმოება იაფია, — მისი მთლიანი დანახარჯები ნაკლებია. წარმოების სიდიდისას ორივე ფირმის მთლიანი დანახარჯები ემთხვევა, ხოლო წარმოების დიდი მოცულობისას ფირმა ნაკლებ დანახარჯებს ეწევა.



ნახ. 4.20 განსხვავება დანახარჯთა სტრუქტურაში

მეორე გრაფიკზე ნაჩვენებია ორივე საწარმოს შესაბამისი საშუალო მთლიანი დანახარჯების დინამიკა (СBIA და СBИB).

საწარმო და ბაზარი

5.1. მიწოდება და მოთხოვნა

უცილებელია ის ფაქტი, რომ მოცემულ საქონელზე მოთხოვნა და მიწოდება განსაზღვრავს თუ რა რაოდენობითა და რა ფასად გაიყიდება იგი ბაზარზე.

საქონლის მიწოდება გულისხმობს მის ისეთ მოცულობას, რომლის რეალიზება სურს გამყიდველს დროის გარკვეულ პერიოდში განსაზღვრულ ბაზარზე.

საქონელზე მოთხოვნა გულისხმობს მის ისეთ მოცულობას, რომელიც შეიძველს სურს შეიძინოს დროის გარკვეულ პერიოდში განსაზღვრულ ბაზარზე.

შევნიშნოთ, რომ მოცემულ განსაზღვრებაში შედის სამი ცნება: „საქონელი“, „დროის გარკვეული პერიოდი“ და „განსაზღვრული ბაზარი“, რომელთა ჩარჩოები უფრო ზუსტად უნდა შემოიხაზოს. მაგალითად ასეთი ტიპის გამოთქმა: „მოთხოვნა ყვავილებზე შეადგენს 100 000 ცალს“ ბევრს არაფერს გვეუბნება. თუკი ჩვენ საქონლის დახასიათებას დავაზუსტებთ როგორც „მოჭრილი ყვითელი ტიტები“ და განვაცხადებთ, რომ ლაპარაკია მოთხოვნაზე 19..2წ. მე-14 კვირაში ქალაქ კოპენჰაგენის ფრიდრიქსბერგის კომუნისათვის, მაშინ განსაზღვრის თანახმად გამოთქმა ფრიალ ზუსტი გამოვა: „მოჭრილ ყვითელ ტიტებზე მოთხოვნა ქ. კოპენჰაგენის ფრიდრიქსბერგის კომუნაში 19.. წლის მე-14 კვირაში 100 000 ცალს შეადგენს“

მყიდველის სურვილი შეიძინოს საქონელი, განსაზღვრული ხდება რიგი ფაქტორებით, რომლის განხილვაზე ჩვენ დაწვრილებით შევჩერდებით მომდევნო პარაგრაფში. საქონლის ფასი აქ რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. როგორც წესი, რაც დაბალია ფასი, მით მეტია მოთხოვნის სიდიდე.

გამყიდველის სურვილი გაყიდოს თავისი საქონელი აგრეთვე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საქონლის ფასზე. მაღალი ფასები სტიმულს აძლევს მიწოდების დიდი მოცულობის ზრდას გამყიდველების მხრიდან, ვინაიდან ისინი ნებისმიერი ხერხებით ცდილობენ მაქსიმალური მოგების მიღებას. მაღალ ფასებს შეუძლია აგრეთვე ბაზარზე ახალი გამყიდველების მოზიდვა, რომლებიც ცდილობენ დამკვიდრდნენ ბაზარზე და ამის შესაბამისად ზრდიან მიწოდების მოცულობას. დაბალ ფასებს კი საწინააღმდეგო მოქმედება ექნებათ — მიწოდების სიდიდე მცირდება.

მოთხოვნისა და მიწოდების დამოკიდებულების მეშვეობით ფასების ფორმირების პროცესის ილუსტრაციისათვის განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. მოთხოვნასა და მიწოდების მოსალოდნელი სიდიდეები

X-საქონელზე და Y-ბაზარზე Z-პერიოდში ნაჩვენებია 5.1. ცხრილში.


ცხრ. 5.1. მოთხოვნა და მიწოდება X-საქონელზე

ფასი, კრონებში	მიწოდების სიდიდე X - საქონელი, ცლ.	მოთხოვნა სიდიდე X - საქონელი, ცლ.
10	10 000	4 000
9	9 000	5 000
8	8 000	6 000
7	7 000	7 000
6	6 000	8 000
5	5 000	9 000
4	4 000	10 000
3	3 000	11 000

ცხრ. 5.1. გამომდინარეობს რომ როდესაც ფასი შეადგენს სამ კრონს, გამყიდველების მიწოდების მოცულობა უდრის 3000 საქონელის ერთეულის, მაშინ როცა მყიდველობითი უნარიანობის სიდიდე 11 000 ერთეული აღწევს. ამგვარად, მყიდველობითი უნარიანობა არ დაკმაყოფილდება. მყიდველები, რომლებიც 3 კრონზე მეტის გადახდას შეძლებენ, გამყიდველს უფრო მაღალ ფასს შესთავაზებენ, რის გამოც გაიზრდება მიწოდების სიდიდე. ამგვარად, ფასის ზრდა იწვევს მიწოდების სიდიდის მატებას და ეს ზრდა გრძელდება მანამდე, ვიდრე ფასი 7 კრონამდე არ აიწევს. ამ დროს დადგება ბალანსი მოთხოვნასა და მიწოდების სიდიდეებს შორის (7000 პროდუქციის ერთეულზე).

ფასის ფორმირება X-საქონელზე ნაჩვენებია ნახაზ 5.1., სადაც მოთხოვნისა და მიწოდების სიდიდეები აღებულია ცხრ. 5.1-დან. საბაზრო ფასი მდებარეობს მიწოდებისა (O) და მოთხოვნის (Q) ხაზების გადაკვეთის წერტილში. პუნქტირით აღნიშნულია შესაბამისად ფასის სიდიდე (7 კრონი) ორდინატთა ღერძზე და საქონლის მოცულობა (7000 ცალი) აბსცისთა ღერძზე.

მაგრამ ამგვარად მიღებული ფასი იშვიათად არის სტაბილური. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ დანახარჯების ცვლილების გამო სიტუაციის შეცვლასთან დაკავშირებით გამყიდველები თავის სარგებელს ხედავენ იმაში, რომ შეთავაზონ საქონლის დიდი რაოდენობა სხვადასხვა ფასებით. მიწოდების მრული (O₁) ამ შემთხვევაში გადაიწვევა მარჯვნივ და წარმოიქმნება მიწოდებასა და მოთხოვნის მრუდების გადაკვეთის ახალი წერტილი (ფასი—6,50 კრონი, რაოდენობა—7500 ცალი). პირიქით, მიწოდების შემცირებით საქონელზე ფასი იზრდება.



ნახ. 5.1. ფასის ფორმირება X-საქონელზე

ცვლილებებს განიცდის პირობები, რომლის დროსაც ფორმირდება მოთხოვნა. მაგ. მყიდველთა მოთხოვნილების დაკემას შეუძლია მოთხოვნის მრუდის მარცხნივ გადაწევა (Q_1). საბაზრო ფასი, ამ შემთხვევაში, დავარდება, ხოლო მიწოდების სიდიდე შემცირდება, რის გამოც წარმოიქმნება მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის ახალი წერტილი (ფასი—6,00 კრონი, რაოდენობა—6000 ცალი). და პირიქით, მყიდველობითი მოთხოვნილებების ზრდა მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ გასწევს, რის შედეგად მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობა წარმოიქმნება უფრო მაღალი ფასისა და უფრო დიდ რაოდენობა საქონლისას.

პრაქტიკაში მოთხოვნასა და მიწოდებას ფორმირების პირობები ყოველთვის იცვლება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის წერტილებს ყოველთვის ახალი მნიშვნელობები აქვს, რის შესაბამისადაც დგება ფასი.

მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მცირე მოკლევადიანი შეუსაბამობა ხშირად წონასწორობა მყიდველის და აგრეთვე გამყიდველის საქონლური მარაგების ზრდის ან შემცირების ხარჯზე.

5.2. მოთხოვნის დაზარმინაზები

შესაძლებელი ხდება სხვადასხვა სტატისტიკური მასალების (ოფიციალური სტატისტიკური ანგარიშები, ცალკეული დარგების განვითარების მასალები და ა.შ.) საშუალებით წარმოადგენს შექმნა ამა თუ იმ საქონლის სიდიდეზე, მაგ. დანიის ბაზარზე დროის წინა პერიოდში.

იმისათვის, რომ შეფასდეს მოთხოვნა საქონელზე და მასზე ზემოქმედება დროის მომდევნო პერიოდში, აუცილებელია ვიცოდეთ ფაქტორები, რომლებიც მოთხოვნის სიდიდეზე ზემოქმედებს ე.წ.

მოთხოვნის დეტერმინანტები.

მოთხოვნის დეტერმინანტებში იგულისხმება ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს საქონლის მოთხოვნის სიდიდეზე.

წინა პარაგრაფში ჩვენ განვიხილეთ ერთ-ერთი უფრო არსებითი ფაქტორი—საქონლის ფასი. მაგრამ ამას გარდა არსებობს კიდევ ფაქტორთა მთელი რიგი, რომელთაგან თითოეული მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენს მოთხოვნის სიდიდეზე. მას მიეკუთვნება: საქონლის ხარისხი და შეფუთვა; საქონლის რეკლამა; გამყიდველთა და საქონლის სავაჭრო აგენტთა საქმიანობა; სხვა საქონლის ფასი; სხვა საქონლის ხარისხი; სხვა საქონლის რეკლამა; გამყიდველებისა და სავაჭრო აგენტების საქმიანობა სხვა საქონლის რეალიზაციის გამო (იხ. განყ. 5.4.4), მყიდველთა შემოსავლები, პირდაპირი და ირიბი გადასახადების სიდიდე; პროცენტის განაკვეთი; სიტუაცია სამუშაო ძალის ბაზარზე; მოდა; ამინდი; საერთაშორისო კრიზისები; ომები; პოლიტიკური და სოციალური კონფლიქტები და ა.შ.; სიტუაცია ენერჯო შემცვლელების ბაზარზე; სავალუტო კურსი.

თითოეული ჩამოთვლილი ფაქტორებიდან თავისებურად ზემოქმედებს სხვადასხვა საქონლის მოთხოვნაზე, მაგ. ამინდი „ესკიმოზე“ მოთხოვნის მთავარ დეტერმინანტად ითვლება, მაგრამ ამ დროს არავითარ გავლენას არ ახდენს ზეითუნის ზეთის მოთხოვნაზე.

5.3. გასაღება

საწარმოს მიერ თავისი საქონლის გასაღებაში იგულისხმება ამ საქონლს რაოდენობა, რომლის რეალიზება მას შეუძლია დროის განსაზღვრულ პერიოდში.

თუ წინა ორ პარაგრაფში ჩვენ ვიხილავდით მოთხოვნასა და მიწოდებას ყველა ბაზარზე საერთოდ, ახლა შევეცდებით სიტუაციას შევხედოთ ცალკეული საწარმოს (გამყიდველის) თვალსაზრისით.

დროის მომდევნო პერიოდში თავისი გასაღების დაგეგმვისას ფირმისათვის აუცილებელია საწყისი პუნქტის სახით შექმნას წარმოდგენა საერთო მოთხოვნაზე ბაზარზე. ყველაფრის მიუხედავად ეს ითვალისწინებს ფირმის გავლენის შეფასებას მოთხოვნის სხვადასხვა დეტერმინანტების შესაბამისი საქონლის მოთხოვნაზე.

როგორც წესი, მოთხოვნის დეტერმინანტების უმეტესობაზე ფირმა გავლენას ვერ ახდენს. ეს შეეხება მაგ. პირდაპირი და ირიბი გადასახადების სიდიდეს, საერთაშორისო კრიზისებს, ამინდს. ნაკლებ, მაგრამ მაინც მოთხოვნის დეტერმინანტების მნიშვნელოვან ნაწილზე, საწარმოს მაინც შეუძლია მოახდინოს უშუალო გავლენა. ამ ფაქტორებს ეწოდება გასაღებაზე ზემოქმედების პარამეტრები.

გასაღებაზე ზემოქმედების პარამეტრებში იგულისხმება ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს საწარმოს პროდუქციის გასაღებაზე და რომელზეც საწარმოს შეუძლია თავის მხრივ უშუალო ზემოქმედების მოხდენა.

გასაღებაზე ზემოქმედების პარამეტრებ იყოფა ორ ჯგუფად:

ა) საწყისი პარამეტრები: საქონლის ფასი; საქონლის ხარისხი და შეფუთვა; სერვისული მომსახურება; გავრცელების არხები; საწარმოს ადგილმდებარეობა; საფირმო ასორტიმენტი.

ბ) დამატებითი (კონტაქტური) პარამეტრები: რეკლამა; გამყიდველებისა და სვაკტრო აგენტთა საქმიანობა.

მოგვიანებით, ამ თავში ჩვენ ისევ დაუბრუნდებით ამ პარამეტრების აღწერას და მათ გამორყენებას.

5.4. პროდუქცია

5.4.1. სტანდარტიზებული და დიფერენცირებული საქონელი

საქონელს — პროდუქციას და მყიდველის თვალსაზრისით მისთვის ნიშანდობლივ ხარისხს, რა თქმა უნდა უმნიშვნელოვანესი მნიშვნელობა აქვს გასაღებისათვის. არა იშვიათად საწარმო ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდება, რაცა მისი პროდუქცია არ განსხვავდება სხვა ფირმის მიერ მოწოდებული პროდუქციისაგან. ამ შემთხვევაში საუბარია სტანდარტიზირებულ საქონელზე.

სტანდარტიზირებულ საქონელში იგულისხმება საქონელი რომელიც სხვადასხვა საწარმოს მიერ არის შემოთავაზებული, მაგრამ მყიდველი მას აღიქვამს როგორც ერთგვაროვანს. უველა შემთხვევაში.

სტანდარტიზებული საქონლის მაგალითად შეიძლება გამოვიდგეს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, როგორცაა რძე (ცხიმისაღების მოცემული პროცენტით), კარაქი, ხორბალი, (გნსაზღვრული სორტის ერთნაირი თვისებები), კიტრი (განსაზღვრული ხარისხის). მსგავს შემთხვევაში მყიდველებს არ დააინტერესებს, თუ რომელი ფერმერი ყიდის ამ რძეს, რომელმა რძის მეურნეობამ დაამზადა მოცემული რძის პროდუქტი. ბირჟაზე გასაყიდი საქონელი, მაგალითად: ყავა, ბამბა, ნედლეული, ნავთობი, ლითონი ფასიანი ქაღალდები და ვალუტა აგრეთვე ითვლება სტანდარტიზებულად. აქ საქონლის გაყიდვა ხდება მხოლოდ მისი აღწერილობის საფუძველზე — მყიდველები ვერ ხედავენ კონკრეტულ საქონელს და ხშირად არც იციან ვინ არის მისი გამყიდველი.

სტანდარტიზებული საქონლის წინააღმდეგობას წარმოადგენს დიფერენცირებული საქონელი.

დიფერენცირებულია საქონელი რომელიც მოწოდებულია სხვადასხვა საწაროს მიერ და შეიძველი მას განსხვავებულად აღიქვამს უოველ გამუიძველთან.

დიფერენცირებული საქონლის უმეტესობა იყიდება როგორც საფირმო საქონელი.

საფირმო საქონელში იგულისხმება სტანდარტული ხარისხის დიფერენცირებული საქონელი რომელიც სტანდარტული რაოდენობით და შეფუთული იყიდება განსაზღვრული დასახელებით ბაზრის მნიშვნელოვან სეგმენტზე.

საფირმო საქონლის მაგალითებია: წყვილი ჭინსი „რენგლერი“, პასტილა „დელფონის“, შეფუთვა, ყავის შეკვრა „კარატი“ შევნიშნოთ, რომ ყოველ კონკრეტულ მუიძველზე დამოკიდებულია აღიქვამს თუ არა ის მოცემულ საქონელს როგორც სტანდარტიზებულს, თუ როგორც დიფერენცირებულს. ამის შესაბამისად ბევრი მომხმარებელი ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი მაგალითისაგან განსხვავებით არ თვლის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ტანდარტიზებულ საქონლად. ისინი მეტ ყურადღებას აქცევენ, მაგალითად, იმას, დაცულია თუ არა იმ მეურნეობის გაძლოლის ეკოლოგიური პრინციპები იმ ადგილებში, საიდანაც შემოტანილია მოცემული რძე, ამიტომ, რძე, კარაქი და ა.შ. მათთვის ძირფესვიანად დიფერენცირებადი საქონელია.

ცალკეულ ფირმას პროდუქციის ახალი მოდიფიკაციების შექმნის გზით, მისთვის ახალი ხარისხის მინიჭებით, შეფუთვის შეცვლით შეუძლია თავისი საქონლის დიფერენცირება ბაზარზე უფრო მყარი მდგომარეობის მოპოვების მიზნით.


5.4.2. საქონლის სასიცოცხლო ციკლი

საქონლის მხოლოდ მცირე ნაწილი რჩება შეუცვლელი დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. მომხმარებლთა მოთხოვნილებები იცვლება, კონკურენტები ცდილობენ აწარმოონ და ბაზარზე გამოიტანონ საქონლის ახალი მოდიფიკაციები, რასაც უფრო მეტად შეუძლია მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ან მოთხოვნილებების იმავე დონეზე დაკმაყოფილებისას გაყიდონ უფრო დაბალი ფასით.

სასურსათო პროდუქტების ბაზარზე ამის მაგალითად შეიძლება გამოვიდეს ღრმა გაყინვის პროდუქტები. ოჯახის სტრუქტურულმა ცვლილებებმა (ორივე მომუშავე მეუღლის ოჯახების მეტი რაოდენობა და არასრული ოჯახების რიცხვის ზრდა), ტექნოლოგიის განვითარებამ (საყინულე კამერებისა და მიკროტალღოვანი ღუმელების წარმოება), აგრეთვე შედარებით მაღალმა შემოსავლებმა, დამუშავების მაღალი


ხარისხის სასურსათო საქონლის ბაზარი შექმნა. ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ბაზარზე ბოლო წლებში კომპაქტ-დისკებმა და კომპაქტ-დისკების ფირსაკრავებმა პრაქტიკულად „გამოდევნენ“ ბაზრიდან ჩვეულებრივი ფირფიტები და ფირსაკრავები.

საერთო სახით საქონლის საციცოცხლო ციკლი შეიძლება ვაჩვენოთ მრუდით, რომელიც გამოსახულია ნახ. 5.2. აქ ლაპარაკია ახალ საქონელზე, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ადრე რომ სხვა ხერხით კმაყოფილდებოდა ანუ საქონელზე, რომელიც ახალ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ამას გარდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს მაგალითში საქონლის სამსახურის ვადა შეზღუდულია.



ნახ. 5.2. საქონლის სასციცოცხლო ციკლი

ნახ. 5.2. წარმოდგენილი საქონლის საციცოცხლო ციკლის საფუძველზე მისი რეალიზაციის და მომგებიანობის (მთლიანი ამონაგები და მოგება) დინამიკა შეიძლება ილუსტრირდეს ნახ. 5.3.



ნახ. 5.3. რეალიზაციის და მოგების დინამიკა

მომდევნო კომენტარი თანაბარწილად ეკუთვნის ნახ. 5.2. და 5.3. ეტაპი 0 — საქონლის შემუშავების ეტაპი. ამ ეტაპზე გასაღება არ ხდება, ხოლო ფირმა იღებს ხარჯებს საქონლის წარმოებაზე და სხვა.

ეტაპი 1 — ბაზარზე გასვლის ეტაპი. ამ ეტაპზე საქონელი ჩნდება ბაზარზე. აქ ლაპარაკია შედარებით მცირე გასაღებაზე მაღალი მარკეტინგული დანახარჯებისას; მოგება უარყოფითი იქნება.

ეტაპი 2 — ზრდის ეტაპი. ამ ეტაპზე საქონელი ცდილობს ბაზარზე დამკვიდრებას. აქაც ასევე მაღალია მარკეტინგული დანახარჯები. თუ საქონელმა ვერ შეძლო დამკვიდრება იგი გამოტანილი უნდა იქნეს ბაზრიდან.

ეტაპი 3 — სიმწიფის ეტაპი. საქონელი მთლიანად მიღებულია მომხმარებელთა მიერ, მოგება მაღალია.

ეტაპი 4 — გაჯერების ეტაპი. მოცემულ ეტაპზე უკვე აღარ მოიპოვება საქონლის მყიდველთა ახალი ჯგუფები. ამ შემთხვევაში ხშირად აუცილებელია საქონლის ფასის შემცირება მყიდველის შესანარჩუნებლად. ზოგჯერ შესაძლებელი ხდება ამ ეტაპის გახანგრძლივება საქონლის ახალი მოდიფიკაციების შექმნის გზით. ამ ეტაპზე მოგება უფრო მცირდება.

ეტაპი 5 — დაცემის ეტაპი. მოგება აქ ნულისკენ მიისწრაფვის, რის გამოც საქონელი გამოსატანია ბაზრიდან.

საქონლის სასიცოცხლო ციკლის მოცემული აღწერილობიდან გამომდინარეობის, რომ ამა თუ იმ მომენტში მისთვის დადგება დაცემის ფაზა და აუცილებელია მისი ბაზრიდან გამოტანა. ამის გამოა, რომ ფირმა იშვიათად ყიდის მხოლოდ ერთი სახის საქონელს. საწარმოო პროგრამის სავაჭრო დონეზე შესანარჩუნებლად ყოველთვის უნდა გაანალიზდეს და შესაბამისად გადაწყდეს სამი პრობლემა:

ა) ახალი სახის საქონლის შემუშავება ან წარმოების უფლების შეძენა რომელიც დაწყებული უნდა იქნეს ჯერ კიდევ დაგეგმვის ეტაპზე;

ბ) უკვე არსებული საქონლის ანალიზი ზრდის, სიმწიფისა და გაჯერების ეტაპზე იმათი შერჩევის მიზნით, რომელთა განვითარებაც პრიორიტეტული უნდა გახდეს;

გ) იმ საქონელზეა უარის თქმა, რომელიც დაცემის ეტაპზეა.

მოცემული ანალიზი ხორციელდება, როგორც წესი, სპეციალური მოდელების თარგლებში, ე.წ. საასორტიმენტო პორტფელების მოდელებში, რომლებიც ზრდის პირობების კლასიფიკაციისა და ცალკეული სახის საქონლის კონკურენტუნარიანობის საფუძველზე შესაძლებლობას იძლევა ფირმის მიწოდების პერსპექტივების საერთო შეფასებისათვის.

ერთ-ერთი ასეთი მოდელი — განიხილება შემდეგ პარაგრაფში.

5.4.3. ბოსტონის მოდელი

ბაზრის ზრდის ტემპები	მაღალი	„ვარსკვლავები“	„კითხვის ნიშნები“
	დაბალი	„მეწველი ძროხები“	„ძაღლები“
		დიდი	მცირე
საწარმოს წილი ბაზარზე			

ნახ. 5.4. ბოსტონის მოდელი

ნახ. 5.4. მოცემულია გამარტივებული და დანიის პირობებს მორგებული ბოსტონის მოდელი (ასევე წოდებული მატრიცა). ეს მოდელი აღწერს საწარმოს საასორტიმენტო პორტფელს ორი ფაქტორის გათვალისწინებით, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბაზარზე წრმატებების მიღწევაში. მათ „წარმატების ფაქტორებს“ უწოდებენ: ესაა ბაზრის ზრდის ტემპები (განლაგებულია ვერტიკალურად) და საწარმოს წილი ბაზარზე (განლაგებულია ჰორიზონტალურად).

საწარმოს საასორტიმენტო პორტფელი აღიწერება მოცემული საწარმოს თითოეული საქონლის მოთავსებით მატრიცის ოთხი ველიდან ერთ-ერთში. ზოგადად ისინი შეესაბამება საქონლის სასიცოცხლო ციკლის ეტაპებს. თითოეულს მატრიცის ოთხი ველიდან მიწერილი აქვს საკმაო ხატოვანი დასახელება, რომელიც სრულად გამოდგება მოცემულ ველში მოთავსებული საქონლის დასახასიათებლად.

„მეწველი ძროხები“ იკავებენ ბაზრის უმეტეს ნაწილს და ზრდის დაბალი ტემპები აქვთ. საქონელი იმყოფება სიმწიფის ან გაჯერების ეტაპებზე. ისინი უკვე დამკვიდრდა ბაზარზე, და მათი გასაღების დონის შენარჩუნებისათვის არ მოითხოვება განსაკუთრებით მსხვილი ინვესტიციები ან მარკეტინგული დანახარჯები. ისინი უზუნველყოფენ მაღალ მოგებას და მნიშვნელოვნად ამაგრებენ საწარმოს საფინანსო მდგომარეობას.

მოცემული საქონლის მწარმოებლისათვის მთავარია ბაზარზე თავისი წილის შენარჩუნება და შესაძლებლობების შექმნა სასიცოცხლო ციკლის ამ ეტაპების გახანგრძლივებისათვის „კოსმეტიკური“ მოდიფიკაციების ხარჯზე, გამოყენების ახალი შესაძლებლობებისა და გაერცელების არხების მოძებნა, აგრეთვე შესაძლო გეოგრაფიული ექსპანსიის მეშვეობით. ფასობრივი კონკურენცია მინიმუმამდე უნდა იქნეს დაშვებული, ე.ი. შემოიფარგლოს ბაზარზე მხოლოდ მოცემული საქონლის სავაჭრო წილის შენარჩუნებით.

„ვარსკვლავებს“ ზრდის მაღალ ტემპებთან ერთად ბაზარზე მნიშვნელოვანი წილი უჭირავთ. ეს საქონელი ზრდის ეტაპზე იმყოფება. მზარდ ბაზარზე თავიანთი პოზიციების განმტკიცებისათვის ისინი მნიშვნელოვან ინვესტიციებს და მარკეტინგულ დანახარჯებს მიაღწევენ საქონლებზე. ეს საქონელი ამჟამებს საწარმოს საფინანსო მდგომარეობას მანამდე, ვიდრე სიმწიფისა და გაჯერების ეტაპებში არ მიაღწევს, როდესაც კარგ „მეწველ ძროხებად“ გადაიქცევა.

ამ საქონლის მწარმოებლისათვის მთავარია დამკვიდრდეს ბაზარზე ან მოიპოვოს კიდევ უფრო მეტი ნაწილი ინვესტიციებით წარმოებაში გავრცელების კიდევ უფრო ფართო შესაძლებლობების გამოძებნის გზით.

„ძაღლები“ (ანუ „დაღლილი ბებერი ძაღლები“) ბაზრის მცირე ნაწილს იკავებენ მისი ზრდის დაბალი ტემპებისას. ეს საქონელი დაცემის ეტაპზე იმყოფება — მის ხარჯზე მისაღები მოგება მეტად შეზღუდულია და მათი წვლილი საწარმოს ფინანსურ სახსრებში განსენებად არ ღირს.

შეიძლება ამ საქონლის გასაღების გაგრძელება, ვიდრე მას კიდევ ყიდულობენ, მაგრამ უკვე აუცილებელია დაფიქრება ბაზრიდან მის გამოყვანაზე. თუმცა გამორიცხული არაა მოცემული საქონლის განსაზღვრული მოდიფიკაციების შექმნამ თავისი თავი გაამართლოს.

„კითხვის ნიშნები“ (ანუ „ძნელი ბავშვები“) შეიცავენ საქონელს, რომელსაც მცირე ნაწილი უჭირავს ბაზარზე ზრდის მაღალი ტემპებისას. ეს საქონელი იმყოფება ბაზრიდან გამოყვანის ეტაპზე, მისგან მოტანილი მოგება მცირეა (ზოგჯერ უარყოფითი), მისი გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ნეგატიურია, ვინაიდან ის შემდგომ ინვესტიციებს და აგრეთვე მარკეტინგულ დანახარჯებს საჭიროებს იმაზეც, რომ შეინარჩუნოს ბაზრის ის ნაწილი, რომელიც მას აქვს.

ფირმა ყურადღებას უნდა ადევნებდეს ამ საქონელს და განსაზღვრულ სტადიაზე გადაწყვიტოს — ღირს თუ არა მოცემულ საქონლის წარმოების გაგრძელება შემდგომში ინვესტიციებით, რათა გადააქციოს იგი „ვარსკვლავად“, თუ ხელსაყრელია მასზე უარის თქმა.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ბოსტონის მოდელი ითვალისწინებს საქონლის სასიცოცხლო ციკლის ყველა ძირითად სტადიას — ზრდას, სტაბილიზაციას და დაცემას. ამის შესაბამისად მთავარი აქცენტი ისმება მასზე, რომ საწარმოს ასორტიმენტული პორტფელი ყოველთვის უნდა შედგებოდეს საჭირი პროპორციებით წარმოდგენილი „მეწველი ძროხებისა“ და „ვარსკვლავებისაგან“ და აგრეთვე შეიცავდეს „კითხვის ნიშნების“ განსაზღვრულ რაოდენობას. რაც შეეხება „დაღლილ ბებერ ძაღლებს“, მის მოშორებას ცდილობენ, როგორც წესი, მასზე უარს ამბობენ.

5.4.4. საქონელს შორის ურთიერთდამოკიდებულება

§ 5.2-ში განხილული იყო საქონელზე მოთხოვნის დეტერმინანტები, აღნიშნა, რომ სხვათა რიცხვში მოთხოვნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტერმინანტად ითვლება ფასი სხვა საქონელზე. ძირითადად ეს შეეხება იმ საქონელს, რომელიც ურთიერთშეცვლილია (საქონელი-სუბსტიტუტი) ანუ ურთიერთშემავსებელია (კომპლემენტალური საქონელი) მოცემული საქონლის მიმართ.

ა) ურთიერთშემცველი საქონელი

ურთიერთშემცველ საქონელში იგულისხმება ის საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს მუიღველთა ერთ და იგივე მოთხოვნას.

მათზე შეიძლება ითქვას, რომ ეს საქონელი ერთმანეთს კონკურენციას უწევს მუიღველობითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

ურთიერთშემცველი საქონლის მიმართ მოქმედებს წესი, რომ თუ ფასი რომელიმე მათგანზე იზრდება, მეორეზე მოთხოვნილება მატულობს. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ სიმინდის ბურღულის ფასი გაიზარდა. მოთხოვნა მასზე ამ შეთხვევაში დაეცემა და ერთდროულად გაიზრდება მოთხოვნა მის შემცველ საქონელზე — შერიის ბურღულზე, თუმცა მათზე ფასი უცვლელი დარჩა. ეს ურთიერთდამოკიდებულება ილუსტრირებულია ნახ. 5.5.




ნახ. 5.5. ურთიერთშემცველი საქონელი

ბ) ურთიერთშემავსებელი საქონელი

ურთიერთშემავსებელ საქონელს წარმოადგენს საქონელი, რომელიც ერთმანეთს ავსებს და ამასთან აკმაყოფილებს მუიღველთა ერთ განსაზღვრულ მოთხოვნილებას.

თუ ამ საქონლიდან რომელიმეს ფასი მციდება, მოთხოვნა მეორეზე იზრდება. მაგ., თუ კომპაქტდისკების ფირსაკრავის ფასი მცირდება, მათზე მოთხოვნა იზრდება. რამდენადაც ფირსაკრავზე მოთხოვნა გაიზარდა, მაშინ იზრდება მოთხოვნაც მათ შემავსებელ საქონელზე — კომპაქტ-დისკებზე. ამ ურთიერთდამოკიდებულებას გვიჩვენებს ნახ. 5.6.

7. ფირმის ეკონომიკა



ნახ. 5.6. ურთიერთშემავსებელი საქონელი

ნათქვამიდან გამომდინარეობს — ურთიერთშემცველობა და ურთიერთშეგება დიდ გავლენას ახდენს მოცემული საქონლის ყველა ბაზარზე. თუ საწარმო ორი ან მეტი სახის საქონელს ასაღებს, რომელიც ერთმანეთის მიმართ ურთიერთშემცველი ან ურთიერთშემავსებელია, მაშინ მან ისინი თავის დაგეგმვაში უნდა განიხილოს როგორც ერთი საქონელი.

5.5. ბაზრის სუბიექტები

5.5.1. მყიდველები

მყიდველებს (კლიენტებს), რა თქმა უნდა, ცენტრალური ადგილი უჭირავს ბაზარზე, სადაც საწარმო თავისი საქონლის გასაღებას ცდილობს. ამიტომ ცალკეული ფირმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ დამოკიდებულებაშია მყიდველი მასთან და საქონელთან, ამასთან კავშირში ასწავებენ ერთგვაროვან და არაერთგვაროვან ბაზრებს.

ერთგვაროვან ბაზარში იგულისხმება ბაზარი, სადაც ცალკეული მყიდველისათვის მნიშვნელობა არა აქვს (სულერთია) რომელ გამყიდველისაგან იყიდის იგი მისთვის საჭირო საქონელს.

ამგვარად, ერთგვაროვან ბაზარზე მყიდველი არც ერთ გამყიდველს არ ანიჭებს უპირატესობას. ასეთ ბაზარს კიდევ არაპრეფერენტულს უწოდებენ.

არაერთგვაროვან ბაზარში იგულისხმება ბაზარი, სადაც ცალკეული მყიდველი გამყიდველთაგან რომელიმე მათგანს და (ან) მის საქონელს უპირატესობას (მეტწილეობას) ანიჭებს.

არის მნიშვნელოვანი, რომლის მიხედვითაც ბაზარს უპირატესობა შეიძლება მიეცეს. ჩამოვთვალოთ ზოგიერთი უფრო არსებითი. ერთგვაროვან ბაზარზე შემოთავაზებული საქონელი სტანდარტიზებულია და ამიტომ მყიდველისათვის სულერთია, რომელი გამყიდველისაგან იყიდის მას. ერთი რომელიმე გამყიდველისაგან შემოთავაზებულ

დიფერენცირებულ საქონელს, პირიქით, ისეთი თვისება აქვს, რომ მყიდველის თვალში იგი მეტ-ნაკლებად-მიმზიდველია ბაზარზე სხვა გამყიდველთა მიერ შემოთავაზებულ საქონელთან შედარებით. დიფერენცირებული საქონელი, ამიტომ, შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რომ ბაზარი არაერთგვაროვანი ხდება.

გამყიდველის გეოგრაფიულ მდებარეობას აგრეთვე შეუძლია გავლენა მოახდინოს იმაზე, რომ მყიდველი უპირატესობას აძლევს გარკვეულ გამყიდველს და ამით ბაზარს არაერთგვაროვანს ხდის. ეს არანაკლებად ეხება საცალო ვაჭრობასაც, როდესაც ფირმის პატრონები ცდილობს მყიდველთა პატივცემის მოპოვებას, მაგალითად, თავიანთი დაწესებულების მჭიდროდ დასახლებულ რაიონში, სატრანსპორტო მაგისტრალების ახლოს ან სატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის მოხერხებულ ადგილებში განლაგების ხარჯზე.

სხვა მიზეზებად, რომელთა მიხედვითაც მყიდველი უპირატესობას ანიჭებს ამა თუ იმ ფირმის საქონელს, შეიძლება დავასახელოთ სერვისული მომსახურება, ისეთები, როგორიცაა საქონლის მიტანა, ჩეკებით ვაჭრობა, დაწესებულების გარე სახე და კლიენტთა კარგი მომსახურება.

ერთგვაროვანი ბაზარი უნდა იყოს მისაწვდომი, ე.ი. მყიდველს ჰქონდეს მისი დაკვირვების შესაძლებლობა. თუ ბაზარი არ არის მისაწვდომი მყიდველებისათვის, მაგალითად, გამყიდველთაგან დიდი დაშორების გამო, მაშინ ისინი რისკულობენ „საბედისწერო“ უპირატესობა მისცენ ამა თუ იმ გამყიდველს, რომელსაც ახლოს ხედავენ.

პრაქტიკაში თითქმის არ არსებობს ბაზარი, რომელიც პასუხობდეს ერთგვაროვანი ბაზრის ყველა თეორიულ მოთხოვნას. მაინც ბაზრის ასეთი გაგება მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს, რამდენადაც ბაზრების ნაწილი (საბირჟო ვაჭრობა, საერთაშორისო ვაჭრობის ნაწილი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრები) თავისი ხასიათი ერთგვაროვანს უახლოვდება.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე რომ უპირატესობა შეიძლება გამოიხატებოდეს სუსტად და მკვეთრად. არაერთგვაროვანი ბაზრები სუსტად გამოხატული უპირატესობების ერთგვაროვან ბაზრებს უახლოვდება. მეორე პოლუსზე მდებარეობს მკვეთრად გამოხატული უპირატესობების ბაზრები. ცალკეულ ფირმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უპირატესობის ხარისხს, რომელიც იმ ბაზარზე არსებობს, სადაც იგი მოქმედებს.

5.5.2. მიმწოდებლები

საწარმოს მიმწოდებლები ისევე მნიშვნელოვან სუბიექტებად ითვლებიან იმ ბაზარზე, სადაც ის მოქმედებს. ეს ეხება როგორც ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, მზა პროდუქციის მიმწოდებლებს და მომსახურებას, ასევე მანქანა = დანადგარების და სხვა ძირითადი კაპიტალის ელემენტების მიმწოდებლებს. საწარმოს ეკონომიკისათვის მეტი სმეტად მნიშვნელოვანია, რომ მან თავისთვის უზრუნველყოს ყველა აუცილებელი მიწოდება, კარგი სერვისული მომსახურება – ხელსაყრელ საკრედიტო პირობებში და ბოლოს, მიაღწიოს შეღავათიან შესასყიდ ფასებს თავის მიმწოდებლებთან.

ბაზარზე, სადაც მძაფრი კონკურენცია მიმდინარეობს შესაძლო მიმწოდებელთა შორის, ფირმა რომელიც საჭირო ყურადღებას აქცევს შესყიდვებს, შეუძლია ადვილად გადაწყვიტოს მოცემული პრობლემები. ეს მნიშვნელოვნად უფრო რთული ხდება იმ შემთხვევაში, როცა მიმწოდებლები მეტად ხელსაყრელ პირობებში იმყოფებიან მოლაპარაკების წარმართვისათვის. მათ შეუძლიათ ფასების გადიდებით მისაწოდებელი პროდუქციის ხარისხის შემცირებით, სერვისული მომსახურებით დამუქრება, მიწოდებისა და განაღდების ხასიათის მიმართ ახალი პირობების წამოყენება და ა.შ. ამით ფირმის მოგება შეიძლება დაეცეს. ამნაირი ძუქარა შეიძლება წარმოიქმნას მრავალ შემთხვევაში, მაგალითად, თუ პოტენციალური მიმწოდებლების შეზღუდული რაოდენობა (შეიძლება ერთიც) არსებობს ან თუ მისაწოდებელი პროდუქტი ფრიად სპეციფიკურია და ამასთან მეტისმეტად მნიშვნელოვანია მისი ფირმის მყიდველისათვის.

5.5.3. კონკურენტები

როგორც წესი ფირმა კონკურენციას უწევს სხვა საწარმოებს, რომლებიც მის კონკურენტებად ითვლებიან.

ის საშუალებები, რომლებსაც ფირმა იყენებს კონკურენტულ ბრძოლაში, განხილული იქნა § 5.3.-ში, როგორც გასაღებაზე ზემოქმედების პარამეტრები. ზოგიერთ ბაზარზე ეს პარამეტრები პრაქტიკულად არ მოქმედებს. სხვებზე კონკურენცია ძირითადად ფასების ბრძოლის ხარჯზე ხდება, არის ისეთი ბაზრებიც, სადაც გამყიდველი უარს ამბობენ ფასების ბრძოლაზე და მის ნაცვლად იყენებენ, მაგალითად, რეკლამას, როგორც კონკურენციის საშუალებას. კონკურენტულ ბრძოლაში გასაღებაზე თუ როგორ უფრო სწრაფად იქნეს გამოყენებული ზემოქმედების პარამეტრები, უმეტესწილად დამოკიდებულია იმაზე, მოცემულ კონკურენტულ შემთხვევაში კონკურენციის რომელ ტიპზეა (ბაზრის ტიპზე) საუბარი.

5.5.4. კონკურენციის ტიპები

კონკურენციის ტიპები განისაზღვრება ორი შემდეგი გარემოებით:

- ა) კონკურენტების საწარმოთა რაოდენობითა და სიდიდეებით;
- ბ) რომელზეა საუბარი — ერთგვაროვან თუ არაერთგვაროვან ბაზარზე ანუ ეძლევა თუ არა უპირატესობა ბაზარზე რომელიმე კონკურენტს.

გამყიდველთა რაოდენობიდან და მყიდველთა უპირატესობებიდან გამომდინარე, შეიძლება შევადგინოთ კონკურენციის ტიპების ცხრილი (ცხრ. 5.2.). ეს ცხრილი თეორიულია იმ გაგებით, რომ მასში შეუძლებელია მოთავსდეს პრაქტიკულად არსებული ყველა საწარმო. მიუხედავად ამისა მსგავსი შემოთავაზებული დაყოფის საფუძველზე შეიძლება შეიქმნას წარმოდგენა იმაზე, თუ კონკურენციის ტიპებიდან რომელთან უფრო ახლოსაა ბაზარი.

ცხრილი 5.2. კონკურენციის ტიპები

გამყიდველთა რიცხვი	უპირატესობების არსებობა	
	ერთგვაროვანი ბაზარი	არაერთგვაროვანი ბაზარი
ბევრი	სრული კონკურენცია	მონოპოლისტური კონკურენცია
ცოტა	ოლიგოპოლია	დიფერენცირებული ოლიგოპოლია
ორი	დუოპოლია	დიფერენცირებული დუოპოლია
ერთი მსხვილი რამ. მცირე	ნაწილობრივი მონოპოლია	დიფერენცირებული ნაწილობრივი მონოპოლია
ერთი		

იგულისხმება, რომ მყიდველთა რიცხვი ყველა შემთხვევაში დიდია. კონკურენციის ის ტიპები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან არც სრულ კონკურენციას, არც მონოპოლიას არასრული კონკურენციის სახელწოდება მიიღეს.

ა) სრული კონკურენცია

ერთ-ერთ პოლარულ საბაზრო სტრუქტურად ითვლება ერთგვაროვანი ბაზარი, სადაც მრავალი მცირე გამყიდველი მოქმედებს. ასეთ ბაზარზე მეფობს სრული (წმინდა) კონკურენცია.

საბაზრო ფასი წარმოიქმნება როგორც გამყიდველთა საერთო მიწოდებისა და მყიდველთა მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულების

შედეგი (იხ. §5.1). ცალკეული გამყიდველისათვის საბაზრო ფასი გარედან დადგენილი აღმოჩნდება, რამდენადაც თვითონ მას არ შეუძლია მასზე ვავეუნა. რამდენადაც ბაზარი ერთგვაროვანია, შეუძლია მოცემული საქონლის ფასის საბაზროზე მაღალი აწევა — ამ შემთხვევაში მყიდველები მის შექენას სხვა გამყიდველებისაგან დაიწყებენ.

გამყიდველს აგრეთვე არა აქვს ფასის შემცირების სტიმულები მას ზომ შეუძლია მთელი თავისი პროდუქციის რეალიზაცია საბაზრო ფასით, რადგან ცალკეულ გამყიდველს ბაზარზე უმნიშვნელო წილი უჭირავს. ამგვარად, გამყიდველმა უნდა მიიღოს მოცემული საბაზრო ფასი და მის შესაბამისად განსაზღვროს თავისი მიწოდების მოცულობა. ასეთ საწარმოებს უწოდებენ მიწოდების მოცულობის განმსაზღვრელ ფირმებს.

მაგალითი.

ავხსნათ მოცემული სიტუაცია მაგალითით. გამყიდველი, რომელიც საკმაო საწარმოო პოტენციალს ფლობს, რათა ყოველთვიურად გადაიტანოს A პროდუქციის 800 ცალი, ვარაუდობს, რომ A — პროდუქტის საბაზრო ფასი 20 კრონი იქნება. გამყიდველის მიერ საქონლის გასაღების სხვადასხვა მნიშვნელობების და მისი შესაბამისი მთლიანი ამონაგების (ფასი გასაღებაზე) შეიძლება გამოითვალოს ისე, როგორც ნაჩვენებია ცხრ. 5.3.


ცხრილი 5.3. სრული კონკურენცია

ფასი, კრონი	თვიური გასაღება, ცლ.	მთლიანი ამონაგები, კრონი
20	0	0
20	200	40 000
20	400	80 000
20	600	120 000
20	800	160 000

სრული კონკურენცია ნაჩვენებია ნახ. 5.7. სადაც პირველ დიაგრამაზე ნაჩვენებია გასაღების მრუდი (CB) მრუდი, მეორეზე — მთლიანი ამონაგების (BB) მრუდი. შევნიშნოთ, რომ მთლიანი ამონაგების მრუდი პროპორციულად აღმაგალია; გასაღების ერთი ცალით ზრდა იწვევს მთლიანი ამონაგების გარკვეული სიდიდით ზრდას, რაც ფასის ტოლია.

სინამდვილეში პრაქტიკაში იშვიათია ისეთი სიტუაციის მაგალითის პოვნა, სრული კონკურენციის ცნებას რომ მთლიანად პასუხობდეს. მაინც ეს ცნება საკმაოდ ზუსტად ახასიათებს სიტუაციას ვაჭრობის მნიშვნელოვანი რაოდენობის დარგებში (საბირჟო ვაჭრობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობა, ნედლეულის ზოგიერთი

სახეებით მსოფლიო ვაჭრობა და ა.შ.)



ნახ. 5.7. სრული კონკურენცია

ბ) მონოპოლია

თუ ცხრ. 5.2. ერთ-ერთ პოლარულ სტრუქტურას წარმოადგენს სრული კონკურენცია, მეორე პოლუსზე მდებარეობს წმინდა ანუ აბსოლუტური მონოპოლია. მონოპოლიისას საქონლის მხოლოდ ერთი გამყიდველი არსებობს. რადგანაც მონოპოლისტს კონკურენტები არ ჰყავს, აქ სახეზეა ბაზარზე მოთხოვნისა და გასაღების მონოპოლისტის დამთხვევა.

მონოპოლისტმა უნდა გადაწყვიტოს ერთი პრინციპული საკითხი — იყოს ის ფასის განმსაზღვრელი ფირმა თუ მიწოდების მოცულობის (გასაღების) განმსაზღვრელი ფირმა. უპრავლესობა ესწრანფვის განსაზღვროს ფასი, ეს ნიშნავს, ისინი ადგენენ საქონლის ფასს და მყიდველებს თავაზობენ თვითონ გადაწყვიტონ როგორი იქნება გასაღების სიდიდე. ის ფირმა, რომელიც განსაზღვრავს მიწოდების მოცულობას, ბაზარზე გამოაქვს საქონლის განსაზღვრული რაოდენობა, რის შემდეგ ბაზარი თვითონ ადგენს ფასს. ეს ხდება მაგალითად სააუქციონო ვაჭრობაში.

მაგალითი.


— ავხსნათ სიტუაცია, რომელშიც ექცევა მონოპოლისტი, შემდეგი მაგალითით. მონოპოლისტმა გაიანგარიშა, რომ E — საქონლის ფასსა და გასაღების (გასაღების მაჩვენებლებს შორის) მოცულობას შორის ურთიერთდამოკიდებულება მომდევნო პერიოდში ისეთი იქნება, როგორც აღნიშნულია ცხრ. 5.4. პირველ ორ სვეტში. ბოლო მარჯვენა სვეტში ნაჩვენებია მთლიანი ამონაგების სიდიდის შესაბამისი ცვლილება (გამოთვლილია ფორმულით: ფასი - გასაღებაზე = მთლიან ამონაგებს).

ცხრილი 5.4. მონოპოლია

ფასი, კრონი	გასაღება, კგ.	მთლიანი ამონაგები, კრონი
11	0	0
10	1000	10 000
9	2000	18 000
8	3000	24 000
7	4000	28 000
6	5000	30 000
5	6000	30 000
4	7000	28 000
3	8000	24 000


ნახ. 5.8. ნაჩვენებია მონოპოლისტის გასაღებისა (CE) და მთლიანი ამონაგების (BB) მრუდები. მონოპოლისტის გასაღების მრუდი (რომელიც აღნიშნული იყო, ემთხვევა მოთხოვნის მრუდს) ყველა ბაზარზე, დაბლა ესწრაფვის; მარჯვენა გრაფიკზე ჩვენ აქ ვხედავთ, რომ ფასის შემცირება თავდაპირველად იწვევს მთლიანი ამონაგების ზრდას. რომელიღაც მომენტში — ფასის 6-დან 5 კრონამდე დაცემისას — ფასის დაწვევა წონასწორდება რეალიზებული პროდუქციის მოცულობის ზრდით და მთლიანი ამონაგები ერთსა და იმავე მნიშვნელობას ინარჩუნებს. ფასის შემდგომი დაცემა იწვევს მთლიანი ამონაგების შემცირებას.

პარაქტიკაში ძნელია აბსოლუტური მონოპოლიის მაგალითის პოვნა. მონოპოლისტს შეუძლია თავისი გასაღების ისე დაგეგმვა, რომ კონკურენტები მხედველობაში არ მიიღოს. მაგრამ მაინც როგორი საქონელი არ უნდა განვიხილოთ, გამყიდველმა ყოველთვის მხედველობაში უნდა მიიღოს მისი საქონლის სხვა რომელიმე შემცველის არსებობის შესაძლებლობა. უმრავლეს შემთხვევაში სადაც სიტუაცია მონოპოლიის მდგომარეობას უახლოვდება, საუბარია სახელმწიფო და მუნიციპალურ საწარმოებზე. ასე დგას საქმე ენერჯო და გაზომომარაგებასთან, ტელეკომპანიების ნაწილთან, სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტის უმეტეს ნაწილთან.



ნახ. 5.8. მონოპოლია


თუმცა მონოპოლია, ისე როგორც სრული კონკურენცია, საერთოდ წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც თეორიული აბსტრაქცია, ბაზრი ამ ფორმის ძირითადი პრინციპები პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს. სრული კონკურენცია და აბსოლუტური მონოპოლია უნდა გავოგოთ როგორც ორი თეორიულად არსებული პულსი, რომელთა შორის პრაქტიკაში — არასასურველი კონკურენციის პირობებში — რეალური ფირმები მოქმედებენ.



გ) დუოპოლია

დუოპოლია ეწოდება ისეთ სიტუაციას, როდესაც ერთგვაროვან ბაზარზე მოქმედებს მხოლოდ ორი გამყიდველი, ე.ი. ისინი თავაზობენ სტანდარტიზებულ საქონელს მისაწვდომ ბაზარზე.

წარმოვიდგინოთ ბაზარი ორი გამყიდველით (A და B), სადაც B — საქონელზე მიწოდებასა და მოთხოვნის (C) სიდიდეები დაბალანსებული 10 000 ცლ. საქონლისას თითოეული 20 კრონის საბაზრო ფასის პირობებში. თუ მყიდველისათვის სულერთია, ვისგან იყიდის ის საქონელს (უპირატესობების არ არის), მაშინ მათი ნაყიდები შემთხვევითობის პრინციპის შესაბამისად თანაბრად განაწილდება ორ დუოპოლისტს შორის. ამგვარად A და B ბაზარს თანაბრად დაინაწილებენ. ნახ. 5.9. გამოხატავს მოცემულ სიტუაციას.



ნახ. 5.9. დუოპოლია, ბაზრის დანაწილება

ვთქვათ, A — ფირმამ ფასს დაწლო. ამ შემთხვევაში B — ფირმა აგრეთვე იძულებულია შეამციროს ფასი, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერაფერს გაყიდის, რადგან ბაზარი ერთგვაროვანია (არა პრეფერანტული). თუ ერთ-ერთი ფირმა (A ან B) შემდგომშიც დაუკლებს ფასს, მაშინ მეორეც იძულებული იქნება გააგრძელოს მისი შემცირება: ამ სიტუაციაში ამბობენ ფასების ომზე, რომელიც მხოლოდ მაშინ წყდება, როდესაც რომელიმე ფირმა ნებდება ანუ როცა A და B-ს ერთმანეთს შორის შესაბამის ხელშეკრულებას აფორმებენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ორივე დუოპოლისტი დაინტერესებული არაა ფასების ცვლილების გაგრძელებაში, და შეიძლება მოხდეს, რომ ისინი ამ საკითხზე საიდუმლო მოლაპარაკების გაფორმებაზე წავლენ. თუ მოცემულ მოლაპარაკებაში საუბარი იქნება ერთიანი ფასების შენარჩუნებაზე, მაშინ შეიძლება მონოპოლია.

არაერთგვაროვანი ბაზარი ორი გამყიდველით დიფერენციალურ დუოპოლიად იწოდება. აქ გამყიდველებს შესაძლებლობა აქვთ ერთმანეთს კონკურენცია გაუწიონ ფასების გარდა გასაღებაზე ზემოქმედების ყველა სხვა პარამეტრის გამოყენების ხარჯზე. მაგალითად, ისეთი პარამეტრების გამოყენების ხარჯზე, როგორცაა ხარისხი და რეკლამა, შეიძლება მყიდველის იძულება უპირატესობა მისცეს სახელდობრ თავისი საქონლის მოდიფიკაციას. ამის გამო აქ ძნელია ზუსტად განისაზღვროს, როგორ ნაწილდება ბაზარი. საკმარისია ითქვას, რომ მისი უმეტესი წილი ექნება იმ გამყიდველს, ვინც უკვე შეძლებს თავისი საქონლის დიფერენცირებას და ამგვარად მოიპოვებს მყიდველთა უპირატესობებს.

კონკურენციის ამ ტიპის ფარგლებში, აგრეთვე, შესაძლებელია ფარული შეთანხმებების გაფორმება, რომელიც გასაღებაზე ზემოქმედების ფაქტორების გამოყენებას ეხება (მაგ. შესაძლებელია ფარული შეთანხმება სარეკლამო კომპანიის შეზღუდვაზე).

დ) ოლიგოპოლია

ოლიგოპოლია წარმოიშევა იმ შემთხვევაში, როდესაც ერთგვაროვან ბაზარზე გამყიდველთა მეტ-ნაკლებად მცირე რიცხვი მოქმედებს. რაც ნაკლებია მათი რიცხვი, სიტუაცია მით უფრო გვაგონებს დუოპოლიას, და პირიქით რაც მეტია — მით უფრო ახლოსაა იგი სრულ კონკურენციასთან.

ბაზრის დანაწილება ოლიგოპოლიისას პრინციპულად ისე ხდება, როგორც დუოპოლიის შემთხვევაში, ე.ი. გამყიდველები ინარჩუნებენ ერთიან ფასს და ბაზარს თანაბრად იყოფენ. მაგრამ ფასის დადგენა და შენარჩუნება აქ გართულებულია გამყიდველთა მეტი რიცხვის გამო.

დიფერენცირებული ოლიგოპოლია წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როცა გამყიდველთა მცირე რაოდენობა მოქმედებს არაერთგვაროვან ბაზარზე. ეს ბაზრის უფრო გავრცელებული ტიპია, სადაც საქონლის ხარისხისა და რეკლამის მკაცრი კონკურენცია არსებობს.

ე) ნაწილობრივი მონოპოლია

ერთგვაროვან ბაზარს ერთი მსხვილი და რამდენიმე მცირე გამყიდველით ნაწილობრივ მონოპოლიას უწოდებენ, თავისი უმნიშვნელო მოცულობის გამო მცირე გამყიდველებს არ შეუძლიათ ფასობრივი პოლიტიკის გატარება. მოცემულ შემთხვევაში ფასი მსხვილი ფირმის მიერ დგება, რომელიც ფასობრივი ლიდერის როლში გამოდის.

მცირე საწარმოებისათვის აქ სიტუაცია სრული კონკურენციის მსგავსია. „საბაზრო ფასი“ მყარდება მსხვილი ფირმის მიერ (არასრული მონოპოლისტის მიერ), ხოლო ყოველი მცირე ფირმა თავისი მიწოდების მოცულობას არკვევს.

მსხვილი ფირმა გასაღების დაგეგმვისას უნდა ითვალისწინებდეს მცირე ფირმების მიწოდების სიდიდეს.

დიფერენცირებული ნაწილობრივი მონოპოლიისას ხშირად ხდება, რომ უფრო მსხვილი საწარმო დომინირებს, მაგალითად, საქონლის ახალი მოდიფიკაციების შექმნის (ხარისხი და შეფუთვა), სარეკლამო ექსპანსიის ან მდიდარი ასორტიმენტის ხარჯზე. ფცირე ფირმები მეტ შრომას ხარჯავენ ბაზარზე რომ დამკვიდრდენ, ხშირად ამცირებენ რა ფასებს მსხვილ ფირმასთან შედარებით.

ვ) მონოპოლისტური კონკურენცია

თუ არაერთგვაროვან ბაზარზე მოქმედებს ბევრი გამყიდველი, ლაპარაკია მონოპოლისტურ კონკურენციაზე. საბაზრო სიტუაცია ნაწილობრივ მონოპოლიის ელემენტებს შეიცავს ბაზრის არაერთგვაროვნების გამო, ნაწილობრივ — კონკურენციას გამყიდველთა

დიდი რაოდენობის გამო. მალაზიის მფლობელი, მაგალითად, შეიძლება თავის თავს მონოპოლისტად გრძობდეს თავისი დაწესებულების კარგი ადვილმდებარეობის გამო, მაგრამ ის კონკურენციას შეიგრძნობს იმ გამყიდველთა დიდი რაოდენობის გამო, რომლებიც იგივე საქონელს თავაზობენ.

საწარმოს შეუძლია გამოიყენოს გასაღებაზე ზემოქმედების ყველა პარამეტრი, მაგრამ ერთი არჩევანი განისაზღვრება იმით, რამდენად არაერთგვაროვანია მოცემული ბაზარი.

5.6. გასაღებაზე ზემოქმედების პარამეტრები

5.6.1. საქონლის ფასი

ა) საკუთრივ ზღვრული შემოსავალი და ზღვრული შემოსავალი § 4.5.-ში ჩვენ განვიხილეთ საკუთრივ ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული დანახარჯების ცნებები. საწარმოს შემოსავლების (ამონაგების) სიტუაციის შესწავლით შეგვიძლია ორი ახალი ცნებების შემოტანა: საკუთრივ ზღვრული შემოსავალი და გასაშუალებული ზღვრული შემოსავალი (შემდგომში ზღვრული შემოსავალი).

საკუთრივ ზღვრულ შემოსავალში იგულისხმება საწარმოს ამონაგების სიდიდის ცვლილება გასაღების სიდიდის ერთი ერთეულით ცვლილების გამო.

ზღვრულ შემოსავალში იგულისხმება ამონაგების შემცირების ან გადიდების საშუალო მნიშვნელობა საქონლის ერთეულზე გასაღების სიდიდის ერთი ერთეულით მეტი ცვლილების შედეგად.

ვუბრუნდებით რა ცხრ. 5.4.-ში მოცემული ნ-საქონლის გასაღების მაჩვენებლებს, ჩვენ შეგვიძლია ზღვრული შემოსავლის განსაზღვრა შუალედებში მათ შორის (ცხრ. 5.5.).

ცხრილი 5.5. ზღვრული შემოსავალი


ფასი, კრონი	გაყიდვის მოცულობა (გახალება), კგ.	მთლიანი ამონაგები	ზღვრული შემოსავალი, კრონი ანგარიში	
1	2	3	4	
11	0	0	10 000—0 1000—0	10
10	1 000	10 000	18 000—10000 2 000—1000	8

9	2 000	18 000	24 000—18 000	6
			3 000—2 000	
8	3 000	24 000	28 000—24 000	4
			4 000—3 000	
7	4 000	28 000	30 000—28 000	2
			5 000—4 000	
6	5 000	30 000	30 000—30 000	0
			6 000—5 000	
5	6 000	30 000	28 000—30 000	-2
			7 000—6 000	
4	7 000	28 000	24 000—28 000	-4
			8 000—7 000	
3	8 000	24 000		


განვიხილოთ მთლიანი ამონაგების ცვალებადობა ფასის 10-დან 9 კრონამდე შემცირებისას ($18\ 000 - 10\ 000 = 8\ 000$ კრონი), რომელიც შეიძლება შემდეგნაირად კომენტირდეს: როცა ფასი მცირდება 10-დან 9 კრონამდე ჩვენ „კარგავთ“ მთლიანი ამონაგების 1 000 კრონას, ე.ი. იმ 100 კგ. საქონელს, რომლის 1კგ. შეიძლება 10 კრონად გაყიდულიყო, ახლა კი 1 კრონით იაფად იყიდება. ამასთან ჩვენ „ვიგებთ“ მთლიანი ამონაგების 9 000 კრონს, რადგან ახლა ჩვენ შევძელით 1 000 კგ-ით მეტი საქონლის გაყიდვა 1კგ-ის 9 000 კრონად. მთლიანი ამონაგების სიდიდის წმინდა ცვლილება ამის გამო შემდეგი იქნება: $-1\ 000$ კრონი + $9\ 000$ კრონი = $8\ 000$ კრონი.

ნახ. 5.10 და 5.11-ზე მოტანილია 5.8. ნახ. ორი შესაბამისი გრაფიკი. ნახ. 5.10.-ზე დამატებულია ზღვრული შემოსავალის (ΠΔ) მრუდი.

თუ განვიხილავთ ნახ. 5.10. და 5.11.-ს როგორც ერთ მთლიანს, დავინახავთ, რომ ფასის შემცირება თავდაპირველად იწვევს მთლიანი ამონაგების ზრდას (მრუდი BB აღმავალია) და ზღვრული შემოსავალი ასეთ შემთხვევაში დადებითია (მრუდი ΠΔ განლაგებულია აბსცისთა ღერძის ზემოთ). განსაზღვრულ მომენტში — ფასის შემცირება წონასწორდება რეალიზებული პროდუქციის მოცულობის ზრდით; მთლიანი ამონაგები ამ ინტერვალში მუდმივია (მრუდი BB აღწევს უმაღლეს წერტილს), ხოლო ზღვრული შემოსავალი 0-ის ტოლია (მრუდი ΠΔ კვეთს აბსცისათა ღერძს) ფასის შემდგომი შემცირება გამოიხატება იმაში, რომ მთლიანი ამონაგები კლებას დაიწყებს (მრუდი BB დაღმავალია), ხოლო ზღვრულ შემოსავალს უარყოფითი მნიშვნელობა ექნება (მრუდი ΠΔ განლაგებულია აბსცისის ღერძის ქვემოთ).



ნახ. 5.10. გასაღებისა და ზღვრული შემოსავლის მრუდები



ნახ. 5.11. მთლიანი ამონაგების მრუდი

ბ) მოთხოვნის ფასობრივი ელასტიურობა

ისევ განვიხილოთ ცხრ. 5.5.-ში მოტანილი რიცხვები. ფასის შემცირება 1 კრონით 10-დან 9 კრონამდე პროცენტულ მიმართებაში 10 პროცენტს შეადგენს. ფირმის პროდუქციაზე მოთხოვნის სიდიდის (მაშასადამე, გასაღებისას) შესაბამისი გადიდება 50 პროცენტი იქნება ($1\ 000\ კგ + 1\ 000\ კგ = 2\ 000\ კგ$). რამდენადაც აქ მოთხოვნის სიდიდის გადიდება ფასების შემცირებაზე სწრაფად ხდება, მოთხოვნას ელასტიურს უწოდებენ (ანუ ელასტიურს ფასის მიხედვით, რამდენადაც ჩვენ ფასების ცვლილებას ვიხილავთ მოთხოვნის / გასაღების მოცულობის ცვლილების მიმართ). შემდეგ ჩვენ ვხედავთ რომ, რამდენადაც მთლიანი ამონაგები იზრდება გასაღების გადიდებასთან ერთად, ზღვრულ შემოსავალს დადებითი მნიშვნელობა აქვს.

ელასტიური მოთხოვნა ნიშნავს, რომ მთლიანი ამონაგები იზრდება ფასების შემცირებასას და მცირდება მისი გადიდებისას. ამის გამო ზღვრულ შემოსავალს დადებითი მნიშვნელობა აქვს.

როდესაც ფასის შემცირება წონასწოროდება რეალიზებული პროდუქციის მოცულობის ზრდით — ცხრ. 5.5.-ში ინტერვალი 6-დან 5 კრონამდე — მთლიანი ამონაგები მუდმივი იქნება, ხოლო ზღვრული შემოსავალი — ნული. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ მოთხოვნა ნეიტრალურად ელასტიურია.

ნეიტრალურად ელასტიური მოთხოვნა ნიშნავს, რომ მთლიანი ამონაგები ფასის შემცირებისას არ იცვლება. ზღვრული შემოსავალი ამის გამო ნულის ტოლია.

თუ ჩვენს მაგალითში ფასი 5-დან 4 კრონამდე შემცირდება, მაშინ როგორც ვხედავთ, მოთხოვნა (გასაღება) ფირმის პროდუქციაზე გაიზარდება, მაგრამ მთლიანი ამონაგები შემცირდება და ზღვრულ შემოსავალს უარყოფითი მნიშვნელობა ექნება. მთლიანი ამონაგების შემცირება ხდება იმიტომ, რომ ფასის (20 პროცენტით) შემცირება შედარებით მეტია მოთხოვნის (16,7 პროცენტით) გაზრდაზე. ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ მოთხოვნის არაელასტიურობაზე.

არაელასტიური მოთხოვნა ნიშნავს, რომ მთლიანი ამონაგები კლებულბს ფასის შემცირებისას და იზრდება მისი ამაღლებისას. ამის გამო ზღვრულ შემოსავალს უარყოფითი მნიშვნელობა აქვს.

ფასობრივი ელასტიურობის, ფასის ცვალებადობის, მთლიანი ამონაგების (BB) და ზღვრული შემოსავლის (ΠΔ) ურთიერთკავშირი ნაჩვენებია ცხრ. 5.6.

ცხრილი 5.6. მოთხოვნის ელასტიურობა

ფასის ცვალებადობა	ფასობრივი ელასტიურობა		
	ელასტიური მოთხოვნა	ნეიტრალური ელასტ. მოთხოვნა	არაელასტიური მოთხოვნა
ფასის გადიდ.	BB მცირდება	BB უცვლელია	BB იზრდება
ფასის შემც.	BB იზრდება	BB უცვლელია	BB მცირდება
ΠΔ მნიშვ-ბა	დადებითი	ნულოვანი	უარყოფითი

გ) მოთხოვნის ფასობრივი ელასტიურობის დამოკიდებულება მუიდეველის შემოსავლებზე

საქონელზე მოთხოვნის ფასობრივი ელასტიურობა ცვალებადობას განიცდის იმისაგან დამოკიდებულებით, იყიდება ის მაღალი დონის შემოსავლების მუიდეველთა ძირითადი ჯგუფის მიერ, თუ მათ მიერ ვისი ეკონომიკური მდგომარეობა ნაკლებად მყარია.

თუ მოცემული ჯგუფის მუიდეველთა შემოსავლების დონე მაღალია, მაშინ მათი მოთხოვნა ელასტიური იქნება, რადგან საქონლის ფასის

გადიდება ან შემცირება განსაკუთრებულ როლს ვერ ითამაშებს გასაღების შესაძლებლობების თვალსაზრისით.

სხვა სიტუაცია წარმოიქმნება, როცა მოცემული ჯგუფის მყიდველთა შემოსავლების დონე მაღალი არ არის. ამ შემთხვევაში მოთხოვნა ელასტიური იქნება. მყიდველის პირადი ბიუჯეტი აქ ძალზე შეზღუდულია და საქონლის ფასის ნებისმიერი მომატება, აბსოლუტურად აუცილებელის გარდა, მაშინვე მოიწვევს სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობის დანაკარგს.

დ) სხვადასხვა საქონელზე მოთხოვნის ელასტიურობა

არაელასტიურად ითვლება მოთხოვნა საქონელზე, რომელიც მყიდველის შეხედულებით ყოველდღიური მოთხოვნის საქონლად ითვლება (მაგალითად ელექტრო ნათურები, ან მრეწველთათვის — სივარეტი) არის არაელასტიური და პირიქით, მოთხოვნა ფუფუნების საგნებზე ელასტიურია, რადგან ფასების მნიშვნელოვანი გადიდებისას შეიძლება მათი გვერდის ავლა.

ურთიერთშემცვლელი საქონლისათვის მოთხოვნა ჩვეულებრივ ელასტიურად ითვლება. მაგალითად, კარაქზე ფასი თუ მოიმატებს, მაშინ შეიძლება იგი შეიცვალოს მარგარინით. ისეთი საქონლისათვის, რომლის შეცვლა სხვა რამეთი შეუძლებელია, მაგალითად ფქვილი და კვერცხი, მოთხოვნა არაელასტიური იქნება.

მოთხოვნის ელასტიურობისათვის აგრეთვე მნიშვნელობა აქვთ მოცემულ საქონელზე დანახარჯები რა ნაწილს შეადგენს მყიდველის ბიუჯეტში საქონელი, რომელზეც დანახარჯები დიდი არაა (მაგალითად ასანთი, ქინძისთავი, სუნელები) არაელასტიური მოთხოვნის არის. თუკი ლაპარაკია საქონელზე, რომლის ხარჯებიც მყიდველის ბიუჯეტში მნიშვნელოვან წილს შეადგენს (საზაფხულო სახლები, ავტომობილები, საზღვარგარეთ მოგზაურობა), მაშინ უმეტეს შემთხვევაში მათზე მოთხოვნა ელასტიურია.

ე) კონკურენტების რეაქცია ფასის ცვლილებაზე

თეორიულად საკმაოდ მარტივია ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულების გამოყვანა ფირმის პროდუქციის ფასსა და გასაღების მოთხოვნის მოცულობას შორის. პრაქტიკაში კი ხშირად ხდება, რომ გასაღებაზე ზემოქმედების პარამეტრების სახით ფასის გამოყენება მეტისმეტად სახიფათო საქმე ხდება, რადგან გამყიდველებისათვის ერთობ რთულია შეცვალოს ფასი საქონელზე, რომელიც მან უკვე ერთხელ დაადგინა, რადგან მან უნდა გაითვალისწინოს ამასზე თავისი კონკურენტების რეაქცია.

თუ გამყიდველი ერთგვაროვან ბაზარზე მოქმედებს და ისეთ საქონელს თავაზობს, რომელიც შეიძლება შეიცვალოს კონკურენტების

სხვა საქონლით, მაშინ მის მიერ თავის საქონელზე ფასის შეცვლა მეტად სახიფათოა. მისი გადიდებისას რისკი მასში მდგომარეობს, რომ კონკურენტები, რომლებიც მსგავს საქონელს თავაზობენ, თავის სარგებელს დაინახავენ მასში, რომ მათი აღრინდელი ფასით გაყიდვისას ბაზარზე დიდი წილი მოიპოვონ.

ფასის შემცირებისას რისკი მდგომარეობს იმაში, რომ იგი შეიძლება შეამციროს ყველა კონკურენტმა და ამის ხარჯზე მოთხოვნის გადიდებას ყველა გაინაწილებს. გამყიდველი, რომელიც ცდილობს ფასის შემცირების ხარჯზე მეტი წილი ბაზრის დაპყრობას, აღმოაჩენს, რომ ეს წილი გაცილებით ნაკლებია იმაზე, ვინემ ის იმედოვნებდა. მოხდება მისი წილის სტაბილიზაცია ბაზარზე უფრო დაბალი ფასისას.

რადგანაც ცალკეულმა ფირმამ ანგარიში უნდა გაუწიოს კონკურენტების რეაქციას თავის საქონელზე ფასების შესაძლო ცვლილებაზე, გასაღებაზე ზემოქმედების პარამეტრების სახით ფასების ცვლილებით იშვიათად სარგებლობენ. მით უფრო მძაფრია კონკურენცია სხვა პარამეტრების მეშვეობით.

ვ) ფასი, როგორც მყიდველის მოზიდვის საშუალება

ზემოთ განხილული სიტუაციისაგან განსხვავებით, სადაც ფასობრივი კონკურენცია არსებით როლს არ თამაშობს, შეიძლება მოვიტანოთ მაგალითები, როცა ფასი ცალკეულ საქონელზე შეგნებულად საკმაოდ მნიშვნელოვნად მცირდება — ზოგჯერ იგი საშუალო ცვლადი დანახარჯების სიდიდეზე დაბალიც კია — მყიდველის მაქსიმალური მოზიდვის მიზნით. მსგავსი სიტუაცია, რომელიც გავრცელებულია ყოველდღიური მოთხოვნის საქონლის საცალო ვაჭრობაში, დაფუძნებულია ურთიერთდამოკიდებული საქონლის თეორიაზე. საქონელი აქ განიხილება არა იზოლირებულად, არამედ როგორც ტიპური მყიდველის კალათის ნაწილი.

ზ) ფასი როგორც ხარისხის ინდიკატორი

ხშირად მყიდველისათვის ძნელი ხდება, რომ არ ვთქვათ შეუძლებელი, წინასწარ შეაფასოს ამა თუ იმ საქონლის ხარისხი. ამ შემთხვევაში არსებობს ტენდენცია — სხვა კრიტერიუმის უქონლობის გამო — ტოლობის ნიშანი დაისვას ფასსა და ხარისხს შორის.

რიგი საქონლისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირსებას, მაგალითად მოდური ტანსაცმლის ან სხვა საგნებისათვის, რომლითაც მყიდველს შემდგომში შეუძლია იამაყოს, წარმოადგენს მისი თასი, და მაშასადამე, ხარისხიც!

5.6.2. საქონლის ხარისხი და შეფუთვა

როგორც აღრე იყო აღნიშნული, არაერთგვაროვან ბაზარზე მოქმედი გამყიდველი ჩვეულებრივ ცდილობს თავი აარიდოს გამოყენებას გასაღებაზე ზემოქმედების პარამეტრის სახით. გაცილებით უფრო ხშირად გამოიყენება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საქონლის ფასი და შეფუთვა. „ხარისხის“ ცნების ზუსტი განმარტების მოცემა შეუძლებელია, თუმცა იგი მოიცავს თვისებათა ორ ჯგუფს, რომლის საშუალებითაც ის შეიძლება აღიწეროს: **ფუნქციონალური და ორგანოლექტიკური** თვისებები.

საქონლის ფუნქციონალური თვისებები შეიძლება განისაზღვროს ობიექტების საკმაო წილით, მაგალითად, საყინულე კამერის მოცულობა და მის მიერ ელექტროენერჯის მოხმარება, ავტომანქანის მაჩქარებლური შესაძლებლობები, წყვილი შარავლის გამძლეობა. მიუხედავად ამისა, არსებობს მრავალი მაგალითი იმისა, რომ მაღალი ფუნქციონალური თვისებების საქონლის გაყიდვა შეუძლებელია, რადგან ისინი არ პასუხობს მყიდველთა გემოვნებას.

ბევრი საქონლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის ორგანოლექტიკურ თვისებებს. ასე მაგალითად, იგივე საყინულე კამერისათვის და ავტომანქანისათვის ძალზე მნიშვნელოვანია დიზაინი, ფერი და შიდა გაფორმება. შარავლისათვის — ფასონი, ფერი და ა.შ. მოდაზე დამოკიდებული ბევრი საქონლისათვის, როგორიცაა მაგალითად, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ა.შ. ორგანოლექტიკური თვისებები გადამწყვეტია.

რადგან საქონლის ხარისხი მოიცავს მის ორგანოლექტიკურ და ფუნქციონალურ თვისებებს, ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძლება განვსაზღვროთ ცნება „ხარისხი“, როგორც აღნიშნული თვისებების ისეთი შეხამება, რომელიც ყოველმხრივ აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს ან სხვა სიტყვებით, საქონლის ხარისხს განსაზღვრავს მყიდველი.

ხარისხს, როგორც მოთხოვნაზე ზემოქმედების პარამეტრს, ფასისაგან პრინციპული განსხვავება აქვს, რომელიც იმავე ხედვის კუთხით განიხილება. თუ ფირმა ცვლის ფასს თავის საქონელზე, კონკურენტებს, გაიგებენ რა ამას, მაშინვე შეუძლიათ მიიღონ საპასუხო მოქმედებები. სხვაგვარად არის საქმე თუ ფირმა ცვლის თავისი საქონლის ხარისხს ისე, რომ ეს მყიდველის მიერ აღიქმება როგორც გაუმჯობესება. კონკურენტებიც ასევე სწრაფად გაიგებენ ამის შესახებ, მაგრამ არ შეუძლიათ მაშინვე მიიღონ საპასუხო მოქმედებები, როგორც ეს იყო ფასის ცვალებადობის შემთხვევაში. ის საქონელი რომელსაც ისინი აწარმოებენ და რომლის მარაგიც აქვთ, ახლა უარესი ხარისხისაა იმ ფირმის პროდუქციასთან

შედარებით, რომელმაც გააუმჯობესა საქონელი. ლოგიკური საპასუხო სვლა — საქონლის ხარისხის გაუმჯობესება — ჩვეულებრივ ხანგრძლივი პროცესია, რადგან ჯერ საჭიროა ტექნოლოგიის გაუმჯობესება, ახალი მოწყობილობის შექმნა და ა.შ. მოცემული პერიოდის ხანგრძლივობა კიდევ უფრო იზრდება, თუ ახალი ხარისხის პროდუქციის წარმოება საჭიროებს მუშაკების განსაკუთრებულ „ნოუ-ჰაუს“ და ახალი საწარმოო სიმძლავრეების არსებობას, რომელიც აღნიშნულ კონკურენტს არ გააჩნია.

ამგვარად, საწარმოო რომელმაც გააუმჯობესა თავისი პროდუქციის ხარისხი, დროში მნიშვნელოვან უპირატესობას ღებულობს, რომლის გამოყენებაც მას შეუძლია ბაზარზე თავისი წილის გაფართოებისათვის, მყიდველთა ახალი ჯგუფის მოსაპოვებლად და კონკურენტების ბაზარზე დაბრუნების გასართულებლად.

თუ ხარისხის გაუმჯობესება მნიშვნელოვანია, რომ ფირმას შეუძლია მიიღოს **პატენტის** გაუმჯობესებულ საქონელზე ან მის შემადგენელ ნაწილზე, მის მიერ დროში მიღწეული მოგება შეიძლება წლებით განისაზღვროს. ამ დროს ფირმა ბაზარზე მონოპოლისტის მდგომარეობას მოიპოვებს, რომელიც დაპატენტებული საქონლით ვაჭრობს.

საქონლის ფუნქციონალური თვისებების გაუმჯობესებას მისი სასამსახურო ვადის გაღივების ხარჯზე ის არსებითი ნაკლი აქვს, რომ პერსპექტივაში მისი გასაღება შეიძლება გართულდეს. ისეთი საქონლის რეალიზაცია, რომლითაც გაჯერებულია ბაზარი, შესაძლებელია გაგრძელდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რასაც საჭიროებს ძველი ვადაგასული საქონლის მოწყობიდან გამოსვლა. ამიტომ საქონლის ბევრი ჯგუფისათვის (მაგალითად, ტანსაცმელი, აუდიო და ვიდეო აპარატურა, ავტომობილები) დამახასიათებელია, რომ ყოველ სეზონზე იქმნება ახალი მოდელები. ამას მიყვავართ იქამდე, რომ ადრე ნაყიდი საქონელი მომხმარებლების მიერ აღიქმება როგორც არამოდური და მათი შეცვლა სურთ უახლესით, თუმცა „ძველ“ მოდელებს წმინდა ფუნქციონალური თვალსაზრისით შეუძლიათ იმსახუროს კიდევ მრავალი წელი.

ტანსაცმლის **შეფუთვა** ემსახურება ორ ამოცანას: ფუნქციონალურს — დაფაროს და დაიცვას საქონელი, შეამსუბუქოს მისი ტრანსპორტირება მწარმოებლიდან მყიდველამდე და აგრეთვე ორგანოლექტიკურს — მისცეს საქონელს განმასხვავებელი თვისებები, წარმოადგინოს ის შედარებით მომგებიანი სახით, აგრეთვე გააიოლოს მისი გამოყენება. ამგვარად შეფუთვა აღიქმება როგორც საქონლის ხარისხის შემადგენელი ნაწილი.

5.6.3. სერვისული მომსახურება

სერვისულ მომსახურებაში იგულისხმება თვითონ სარეალიზაციო საქონელთან დაკავშირებულ უფასო მომსახურების აღმოჩენა.


სერვისული მომსახურების მაგალითებია: საქონლის ჩატვირთვა, კრედიტის გაფორმება, გარანტიები, სწრაფად მიტანის უზრუნველყოფა, კონსულტაციები და ინსტრუქტაჟი. სერვისული მომსახურებისათვის დამახასიათებელ ნიშნად ითვლება ის, რომ ისარგებლებს მისი მყიდველი თუ უარს იტყვის მასზე სულ ერთია. საქონლის ფასი ამის გამო არ შეიცვლება. მაგრამ, თუ მყიდველმა დამატებით უნდა დაფაროს მიტანის ღირებულება, გადაიხადოს პროცენტები კრედიტის გამო ან გაისტუმროს ფასიანი კონსულტაციები და ინსტრუქტაჟი, მაშინ ასეთი მომსახურება სერვისულ მომსახურებას ეკუთვნის.

საცალო ვაჭრობაში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება მაგალითები, როცა ფირმა ცდილობს სხვებისაგან გამორჩევას გასაღებაზე ზემოქმედების ისეთი პარამეტრის ხარჯზე, როგორც სერვისული მომსახურებაა. რიგ შემთხვევაში ვხედავთ სერვისული მომსახურების დიდ რაოდენობას, რომელსაც ფირმები გთავაზობენ, სხვა შემთხვევაში ასეთი მომსახურება საერთოდ არ გვხვდება ან მინიმუმამდეა დაყვანილი.

უკანასკნელი გარემოების არგუმენტად ითლება ის, რომ მოთხოვნა მოცემულ დამატებით მომსახურებაზე აქვს მყიდველთა უმნიშვნელო რიცხვს და მისი ღირებულება საქონლის ფასში არ უნდა შევიდეს. თუკი ასეთი მოთხოვნა მაინც წარმოიქმნება, მაშინ საწარმოს მფლობელის თვალსაზრისით, ასეთი მომსახურება ცალკე უნდა იქნეს გადახდილი.

5.6.4. საქონლის ბავრცელების არხები

ფირმის მიერ თავისი საქონლის გავრცელების არხი / არხების შერჩევას ხშირად დიდი მნიშვნელობა აქვს მისი გასაღებისათვის. საქონლის გავრცელების ტრადიციული ჯაჭვი ნაჩვენებია ნახ. 5.12-ზე მთლიანი ხაზებით. პუნქტირული ხაზებით ნაჩვენებია საქონლის გავრცელების სხვა შესაძლებლობები.



ნახ. 5.12. საქონლის გავრცელების ტრადიციული ჯაჭვი

ყოველდღიური მოხმარების საქონლით საცალო ვაჭრობის განვითარება დიდი პარტიების შესყიდვის მხრივ საერთოდ და მთლიანად იწვევს იმას, რომ მოცემულ ჯაჭვში საბითუმო მოვაჭრის ყოფნა ზედმეტია.

წიგნები (წიგნის მოყვარულთა კლუბის საშუალებით გავრცელებული), კოსმეტიკა ან ღრმა გაყინვის სხვადასხვა საქონელი იმ საქონლის მაგალითად ითვლება, რომელიც უშუალოდ მიეწოდება მომხმარებელს მწარმოებლისაგან. ღვინის გაყიდვა ღვინის კლუბების საშუალებით ან მისი გაგზავნა ფოსტით უშუალოდ ბითუმად მოვაჭრის მიერ მომხმარებელზე მიყიდვის მაგალითებია. მხატვრული კინოპროდუქციის გავრცელება — ნათელი მაგალითია იმისა, თუ სხვადასხვაგვარ არხებით და სხვადასხვა დროს გავრცელებულ საქონელს რანაირად შეუძლია მიაღწიოს გასაღების საუკეთესო შესაძლებლობებს. ჯერ ფილმს ყიდიან კინოთეატრებში საჩვენებლად, შემდეგ — ერთ ან რამდენიმე ტელეკომპანიას ტელევიზიით დემონსტრირებისათვის, ბოლოს — უშუალოდ მომხმარებლებს ვიდეოკასეტებით.

გავრცელების ამა თუ იმ არხის შერჩევის საფუძველი თვით საქონლის თვისებაშია მოცემული. ისეთი თვისებები, როგორიცაა სიმტკიცე, პარტიის სიდიდე — საქონლის ხელმისაწვდომობა; ე.ი. საჭიროებს თუ არა საქონელი გამოყენებისათვის დამატებით ჩვენებას და განმარტებებს, აქ დიდი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, შეიძლება წარმოინდეს რიგი დამატებითი მოთხოვნები გაყიდვის, შენახვისა და მომსახურების წესის შესაბამისად, რისი ხარჯებიც იძულებულია გადაიხადოს ჯაჭვის ბოლო რგოლმა. დღე ბოლოს, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ასორტიმენტიც, რომლის შექმნის მიზანმიმართული ამიერიდან გახდება მოცემული საქონელი. უფრო მნიშვნელოვნად ითვლება ის, რომ საქონელმა იპოვოს რაც შეიძლება მეტი პოტენციალური მყიდველი.

5.6.5. წარმოების ადგილმდებარეობა

ფირმის ადგილმდებარეობის შერჩევა განსაკუთრებითი მნიშვნელოვანია საცალო ვაჭრობაში. აქ ჩვეულებრივ არჩევენ აკეთებენ საცხოვრებელ მასივში ან სამუშაო ადგილთან დაკავშირებულ სატრანსპორტო მაგისტრალთან მდებარეობისა და მყიდველის საცხოვრებელს შორის.

მყიდველი ეცდება, როგორც არ უნდა იყოს მისი მისწრაფება, იყიდოს უახლოეს სავაჭრო წერტილში. ამით ის ზოგადად ხარჯებს ტრანსპორტზე (ბენზინი, დგომის გადასახადი ან მგზავრობის ღირებულება), აგრეთვე დროს. და პირიქით, სავაჭრო საწარმო შეძლებს მიყიდოს თავისი საქონელი მაღალ ფასებში მათ, ვინც მასთან უშუალო მახლობლობაში ცხოვრობს. ინარჩუნებს რა ფასების მაღალ დონეს,

სავაჭრო საწარმოს შეუძლია შექმნას ე.წ. „ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული მონოპოლია“ მაგრამ თუ საწარმო ამას ბოროტად გამოიყენებს, მაშინ მყიდველებს შეუძლიათ უპირატესობა მისცენ უფრო დაშორებულ სავაჭრო წერტილებს, თუ ეკონომია საგრძნობი იქნება.

პრაქტიკაში საქმის ანალოგიური მდგომარეობის ბევრი მაგალითი არსებობს. საკურორტო ქალაქში მალაზიის მფლობელს და კემპინგში ჯიხურის მფლობელს საქონელზე უფრო მაღალი ფასის დადგენა შეუძლიათ, ვიდრე 15-20 კმ-ით დაშორებულ მეზობელ ქალაქში არსებულ სუპერმარკეტს. იგივე ეხება მჭიდროდ დასახლებულ რაიონში მდებარე მაღაზიასაც და უნივერსამსაც, სანამდე მანძილი ავტომობილით ნახევარი საათი თუ იქნება.

ზოგიერთი ქვეყნისათვის დამახასიათებელი მკაცრი წესები, რომლითაც რეგლამენტირდება მაღაზიების უმეტესობის მუშაობის ხანგრძლივობა იმ დაწესებულებებს, რომელთაც იგი არ ეხება, საშუალებას აძლევს აგრეთვე დააწესოს ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული თავისებური მონოპოლია.

5.6.6. საქონლის ასორტიმენტი

საწარმოს ასორტიმენტული პოლიტიკა გასაღებაზე ზემოქმედების მნიშვნელოვან პარამეტრად ითვლება. ზშირად ისმება კითხვა, საქონლის რომელი ასორტიმენტი უნდა იყოს ვიწრო თუ ფართო? მნიშვნელოვანია ისიც, რომ ერთი სახის საქონლის სხვადასხვა მოდიფიკაციები უნდა გაიყიდოს თუ სხვადასხვა სორტის საქონელი ერთი სახის საქონლის ფარგლებში (ღრმა ასორტიმენტი) ან შეიზღუდოს საქონლის ერთი ან მცირე რაოდენობით (ბრტყელი ასორტიმენტი).

თუ ავიღებთ ყოველდღიური მოთხოვნის საქონლის ბაზარს, მაშინ ასორტიმენტის სტრუქტურასა და სავაჭრო დაწესებულებების ტიპებს შორის დამოკიდებულება ისე იქნება, როგორც ნაჩვენებია ნახ. 5.13.

		საქონლის	სახე
		მცირე (ვიწრო)	ბევრი (ფართო)
მოდ- ფიკა- ციები	მცირე (ბრტყელი)	ჯიხური (მაგალითად კემპინგში ან ავტო- გასამართ სადგურში)	მაღაზია, რომელიც ფასდაკლებით ვაჭრობს
	ბევრი (ღრმა)	სპეციალიზებული მა- ღაზია (მაგ. ყველით, ღვინით მოვაჭრე და ა.შ.,	სუპერმარკეტ

ნახ. 5.13. ასორტიმენტის სტრუქტურა და სავაჭრო დაწესებულებების ტიპები


მაგრამ ხორცის მაღაზიაში შეიძლება გაიყიდოს ღვინო, ავტოგასამართ სადგურში — ღრმა გაყინვის პროდუქტები, ავეჯის მაღაზიაში — მცენარეები და სამზარეულო მოწყობილობა, ხოლო ბოტანიკურ სანერგეში — თივის სათიბი. ეს არის ე.წ. ვაჭრობის უნივერსალიზაცია, ე.ი. სავაჭრო საწარმოს ასორტიმენტში მისი სპეციალობისათვის არააღმასახიათებელი საქონლის შეტანა ფირმის მიერ ასორტიმენტის როგორც გასაღებაზე ზემოქმედების პარამეტრის გამოყენების შედეგად ითვლება.

5.6.7. რეკლამა

სიტყვა „რეკლამა“ ლათინური სიტყვიდან წარმოდგება და „რამდენჯერმე დაყვირებას“ ნიშნავს. პირდაპირ მნიშვნელობით რეკლამის ასეთი გაგება ჯერ კიდევ არსებობს ბაზრებში, სადაც გამყიდველები ასეთნაირად ცდილობენ მყიდველთა მიზიდვას და მათ იძულებას იყიდონ მისგან შეთავაზებული საქონელი, დღეისათვის რეკლამა განისაზღვრება შემდეგნაირად:

რეკლამაში იგულისხმება განადღებაში გაშუალებული ფსიქოლოგიური ზემოქმედება პიროვნებათა ჯგუფზე განსაზღვრული საქონლის ან მომსახურების იძულებითი შექმნის მიზნით.

ცალკეული საწარმოს თვალსაზრისით რეკლამის ტიპური მიზანია თავისი პროდუქციის გასაღების გადიდება უთვლელი ფასით. ამის მიღწევა შეიძლება როგორც ახალი მყიდველების მოზიდვის, ასევე უკვე არსებულის მეტი მოცულობის გაყიდვის ხარჯზე. ნახ. 5.14. ამის ილუსტრაციაა.



ნახ. 5.14. გასაღება რეკლამით და მის გარეშე

ნახ. 5.14. მრული C აღნიშნავს გასაღებას (M გაყიდვის მოცულობა C — ფასით) რეკლამის გამოყენების გარეშე, ხოლო მრული C_p გვიჩვენებს რეკლამის გამოყენება როგორც ზრდის M_p გაყიდვის მოცულობას C საქონელზე უცვლელი საბაზრო ფასისას.

მაგრამ სარეკლამო კომპანიის შეიძლება ჰქონდეს სხვა მიზნებიც, მაგალითად, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ფირმა იყენებს რეკლამას ფასების ამალღებასთან შეხამებაში იმისათვის, რომ შეინარჩუნოს გასაღების დონე ადრინდელ დონეზე.

საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს სარეკლამო კომპანიის ეფექტის გაზომვა.

როგორც ნახ. 5.14. არის ნაჩვენები, გამყიდველები ელოდება, რომ რეკლამის გამოყენების გარეშე მას გამოყვა M მოცულობის პროდუქციის გასაღება და რაღაც თანხის დაბანღება ისე, რომ გასაღების მრუღმა გადაიწიოს M_p გაყიდვის მოცულობის სიღიდემღე.

აბსტრაქტული მოღელის მაგალითზე ასეთი იოღად განხორციეღებაღია, რადგან ფასი და ყვეღა სხვა ფაქტორი უცვღელი რჩეღა, იცვღება მხოლოდ დანახარჯები რეკღამაზე. პრაქტიკაში ეს საეჭვოა შესაღღებელი იყოს. იმ დროს, როგორც კი მოცემულ პერიოღში ეს გამყიდველი მხოლოდ რეკღამაზე დანახარჯებს ცვღის, მისი კონკურენტები, აღბათ შეცვღიან გასაღებაზე ზემოქმედების რომელიღაც სხვა პარამეტრებსაც (ფასს, ხარისხს ან მარკეტინგულ დანახარჯებს). როგორც კი ერთი ან რამღენიმე კონკურენტი გააკეთებს ამას, გასაღების გაფართოება (MOM_p) უკვე დამოკიდებული არ იქნეღა მხოლოდ სარეკლამო კომპანიაზე, რომელიც მოცემული გამყიდველის მიერ ტარღება. აქ ძღღაში შეღდის სხვა გარემოებები, რომელზეც გავღენა მას აღარ შეუღღია (კონკურენტების მოქმედება).

როცა საწარმო გადაწყვეტს დაიწყოს რომელიმე საქონლის რეკღამა, სხვათა შორის წარმოიქმნეღა საკითხი სარეკლამო საშუაღებებიღან მან რომელით უნდა ისარგებღოს (გაზეთში გაცხადება, კინორეკღამა, ტელე-რადიო რეკღამა, ბეჭღვითი რეკღამა; სატრანსპორტო რეკღამა, მაღაზიური რეკღამა, გამოფენები და ბაზრობები და სხვა). (მოცემული საშუაღებების დეტალური განხიღვა სცღება წინამღღებარე წიღნის ფარგღებს).

5.6.8. გამყიდვეღებისა და ვაჭრობის აგენტების მოღვაწეობა

გამყიდვეღებისა და ვაჭრობის აგენტების მოღვაწეობაში იღულისხმეღა მოცემული პირების მიერ უშუალოდ გატარებული მუშაობა პოტენციალურ მყიდვეღებთან. მაგალითად, მაღაზიის დახღთან, კლიენტებთან პირაღი შეხვედრისას საცხოვრებელ ადგიღზე ან წინასწარი შეკვეთით ტელეფონით მომსახურებისას.

სავსებით გასაგებია, რომ საწარმოთა უმეტესობისათვის გამყიდვეღებისა და სავაჭრო აგენტების საქმიანობა ცენტრალურ ადგიღს

იკავებს გასაღებაზე ზემოქმედების სხვა პარამეტრებს შორის. თუ ამასთან მოცემული მუშაკი დაინტერესებულია თავისი საქმიანობის შედეგებით, აგრეთვე კარგად იცის მის მიერ გასაყიდი საქონელი და ბრწყინვალე კომერციულ თვისებებს ფლობს, მაშინ მისი წვლილი ფირმის წარმატებაში გადამწყვეტად შეიძლება ჩაითვალოს.

5.6.9. ზემოქმედების პარამეტრების კომბინირებული ბავლენა გასაღებაზე

წინა გადმოცემაში ჩვენ განვიხილეთ გასაღებაზე ზემოქმედების პარამეტრები ცალ-ცალკე. პრაქტიკაში კი თითქმის ყოველთვის საუბარია მათ კომბინირებულ გამოყენებაზე. ეს გაგებულნი უნდა იქნეს ასე, რომ რამდენიმე პარამეტრი შეიძლება ერთდროულად შეიცვალოს. მაგალითად, საწარმოო საწარმოში შეიძლება გადაწყდეს გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ცვლილება, გაიზარდოს მისი ფასი და ისარგებლონ სავაჭრო აგენტების მომსახურებით საცალო ვაჭრობაში მისი გაყიდვისათვის, აგრეთვე დაიწყო სარეკლამო კომპანია უშუალო მომხმარებლებს შორის. მაღაზიის გახსნას ან გადატანას (ადგილმდებარეობა) ჩვეულებრივ თან ახლავს მთლიანი გაყიდვა გახსნისას ან პრეზენტაციისას (ფასი), რომლის შესახებ ბუნებრივია, გაცნობიერებული უნდა იყოს ცნობილი ბაზარი (რეკლამა).

ნიშანდობლივია, რომ გასაღებაზე ზემოქმედების ერთი ან რამდენიმე საწყისი პარამეტრების ყოველი ცვლილება ასე თუ ისე ერთი ან რამდენიმე დამატებითი (კონტაქტური) პარამეტრის ცვლილებას იწვევს, მაგრამ მყიდველი გარკვეულობაში უნდა იყოს მიმდინარე ცვლილებებზე.

თავი 6

წარმოებისა და გასაღების ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა

6.1. ოპტიმიზაცია

ამ თავში ჩვენ მოგიხსნით როგორ განისაზღვრება წარმოების ოპტიმალური მოცულობა (რომელსაც უდიდესი მოგება მოაქვს) საწარმოში.

განვიხილოთ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტიპის კონკურენცია: სრულყოფილი კონკურენცია (განყ. ბ.1.1.) და მონოპოლია (განყ. ბ.1.2.).

ოპტიმიზაციის ქვემოთ მოცემული ორი მეთოდის გამოყენება მთლიანი მაჩვენებლების (სიდიდეების) შეჭერების მეთოდი და ზღვრული მაჩვენებლების (სიდიდეების) შეჭერების მეთოდი რიგ დაშვებებს გულისხმობს:

1. საწარმოო აწარმოებს და ასაღებს მხოლოდ ერთ საქონელს.
 2. განსახილველ პერიოდში საწარმოს მიზანია მოგების მაქსიმიზაცია.

3. ოპტიმიზდება მხოლოდ პროდუქციის რეალიზაციის ფასი და წარმოების მოცულობა. იგულისხმება რომ საწარმოს საქმიანობის ყველა სხვა პარამეტრი უცვლელი რჩება.

4. განსახილველ პერიოდში წარმოების მოცულობა რეალიზაციის მოცულობის ტოლია.

ზემოთ მოტანილი დაშვებები შეიძლება საკმაოდ „მკაცრად“ მოგვეჩვენოს, მაგრამ მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ სწორედაც გამოსაშვები პროდუქციის ფასი, მისი წარმოების და რეალიზაციის მოცულობა, როგორც წესი, ფირმის ეკონომიკაზე უდიდეს გავლენას ახდენს, მაშინ აღნიშნული მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვან წილად აამაღლებს იმის ალბათობას, რომ ამ სფეროში მიღებულია სწორი ვადაწყვეტილებები.

6.1.1. სრული კონკურენცია

როგორც 5.3.3. ა ქვეგანყოფილებაში იყო აღნიშნული, ცალკეული წვრილი გამყიდველები, რომლებსაც ბაზრის მცირე ნაწილი უჭირავს, საბაზრო ფასის ფორმირებაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს, მას შეუძლია მხოლოდ განსაზღვროს საქონლის რაოდენობა, რომელსაც ის შესთავაზებს მყიდველებს ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასით.

ორ მომდევნო ქვეგანყოფილებაში ჩვენ ვაჩვენებთ:

- ა) მთლიანი მაჩვენებლების შეჯერების მეთოდისა და
- ბ) ზღვრული მაჩვენებლების შეჯერების მეთოდის საშუალებით როგორ შეიძლება განისაზღვროს საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის ოპტიმალური მოცულობა ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასით. თვალსაჩინოებისათვის ვისარგებლოთ მაგალითით.

ფირმა „რენა“ ვარაუდობს, რომ მომდევნო წელს მისი პროდუქციის საბაზრო ფასი 48 კრონი იქნება ერთ ცალზე და ამ პერიოდისათვის დანახარჯებს შემდეგნაირად გეგმავს: (ცხრ. 6.1.)

ცხრილი 6.1. დანახარჯები ფირმა „რენა“-ს მაგალითზე

რეალიზაციის მოცულობა, ათ.ცალი	მუდმივი დანახარჯები, ათ.კრონი	ცვლადი დანახარჯები, ათ. კრონი	მთლიანი დანახარჯები, კრონი
1	2	3	4
0	1200	0	1200
10	1200	200	1400
20	1200	360	1560

1	2	3	4
30	1200	490	1690
40	1200	610	1810
50	1200	760	1960
60	1200	960	2160
70	1200	1220	2420
80	1200	1550	2750
90	1200	1980	3180
100	1200	2560	3760

ა) მთლიანი მაჩვენებლების შეჯერების მეთოდი

მთლიანი მაჩვენებლების შეჯერების მეთოდი გულისხმობს მოგების ანგარიშს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა მნიშვნელობისას მთლიანი ამონაგებიდან მთლიანი დანახარჯების გამოკლების გზით (ცხ. ნ. 2.). მთლიანი ამონაგები მიიღება რეალიზებული პროდუქციის რაოდენობის გამრავლებით საბაზრო ფასზე, რომელიც 48 კრონს შეადგენს.

ცხ. ნ. 2. მოტანილი ანგარიშები გვიჩვენებს, რომ ფირმა „რენა“ უდიდეს მოგებას მიიღებს — 1 140 000 კრონს — 90 000 ცლ. საქონლის წარმოებისა და რეალიზაციისას.

მთლიანი მაჩვენებლების შეჯერების მეთოდი შეიძლება აგრეთვე ილუსტრირდეს გრაფიკულად ნახ. ნ. 1. მოცემულია ფირმა „რენა“-ს მთლიანი ამონაგების (BB) სხვადასხვა მაჩვენებლები და მისი შესაბამისი მთლიანი დანახარჯების (BI) სიდიდეები. დაახლოებით 37 000 ცლ. პროდუქციის რეალიზაციისას, წარმოება წამგებიანია, რამდენადაც დანახარჯების მრუდი მთლიანად ამონაგების მრუდის ზემოთ ლაგდება.

პროდუქციის რეალიზაციისას დაახლოებით 37 000 ცალი მოცულობითი მრუდები ერთმანეთს კვეთენ. ე.ი. მთლიან ამონაგებს და მთლიან დანახარჯებს ერთნაირი მნიშვნელობა აქვს და მოგება ნული კრონის ტოლია.


ცხრილი ნ. 2. მთლიანი მაჩვენებლის შეჯერების მეთოდი ფირმა „რენა“-ს მაგალითზე

რეალიზაციის მოცულობა, ათ. ცლ.	ფასი კრონი	მთლიანი ამონაგები	მთლიანი დანახარჯები კრონი	მოგება ათ. კრონი
0	—	0	1200	- 1200
10	48	480	1400	- 920
30	48	960	1560	- 600
40	48	1440	1690	- 260

40	48	1920	1810	110
50	48	2400	1960	440
60	48	2880	2160	720
70	48	3360	2420	1090
80	48	3840	2750	1140
90	48	4320	3180	1040
100	48	4800	3760	

აბსცისათა ღერძზე პუნქტირული ხაზებით ნაჩვენებია წარმოების მოცულობა, რომლის დროსაც მიიღწევა ნულოვანი მოგება (ООиР), ხოლო ორდინატთა ღერძზე — მთლიანი ამონაგების სიდიდე, რომელიც ნულოვან მოგებას იძლევა (ООВВ).

როდესაც წარმოების მოცულობისა და რეალიზაციის მაჩვენებელი ნულოვანი მოგების (ООиР) წერტილის მარჯვნივ იმყოფება, მაშინ მთლიანი ამონაგები გადააჭარბებს დანახარჯებს და გაჩნდება მოგება. მოგების სიდიდე გამოითვლება ორდინატთა ღერძის გასწვრივ ორ მრუდს შორის მანძილით. ფირმა „რენასათვის“ ოპტიმალური წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა (90 000 ცლ) და მისი შესაბამისი მოგება (4 320 000 კრონი — 3 180 000 კრონი = 1 140 000 კრონი) ნაჩვენებია პუნქტირებული ხაზებით.



ნახ. 6.1. მთლიანი მაჩვენებლების შეჯერების მეთოდი ფირმა „რენა“-ს მაგალითზე

შევნიშნოთ, რომ ფირმა „რენა“-ს მიმართ, სადაც მუდმივი ხარჯები უცვლელია, ასევე წარმატებით შეგვიძლია გამოგვეყენებინა მთლიანი მაჩვენებლების შეჯერების მეთოდი დაფარვის სიდიდის ანგარიშისათვის წარმოების მოცულობის სხვადასხვა მაჩვენებლებისას. წარმოების მოცულობა, რომლის დროსაც მიიღწევა დაფარვის სიდიდის უდიდესი

მნიშვნელობა და ამით უდიდესი მოგება, ოპტიმალურად ითვლება.

ბ. ზღვრული მაჩვენებლების შეჯერების მეთოდი

ზღვრული მაჩვენებლების შეჯერების მეთოდის საშუალებით ოპტიმიზაციისას გამოიყენება ადრე განხილული კატეგორიები — ზღვრული დანახარჯები და ზღვრული შემოსავლები. მანამდე ვიდრე ზღვრული შემოსავლის სიდიდე — დამატებითი შემოსავლის პროდუქციის ერთეულზე — აღემატება ზღვრული დანახარჯების სიდიდეს — დამატებით დანახარჯებს პროდუქციის ერთეულზე — წარმოებისა და რეალიზაციის გადიდება რენტაბელურია.

დავუბრუნდეთ ცხრ. 6.1. მოტანილ ფირმა „რენას“ საქმიანობის მაჩვენებლებს. მთლიანი დანახარჯების სიდიდეებიდან გამომდინარე წარმოების მოცულობისა და რეალიზაციის სხვადასხვა მაჩვენებლებისას შეიძლება გამოვთვალოთ ზღვრული დანახარჯების სიდიდეები.

სვეტი 3 ცხრ. 6.3. ზღვრული შემოსავალი წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა მაჩვენებლებისას ერთნაირი რჩება და პროდუქციის ერთეულის საბაზრო ფასი — 48 კრონის ტოლია.

ცხრ. 6.3. ზღვრული მაჩვენებლების შეჯერების მეთოდი ფირმა „რენას“ მაგალითზე


წარმოების მოცულობა, ათ.ცალი	ზღვრული შემოსავალი, კრონი	ზღვრული დანახარჯები, კრონი	ზღვრული მოგება, კრონი
10	48	20	28
20	48	16	32
30	48	13	35
40	48	12	36
50	48	15	33
60	48	20	28
70	48	26	22
80	48	33	15
90	48	43	5
100	48	58	-10

ზღვრული შემოსავლის (სვეტი 2) ზღვრულ დანახარჯებთან (სვეტი 3) შედარებით ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოება რენტაბელურია.

ამგვარად ფირმა „რენას“ წარმოების ოპტიმალური მოცულობის მაჩვენებელი მთლიანად ემთხვევა მაჩვენებელს — 90 000 ცლ, რომელიც მიღებულია მთლიანი მაჩვენებლების შეჯერების მეთოდის გამოყენებისას.

მე-4 სვეტში მოტანილია ზღვრული მოგების გამოსათვლელი მაჩვენებლები (ზღვრულ შემოსავალს მინუს ზღვრული დანახარჯები). ამის გამო ზღვრული სიდიდეების შეჯერების მეთოდის არსი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: წარმოების გაზრდა რენტაბელურია ისეთ მოცულობამდე, რომლის დროსაც ზღვრული მოგების სიდიდე დადებითია.

ცხრილი 6.3. მე-2 და მე-3 სვეტების მონაცემების გამოყენებით შეიძლება ზღვრული მაჩვენებლების შეჯერების მეთოდის გრაფიკული გამოყენების ილუსტრირება (ნახ.6.2.).



ნახ.6.2. ზღვრული მაჩვენებლების შეჯერების მეთოდო ფირმა „რენას“ მაგალითზე

მანამ ვიდრე ზღვრული შემოსავლების მრუდი (ზ.შ.) ზღვრული დანახარჯების მრუდის ზემოთ თავსდება წარმოების მოცულობის გადიდება ეფექტიანია. წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის ოპტიმალურ სიდიდეს ვპოულობთ ორი აღნიშნული მრუდის გადაკვეთის წერტილში. ჩვენს მაგალითში ის 90 000 ცლ. ტოლია. წარმოების მოცულობის შემდგომი გადიდებისას დანახარჯების სიდიდე გადააჭარბებს პროდუქციის ერთეულის დამატებით შემოსავალს, რის შედეგადაც მთლიანი მოგება შემცირდება.

გ. რეალიზაციის მინიმალურად დასაშვები ფასი

ფირმა „რენას“ ჩვენებულ მაგალითში იგულისხმებოდა, რომ მის მიერ წარმოებული პროდუქციის საბაზრო ფასი და მაშასადამე რეალიზაციის ფასი 48 კრონს შეადგენს 1 ცალზე. ასეთი ფასისას წარმოება რენტაბელურია, მაგრამ რა უნდა ქნას ფირმამ საბაზრო ფასის დაცემის შემთხვევაში? ჩვენ ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ საკითხს.

საწარმოო ვერ იარსებებს თუ ის ზარალიანი იქნება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ამიტომ გრძელვადიან პერსპექტივაში წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო ფასი, საშუალო მთლიანი დანახარჯების

სიდიდეზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მოკლევადიან პერსპექტივაში საწარმო ხშირად იძულებულია გაიღოს მუდმივი ხარჯები პროდუქციის წარმოებისა და გასაღების დროებითი შემცირების შემთხვევაშიც კი.

მაშასადამე საწარმოს ეკონომიკური თვალსაზრისით ურჩევნია ჰქონდეს ხარჯების დაფარვის თუნდაც მინიმალური სიდიდე, ვიდრე მთლიანად დაჰკარგოს იგი. ამიტომ იმ შემთხვევაში, როცა საუბარია ფასების დროებით შემცირებაზე გამყიდველისათვის მინიმალურად დასაშვები ფასი, სრული კონკურენციის პირობებში საშუალოცვლადი დანახარჯების ტოლი უნდა იყოს.

დავუბრუნდეთ ფირმა „რენას“ მაგალითს და 6.1. ცხრილის მონაცემების საფუძველზე მივიღებთ საშუალო ცვლადი დანახარჯების და საშუალო მთლიანი დანახარჯების მაჩვენებლებს.

ცხრილი 6.4. საშუალო ცვლადი დანახარჯები და საშუალო მთლიანი დანახარჯები ფირმა „რენას“ მაგალითზე

რელიზაციის მოცულობა, ა.კრონი	საშ. ცვლადი დანახარჯები, კრონი	საშ. მთლიანი ხარჯები, კრონი
0	—	—
10	20,00	140,00
20	18,00	78,00
30	16,33	56,33
40	15,25	46,25
50	15,20	39,20
60	16,00	36,00
70	17,43	34,57
80	19,38	34,38
90	22,00	35,33
100	25,60	37,60

იმ შემთხვევაში თუ საბაზრო ფასი 30 კრონამდე დაეცემა, მაშინ ზღვრული შემოსავალი 30 კრონი იქნება ცხრილი 6.3. მოტანილი წარმოების ნებისმიერი მნიშვნელობისას, ხოლო წარმოების ოპტიმალური მოცულობა 70 000ცლ. გაუტოლდება. ცხადია ცხ. 6.4.ჩანს, რომ 70 000ცლ. წარმოების მოცულობისას საშუალო მთლიანი დანახარჯები 34,57 კრონს შეადგენს, მისი სიდიდე ფასს გადააჭარბებს.

რამდენადაც რელიზაციის ფასი საშუალო ცვლად დანახარჯებზე მაღალია, რომელიც 17,43 კრონს შეადგენს, ფირმა „რენას“ დაფარვის საშუალო სიდიდე 12,57 კრონს უდრის (30,00 კრონს — 17,43 კრონი),

რაც დაფარვის მთლიან სიდიდეს 879 900 კრონს შეესაბამება, დაფარვის ასეთი სიდიდე საკმარისი არაა 1 200 000 კრონი მუდმივი დანახარჯების ანაზღაურებისათვის და წარმოება ამ პირობებში 320 100 კრონით დაზარალდება, მაგრამ თუ ფირმის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს შეწყვიტოს მოცემული საქონლის წარმოება და რეალიზაცია, მისი ზარალი 1 200 000 კრონი იქნება (თანხა რომელიც მუდმივი დანახარჯების სიდიდის ტოლია). თუ ფირმა „რენა“-ს ხელმძღვანელობა ვარაუდობს რომ საქმე ეხება საბაზრო ფასის დროებით დაცემას, აუცილებელია ვეცადოთ ზარალის მინიმუმამდე დაყვანას, შექმნილი საბაზრო პირობებისათვის პროდუქციის ოპტიმალური მოცულობის (70 000 ცლ. გაყიდვა) რეალიზაციის გზით.

თუკი ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ საბაზრო ფასი მუდმივად 30 კრონის დონეზე დარჩება, დაგვრჩენია დავადასტუროთ, რომ მოცემული საქონლის წარმოება რენტაბელური არ არის და მომავალს პერსპექტივა არ აქვს, ამის გამო ფირმამ უნდა შეწყვიტოს მოცემული საქონლის წარმოება, რომ მუდმივი ხარჯები არ გასწიოს. ცხადია, რომ წარმოების შეწყვეტის ამ პერიოდშიც ფირმამ უნდა შეინარჩუნოს იგი იმ დროზე, რომ უზრუნველყოს დაფარვის მინიმალურად შესაძლო მნიშვნელობა.

6.1.2. მონოპოლია

ახლა, ვნახოთ თუ როგორ შეიძლება საწარმო-მონოპოლისტი მთლიანი და ზღვრული მაჩვენებლების შეკერების მეთოდის საშუალებით გამოთვალოს თავისი პროდუქციის წარმოების მოცულობა და რეალიზაციის ფასი იმ დროზე, რომ უზრუნველყოს მისთვის მაქსიმალური მოგება.

ამ შემთხვევაშიც ჩვენს მსჯელობაში დავეყრდნობით კონკრეტულ საწარმოს მაგალითს. ცხრ.6.5. მოტანილია წარმოების მომავალი წლისათვის დაგეგმილი „ბეტა“ საქონლის წარმოების და რეალიზაციის დანახარჯების დამახასიათებელი მონაცემები.

ცხრილი 6.5. წარმოების (და რეალიზაციის) მოცულობა და დანახარჯები „ბეტა“ საქონლის მაგალითზე

ფასი, კრონი	რეალიზაციის მოცულობა ათ.კრონი	მუდმივი დანახარჯები, ათ. კრონი	ცვლადი დანახარჯები, ათ.კრონი	მთლიანი დანახარჯები, ათ.კრონი
15	0	1000	0	1000
14	100	1000	500	1500
13	200	1000	900	1900

12	300	1000	1225	2225
11	400	1000	1500	2500
10	500	1000	1750	2750
9	600	1000	2025	3025
8	700	1000	2350	3350
7	800	1000	2800	3800
6	900	1000	3400	4400
5	1000	1000	4300	5300

ა) მთლიანი მაჩვენებლების შეჯერების მეთოდი

ცხრ. 6.6. მთლიანი ამონაგების სიდიდე ცხრ. 6.5. მოტანილი წარმოების მოცულობისა და რეალიზაციის სხვადასხვა მნიშვნელობისას გამოთვლილია ფასის გამრავლებით რეალიზებული პროდუქციის რაოდენობაზე. მთლიანი ამონაგების სიდიდეს აკლდება მთლიანი დანახარჯების თანხა, ამასთან მოცემულ შემთხვევაში წარმოებას აქვს მოგება.

ცხრ. 6.6. მთლიანი მაჩვენებლების შეჯერების მეთოდი „ბეტა“ საქონლის მაგალითზე


ფასი, კრონი	რეალიზაციის მოცულობა, ათ.კრონი	მთლიანი ამონაგები ათ.კრონი	მთლიანი დანახარჯები ათ.კრონი	მოგება ათ. კრონი
15	0	0	1000	-100
14	100	1400	1500	-100
13	200	2600	1900	700
12	300	3600	2225	1375
11	400	4400	2500	1900
10	500	5000	2750	2250
9	600	5400	3025	2375
8	700	5600	3350	2250
7	800	5600	3800	1800
6	900	5400	4400	1000
5	1000	5000	5300	-300

ცხრ. 6.6. მოტანილი ანგარიშები გვიჩვენებს, რომ 1 ცლ. 9 კრონის ფასისას საწარმო უდიდეს მოგებას ღებულობს „ბეტა“ საქონლის 600 000 ცლ. რეალიზაციით.

ქვემოთ მოცემულია მთლიანი მაჩვენებლების გრაფიკული შეჯერების მაგალითი.

ნახ. 6.3. აღნიშნულია ცხრ. 6.6. მოტანილი მთლიანი ამონაგებისა (BB) და მისი შესაბამისი მთლიანი დანახარჯების სიდიდეები (BI) ათ.კრონებში. მოგების სიდიდე გამოითვლება ორდინატთა ღერძზე ორივე მრუდის შესაბამისი წერტილთა შორის მანძილით. „ბეტა“ 60 000 ცლ. რეალიზაციის მოცულობისას (1ცლ. ლირს 9 კრონი) საწარმო მაქსიმალურ მოგებას ღებულობს, კერძოდ: 5 400 000 კრონს — 3 025 000 კრონი = 2 375 000 კრონი (იხ. პუნქტირებული ხაზებით შეერთებული წერტილები).

„ბეტა“ საქონლის მაგალითში, რამდენადაც მულდმივი დანახარჯები უცვლელია, მოგების განსაზღვრის ნაცვლად შეგვეძლო დაფარვის სიდიდის გამოთვლა რეალიზაციის ფასის სხვადასხვა მაჩვენებლისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ დაფარვის სიდიდეს მიიღწევა უდიდესი მოგებაც.



ბ) ზღვრული მაჩვენებლების შეჯერების მეთოდი

როგორც უკვე აღრე იყო აღნიშნული, ზღვრული მაჩვენებლების შეჯერების მეთოდის საწყის მდგომარეობად ითვლება ის, რომ წარმოების მოცულობის გადიდება რენტაბელურია ისეთი სიდიდეებისას, ვიდრე განსაზღვრული შემოსავლის სიდიდე ე.ი. პროდუქციის ერთეულზე დამატებითი შემოსავალი, ზღვრული დანახარჯების სიდიდეს აჭარბებს ე.ი. ერთეული პროდუქციის დამატებით ხარჯებს.

ისევ დაეუბრუნდეთ „ბეტა“ საქონლისათვის დაგეგმილ ცხრ.6.6. მოტანილ რეალიზაციის მოცულობისა და წარმოების დანახარჯების მაჩვენებლებს. ცხრ.6.7 გამოთვლილია და 5 დან სვეტებში მოტანილია ზღვრული შემოსავლისა და ზღვრული დანახარჯების მაჩვენებლები. ისევ ვპოულობთ, რომ 60 000 ცლ. წარმოების მოცულობისას რეალიზაციის ფასი 9 კრონს შეადგენს, რამდენადაც ზღვრული შემოსავალი (ზ.შ.) აღემატება ზღვრულ დანახარჯებს წარმოების მოცულობის მხოლოდ აღნიშნულზე დაბალი მნიშვნელობისათვის.

განვიხილავთ რა მე-7 სვეტში მოტანილ ზღვრული მოგების (ზღვრული შემოსავალს ზღვრული დანახარჯების გამოკლებით) მაჩვენებლებს სხვადასხვა ინტერვალში ჩვენ ისევე, როგორც

6.1.1. განყოფილებაში ვპოულობთ, რომ წარმოებისა და რეალიზაციის გადიდება რენტაბელურია ისეთი მოცულობებისას, რომლის დროსაც უზრუნველყოფილი იქნება ზღვრული მოგების დადებითი მნიშვნელობა.


ცხრილი 6.7. ზღვრული მაჩვენებლების შეჯერების მეთოდი „ბეტა“-ს საქონლის მაგალითზე

ფასი, კრონი	რეალიზაციის მოცულობა, ათ.კრონი	შოლიანი ამონაგები, ათ.კრონი	შოლიანი დანახარჯები, ათ.კრ.	ზ.შ. კრონი	ზ.დ. კრონი	ზღვრული მოგება, კრონი
15	0	0	1000	14	5	9
14	100	1400	1500	12	4	8
13	200	2600	1900	10	3,25	6,75
12	300	3600	2225	8	2,75	5,25
11	400	4400	2500	6	2,5	3,5
10	500	5000	2750	4	2,75	1,25
9	600	5400	3025	2	3,25	-1,25
8	700	5600	3350	0	4,5	-4,5
7	800	5600	3800	-2	6	-8
6	900	5400	4400	-4	9	-13
5	1000	5000	5300			

ზღვრული მაჩვენებლების შეჯერების მეთოდის გამოყენება ილუსტრირებულია აგრეთვე ნახ.6.7. ცხრ.6.7. მონაცემების გამოყენებით. ნახაზზე ნაჩვენებია გასაღების მრუდი (გ.მ), აგრეთვე ზღვრული შემოსავლისა (ზ.შ) და ზღვრული დანახარჯების (ზ.დ) მრუდი.

ფასის შემცირება — წარმოების მოცულობის გადიდებისას ეფექტიანია იმ სიდიდეთა ფარგლებში, რომლის დროსაც ზღვრული შემოსავლის მრუდი ზღვრული დანახარჯების მრუდის ზემოთ თავსდება მრუდების გადაკვეთამდე. „ბეტა“ საქონლის წარმოებისა რეალიზაციის ოპტიმალური მოცულობა 600 000 ცლ, შეადგენს.

წარმოების მოცემული მოცულობისათვის რეალიზაციის ოპტიმალური ფასი გამოითვლება გასაღების მრუდზე იმ წერტილით. რომელიც (ზ.შ) და (ზ.დ) მრუდების გადაკვეთის წერტილის ზემოთ იმყოფება. ეს წერტილი გასაღების მრუდზე (მონოპოლიის პროდუქციაზე მოთხოვნა) იწოდება მონოპოლიის წერტილად.



გ) მონოპოლიის მინიმალურად დასაშვები ფასი

როგორც 6.1.1. განყოფილებაშია ნაჩვენები თითოეული საწარმოსათვის მათ რიცხვში მონოპოლისტიებისათვის მოქმედებს წესი, რომლის თანახმად გამყიდველს გრძელვადიან პერსპექტივაში ისეთი ფასი უნდა ჰქონდეს თავის საქონელზე, რომ მთლიანი ამონაგები მთლიან დანახარჯებს აღემატებოდეს. ვიზილავდით რა მოკლევადიან პერსპექტივას, ე.ი. პერიოდს, როცა საწარმო ნებისმიერ ვითარებაში იძულებულია გასწიოს მ.დ.მ.ვი დანახარჯები, ჩვენ დავინახეთ, რომ აუცილებელია პორდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გაგრძელება თუ მთლიანი ამონაგები ცვლად დანახარჯებს აღემატება.

თუკი მთლიანი ამონაგები იძენდა მცირდება, რომ ვერ ფარავს ცვლად დანახარჯებს, მაშინ გამყიდველი, რომელიც სრული კონკურენციის პირობებში მოქმედებს თავისი პორდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას აჩვევებს. ასეთ შემთხვევაში მას ბაზარზე „გავლენის“ შესაძლებლობა არ აქვს, რადგანაც ის ერთგვაროვან ბაზარად ითვლება. სხვა სიტუაციაში ექცევა მონოპოლისტი: თუ შეწყდება საქონლის რეალიზაცია, მაშინ ბაზარზე მისი სრული უქონლობის მოთხოვნაზე მომავალში უარყოფით ზეგავლენას მოახდენს, ამიტომ გამყიდველმა ასეთ შემთხვევაში ზუსტად უნდა გათვალოს ხელსაყრელი იქნება თუ არა საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის შენარჩუნება. ამ სიტუაციაში მარტო მონოპოლისტი არ ხდება. ეს ეხება არაერთგვაროვან ბაზარზე მოქმედ ნებისმიერ გამყიდველს, ის რისკს ეწევა რადგან შეიძლება საქონლის რეალიზაცია ისეთ მკაცრი კონკურენციის პირობებში მოხდეს, რომ ვერ უზრუნველყოს დაფარვის დადებითი სიდიდე.

6.1.3 კონკურენციის სხვა ტიპები

ჩვენს მიერ ახლა განხილული ოპტიმიზაციის მეთოდი — მთლიანი და ზღვრული სიდიდეების შეჯერება, შეიძლება გამოყენებული იქნეს კონკურენციის სხვა ტიპების მიმართ, სრული კონკურენციის და მონოპოლიისაგან განსხვავებით.

ა) ერთგვაროვანი ბაზარი

დუოპოლიისა და ოლიგაპოლიის პირობებში, როგორც წესი, ყველა გამყიდველი ერთნაირ ფასს ადგენს. თუ წარმოვიდგენთ, რომ ერთი მათგანი შეამცირებს ფასს, ეს მიიზიდავს მასთავნ ამ საქონლის მყიდველთა მთელ მასას. ფასის განსაზღვრისა და გამყიდველები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ასეთ შესაძლებლობას, ამიტომ განსაკუთრებით დუოპოლიის პირობებში, ერთნაირი ფასის დადგენა ნშირად ფარული

მოლაპარაკების შედეგად ხდება. ნაწილობრივი მონოპოლიის პირობებში ფასს მსხვილი მონოპოლისტი განსაზღვრავს (რომელიც დომინირებს ნაწილობრივი მონოპოლიის პირობებში) — ის ფასობრივ ლიდერად ითვლება. წვრილი საწარმოები კი ამ ფასს, გარედან მიღებულად თვლიან, რადგან მასზე ზემოქმედება არ შეუძლიათ, მას ისე ღებულობენ როგორც გამყიდველი სრული კონკურენციის პირობებში საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის იმ მოცულობით, რომელსაც უზრუნველყოფს მათთვის უდიდეს მოგებას. ამგვარად ნაწილობრივი მონოპოლიის პირობებში დომინირებული ფირმა განსაზღვრავს რა ფასს, ვალდებული ყურად მიიღოს — მიწოდების გადიდების ან შემცირების ფორმით — მასზე შესაძლო რეაქცია წვრილი გამყიდველების მხრიდან.

ბ) არაერთგვაროვანი ბაზარზე

ყველა გამყიდველი არაერთგვაროვან ბაზარზე, ანუ ფირმები, რომლებიც დიფერენცირებული დუოპოლიის, ნაწილობრივი დიფერენცირებული მონოპოლიის ასევე მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში მოქმედებენ, პრინციპულად ისეთნაირად შეუძლიათ გამოითვალონ წარმოების ოპტიმალური მოცულობა და ფასი როგორც ეს აღწერილია 6.1.2. განყოფილებაში მონოპოლისტის მიმართ. რაც უფრო მყარია გამყიდველის ეკონომიკური მდგომარეობა ან რაც უფრო მეტად დიფერენცირებულია მისი საქონელი კონკურენტების საქონლის მიმართ, მით მეტია მათი დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა — მას უფრო მეტად შეუძლია იმოქმედოს კონკურენტებისადმი ყურადღების გარეშე საკუთრივ მონოპოლისტური როლი ითამაშოს. თუკი საქონელი დიფერენცირებულია უმნიშვნელოდ და ბაზარზე ამ საქონელზე მყიდველთა უპირატესობები მცირდება სიტუაცია ერთგვაროვანი პროდუქციის ბაზარის მდგომარეობას მოგვაგონებს. ამის გამო ცალკეული გამყიდველი იძულებულია შეინარჩუნოს ფასი, რომელიც კონკურენტების ფასის ახლო დგას.

6.2. ფასწარმოქმნა ახალ პროდუქციაზე

ბაზარზე ახლო პროდუქციის გატანისას ინფორმაცია მისი რეალიზაციის პირობებზე ხშირად იმდენად შეზღუდულია, რომ მთლიანი და ზღვრული მაჩვენებლების შეჭერების მეთოდის გამოყენება ოპტიმალური სარეალიზაციო ფასის პირობებში ანგარიშისათვის შეუძლებელი ხდება. ასეთ პირობებში ფასი განისაზღვრება არაეკონომიკური ფაქტორებით.

Skimming-price-policy („ნაღების მორთმევის“ ფასობრივი პოლიტიკა) — გულისხმობს რომ ფირმას, როგორც წესი — ძლიერი სარეკლამო კომპანიის ფონზე ბაზარზე გააქვს საქონლის შედარებით მაღალი ფასით

და ამის შედეგად დაფარვის მაღალ სიდიდეს აღწევს (ფირმა ბაზრის „ნალებს ხსნის“) ფირმა ამ პოლიტიკას ატარებსა იმ- ვარაუდიდან გამომდინარე, რომ დამოუკიდებლად იმისაგან, რამდენად მაღალი არ უნდა იყოს ფასი ყოველთვის მოიძებნება მყიდველი, რომლებსაც სიახლის შექენა სურთ. ეს იმით აიხსნება, რომ მყიდველთა ნაწილი მაღალ ფასს საქონლის მაღალ ხარისხთან აიგივებს, ან სურთ ახლობლებს აჩვენონ თუ როგორი ძვირფასი ნივთების შექენა შეუძლიათ. „ნალების მოხსნის“ ფასობრივი პოლიტიკას ის უპირატესობა აქვს, რომ ფირმას ეძლევა საშუალება მოკლე დროში აინაზღაუროს თავისი მარკეტინგული დანახარჯები და მომავალში ფასების შესაძლო შემცირება სარეკლამო მიზნებისათვის გამოიყენოს.

მეორეს მხრივ მაღალმა ფასმა საწყის პერიოდში შეიძლება სხვა გამყიდველებს სურვილი გაუღვიძოს ბაზარზე გავიდნენ კონკურენტული საქონლით. **penetration-price-policy** (შელწევის ფასობრივი პოლიტიკა) — გულისხმობს, რომ ფირმას გააქვს საქონელი ბაზარზე შედარებით დაბალი ფასით, რათა რაც შეიძლება მალე გაინაღდოს ბაზრის დიდი ნაწილი. ამასთან დაბალმა ფასმა საექვოა მაშინვე მოიზიდოს ბაზარზე კონკურენტები. ამ პოლიტიკის ნაკლოვანებები იმაში მდგომარეობს, რომ მოგვიანებით გაჭირდება ამ საქონელზე ფასის აწევა, რამდენადაც მყიდველები უკვე მიჩვეული არიან დაბალ ფასს. ეს პრობლემა გარკვეულად შეიძლება გადაწყდეს თუ საქონელს თუ საქონელს ბაზარზე შეტანისას მივამაგრებთ მას ისეთი ტიპის ეტიკეტებს, როგორიცაა „ახალი საქონელი ფასდაკლებით“, „ახალი ფასი“ და ა.შ. **Stay-Dict-policy** (შევიწროების ფასობრივი პოლიტიკა) — გულისხმობს, რომ ფირმას ბაზარზე გააქვს საქონელი ისეთი დაბალი ფასით, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს მასზე კონკურენტული საქონლის სხვა გამყიდველების გამოჩენას.

6.3. ფასობრივი დისკრიმინაცია

6.3.1. ცნება

ფასობრივი დისკრიმინაციის ცნება შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

ფასობრივი დისკრიმინაცია გულისხმობს ერთ და იგივე საქონელზე ან მომსახურებაზე სხვადასხვა განსაცემი ფასის დადგენას დანახარჯებისაგან დამოუკიდებლად.

ფასობრივი დისკრიმინაციის მოვლენის შინაარსობრივი მხარის უფრო დეტალური განხილვისათვის, დავახასიათოთ რომელიმე საქონლის რეალიზაციის მოცულობის დამოკიდებულება ფასზე (ცხრ.6.8.)

ცხრილი 6.8. რეალიზაციის მოცულობის დამოკიდებულება ფასზე

ფასი, კრონი	რეალიზაციის მოცულობა კვირაში, ცლ.
28	1600
27	2000
26	2600
25	3200
24	3800
23	4400
22	5000
21	5600

მოცემულ შემთხვევაში, როგორც წინაში, ლაპარაკია რამდენიმე ალტერნატიული შესაძლებლობების ანგარიშზე, მაგალითად, გამყიდველს შეუძლია გაყიდოს საქონლის 1600 ერთეული თითოეული 28 კრონად, ან 200 ერთეული თითოეული 27 კრონად და ა.შ.

დავუშვათ, გამყიდველმა 1 ცლ. საქონელზე 27 კრონი დააწესა. აქ ჩანს, ამ ფასად მან უნდა გაყიდოს საქონლის 2000 ერთეული, მაგრამ მათგან 1600 ერთეული მას ხომ შეეძლო გაეყიდა 28 კრონად. ასეთ სიტუაციაში არ არის გამორიცხული, რომ გამყიდველზე განიხილავს შესაძლებლობას დაადგინოს უფრო მაღალი ფასი იმ მყიდველებისათვის, რომელთათვისაც ფასი სულერთია და უფრო დაბალი – მათთვის ვინც საქონლის ყიდვას უფრო დაბალ ფასში ცდილობენ. სხვა სიტუაციაში, მყიდველი განიხილავს ფასობრივი დისკრიმინაციის განხორციელების შესაძლებლობას.

გამყიდველი ზემოთ მოტანილი გაანგარიშებებით სრულყოფილად ისარგებლებდა იმ პირობით, თუ ის დააფასებდა 1 ცლ. 28 კრონად, იმ მყიდველებისათვის, რომლებიც ამ ფასით საქონლის 1600 ცლ. იყიდდნენ 27 კრონად. იმ მყიდველისათვის, რომლებიც თანახმა არიან იყიდონ ამ ფასით საქონლის შემდეგი 400 ერთეული, 1 ცლ. 25 კრონად შემდეგი 600 ერთეული (26000 - 20000) და ა.შ.

განსაზღვრაში ხაზგასმულია, რომ მოცემულ შემთხვევაში ლაპარაკი გვაქვს მხოლოდ მწარმოებლის გასაცემ ფასზე, ხოლო იმ სიტუაციაში, როცა ერთმ და იგივე საქონელი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მყიდველებს სხვადასხვა ფასში მიეყიდებათ, ფასების განსხვავება აიხსნება მხოლოდ საქონლის ტრანსპორტირების ხარჯების სხვაობით და საქმე ფასობრივ დისკრიმინაციას არ ეხება.

6.3.2. ო ვ ტ ი მ ი ზ ა ც ი ა

ცხრ.6.8. ჩვენ ავლწერეთ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის დამოკიდებულება ფასზე. ახლა ვივარაუდოთ, რომ ცვლადი დანახარჯები წარმოების მოცულობის პროპორციულად იცვლება და 16 კრონს შეადგენს. პროდუქციის ერთეულზე მუდმივი დანახარჯები კვირაში 25 000 კრონის ტოლია, ხოლო საწარმოს სიმძლავრე საშუალებას იძლევა კვირაში წარმოებული იქნას მოცემული საქონლის 5000ცლ. თუ საქონლის მიწოდებელი ფირმა ფასობრივ დისკრიმინაციას არ გაატარებს, შეიძლება ზღვრული მაჩვენებლების შეჯერების მეთოდის გამოყენება, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრ.6.9.

ცხრ.6.9. ზღვრული მაჩვენებლების შეჯერების მეთოდი.

ფ.ა.ი. კრონი	ჩელაზაღიას მოცულება კვირაში, ცლ.	მთლიანი ამონაგები, კრონი	ზ.შ. კრონი	ზ.ღ. კრონი
-	0	0	28,0	16,0
28	1600	44 800	23,0	16,0
27	2000	54 000	22,67	16,0
26	2600	67 600	20,67	16,0
25	3200	80 000	18,67	16,0
24	3800	91 200	16,67	16,0
23	4400	101 200	14,67	16,0
22	5000	110 000	12,67	16,0
21	5600	117 600	12,67	16,0

უფრო ხელსაყრელია კვირაში საქონლის გასაღება 4400 ერთეულის მოცულობით თითოეული 23 კრონად, რამდენადაც რეალიზაციის მოცულობის ამ მნიშვნელობაზე დაბალი მაჩვენებლებისას, ზღვრული შემოსავლების სიდიდე მეტია ზღვრული დანახარჯების სიდიდეზე.

გეგმიური კვირეული მოგება შეიძლება გამოითვალოს შემდეგნაირად:

მთლიანი ამონაგები: 4400ცლ. 23კრონად 101 200 კრონი
 - ცვლადი დანახარჯები: 4400ცლ. 16 კრონად 70 400 კრონი
 დაფარვის სიდიდე 30 800 კრონი
 - მუდმივი დანახარჯები 25 000 კრონი
 მოგება 5 800 კრონი

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ცხრ.6.8. მონაცემების საფუძველზე ფირმა განიხილავს გასაღების შესაძლებლობას მყიდველთა ორი სხვადასხვა ჩგუფისათვის ცალ-ცალკე (იხ.ცხრ.6.10.), ცხრილიდან გამომდინარეობს, რომ მოთხოვნის ფასობრივი ელასტიურობა ორ ჩგუფში განსხვავებულია. მაღალი ფასის ერთი ცალი 28 კრონად მყიდველთა 5

ჯგუფში მოთხოვნა საერთოდ არ არის, ხოლო უფრო დაბალი ფასებისას მოთხოვნის გადიდება E ჯგუფში, პირიქით, შედარებით მაღალია ვიდრე A ჯგუფში. ამგვარად, მოთხოვნის ელასტიურობა მოცემული ფასისას უფრო მაღალია E ჯგუფის მყიდველებისათვის საქონლის რეალიზაციისას. ცხრილ 6.10. ზღვრული შემოსავლის მაჩვენებლები გამოთვლილია მყიდველთა თითოეულ ჯგუფისათვის.

ჩვენ ვნახეთ, რომ ფასობრივი დისკრიმინაციის უქონლობისას საქონლის ერთეულის ფასი 23 კრონის ტოლია. A ჯგუფის მყიდველებისათვის გამოთვლილი ზღვრული შემოსავლის სიდიდეები გვიჩვენებს, რომ საქონლის რეალიზაცია, მაგალითად 2400-დან 2600-მდე არა რენტაბელურია, რამდენადაც ამ ინტერვალში ზღვრული შემოსავალი 11 კრონს შეადგენს, მაშინ როცა ზღვრული დანახარჯები - 16 კრონს. ამგვარად A მყიდველთა ჯგუფისათვის ფასი 23 კრონზე მაღალი უნდა იყოს. E მყიდველისათვის — კი პირიქით, ფასი 23 კრონზე დაბალი უნდა იყოს და 22 კრონის ფასის ინტერვალში ზღვრული შემოსავალი, ამგვარად, 17 კრონის ტოლია და აღემატება ზღვრულ დანახარჯებს, რომელსაც 16 კრონს შეადგენს.

ჯგუფის მყიდველებთან მიმართებაში ფირმისათვის უფრო ეფექტიანად ითვლება საქონლის გასაღებაკვირაში 2000 ცლ. რაოდენობით, თითოეული 26 კრონად, რამდენადაც რეალიზაციის მოცულობის უფრო მაღალი მაჩვენებლებისას ზღვრული დანახარჯები, რომელიც 16 კრონის ტოლია, ზღვრულ შემოსავალს აჭარბებს.

რას შეეხება E ჯგუფის მყიდველებს, მათი საქონლის რეალიზაცია ფირმისათვის უფრო ხელსაყრელია 2200 ერთეულის მოცულობით კვირაში 1 ცლ. 22 კრონის ღირებულებით.

ჯგუფის შედეგები				ჯგუფის შედეგები			
ფასი, კრონი	კვირაში რეალიზ. მოცულობა	შოსავალი აკრონებში, კრონი	ზ.შ. კრონი	ფასი, კრონი	კვირაში რეალიზ. მოცულობა	შოსავალი აკრონებში, კრონი	ზ.შ. კრონი
—	0	0	28,0	28	0	0	—
28	1600	44 800	19,0	27	200	5 400	27,0
27	1800	48 600	17,0	26	600	15 600	25,5
26	2000	52 000	15,0	25	1000	25 000	21,5
25	2200	57 000	13,0	24	1400	33 600	—
24	2400	55 000	11,0	23	1800	41 400	19,5
23	2600	59 000	9,0	22	2200	48 400	17,5
22	2800	61 000	7,0	21	2600	54 600	15,5
21	3000	63 000	—	—	—	—	—

კვირული მოგების სიდიდე ამის შემდეგ შეიძლება შემდეგნაირად გამოითვალოს:

მთლიანი ამონაგები	
ჩგუფის მყიდველები: 2200 ცლ. 26 კრონად	52 000 კრონი
ჩგუფის მყიდველები: 2200 ცლ. 22 კრონად	48 000 კრონი
სულ:	100 400
- ცვლადი დანახარჩები, 4200 ცლ. 16 კრონად	67 200 კრონი
დაფარვის სიდიდე	33 200 კრონი
- მუდმივი დანახარჩები	25 000 კრონი
მოგება	8 200 კრონი

ამგვარად, კვირაში მისაღები მოგების სიდიდე 2400 კრონით (8200 — 5800) მეტი იქნება ფასობრივი დისკრიმინაციის განხორციელებისას. გავაფართოოთ ახლა ჩვენი მაგალითის ჩარჩოები და ვიგულისხმობთ, რომ ფირმამ თავისი საქონლის შეუზღუდავი რაოდენობით ექსპორტირების შესაძლებლობა მიიღო მსოფლიო ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასით — 1 ცლ. 20 კრონად ე.ი. საგარეო ბაზარზე შეიქმნა სრული კონკურენციის პირობები და ფირმა მასზე მყიდველის როლში გამოდის, ამიტომ ზღვრული შემოსავლის დონე საბაზრო ფასის 20 კრონის ტოლი იქნება. რამდენადაც ზღვრული შემოსავალი საქონლის საგარეო ბაზარზე გაყიდვისას 20 კრონს შეადგენს, ხოლო ზღვრული დანახარჩები, როგორც ადრე 16 კრონის ტოლია, ფირმისათვის ხელსაყრელია სრულად დატვირთოს საწარმოო სიმძლავრეები მოცემული საქონლის გამოსაშვებად. ადრე აღნიშნული იყო, რომ საწარმოს შეუძლია კვირაში აწარმოოს მოცემული საქონლის 5000 ცალი, ამიტომ შექმნილ სიტუაციაში წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა კვირაში 5000 ცლ. უნდა იყოს.

დავუბრუნდეთ ახლა ცხრ.6.10. საექსპორტო შესაძლებლობების გარეშე ჩვენ გამოვთვალეთ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ოპტიმალური მოცულობა 2000 ცლ. მყიდველთა A ჩგუფისათვის. 1 ცლ. 26 კრონად. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ზღვრული შემოსავალი საგარეო ბაზარზე საქონლის 20 კრონად გაყიდვისას აღემატება ზღვრულ შემოსავალს A მყიდველებზე მოსული საქონლის 1800-დან 2000-მდე და 1600-დან 1800-ცალამდე გაყიდვისას. ამიტომ რენტაბელური იქნება A ჩგუფის მყიდველებზე მოსული საქონლის პარტიიდან 400 ერთეულის „გატანა“ სასაგარეო ბაზარზე სარეალიზაციო პარტიაში. ასეთი „გატანა“ ხორციელდება A ჩგუფის მყიდველებისათვის 26-დან 28-კრონამდე გადიდების გზით.

ნ ჩგუფის მყიდველებისათვის ჩვენ გამოვთვალეთ საექსპორტო შესაძლებლობების გარეშე — გასაღების ოპტიმალური ვარიანტი —

2200 ცლ. საქონელი თითოეულ 22 კრონად. მოცემუ შემთხვევაში — საქსპორტო შესაძლებლობების გათვალისწინებით — ეფექტიანია 800 ცლ. საქონლის „გადატანა“ (2200-დან 1400 ცლ-მდე) საგარეო ბაზარზე გასაყიდ პარტიაში, რომელიც 22-დან 24 კრონამდე გადიდებული ფასით იყიდება.

მიყიდის რა A ჯგუფის მყიდველებს საქონელის 1600 ერთეულს, B ჯგუფის მყიდველებს 1400 ერთეულს ფირმას შესაძლებლობა აქვს საგარეო ბაზარზე გაყიდოს საქონლის 2000 ერთეული. ასეთ შემთხვევაში კვირაში მიღებული მოგება შეიძლება შემდეგნაირად გამოვთვალოთ:

მთლიანი ამონაგები:

ჯგუფის მყიდველთათვის: 1600 ცალი 28 კროად	44 800 კრონი
ჯგუფის მყიდველთათვის: 1400 ცალი 24 კრონად	33 600 კრონი
ექსპორტი	40 000 კრონი
სულ	118 400 კრონი
— ცვლადი დანახარჯები 5000 ცალი 16 კრონად	<u>80 000 კრონი</u>
დაფარვის სიდიდე	38 400 კრონი
— მუდმივი დანახარჯები	<u>25 000 კრონი</u>
მოგება	<u>13 400 კრონი</u>

ზოგიერთ შემთხვევაში საქონლის რეალიზაციამ ბაზრის რომელიმე სეგმენტზე შეიძლება მოიტხოვოს დამატებით ღირებულებების განხორციელებაც, რომელიც დაკავშირებულია საქონლის სპეციალური შეფუთვით გაყიდვის აუცილებლობასთან, რაც ბაზრის სეგმენტებში საქონლის გაყიდვასთან შედარებით საშუალო ცვლადი დანახარჯების სიდიდეს ზრდის. იმისათვის, რომ ზღვრული დანახარჯების სიდიდე წინანდებურად ერთნაირი დარჩეს ბაზრის სხვა სეგმენტში გაყიდული საქონლისათვის შეიძლება შევამციროთ ზღვრული შემოსავლის სიდიდე შესაბამის სეგმენტში პროდუქციის ერთეულზე დამატებითი დანახარჯების სიდიდით.

ჩვენს მაგალითში დავუშვათ, რომ საგარეო ბაზარზე საქონლის რეალიზაცია მოიტხოვს განსაკუთრებულ შეფუთვას 1 ცლ-ზე 2 კრონი, ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ოპტიმიზაციის განხორციელება ექსპორტში გასაყიდი საქონლის ზღვრული შემოსავლიდან გამომდინარე 18 კრონით (20 კრონი — 2 კრონი) და ზღვრული დანახარჯების სიდიდით 16 კრონი.

6.3.3. პ ი რ ო ბ ე ბ ი

როგორც მოტანილი მაგალითიდან ჩანს, ფასობრივი დისკრიმინაციის განხორციელება შეიძლება იმ პირობით, რომ გამყიდველს შესაძლებლობა აქვს ბაზარი დაყოს მყიდველთა ჯგუფებად, რომლებიც

მოთხოვნის სხვადასხვა ფასობრივ ელასტიურობას ფლობენ. იმ შემთხვევაში თუ მყიდველთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის მოთხოვნის ფასობრივი ელასტიურობა სხვადასხვაა. გამყიდველს შეუძლია თავის საქონელზე ვადიდებული ფასი დააწესოს იმ კლიენტებისათვის, რომლებიც მას მისაღებად ჩათვლიან, —ხოლო უფრო დაბალი ფასი იმისათვის, ვინც დათანხმდება საქონლის ყიდვას მაღალი ფასით. თუკი მოთხოვნის ფასობრივი ელასტიურობა მყიდველთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის ერთნაირია, მაშინ ფასები ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე ასევე ერთნაირი იქნება. ასეთ შემთხვევაში ფასობრივი დისკრიმინაციის ვატარების საკითხი არც კი წამოიჭრება.

ფასობრივი დისკრიმინაციის განხორციელების მეორე პირობად ითვლება ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე მოქმედი მყიდველთა ჯგუფების ერთმანეთისაგან იზოლაციის შესაძლებლობა. მაგალითად, ჩვენს კიბოთეკურ მაგალითში ფირმამ ამა თუ იმ ხერხით ხელი უნდა შეუშალოს კლიენტებს, რომლებიც A ჯგუფის მყიდველებს ეკუთვნიან, იყიდონ საქონელი დაბალი ფასით, რომელიც დადგენილია B ჯგუფის მყიდველებისათვის. მომდევნო განყოფილებაში უფრო დაწვრილებით ვუპასუხებთ ამ კითხვას ფასობრივი დისკრიმინაციის პრაქტიკული გამოყენების მაგალითზე.

გამყიდველს, რომელიც სრული კონკურენციის პირობებში მოქმედებს, არ ძალუძს ფასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკის განხორციელება იმ მიზნით, რომ მას არ შეუძლია გაატაროს ფასების პოლიტიკა, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში იძულებულია გაყიდოს საქონელი ჩამოყალიბებული საბაზრო ფასით, ამიტომ ფასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკა ითვალისწინებს კონკურენციის განსაზღვრულ შეზღუდვებს, რის წყალობითაც მყიდველები მეტ-ნაკლებად ჰკარგავენ შესაძლებლობას სრული ინფორმაცია ჰქონდეს საბაზრო ფასებზე.

ფასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკის განხორციელება გულისხმავს შემდეგს:

1. გამყიდველს უნდა შეეძლოს ბაზარი დაყოს რამდენიმე სეგმენტად, სადაც მოთხოვნის არაერთგვაროვანი ფასობრივი ელასტიურობის მყიდველთა სხვადასხვა ჯგუფები მოქმედებენ.

2. გამყიდველს უნდა შეეძლოს ბაზრის ასეთი სეგმენტების ერთმანეთისაგან იზოლირება.

3. არსებობს კონკურენციის განსაზღვრული შეზღუდვები.

6.3.4. პრაქტიკული მახალითები

უასობრივი დისკრიმინაცია გეოგრაფიული ნიშნით

ბაზრის დაყოფა მყიდველთა ჯგუფებად შეიძლება განხორციელდეს მათი საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკის ეფექტიანი გამოყენების პირობად ითვლება მოთხოვნის არაერთგვაროვანი ფასობრივი დისკრიმინაცია, მყიდველთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის. ასეთი მდგომარეობა ხშირად წარმოიქმნება, როცა ფირმა საქონელს ყიდის როგორც შიდა, ასევე საგარეო ბაზარზე. ასეთ შემთხვევაში საწარმო, როგორც წესი, საგარეო ბაზარზე უფრო სერიოზული კონკურენცია აწყდება, ამიტომ ეკონომიკურად გამართლებულია უფრო დაბალი ფასების დაწესება საექსპორტო საქონელზე. ფასობრივი დისკრიმინაციის ასეთ განსაკუთრებულ ფორმას დემპინგი ეწოდება. საშინაო და საექსპორტო ფასების დასაშვები სხვაობა არ შეიძლება აღემატებოდეს საზღვარგარეთ საქონლის მიწოდების სატრანსპორტო დანახარჯების და ქვეყანა—იმპორტიორის საბაჟო გადასახადების ჯამს. თუ ფასებს შორის სხვაობა ამ სიდიდეს აღემატება, მაშინ იქმნება საშიშროება, რომ მოცემული საქონელი რეექსპორტირდება თავის წარმოშობის ქვეყანაში და ფასობრივი კონკურენციას შეუქმნის საშინაო ბაზარზე გასაყიდ საქონელს. შეიძლება აგრეთვე წარმოვიდგინოთ საცალო ვაჭრობის ფირმა მაღაზიების ქსელით, რომელიც ქალაქის ერთ ნაწილში საქონელს უფრო მაღალი ფასით ყიდის, ხოლო შედარებით დაბალით — მეორეში. ქალაქის ამ ორ რაიონში მოთხოვნის ფასობრივი ელასტიურობა შეიძლება აიხსნას, მაგალითად, მათი მოსახლეობის შემოსავლის დონეთა სხვაობით.

ფასობრივი დისკრიმინაცია მყიდველთა კატეგორიების მიხედვით ზოგიერთ შემთხვევაში დიფერენცირებულია. მაგალითად სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა შეიძინონ საქონელი ან მომსახურება ჩვეულებრივზე დაბალ ფასებში. საბავშვო ბილეთები სპორტულ ღონისძიებებზე უფრო იაფია, ვიდრე მოზრდილებისა. ხანდაზმული ადამიანები სარგებლობენ მნიშვნელოვანი შეღავათებით მატარებლით მგზავრობისას. ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში ლაპარაკია ფასობრივ დისკრიმინაციაზე, რომლის დროსაც მოთხოვნის ელასტიურობა მყიდველთა დასახელებული კატეგორიებისათვის, უფრო მაღალია, ვიდრე მოსახლეობის დანახარჯები ნაწილისათვის. ასეთ შემთხვევაში კლიენტთა ცალკეული ჯგუფები იოლია გამოიყოს ან სხვებისაგან იზოლირდეს, მაგალითად, პირადობის მოწმობით ან სტუდბილეთით. ფასობრივ დისკრიმინაციას საქონლის გამოყენების მეთოდების მიხედვით სხვადასხვანაირია.

სამრეწველო მოხმარების ელექტროენერჯია ნაკლები ღირს,

საოჯახო მეურნეობაში გამოყენებული ელექტროენერჯია. ტექნიკური სპირტი სასურსათოზე იაფია. ამგვარად შეიძლება მოვიტანოთ ფასობრივი დისკრიმინაციის განხორციელების მთელი რიგი მაგალითებისა საქონლის გამოყენების მეთოდების მიხედვით. ზემოთ მოყვანილ ორ მაგალითში შეიძლება გამოიყოს მყიდველთა ჯგუფები ერთმანეთისაგან ელექტრომრიცხველების დაყენებით და ტექნიკური მიზნებისათვის განკუთვნილი სპირტის დენატურიერებით. ფასობრივი დისკრიმინაცია ხდება დროის ფაქტორის გათვალისწინებითაც. ხდება დაბალი ფასების დაწესება დროის გარკვეულ პერიოდში, მაგრამ ზოგჯერ ძნელია განისაზღვროს ადგილი აქვს თუ არა ფასობრვ დისკრიმინაციას დროის ფაქტორის გათვალისწინებით. მაგალითად, ის ფაქტი რომ დანიაში ვირთევზა წინასაახალწლო დღეებში ძვირია ვიდრე ივნისში, ან ის, კოსტუმი დღეს უფრო ძვირია, ვიდრე 25 წლის წინათ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქმე გვაქვს ფასობრივ დისკრიმინაციასთან. მოცემულ შემთხვევაში ლაპარაკია ჩვეულებრივ პრაქტიკაზე, როცა გამყიდველები მოთხოვენ-მიწოდების თანაფარდობის ცვლილებაზე რეაგირებენ ან პირიქით, ის ფაქტი, რომ ტელეფონების კომპანიები ადგენენ შეღავათიან ტარიფებს ტელეფონების გამოყენებაზე 19-30 სთ-დან 8-00 მთ-მდე. ან ის რომ სკანდინავიის „CAC“ კომპანიის ზოგიერთ შიდა საპაერო რეისზე ბილეთების ღირებულება დაბალია სხვებთან შედარებით (ე.წ. „მწვანე“ და „წითელი“ რეისები) ფასობრივი დისკრიმინაციის გამოყენებაზე მეტყველებს. სრულიად ნათელია, რომ ღებულობს გადაწყვეტილებას ზემოთ აღნიშნული ტიპის ფასობრივ დისკრიმინაციაზე, ფირმები მიზნად ისახავენ თავიანთი საწარმოო სიმძლავრეების თანაბრად დატვირთვას. შედარებით დაბალი ფასებით ისინი სტიმულს აძლევენ ბინის ტელეფონების მფლობელებს და პოტენციალურ ავიომგზავრებს ისარგებლონ სატელეფონო კომპანიები და „CAC“-ის მომსახურებით, იმ დროით მონაკვეთში როცა ამ მომსახურებაზე მოთხოვნა საქმიან სამყაროს წარმომადგენელთა მხრიდან შედარებით დაბალია.

არაცხადი (ფარული) ფასობრივი დისკრიმინაცია იმ შემთხვევაში გვაქვს, როცა ძნელია მყიდველთა სხვადასხვა ჯგუფების ერთმანეთისაგან იზოლირება, ზოგჯერ შეიძლება განსაზღვრული სარგებლით ერთი და იგივე საქონელი სხვადასხვა დასახელებით, სხვადასხვა შეფუთვით გაყიდვა და ა.შ. ამით შეიძლება მყიდველთა ერთ ჯგუფს შეექმნას შთაბეჭდილება, რომ ისინი უკეთეს საქონელს ყიდულობენ, ვიდრე მეორე ჯგუფის წარმომადგენლები. ასე მაგალითად, თუ თევზის ქარხანა ერთი და იგივე ხარისხის ქაშაყს ყიდის ორი სხვადასხვა დასახელებით (მაგალითად „დელიკატესური ქაშაყი“ და „ჩვეულებრივი ქაშაყი“) და სხვადასხვა ფასით, ეს საწარმო ფასობრივ დისკრიმინაციას ახორციელებს.

ფასობრივი დისკრიმინაციის ასეთ ფორმას არაცხადი (ფარული) ეწოდება, რამდენადაც ამ შემთხვევაში, მყიდველის თვალსაზრისით საუბარი მიდის ორ სხვადასხვა საქონელზე.

ყოველთვის არ ხერხდება იოლად განისაზღვროს — ადგილი აქვს თუ არა ფასობრივ დისკრიმინაციას. ფასდაკლების დადგენისას შეღავათები რომელიმე საზოგადოების კავშირების წევრებზე ფასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ ფასდაკლებას დიდი როლდენობის საქონლის შესყიდვის მიზნით, რომლის სიდიდე გამყიდველის დანახარჯების თანხის ტოლია, ფასობრივ დისკრიმინაციად არ შეიძლება ჩაითვალოს. მართალია პრაქტიკაში ასეთი შეღავათების სიდიდე ხშირად ბევრად აღემატება დანახარჯების შემცირების სიდიდეს და ასეთ შემთხვევაშიც ჩვენ ვამბობთ, რომ საქმე გვაქვს ფასობრივ დისკრიმინაციასთან.

6.4. კალკულაცია

6.4.1. ცნება

საქონლის ერთეულის წარმოების და რეალიზაციის დანახარჯების გამოთვლა კალკულაციის საშუალებით ხორციელდება.

კალკულაციაში იგულისხმება საქონლის ერთეულის, შეკვეთის და ა.შ. წარმოებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

თუ კალკულაცია ფირმის მომავალი საქმიანობის შიდასაფირმო დაგეგმვის ერთ-ერთ ეტაპად ითვლება მისი შედგენისას აუცილებელია ამოვიდეს ბიუჯეტური დანახარჯებიდან. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს გეგმიურ კალკულაციასთან.

გეგმიური კალკულაცია წარმოადგენს საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის დაწვებადღე დანახარჯების ანგარიშს.

მას შემდეგ, რაც საქონელი წარმოებული და გაყიდულია შეიძლება წარმოიქმნას დანახარჯების დინამიკის გაკონტროლების მოთხოვნილება.

საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის შემდეგ შედგენილ კალკულაციას, ჭამური (ფაქტიური) კალკულაცია ეწოდება.

შემდგომ მოცემულ პარაგრაფში ლაპარაკი იქნება მხოლოდ გეგმიურ კალკულაციაზე.

6.4.2. ცვლადი დანახარჯების კალკულაცია დაფარვის სიდიდის მეთოდით

დაფარვის სიდიდის მეთოდით კალკულაციისას გაითვალისწინება მხოლოდ ცვლადი დანახარჯები.

დაფარვის სიდიდის მეთოდით კალკულაცია გულისხმობს მხოლოდ ცვლადი დანახარჯების აღრიცხვას პროდუქციის (ან შეკვეთის) ერთეულზე.

ამგვარად, დაფარვის სიდიდის მეთოდით კალკულაციის საფუძველში ძვეს საშუალო ცვლადი დანახარჯების (ს.ც.დ.) გაანგარიშება. ამ უზაზზე შეიძლება გავიანგარიშოთ საქონლის დაფარვის საშუალო სიდიდე, რომელიც წარმოადგენს რეალიზაციის ფასს საშუალო ცვლადი დანახარჯების გამოკლებით. საქონლის დაფარვის სიდიდიდან იწოდება ამონაგების ნაწილი მისი რეალიზაციიდან, რომელსაც საწარმოო, ერთი მხრივ, მუდმივი დანახარჯების დასაფარავად იყენებს, ხოლო მეორე მხრივ — შესაძლებლობის მიხედვით მოგებაში გადარიცხვისათვის. სწორედ ეს დამოკიდებულება განაპირობებს ისეთი ტერმინის გამოყენებას, როგორცაა კალკულაცია დაფარვის სიდიდის მეთოდით.

ცხრ. 6.11 ნაჩვენებია დაფარვის სიდიდის მეთოდით კალკულაციის გამოყენების მაგალითი სავაჭრო საწარმოში.

საწყის პუნქტად ითვლება მიმწოდებლის ფრანკო-საწყობის ფასი, ანუ მწარმოებლის გასაცემი ფასი. მას ემატება შეკვეთამდე საქონლის მიტანის დანახარჯები, იგი შეიცავს ყველა დანახარჯს, თან ახლავს საქონელს გზაზე მყიდველის საწყობამდე. მაგალითად: სატრანსპორტო საშუალებების ფრანკი და დაზღვევების ხარჯები, საბაჟო გადასახადი და საექსპედიციო დანახარჯები. გასაცემი ფასისა და შეკვეთამდე საქონლის მიტანის დანახარჯების ჯამი იწოდება მყიდველის ფრანკო საწყობის ფასად. რომ გამოვთვალოთ საშუალო ცვლადი დანახარჯების სიდიდე, მყიდველის ფრანკო-საწყობის გარდა უნდა გავითვალისწინოთ შესაძლო სარეალიზაციო ცვლადი დანახარჯები, ისეთები, როგორცაა საცალო ვაჭრობის ქსელში საქონლის მიტანის ხარჯები, შესაფუთი მასალები და სხვა.

ცხრ. 6.11. დაფარვის სიდიდის მეთოდით კალკულაციის გამოყენების მაგალითი სავაჭრო საწარმოში

პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების გეგმიური კალკულაცია, კრონი	
მიმწოდებლის ფრანკო-საწყობის ფასი	44,50
+ შეკვეთამდე საქონლის მიტანის დანახარჯები	6,80
მყიდველის ფრანკო-საწყობის ფასი	51,30
+ გახადების ცვლადი დანახარჯები	4,30
საშუალო ცვლადი დანახარჯები	55,60

ცხრ. 6.12 ნაჩვენებია სამრეწველო საწარმოში კალკულაციის ანგარიშის მაგალითი.

ცხრ. 6.12. დაფარვის სიდიდის მეთოდით კალკულაციის გამოყენების მაგალითი სამრეწველო საწარმოში

საქონლის ერთეულზე დანახარჯების გეგმიური კალკულაცია, კრონი	
ნედლეული	67,20
+ ხელფასი	13,40
+ ელექტროენერჯიის გადასახადი	2,30
ცვლადი საწარმოო დანახარჯები	83,50
+ გასაღების ცვლადი დანახარჯები	8,1
საშუალო ცვლადი დანახარჯები	91,6

6.4.3. სამართო კალკულაცია

ზოგიერთი ფირმა იყენებს კალკულაციის მეთოდს, რომლის დროსაც გაითვალისწინება როგორც ცვლადი, ასევე მუდმივი დანახარჯები.

საერთო კალკულაციის მეთოდად იწოდება ისეთი მეთოდი რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის (ან შეკვეთის) ერთეულზე როგორც ცვლადი ასევე მუდმივი დანახარჯების ანგარიშს.

ცხრ. 6.13. მოტანილი სამრეწველო საწარმოს საერთო კალკულაციის მაგალითი. ცხრილიდან ჩანს, რომ მოცემულ შემთხვევაში მუდმივი და ცვლადი დანახარჯები მკაცრად არ იმიჯნება.

მუდმივს მიკუთვნებულია ისეთი დანახარჯები, როგორცაა დანახარჯები ოსტატთა ხელფასზე, საწარმოო შენობების საარენდო გადასახადი, მოწყობილობის ამორტიზაცია და მისი მსგავსი დანახარჯები.

სტრიქონი „გასაღების დანახარჯები“ მოიცავს როგორც ცვლად, ისევე მუდმივ ხარჯებს, ხოლო სტრიქონი „ადმინისტრაციული პერსონალის შენახვის დანახარჯები“ — მხოლოდ მუდმივს.

ცხრ. 6.13. საერთო კალკულაციის მეთოდი

B საქონლის ერთეულზე დანახარჯების გეგმიური კალკულაცია, კრონი	
ნედლეული	30,40
+ ხელფასი	7,80
+ ნავთობი	5,20
+ მუდმივი საწარმოო დანახარჯები	11,30
- წარმოების თვითღირებულება	54,70
გასაღების დანახარჯები	8,20
ადმინისტრაციის შენახვის ხარჯები	10,10
სრული თვითღირებულება	73,00

ზოგიერთ საწარმოში საერთო კალკულაციის მეთოდს იყენებენ ფასწარმოქმნას, შეაქვთ რა რეალიზაციის ფასში სრული

10. ფირმის ეკონომიკა

თვითღირებულების გარდა მოგების გარკვეული წილი. შეიძლება წარმოვიდგინოთ შემთხვევა, როცა რეალიზაციის ფასი B საქონლის მიმართ ცხრ. 6.13. შემდეგნაირად იანგარიშება, კრონებში:

სრული თვითღირებულება	73,00
+ 10% მოგება	7,3
სარეალიზაციო ფასი	80,3

მაგრამ გადაჭრით უნდა ვერიდოთ ასეთი ხერხით სარეალიზაციო ფასის გამოთვლის გამოყენებას, მოგების შექმნისათვის დამატებითი შემოსავალი მინც რატომ უნდა შეადგენდეს 10%-ს? რატომ 15% ან 20%?

ვთვლით რა საერთო კალკულაციის მეთოდის საფუძველზე ფასს, ჩვენს რულიადაც არ ვითვალისწინებთ, რომ არსებობს ურთიერთდამოკიდებულება დასადგენ ფასსა და რეალიზაციის შესაძლო მოცულობას შორის.

როგორც 6.17-ში ვნახეთ ეფექტიანი ფასწარმოქმნა ნორციელდება რიგი ალტერნატიული შესაძლებლობის ანალიზის საფუძველზე, სადაც ფასის თითოეულ მნიშვნელობას შეესაბამება საქონლის ის რაოდენობა, რომლის რეალიზებაც ფირმა აპირებს მოცემული ფასით. (გასაღების მოცულობის დამოკიდებულებას ფასზე) შემდეგ გეგმიურ კალკულაციის შედგენის მეშვეობით გამოითვლება რეალიზაციის მოცულობის თითოეული ალტერნატიული მაჩვენებლებიდან დაფარვის საერთო სიდიდის (ან მოგების) მოსალოდნელი სიდიდე. საერთო კალკულაციის მეთოდი კი ამ მიზნებისათვის უვარგისია. ეს იმით აიხსნება, რომ საშუალო მულმივი დანახარჯების ანგარიშისათვის აუცილებელია ზუსტი წარმოდგენა, დროის შესაბამის მონაკვეთში, საქონლის რა რაოდენობას ვაწარმოებით, და გაყიდით.

როგორც ჩვენ მე-4 თავში ვნახეთ, საშუალო მულმივი დანახარჯების დინამიკა დამოკიდებულია საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის ცვლილებაზე. თვითღირებულების სიდიდის გამრავლებით წარმოებული პროდუქციის რაოდენობის სხვადასხვა მაჩვენებლებზე ჩვენ ფაქტობრივად ისე ვექცევით ცვლად დანახარჯებს, როგორც პროპორციულად მზარდ დანახარჯებს.

ქვემოთ მოცემულ განყოფილებაში წარმოვიდგინოთ სააქციო საზოგადოება „რივოლის“ მოგების ბიუჯეტი (გეგმა) 19...1 წელს და მისი მონაცემების საფუძველზე შემდგომ განყოფილებებში განვიხილოთ ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც შესაძლებელია დაფარვის სიდიდის მეთოდით კალკულაციის საშუალებით.

6.4.4. სააქციო საზოგადოება "რივოლი"-ს მოგების ბიუჯეტი

სააქციო საზოგადოება „რივოლი“ აწარმოებს და ყიდის ოთხი სახის პროდუქციას: A- B- B- და Γ საქონელს. მომდევნო წელიწადისათვის შედგენილია მოგების ასეთი წინასწარი ბიუჯეტი (ცხრ. 6.14)

ცხრ. 6.14. სააქციო საზოგადოება „რივოლი“-ს 19..1 წ. მოგების ბიუჯეტი

რეალიზაციის ამონაგები		
100 000 ცლ. A საქონელი 24 კრონად		2 400 000 კრონი
150 000 ცლ. B საქონელი 29 კრონად		4 350 000 კრონი
81 000 ცლ. B საქონელი 26 კრონად		280 000 კრონი
120 000 ცლ. Γ საქონელი 41 კრონად		4 920 000 კრონი
დანახარჯები:		
ნედლეული და მასალები		5 940 000 კრონი
ხელფასი		3 480 000 კრონი
სხვა ცვლადი დანახარჯები		840 000 კრონი
მუდმივი დანახარჯები		2 610 000 კრონი
სულ		12 870 000 კრონი
მოგება		880 000 კრონი

ბიუჯეტი შედგენილია ცხრ. 6.15. წარმოდგენილი საერთო კალკულაციის მეთოდით ანგარიშების საფუძველზე

ცხრ. 6.15. სააქციო საზოგადოება „რივოლი“ გეგმიური კალკულაცია, საერთო კალკულაცია

	A საქონელი	B საქონელი	B საქონელი	Γ საქონელი
	კრონი	კრონი	კრონი	კრონი
ნედლეული და მასალები	11,00	16,00	8,00	15,00
ხელფასი	8,00	4,00	8,00	12,00
სხვა ცვლადი დანახარჯები	1,00	2,00	1,00	3,00
მუდმივი დანახარჯები	6,00	3,00	6,00	9,00
ოპოტიმიზებული	26,00	25,00	23,00	39,00
სარეალზაციო ფასი	25,00	29,00	26,00	41,00
მოგება	-2,00	4,00	3,00	2,00

მუდმივი დანახარჯები გამოთვლილია ხელფასის ფონდის 75%-ის მიმართ. სააქციო საზოგადოება „რივოლი“-ს საწარმოო სიმძლავრეები საშუალებას გვაძლევს გარკვეულ წილად გაიზარდოს წარმრება. რეალიზაციის მიმართ ოთხივე სახის საქონელი ერთმანეთისაგან დამოკიდებულია.

6.4.5. გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის შეზღუდვა

ცხრ.6.15. მოცემულია გეგმიური კალკულაციის მონაცემები, ერთი შეხედვით გვიჩვენებს, რომ ეკონომიურად გამართლებული იქნებოდა A საქონლის გამოშვების შეწყვეტა, რადგანაც მისი თვითღირებულება 2 კრონით მეტია სარეალიზაციო ფასზე. მით უფრო, ასეთი დასკვნა საერთო კალკულაციის ანგარიშების საფუძველზე არასწორია. ამის დამტკიცება იოლია თუ კალკულაციას გამოვთვლით დაფარვის სიდიდის მეთოდით.

ცხრ. 6.16. სააქციო საზოგადოება „რივოლი“, გეგმიური კალკულაცია, კალკულაცია დაფარვის სიდიდის მეთოდით.

	A საქონელი	B საქონელი	C საქონელი	D საქონელი
	კრონი	კრონი	კრონი	კრონი
სარეალიზაციო ფასი	24,00	29,00	26,00	41,00
ნედლეული და მასალები	11,00	16,00	8,00	15,00
ხელფასი	8,00	4,00	8,00	12,00
სხვა ცვლადი დანახარჯები	1,00	2,00	1,00	3,00
საშუალო ცვლადი დანახარჯები	20,00	22,00	17,00	30,00
დაფარვის საშ. სიდიდე	4,00	7,00	9,00	11,00

ოთხივე სახის საქონლის წარმოება და რეალიზაცია დაფარვის დადებით სიდიდეს გავაძლევს, რის ხარჯზეც „რივოლი“ ინაზღაურებს მუდმივ დანახარჯებს და მოგების გადარიცხვას აწარმოებს. თუ ფირმა შეწყვეტს A საქონლის წარმოებას და გაყიდვას იგი დაკარგავს დაფარვის სიდიდის 400 000 კრონს. ამით დაგეგმილი მოგება, 880 000 კრონიდან 480 000 კრონამდე შემცირდებოდა. მაშასადამე, ფირმამ არ უნდა შეწყვიტოს A საქონლის წარმოება.

ზემოთ მოტანილი დასკვნა იმის საფუძველზე გაკეთდა, რომ შეუძლებელია გამოვლინდეს მუდმივი დანახარჯების შემცირება 400 000 კრონით, ან უფრო მეტად A საქონლის წარმოების შეკვეცის შემთხვევაში (შევადართ მუდმივი დანახარჯების ნახტომისებური დინამიკის აღწერა, განე. 4.2.3).

მაგრამ შესაძლო ნახტომების გამოვლენის პრობლემა მუდმივი დანახარჯების დინამიკაში არაგზით არ წყდება საერთო კალკულაციის მეთოდის საშუალებით.

6.4.6. ღამათაბითი შიკვითის კრობლემი

საიქციო საზოგადოებამ „რივოლში“ შემოვიდა მოთხოვნა 200 000 ერთეული B საქონლის მიწოდებამზე ერთჯერადი შეკვეთით 1 ცლ. 24 კრონად. შემკვეთი იყო უცხოური ფირმა. ფირმის ხელმძღვანელობა დაასკვნის, რომ მოცემული წინადადების მიღება ნეგატიურ ზეგავლენას ვერ მოახდენს აღნიშნული საქონლის რეალიზაციაზე ბაზრის სხვა სემპენტებში.

თუ დავეყრდნობით B საქონლის საერთო კალკულაციის მიერ გამოთვლილდა ცხრ. 6.15. მოტანილ მაჩვენებლებს, ფირმამ უარი უნდა თქვას ამ წინადადებაზე. B საქონლის თვითღირებულება 25,00 კრონის ტოლია. ყიდის რა მას 24,00 კრონად ფირმა მიიღებს 200 000 კრონის ზარალს მთელი შეკვეთის შესრულებაზე. თუმცა დაფარვის სიდიდის მეთოდით კალკულაცია გვიჩვენებს, რომ B საქონლის ერთეულის გაყიდვა 24 კრონად, გვაძლევს დაფარვის სიდიდეს, რომელიც (24,00 კრონს — 22,00 კრონი) 2 კრონის ტოლია, ხოლო ეს კი ნიშნავს მთელი შეკვეთის შესრულებისას 400 000 კრონს შეადგენს (200 000 ცალი X 2 კრონად). ამგვარად მოცემული წინადადების მიღების შემთხვევაში საიქციო საზოგადოებამ „რივოლი“-ს დაგეგმილი მოგება 400 000 კრონით გაიზარდა.

6.4.7. მარკეტინგული ღანახარჯები

დავუშვათ, რომ ფირმა „რივოლი“-ს ხელმძღვანელობა განიხილავს B საქონლის სარეკლამო ხარჯების გადიდების შესაძლებლობას 50 000 კრონით წელიწადში. რომ განვსაზღვროთ რამდენად სასარგებლოა ასეთი კომპანია.

შეიძლება გამოითვალოს რეკლამის ე.წ. ნულოვანი ეფექტიანობის წერტილი. რეკლამის ნულოვანი ეფექტიანობის წერტილი გვიჩვენებს, საქონლის გასაღების მოცულობა რამდენით უნდა გაიზარდოს რეალიზაციის ფასების ცვლილებისას, რათა ფირმას შეეძლოს დამატებითი ღანახარჯების დაფარვა. B საქონლის რეკლამისათვის ნულოვანი წერტილი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\frac{\text{რეკლამაზე დამატებითი ღანახარჯების ჯამი}}{\text{დაფარვის საშუალო სიდიდე}} = \frac{51\ 000}{9,00} = 5556 \text{ ცლ.}$$

ახლა ფირმამ უნდა განსაზღვროს რამდენად შესაძლებელია B საქონლის რეალიზაციის მოცულობის გაზრდა 5556 ცლ-ზე მეტით წელიწადში რეკლამაზე ღანახარჯების ცვლილებისას.

6.4.8. შიდასაფირმო ბასალები

შრთიერთლაგოკიღებულღებღი

როგორც ადრე იყო აღნიშნული ერთ, საწარმოში შექმნილ სხვადასხვა საქონელს შორის შეიძლება წარმოიქმნას ურთიერთღამოკიღებულღებღების ურთიერთობა (ურთიერთღამატება ან ურთიერთშეცვლადობა). ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია ღამოვთვალღოთ წარმოებისა და რეალიზაციის ოპტიმალური მოცულობა, თუ თითოეულ საქონელს გავნიხილავთ სხვებისაგან იზოლირებულად. აუცილებელია ფირმის საწარმოო ნომენკლატურაში შემავალი ყველა საქონლისათვის კომპლექსური ანგარიშების ჩატარება.

სააქციო საზოგადოება „რივოლში“ განიხილება წინადაღებღა ღამოშვებული საქონლის ნომენკლატურაში D საქონლის შეტანის შესახებ, რაც მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს საწარმოო სიმძღავრეების გავართოების გარეშე. ფირმა ღამოდის შესაძლებლობიდან ყოველწლიურად გავიდოს 100 000 ცღ. D საქონელი – 1 ცღ. 30,00 კრონად, რამდენადაც D და საქონელი ურთიერთშეცვლადია, მიჩნეულია, რომ D საქონლის 100 000 ცღ. რეალიზაცია ღამოიწვევს F საქონლის გასაღების შემცირებღას 75 000 ცღ. D საქონლის გეგმიური კალკულაცია შემდგენიარად ღამოიყურებღა (ცხრ. 6.17)

ცხრ.6.17. სააქციო საზოგადოება „რივოლი“: გეგმიური

კალკულაცია, საერთო კალკულაციის მეთოდი

D საქონლის ერთეულზე დანახარების გეგმიური კალკულაცია,

საერთო კალკულაციის მეთოდი

ნედლეული და მასაღები	16,00
+ ხელფასი	4,00
+ სხვა ცვლადი დანახარებღი	2,00
+ მუღმღვი დანახარებღი (ხელფასის 75%)	3,00
თვითღირებუღებღა	25,00
მოგებღა	5,00
სარეალიზაციო ფასი	30,00

ღამოსაშვები პროღუქციის ასორტიმენტში D საქონლის შეტანის ეფექტიანობის ანგარიში საერთო კალკულაციის მეთოღით შემდგენიარად ღამოიყურებღა:

D საქონლის რეალიზაციიდან მოგებღა

100 000 ცღ. 5 კრონად

500 000 კრონა

ხელიდან გამოშვებული მოგება Ⴀ საქონელზე 75 000 ცლ.	
2 კრონად	150 000 კრონი
მოგების გადიდება	350 00 კრონი

მაშასადამე, ანგარიში გვიჩვენებს, რომ D საქონლის საწარმოო ნომენკლატურაში შეტანით შეიძლება მივალწიოთ 19...1 წ. დაგეგმილი მოგების გადიდებას 350 000 კრონის სიდიდით. ვსინჯოთ დაფარვის მეთოდით კალკულაციის გამოყენება. D საქონლის ერთეულის რეალიზაცია გვაძლევს დაფარვას 8 კრონის სიდიდით. (30 კრონს – 22 კრონი) ამის საფუძველზე ფირმის დაფარვის სიდიდის დინამიკა შემდეგნაირად გამოითვლება:

D საქონლის მიხედვით დაფარვის სიდიდე	
100 000 ცლ. 8 კრონად	800 000 კრონი
Ⴀ საქონლის მიხედვით ხელიდან გაშვებული დაფარვის	
სიდიდე 75 000 ცლ. 11 კრონად	825 000 კრონი
დაფარვის სიდიდის შემცირება	25 000 კრონი

ამგვარად, გამოსაშვები პროდუქციის ასორტიმენტში D საქონლის განზრახული შეტანა ფირმის დაფარვის მთლიანი სიდიდის შემცირებას გამოიწვევს 25 000 კრონით. თუ სააქციო საზოგადოება „რივოლი“-ს მუდმივი დანახარჯების სიდიდე არ შეიცვლება, წარმოებისა და რეალიზაციის ზემოთ გამოვლილ ცვლილებებთან კავშირში, მაშინ ფირმის მთლიანი მოგებაც 25 000 კრონით შემცირდება.

ამგვარად, ვხედავთ რომ საერთო კალკულაციის მეთოდით უაღრესად უვარგისია წარმოების და რეალიზაციის მოცულობის ცვლილების ეკონომიკური ეფექტიანობის ანგარიშისათვის.

3. არსებობს კონკურენციის განსაზღვრული შეზღუდვები.

თავი 7


დანახარჯების ანბარიში

7.1. საწარმოო მომარაგების მართვა და სარიული წარმოება

7.1.1. დამოკიდებულება საწარმოო მომარაგებას, ზღა. პროდუქციის წარმოების პროცესსა და რეალიზაციას შორის

საწარმოს მომარაგების მართვის ძირითად ფუნქციად ითვლება აუცილებელი მასალებით (ნედლეული, ტარიით და ა.შ.) უზრუნველყოფა იმ მომენტში, როცა მათზე საწარმოო გეგმით საჭიროება იქნება.

ზუსტად ასევე, საწარმოო პროცესის მართვის ძირითად ფუნქციად ითვლება მზა პროდუქციის უზრუნველყოფა იმ მომენტში, როცა ის შემკვეთს უნდა მიეწოდოს. პრაქტიკაში შეუძლებელია განხორციელდეს მომარაგების, წარმოებისა და გასაღების გეგმების კოორდინაციის ისეთი ხარისხი, რომ ნედლეული ზუსტად იმ მომენტში შემოვიდეს, როცა წარმოების პროცესი უნდა დაიწყოს და საწარმოო პროცესი სწორედ მაშინ დამთავრდეს, როცა პროდუქცია შემკვეთს უნდა გაეგზავნოს. ამიტომ უკვე ამ ერთი მიზეზის გამო აუცილებელია ნედლეულის და მასალების (საწარმოო მარაგის) და მზა პროდუქციის მარაგის შექმნა (ნახ. 7.1.)



ნახ. 7.1. მომარაგება, წარმოება, გასაღება


ამგვარად, საწარმოს მომარაგების განყოფილება ვალდებულია განსაზღვროს შესასყიდი ნედლეულის და მასალის პარტიის სიდიდე, ხოლო საწარმოო განყოფილება — ერთდროულად გამოსაშვები პროდუქციის მოცულობა (სერიის სიდიდე). ამ ამოცანის გადაწყვეტაში დახმარება შეუძლია ალტერნატიულ ანგარიშების შედგენას, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ და მხოლოდ დანახარჯებს. აკი ცნობილია, რომ საწარმოს შემოსავლების სიდიდე დამოკიდებული არ არის შესასყიდი ნედლეულისა და მასალების პარტიის სიდიდეზე ან გამოსაშვები პროდუქციის სერიის სიდიდეზე.

7.1.2. შესასყიდი მასალების პარტიის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა

წარმოვიდგინოთ საწარმო, რომელმაც მომავალ წელს უნდა შეისყიდოს 20000 კგ განსაზღვრული სახის ნედლეული. თუ ყველა 20 000 კგ. ერთდროულად შეისყიდება, მაშინ საწარმოო მარაგი უშუალოდ შესყიდვის შემდეგ 20 000 კგ. აღმოჩნდება, რის შემდეგ იგი თანდათანობით დაიხარჯება. ერთი წლის შემდეგ მარაგი ნულის ტოლი გახდება.

ამ შემთხვევაში წლიური მარაგი შეადგენს $\frac{20000}{2} \% 0 = 10000$ კგ-ს, თუკი ნედლეული შესყიდული იქნება წელიწადში ორჯერ, ე.ი. ორ პარტიად, თითოეულჯერ 10 000 კგ, მაშინ საშუალო წლიური მარაგი

იქნება $\frac{10000\%0}{2} = 5000\%$ და ა.შ. ეს დამოკიდებულება ილუსტრირებულია ნახ. 7.2., სადაც პუნქტირული ხაზებით ნაჩვენებია საშუალო წლიური მარაგი.



ნახ. 7.2. დამოკიდებულება მასალების შესასყიდი პარტიის სიდიდესა და საწარმოო მარაგის სიდიდებს შორის

ამგვარად, რაც მეტია შესასყიდი მასალის პარტიის სიდიდე, მით უფრო მეტია საშუალო წლიური მარაგის სიდიდე და მით მეტია სასაწყობო ხარჯები. (პროცენტის გადახდა, დანაკარგები შენახვისას, სასაწყობო შენობის საარენდო გადასახადი და ა.შ.) თუ ფირმა დანახარჯებს არ ეწევა, ნედლეულის მიწოდებაზე შეკვეთის გაფორმებასა და შესყიდული პარტიის მიტანასთან კავშირში, მაშინ ეკონომიკურად ეფექტიანია ნედლეულის შესყიდვა წვრილ პარტიებად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს სასაწყობო ხარჯები. (პროცენტის გადახდა, დანაკარგები შენახვისას, სასაწყობო შენობების საარენდო გადასახადი და ა.შ.) თუ ფირმა დანახარჯებს არ ეწევა, ნედლეულის მიწოდებაზე შეკვეთის გაფორმებასა და შესყიდული პარტიის მიტანასთან კავშირში, მაშინ ეკონომიკურად ეფექტიანია ნედლეულის შესყიდვა წვრილ პარტიებად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს სასაწყობო ხარჯები.

პრაქტიკაში ფირმებს ხარჯების გაწევა უხდება შეკვეთების განთავსებაზე, შესასყიდი მასალების მიღებაზე, ანგარიშების მიმდინარეობის კონტროლზე და ა.შ. მსგავსი დანახარჯების თანხა ნაყიდების მომსახურებაზე, ერთი პარტიაზე განგარიშებით, როგორც წესი, დაახლოებით ერთნაირია. ეს გარემოება წარმოებებს სტიმულს აძლევს შეისყიდონ საქონელი შესაძლებლად უფრო მსხვილ პარტიებად.

ამგვარად, საქმე ეხება, იმას, რომ ნაპოვნი იქნეს შესასყიდი პარტიის ისეთი სიდიდე და ამასთან განისაზღვროს დროის მოცემულ პერიოდში შესასყიდი პარტიების რაოდენობაც, რომლის დროსაც მოცემულ პერიოდში შესასყიდი პარტიების რაოდენობაც, რომელის დროსაც ნაყიდების სასაწყობო და მომსახურების თანხა მინიმალური იქნებოდა.

დავებრუნდეთ ფირმის მაგალითს, რომელმაც მომავალ წელს უნდა შეისყიდოს და გამოიყენოს 20 000 კგ. განსაზღვრული სახის ნედლეული. ახლა დავუშვათ, რომ მყიდველის ფრანკო-საწყობის ფასი ამ ნედლეულზე 10 კრონია 1 კგ-ზე, რომ სასაწყობო დანახარჯები — სასაწყობო მარაგების საშუალო წლიური ღირებულების 20%-ია, ხოლო ნაყიდების მომსახურების დანახარჯები 1250 კრონია თითოეულ პარტიაზე. ამ მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება შედგეს ცხრ. 6.1., რომელშიც მოტანილია ნაყიდების სასაწყობო და მომსახურების სრული დანახარჯების მაჩვენებლები ყოველწლიურად შესასყიდი პარტიების სხვადასხვა რაოდენობის და შესაბამისად ამ პარტიების სხვადასხვა მოცულობისას.

ანგარიშები გვიჩვენებს, რომ სასაწყობო დანახარჯები მცირდება, ხოლო ნაყიდების მომსახურების დანახარჯები იზრდება, ნაყიდების რიცხვის გადიდებისას წლის განმავლობაში. ჩენ მაგალითში ნაყიდების ოპტიმალური რიცხვი ოთხის ტოლია, რადგანაც ამ მაჩვენებლისას ნაყიდების სასაწყობო და მომსახურების დანახარჯები უმცირესია. ამის გარდა ამ შემთხვევაში დანახარჯების ამ ორი სახის სიდიდე ერთნაირია (5000 კრონი).


ცხრ. 7.1. მოტანილი მსგავსი ანგარიშებისას აუცილებელია ნაყიდების რიცხვის ალტერნატიული მაჩვენებლების ისეთი რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფდა ამ რიგში შესასყიდი პარტიების ოპტიმალური რაოდენობის შეტანასაც. ნახ. 7.6. ცხრ. 7 1. მოტანილი ანგარიშების ილუსტრირებაა, თუმცა გრაფიკის აგებისას ჩვენ დამატებით შევიტანეთ შესასყიდი პარტიის სიდიდის მაჩვენებელი 20 000 კგ.

ცხრ. 7.1. შესასყიდი პარტიის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა

შესასყიდი პარტიების რაოდენობა წელიწადში	1	2	3	4	5
პარტიის სიდიდე, კგ.	20 000	10 000	6 667	5 000	4 000
საშ. წლიური მარაგი, კგ.	10 000	5 000	3 333	2 500	2 000
საშ. წლიური მარაგის ფასი, კრონი	100 000	50 000	33 333	25 000	20 000
სასაწყობო დანახ., კრონი წელიწადში	20 000	10 000	6 667	5 000	4 000
დანახარჯები ნაყიდი საქონლის მომსახურებაზე, კრონი წელიწადში	1 250	2 500	3 750	5 000	6 250
დანახარჯები ნაყიდების მომსახურებასა და საწყობში მოთავსებაზე, კრონი წელიწადში	21 250	12 500	10 417	10 000	10 250

შესასყიდი პარტიის ოპტიმალურ მნიშვნელობას ვპოულობთ ნაყიდების სასაწყობო და მომსახურების დანახარჯების მრუდების ქვედა წერტილში. იგი-შეესაბამება შესასყიდი საქონლის პარტიის სიდიდის მნიშვნელობას რომელსაც ვპოულობთ სასაწყობო და მომსახურების დანახარჯების მრუდების გადაკვეთის წერტილში.

მოცემული სახელმძღვანელოს ამოცანათა კრებულიდან ამოცანების ამოხსნის დროს საკმარისია ცხრილური მეთოდის გამოყენება, როგორც ცხრ. 7.1.-ია ნაჩვენები. მაგრამ შესასყიდი პარტიის ოპტიმალური სიდიდის ანგარიში შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს უნივერსალური ფორმულის საშუალებით, რომელშიც ჩვენ შემდეგ სიმბოლოებს ვიყენებთ:



ნახ. 7.3. შესასყიდი პარტიის ოპტიმალური სიდიდე

m — შესასყიდი საქონლის წლიური მოცულობა ცლ, კგ ან სხვა რაოდენობრივი მაჩვენებელი;

o — ნაყიდების მომსახურების დანახარჯები | პარტიაზე გაანგარიშებით;

k — მყიდველის ფრანკო-საწყობის ფასი საქონლის ერთეულზე;

z — სასაწყობო დანახარჯეტი პროცენტებში საწარმოო მარაგის საშუალო წლიური ღირებულებიდან. გამოისახება ათწილადებში, მაგალითად $10\% = 0,10$

Q — შესასყიდი პარტიის ოპტიმალური სიდიდე

$$Q = \sqrt{\frac{2mo}{kz}}$$

ამ ფორმულას, შავით ფორმულას უწოდებენ.
ჩვენი მაგალითის მნიშვნელობის ჩასმით, მივიღებთ:

$$Q = \sqrt{\frac{2 \cdot 20000 \cdot 1250}{10 \cdot 0.2}}$$

$\frac{20\ 000}{5\ 000} = 4$ ეს ნიშნავს, რომ ფირმამ ნედლეული და მასალები წელიწადში ოთხჯერ უნდა შეისყიდოს.
ამ განყოფილებაში მოტანილ მაგალითში საუბარი იყო საწარმოს მიერ ნედლეულისა და მასალების შესყიდვაზე. ჩვენს მიერ განხილული ანგარიშების მეთოდები ასევე წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას სავაჭრო ორგანიზაციებში მზა პროდუქციის შესყიდვის მიზნით.

7.1.3 სერიის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა

როცა სამრეწველო საწარმოში საჭირო ხდება განისაზღვროს გამოსაშვები პროდუქციის სერიის ოპტიმალური სიდიდე, ანგარიშები ძირითადად იგივე წესებით ხორციელდება როგორც ნედლეულისა და მასალების შესასყიდი პარტიის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრისას. მოცემულ შემთხვევაში ლაპარაკი იქნება აგრეთვე დანახარჯების დინამიკის ორი სხვადასხვა მიმართულების ტენდენციაზე.

თუ საქონელი იწარმოება დიდი რაოდენობის მცირე სერიებად, სასაწყობო ხარჯები მინიმუმამდე დაიყვანება. სამაგიეროდ მინც საკმაოდ დიდი გახდება ე.წ. წარმოების მომზადების დანახარჯები. ლაპარაკია მოწყობილობის გადაწყობის და გაშვების დანახარჯებზე და ა.შ. რომლებიც, როგორც წესი თითოეულ სერიაზე დაახლოებით ერთი და იგივე სიდიდეს შეადგენს. მოკლტპერიოდიანი საწარმოო ციკლისას სერიის ოპტიმალური სიდიდის ანგარიში ისეთნაირად ხორციელდება, როგორც ეს აღწერილია 7.1.2. განყოფილებაში. ამიტომ ჩვენ მივმართოთ გრძელვადიან საწარმოო ციკლზე მაგალითს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში საშუალო წლიური მარაგის სიდიდე სხვანაირად გამოითვლება. მაგალითისათვის შევიჩინოთ სამრეწველო საწარმო, რომელსაც ერთ-ერთი გამოშვებული საქონლის მიხედვით შემდეგი მაჩვენებლები აქვს.

	წელიწადში	თვეში
მაქსიმალურად შესალო წარმოების მოცულობა	36 000	3 000
რეალიზაციის მოცულობა	9 000	750


თუ გადაწყვეტილია ერთი სერიის ყველა 9 000 ცლ. წარმოება

მაშინ საწარმოო ციკლი სამ თვეს გაგრძელდება. ამ პერიოდის შემდეგ მზა პროდუქციის მარაგი მიაღწევს თავის მაქსიმუმს და შეადგენს:

წარმოების მოცულობა 3 თვეში	(9000 ცლ.)
— რეალიზაციის მოცულობა 3 თვეში	(2250 ცლ.)
მზა პროდუქციის მარაგი მე-3 თვის ბოლოს	(6750 ცლ.)

რადგან მინიმალური მარაგი ამ პერიოდში ნულის ტოლია, ხოლო მაქსიმალური 6750 ცლ. მზა პროდუქციის საშუალო წლიური მარაგი ტოლი იქნება $\frac{6750}{3} = 2250$ ცლ. თუ მიღებულია, ერთი სერიის 4500 ცლ. წარმოების გადაწყვეტილება, საწარმოო ციკლი 1,5 თვეს გაგრძელდება რეალიზაციის მოცულობა ამ პერიოდში 1125 ცლ. შეადგენს. მაქსიმალური მარაგი ახლა 3375 ცლ. ტოლია, საშუალო წლიური კი — 1688 ცლ.

ამგვარად, ამ პირობებში მზა პროდუქციის საშუალო წლიური მარაგი სერიის სიდიდის 37,5%-ს შეადგენს. ეს დამოკიდებულება ილუსტრირებულია ნახ. 7.4. პუნქტირული ხაზები გვიჩვენებს საშუალო წლიური მარაგის მნიშვნელობებს.



ნახ. 7.4. მზა პროდუქციის სერიის და მარაგის სიდიდეებს შორის დამოკიდებულება

დამატებით ვიგულისხმობთ, რომ ეფლობთ შემდეგ მაჩვენებლებს:

საშუალო ცვლადი დანახარჩები	14,00 კრონი
წარმოების მომზადების დანახარჩები თითოეულ სერიაზე	3000 კრონი

მზა პროდუქციის სასაწყობო ხარჯები: საშუალო წლიური მარაგის ღირებულების 25%. შეგვიძლია შევადგინოთ მზა პროდუქციის მარაგისა და წარმოების მომზადების საშუალო წლიური დანახარჯების მაჩვენებლების ცხრილის შედგენა წალიწაღში გამოსაშვები მისი სერიების სხვადასხვა რაოდენობისას.

სერვის რაოდენობა					
სერვის ხდილედ ცლ.	9000	4500	3000	2250	1800
მზა პროდუქციის წლიური მარაგი, ცლ	3375	1188	1125	844	675
საშუალო წლიური მარაგი ღირებულება	47250	23632	15750	11816	9450
მზა პროდუქციის სასაწყობო დანახარჯები.					
კარონი წელწაღში	11813	5908	3938	2954	2363
წარმოების მომზადების დანახარჯები,					
კარონი წელწაღში	3000	6000	9000	12000	15000
მზა პროდუქციის სასაწყობო და					
წარმოების მომზადების დანახარჯები					
(სულ) კარონი წელწაღში	14813	11908	12938	14954	17363

გამოთვლები გვიჩვენებს, რომ წელიწადში სერვისების ოპტიმალური რაოდენობა 2-ის ტოლია, რადგანაც მზა პროდუქციის სასაწყობო და წარმოების მომზადების დანახარჯები მოცემული მნიშვნელობისას უმცირესია. თუ აუცილებელია სერვისების ზუსტი რიცხვის პოვნა, რომლის დროსაც მზა პროდუქციის მარაგის შექმნის დანახარჯები წარმოების მომზადების დანახარჯების ტოლია, მაშინ იგი 1 და 2 შორის ინტერვალში იმყოფება. სერვისების ოპტიმალური სიდიდის ანგარიში შეიძლება ჩატარდეს იგივე ფორმულით, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ ნაყიდების ოპტიმალური სიდიდის ანგარიშისას. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოყენებული იქნება შემდეგი სიმბოლოები:

m — წარმოების წლიური მოცულობა;

o — წარმოების მომზადების დანახარჯების წლის ანგარიშით;

k — ცვლადი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე;

z — მზა პროდუქციის სასაწყობო დანახარჯების პროცენტი, მზა პროდუქციის მარაგის საშუალოწლიური ღირებულების მიმართ;

s — რეალიზაციის მაქსიმალურად შესაძლო მოცულობა მოცემულ პერიოდში;

p — წარმოების მოცულობის მაქსიმალურად შესაძლო სიდიდე მოცემულ პერიოდში.

$$Q = \sqrt{\frac{2 \cdot 9000 \cdot 3000}{14 \cdot 0.25 \frac{1.750}{3000}}} = 4536 \text{ ცლ.}$$

რაც დაახლოებით 1,98 სერვისს შეესაბამება წელიწადში.

7.1.4. ღაშვიტაძე ანგარიშისას

წინა ორ განყოფილებაში ჩვენ განვიხილეთ ანგარიშის ორი ძირითადი პრინციპი: ნედლეულისა და მასალების შესასყიდი პარტიის ოპტიმალური სიდიდე და გამოსაშვები პროდუქციის მოცულობის

ობტიმალური სიდიდე. მაგრამ ანგარიშები შესრულებული იყო მთელი რიგი დაშვებების გათვალისწინებით.

ა) მარაგის შექმნის პროცესი

საქონლის მარაგის დაგეგმვისას სავაჭრო ფირმაში და საწარმოო მარაგისა სამრეწველო საწარმოში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ მიმწოდებლები შებოჭილი არიან მიწოდების ვადებით. ავილოთ, მაგალითად, საწარმოო, რომელიც ყოველდღე იყენებს 100 კგ., რომელიც საქონელს, თანაც ცნობილია, რომ შეკვეთის გაფორმებიდან საქონლის მიღების მომენტამდე 10 დღე ვადის. ასეთ შემთხვევაში შეკვეთის გაფორმების ბოლო ვადა იქნება ის მომენტი, როცა საწარმოს განკარგულებაში საქონლის 10 დღიანი მარაგი რჩება. ე.ი. საწყობში 1000 კგ. მასალა აქვთ. მაგრამ მრავალი მიზეზის გამო შეიძლება წარმოიქმნას ცვლილებები მიწოდების ვადებში, მაგალითად მოცემულ საქონელზე მოთხოვნის გაზრდასთან დაკავშირებით. ამიტომ საწარმოები იძულებული არიან განსაზღვრონ ე.წ. მინიმალური მარაგი, რომელშიც საწარმოსათვის აუცილებელი საქონლის დაგეგმვის რაოდენობასთან ერთად შეკვეთის გაფორმებიდან საქონლის საწყობში შემოსვლის მომენტამდე შეიტანება ე.წ. სადაზღვევო მარაგი, მიწოდების ვადების ან მოხმარების მოცულობის (რეალიზაციის) გათვალისწინებულ ცვლილებების შემთხვევაში.

სადაზღვევო მარაგის სიდიდის განსაზღვრისას აუცილებელია შედგეს შესაძლო ზარალის მოცულობა, რომელიც საქონლის არქონების გამო და ამ საქონლის სასაწყობო დანახარჯების სიდიდე. საჭირო არ არის შეიქმნას საქონლის ასეთივე დიდი სადაზღვევო მარაგი, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს სხვებით, ისე, რომ წაროების პროცესი არ გაჩერდეს. მინიმალური მარაგი ე.ი. მარაგის სიდიდე, რომლის დროსაც აუცილებელია შეკვეთის გაფორმება ახალი პარტიის შესყიდვაზე, ხშირად იწოდება შეკვეთის გაფორმების წერტილად.

მუდმივი მინიმალური მარაგის შექმნა არანაირ გავლენას არ ახდენს 7 1.2. და 7 1.3. განყოფილებებში აღწერილი ანგარიშების მსგელობაზე, აკი სასაწყობო დანახარჯები ერთნაირად იზრდება შესასყიდი პარტიების ან გამოსაშვები პროდუქციის სერიების ნებისმიერ სიდიდეებისას.

ბ) მყიდველის ფრანკო საწყობის ფასი

ცხრ. 7.1. მოტანილ ანგარიშებში ჩვენ დავუშვათ, რომ მყიდველის ფრანკო-საწყობის ფასი უცვლელია ჩასაშვები პარტიის სიდიდისაგან დამოკიდებულებით, მაგრამ ხშირად შესაკვეთი პარტიის სიდიდის გადიდებისას მყიდველს შეუძლია ფასდაკლების მიღება. თუ 7.1.

მავალითში საუბარი იყო ასეთი სახის ფასდაკლებაზე მისი წლიური თანხა ანგარიშებში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო როგორც დანახარჯების შემცირების ფაქტორი ნაყიდობის იგივე მოცულობისას, რომლის დროსაც შემოთავაზებული იყო ფასდაკლება.

საწარმოო მარაგის საშუალო წლიური ღირებულება ასევე უნდა შემცირდეს მიღებული ფასდაკლების სიდიდით.

თუ მოულოდნელად წარმოიქმნება მყიდველის ფრანკო-საწყობის ამალგების შესაძლებლობის საწარმოო შეკვეთები, როგორც წესი, ყიდულობენ საქონლის დიდ პარტიებს, ვიდრე თავდაპირველად დაეგმილია ნაყიდების ოპტიმალური სიდიდის ანგარიშებში. ასეთი დამატებითი მარაგები, რაღაც დროით საწარმოს საწყობში შემოტანილი, სპეკულაციურად იწოდება.

7.2. ვაწარმოთ თვითონთუ შევისყიდოთ მწარმოებლისაბან?

მრავალი საწარმოებისათვის აქტუალურია საკითხი, ხომ არაა ხელსაყრელი თვითონ აწარმოოს ზოგიერთი კომპონენტიან მაკომპლექტებელი ნაკეთობები, თუმცა პრინციპულად შესაძლებელია მათი შექმნა სხვა მწარმოებლისაგან.

ეკონომიკური თვალსაზრისით გადამწყვეტია პასუხი კითხვაზე, ხომ არ აღემატება სხვა მწარმოებლისაგან საქონლის შესყიდვის დანახარჯები მისი წარმოების დანახარჯებს საკუთარ საწარმოში. დადებითი ეფექტი ნიშნავს, რომ სხვა თანაბარ პირობებში ეკონომიკური თვალსაზრისით ეფექტიანია ამ საქონლის საკუთარ საწარმოში დამზადება. მაგრამ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა ფაქტორებსაც, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული:

ა. საქმიანი აქტივობის შემცირების პერიოდში ხელმძღვანელობს რა მხოლოდ და მხოლოდ კადრების შენარჩუნების სურვილით, ფირმას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წარმოების დაწყებაზე საკუთარ საწარმოში.

ბ. თუ მოცემულ საქონელზე მოთხოვნა დროებით ხასიათს ატარებს ფირმა უფრო გადაწყვეტს შეუკვეთოს იგი მიმწოდებელს. ეს მტკიცება განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, როცა შესაბამისი საქონლის საკუთარ საწარმოში წარმოება საჭიროებს კაპიტალდაზღვევებს მანქანებზე და ა.შ. (იხ. თავი 8).

გ. საქონლის წარმოება თავის საწარმოში ტვირთავს სამმართველო და ინჟინერ-ტექნიკური სამსახურის მუშაკებს. თუ ეს ნარემოება არის, ან მომავალში გახდება ხელის შემშლელი სხვა

პროექტების განხორციელებაში, მაშინ სხვა თანაბარ პირობებში შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც არგუმენტი, სხვა მწარმოებლისაგან საქონლის შესასყიდად.

დ. საკუთარ საწარმოში საქონლის წარმოებისას მიიღწევა მომარაგების საიმედოობის გარკვეული გარანტია.

ე. როცა წარმოება საკუთარ საწარმოში მოითხოვს დიდ ინვესტიციებს, ფირმა შეიძლება მოხვდეს უმწეო მდგომარეობაში, თუ რენტაბელობა დაგეგმილზე დაბალი აღმოჩნდა (საშუალო მუდმივი დანახარჯები გაიზარდა).

ვ. გარედან მიმწოდებელთან მიმართებაში ლაპარაკია ყველაზე ხშირად პროდუქციაზე, რომლის წარმოებაზეც იგი სპეციალიზდება და ამიტომ მისი წარმოების დიდ ტექნოლოგიურ გამოცდილებას ფლობს. საკუთარი წარმოების გამართვის დროს საუბარი მიდის გვერდით პროდუქციაზე, რომელსაც საექვოა საკმაო ყურადღება დაეთმოს. ეს გარემოება ითვლება არგუმენტად გარეშე მიმწოდებლისაგან საქონლის შესყიდვის დასაბუთებად.

7.3. შებრუნებული კალკულაციის მეთოდი

ზოგიერთ შემთხვევაში ბაზარზე ისეთი სიტუაცია ყალიბდება, რომ გამყიდველი უძლურად გრძობს თავს იმოქმედოს საქონლის ფასებზე. ასეთი მდგომარეობა შეიძლება წარმოვიდგინოთ თუ ლაპარაკია მყიდველზე, რომელსაც ბაზრის უმნიშვნელო ნაწილი უჭირავს. ასეთ შემთხვევაში კალკულაციის ამოცანა მას შეუძლია გადაწყვიტოს, გამოთვლის რა მიმწოდებლის მაქსიმალურად დასაშვებ ფრანკო-საწყობის ფასს, რომელიც შეუძლია გადაუხადოს გამყიდველს თუ ამასთან დაფარვის (ან მთლიანი შემოსავლის) მოცემული სიდიდიდან ამოვალთ. კალკულაციის ამ სახეს შებრუნებული კალკულაცია ჰქვია. შებრუნებული კალკულაციის მეთოდის გამოყენება ვაჩვენოთ მაგალითზე.

მაგალითი.

დანის საბითუმო ფირმა, იმპორტული საქონლის „კუნო“-ს შესყიდვის შესაძლებლობას ანალიზს უკეთებს, რომლის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გათვალისწინებულია გაიყიდოს საცალო ვაჭრობის ქსელში 500 კრონად 1 ცლ. ფრახტი დანის საზღვრამდე 40 კრონს შეადგენს 1 ცლ., ხოლო იმპორტზე გადასახადი მომწოდებლის ფრანკო-საწყობის ფასისა და დანის საზღვრამდე ფრახტის ღირებულების თანხის 10%. ახლა საჭიროა განისაზღვროს როგორია საქონლის 1 ცლ7 მაქსიმალურად დასაშვები ფასი, რომლის მიხედვით ფირმამ უნდა შეიძინოს საქონელი, თუ მთლიანი შემოსავალი მოცემულია 25% სიდიდით რეალიზაციის ფასიდან.

11. ფირმის ეკონომიკა

რეალიზაციის ფასი	500 000 კრონი
— მოცემული მთლიანი შემოსავალი 500 25/100	125,00 კრონი
მყიდველის ფრანკო-საწყოების ფასის დაფარვაზე	375,00 კრონი
— იმპორტზე გადასახადი 375 10/100	34,09 კრონი
მიწოდებლის ფრანკო-საწყოების ფასის და ფრანკის დაფარვაზე	34091 ფრანკი
— ფრანკი	40,00 კრონი
მიწოდებლის ფრანკო-საწყოების მაქსიმალურად დასაშვები ფასი	300,91 კრონი
გადახდის გათვლები შეიღება შემდეგნაირად:	
მიწოდებლის ფრანკო საწყოების ფასს პლუს ფრანკის ღირებულება	100%
გადასახადი	10%
მყიდველის ფრანკო-საწყოების ფასი	110%

მყიდველის ფრანკო საწყოების ფასი ტოლია 110 პროცენტის და უდრის 375 კრონს.

$$\text{გადასახადი} = 10\% = \frac{375 \cdot 10}{100} = 34,09 \text{ კრონს.}$$

ზემოთ განხილულ მაგალითში დაშვებული იყო, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარი მიდის რეალიზაციის მოცულობის გაზრდაზე, ზოგჯერ სიტუაცია ისე ყალიბდება, რომ ბაზარზე ახალი საქონლის გამოტანა ფირმის მიერ უკვე გასასყიდი საქონლის მოცულობის შემცირებას იწვევს. ასეთ შემთხვევაში ალტერნატიული ღირებულების (დაკარგული შესაძლებლობის დანახარჯები) პრინციპიდან გამომდინარე აუცილებელია შებრუნებულ კალკულაციაში დაფარვის სიდიდის შეტანა, რომელსაც ფირმა ახალი საქონლის ერთეულის გაყიდვით ყოველთვის კარგავს. ეს პრობლემა ნათელვცოთ მაგალითით.

მაგალითი.

სამრეწველო საწარმოში განიხილება საქონელ „ლანა“-ს წარმოების შესაძლებლობა, რომლის 1 ცლ. გაყიდვას ვარაუდობენ 78 კრონად, ხოლო დაფარვის მოცემული სდიდე 40%-ს შეადგენს. გასაღების ცვლადი დანახარჯები იფეგმება 4 კრონის სიდიდით 1 ცლ-ზე. თუ „ლანა“ ბაზარზე გაიტანება, მაშინ ფირმის მიერ გაყიდვაში არსებული საქონელ „მონოს“ რეალიზაციის მოცულობა შემცირდება. მოსალოდნელია, რომ ყოველ რეალიზებულ 100 ცლ. „ლანაზე“ „მონოს“ გაყიდვა 25 ცალით შემცირდება. დაფარვის სიდიდე „მონოს“ ერთეულზე შეადგენს 40 კრონს: მოცემული პროპორციის შესაბამისად 1 ცლ. „ლანას“ რეალიზაციისას „მონოს“ გაყიდვა 1/4 ცლ-ით შემცირდა. შებრუნებული

კალკულაცია „ლანასათვის“, რომელიც საწარმოსათვის მაქსიმალურად დასაშვებ ცვლადი საწარმოო დანახარჯების სიდიდეს გვიჩვენებს შეიძლება შემდეგნაირად შესრულდეს.

თავი 8

ინვესტიციების ეუქტიანობის ანბარიში


8.1 ინვესტიციების არსი

ინვესტიცია—(სახსრების დაბანდება) ძალზე გავრცელებული ტერმინია. ყოფაცხოვრებაში ინვესტიციებზე ლაპარაკობენ, როცა ყიდულობენ ძვირფას სამკაულებს, ფერწერის ნიმუშებს, ხელით ნაქსოვ ხალიჩებს და ა.შ. დროის დანახარჯები, მაგალითად განათლების მიღებაზე ასევე ხშირად იწოდება ინვესტიციად. ამავე დროს ინვესტიციებზე ლაპარაკობენ, როცა ყიდულობენ აქციებს, ობლიგაციებსა და გირავნობის ბილეთებს. საწარმოებში სახსრები ინვესტირდება მქანის შექმნაზე, უძრავ ქონებაზე, სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე და ა.შ. ყველა ზემოდ ჩამოთვლილი მაგალითი იმით ხასიათდება, რომ სახსრების დაბანდება (დრო, ფული) ხდება შედეგის მიღებამდე (განათლება, ფული).

ამ თავში განვიხილავთ ფირმების მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს და მხოლოდ მათ იმ ნაწილს, რომელიც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ დაბანდებული სახსრები და მათგან მიღებული მოგება ღირებულებით გამოსახულებაში.

8.2. დროის ფაქტორის მნიშვნელობა

როგორც აღნიშნული იყო, ინვესტიციის დამახასიათებელ ნიშნად ითვლება ის, რომ საწყის ეტაპზე ხორციელდება გადარიცხვები, მაგალითად მანქანების შესყიდვაზე, ხოლო შემდეგ დგება შემოსავლების რიგი, ვთქვათ, ნაყიდი მანქანით წარმოებულ პროდუქციის გაყიდვიდან. ნახ. 8.1. ნაჩვენებია გადარიცხვებისა და შემოსავლების ინვესტიციური ციკლი. პირველი წლის დასაწყისში ინვესტირდება 1000000 კრონი და ყოველთვის წლის ბოლოს 1-დან 5-ის ჩათვლით შემოდის შესაბამისად 300000, 400000, 400000, 300000 და 100000 კრონი ინვესტიციების უკუგების სახით.



ნახ. 8.1. გადარიცხვებისა და შემოსავლების ინვესტიციური ციკლი, ათ.კრონი.

ერთი შეხედვით ნახ მ.1. ნაჩვენებია ეკონომიკურად ეფექტიანი ინვესტიციის მაგალითი. რაკი შემოსავლის საერთო თანხა (1500000 კრონი) ინვესტირებული კაპიტალის მოცულობას აღემატება (1000000 კრონი), მაგრამ ყველაფერი ასე მარტივი არ არის. საქმე ისაა, რომ ფულის ერთი და იგივე თანხის ფაქტობრივი ფასი მოცემულ მომენტში მაღალია, ვიდრე მომავლის ამა თუ იმ მომენტში იქნება. დღეს 100 კრონზე შემოსული ფასეულობა მაღალია, ვიდრე 1 წლის შემდეგ 100 კრონის სიდიდზე შემოსული ფასეულობა. თუ ამოვალთ 12 % წლიური პროცენტული განაკვეთიდან, მაშინ 100 კრონის თანხა 1 წლის შემდეგ 112 კრონამდე გაიზარდება.

ინვესტიციური ციკლის სხვადასხვა პერიოდის გადარიცხვებისა და შემოსავლების მაჩვენებლების დროში შესადარ სახემდე დასაყვანად გამოიყენება **დისკონტირებული ღირებულების** მეთოდი, რომელიც აღწერილია (ბ) დანართში.

ვლაპარაკობთ რა, ინვესტიციების ეფექტიანობაზე მათგან მოსალოდნელი შემოსავლების თვალსაზრისით, არ შეიძლება მაინც დავივიწყოთ, რომ ინვესტიციურმა საქმიანობამ შეიძლება მოგვცეს დადებითი ან უარყოფითი შედეგი, რასაც ღირებულების გარეშე ხასიათი აქვს. ასეთი სახის დადებითი და უარყოფითი მომენტები, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს კაპიტალდაბანდებებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

8.3. ალტარნატიული ინვესტიციური მიწოდების მაჩვენებლები

იმისათვის, რომ გამოითვალოს ინვესტიციების მოსალოდნელი შემოსავლების წესი და შემონატანების სიდიდე, აუცილებელია საანგარიშო პროგნოზის შესრულება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

- ა) ინვესტიციების სიდიდე
- ბ) კაპიტალის სალიკვიდაციო ღირებულება
- გ) ინვესტიციების ობიექტების ფუნქციონირების ვადა
- დ) ინვესტიციის გავლენა საქსპლუტაციო

დანაზარტების სიდიდეზე მომავალ პერიოდში.

- ა) ინვესტიციების სიდიდე

ინვესტიციის სიდიდე წარმოადგენს გადასახადების თანხას, რომელიც დაკავშირებულია თვით საინვესტიციო ობიექტის შექმნასთან. მოცემულ შემთხვევაში საკმარისი არაა მხედველობაში მივიღოთ ძირითადი კაპიტალის ინვესტირებადი ელემენტების მიმწოდებლის მხოლოდ ფრანკო—საწყობის ფასი. გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა

შესაძლო დანახარჯებიც, რომლებიც დაკავშირებულია მათი ექსპლუატაციის მომზადებასთან, ამას ეკუთვნის მაგალითად, მიტანის (ბაჟის გადახდა, ფრახტი), სამონტაჟო და გასაშვებ-გასამართ სამუშაოების ხარჯები.

ბ) კაპიტალის სალიკვიდაციო ღირებულება

კაპიტალის სალიკვიდაციო ღირებულებაში გულისხმობენ ძირითადი კაპიტალის ელემენტების სარეალიზაციო ან საცვლელ ღირებულებას, მათი ფუნქციონირების ვადის დამთავრების მომენტში. იმ შემთხვევაში თუ საჭიროა ხარჯები ობიექტის დემონტაჟზე, მისი სალიკვიდაციო ღირებულება ამ დანახარჯების სიდიდით უნდა შემცირდეს.

გ) ინვესტიციების ფუნქციონირების ვადა

ეკონომიკაში არჩევენ ინვესტირებადი (მაგალითად მანქანის) ობიექტების მორალურ და ფიზიკურ ცვეთას. ბევრ შემთხვევაში სრული მორალური ცვეთა ფიზიკურზე ადრე დგება. ეს იმით აიხსნება, რომ ახალი ტექნოლოგიის გამოგონება და ახალი პროდუქტების გამოჩენა მანქანის შეცვლას უფრო თანამედროვე ეკონომიკურად ეფექტიანით მანამდე ხდის შესაძლებელს, ვიდრე იგი ფიზიკურად ბოლომდე გაცდებდა.

დ) ინვესტიციების გავლენა საექსპლუატაციო დანახარჯების სიდიდეზე მომავალ პერიოდში

ერთ-ერთ ფაქტორად ინვესტიციების ეფექტიანობას რომ უზრუნველყოფს, რომელიც აუცილებელია დასაბუთდეს, ითვლება ინვესტიციების პოზიციური ზემოქმედება საექსპლუატაციო დანახარჯების სიდიდეზე. ეს ზემოქმედება შეიძლება გამოისახოს დაფარვის სიდიდის გადიდებით რეალიზაციის ზრდის შედეგად ან დანახარჯების შემცირებით საწარმოო პროცესების რაციონალიზაციის მოცულობის შედეგად.

8.4. ინვესტიციის ეფექტიანობის ანგარიში

ინვესტიციების ეფექტიანობის ანგარიში წარმოადგენს მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგების აღწერას დაგეგმილი კაპიტალდაბანდებებიდან.

როგორც ადრე იყო აღნიშნული ინვესტიციის ეფექტიანობის ანგარიში წარმოადგენს ღირებულების დისკონტირებას რთული პროცენტის ფორმულით და დანართ ბ-ში მოცემულია ამ მეთოდის მოკლე აღწერა.

არსებობს ინვესტიციების ეფექტიანობის განსაზღვრის რამდენიმე განსხვავებული მეთოდი, რომელთაგან ჩვენ შევიჩერდებით

შემდეგ ორზე:

- ა) წმინდა დისკონტირებული ღირებულების ანგარიშის მეთოდი;
- ბ) ინვესტიციების გამოსყიდვის შიდა ნორმის ანგარიშის მეთოდი.

8.4.1. წმინდა დისკონტირებული ღირებულების ანგარიშის მეთოდი

წმინდა დისკონტირებული ღირებულების ანგარიშის მეთოდი გულისხმობს, რომ ფირმა წინასწარ იძლევა პროცენტის მინიმალურად დასაშვებ განაკვეთს, რომლის დროსაც ინვესტიციები შეიძლება ეფექტიანად ჩაითვალოს. პროცენტის ასეთი მოცემული განაკვეთი ფირმის პროცენტის საანგარიშო განაკვეთად (პროცენტის „სუბიექტური“ განაკვეთი) იწოდება.

პროცენტის საანგარიშო განაკვეთის დადგენისათვის ბაზისად შეიძლება იყოს პროცენტის განაკვეთი ნასესხებ კაპიტალზე, რომელიც ფირმამ თვითონ უნდა გადაუხადოს თავის კლიენტებს.

სხვა ამოსავალი პუნქტი შეიძლება მოიძებნოს ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების პრინციპის საშუალებით. (იხ. განყ. 4.1.2.) აბანდებს რა ფულს ამა თუ იმ პროექტში, ფირმა უარს ამბობს სხვა შესაძლო ინვესტიციებზე (ხელიდან უშვებს მათ). მაგალითად, ობლიგაციების შესყიდვაზე. ამის გამო ხელიდან გაშვებული შემოსავალი დაკარგული შესაძლებლობების დანახარჯებად იწოდება, რომლის სიდიდე შეიძლება ბაზისს შეადგენდეს პროცენტის საანგარიშო განაკვეთის გამოთვლისათვის. განვიხილოთ წმინდა დისკონტირებული ღირებულების ანგარიშის მეთოდის გამოყენება სააქციო საზოგადოება „მორსეილის“ მაგალითზე.

მაგალითი

სააქციო საზოგადოება „მორსეილი“ განიხილავს ახალი პროდუქტის „მოსა“-ს გამოშვებისათვის საწარმოო მოწყობილობის კაპიტალდაბანდებების შესაძლებლობებს. მოსალოდნელია, რომ ინვესტიციების სიდიდე შეადგენს 450000 კრონს, ხოლო მოწყობილობის ფუნქციონირების ვადა გაანგარიშებულია 5 წელიწადზე. მიჩნეულია, რომ 5 წლის შემდეგ მოწყობილობის სალიკვიდაციო ღირებულება 50000 კრონი იქნება. პროცენტის საანგარიშო განაკვეთი განსაზღვრულია 14% წელიწადში.

„მოსა“-ს პროდუქტის მიხედვით დაგეგმილია შემდეგი მაჩვენებლები ხუთ წლიან პერიოდში:

	19...1წ	19...2წ	19...3წ	19...4წ	19...5წ
რელიზიის მოცულობა, კლ.	10000	14000	18000	12000	800
რელიზიის ფასი, კრონი	23	25	25	28	26
საშუალო ცვლადი დანახარები	10	10	12	12	14

„მოსა“-ს პროდუქტზე მარკეტინგული კამპანიის ჩატარებაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ფირმა ვარაუდობს გამოყოს 40000 კრონი წელიწადში რეკლამაზე. ამას გარდა, მოსალოდნელია, რომ სააქციო საზოგადოება „მორსეილის“ სხვადასხვა მუდმივი დანახარებები, „მოსას“ პროექტზე ინვესტიციების შემთხვევაში უცვლელი რჩება. კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის დამატებითი მოგება „მოსა“-ს შესაძლო რელიზაციიდან, შეიძლება შემდეგნაირად გამოითვალოს:

ცხრილი 8.1.
დამატებითი მოგების ანგარიში ინვესტიციებიდან
„მოსა“-ს პროდუქტზე, ათ.კრონი

	19...1წ	19...2წ	19...3წ	19...4წ	19...5წ
ამონაგები რელიზიიდან	230	350	450	336	208
-ცვლადი დანახარები	100	140	216	144	112
დღიურების სიდიდე	130	210	234	192	96
-დანახარები რეკლამაზე	40	40	40	40	40
დამატებითი მოგება	90	170	194	152	58

შემდეგ, როგორც ცხრ.8.2. ნაჩვენები, გამოითვლება ინვესტიციების ეფექტიანობა. პირველ სვეტში მოცემულია გადასახადებისა და ინვესტიციების გამო შემოსავლების შემოტანის ვადები, სადაც 0 ნიშნავს ინვესტიციების განხორციელების დაწყებას. შემონატანები, რომლებიც დასახულია ყველა წლის 19...1 წ-დან 19...5 წ-ს ჩათვლით, ჩვეულებრივ წლიურად ითვლება, თითქოსდა ისინი წლის ბოლოს ხორციელდებოდა. ამიტომ 19...1 წელიწადი უნდა ჩაითვალოს, როგორც 1991 წლის ბოლო, 19...2 — როგორც 1992 წლის ბოლო და ა.შ. მე-2 სვეტში ინვესტიციის სიდიდე 450000 კრონი მოცემულია, როგორც გადასახადის სიდიდე ინვესტიციების განხორციელების დაწყებისას, ხოლო სალიკვიდაციო ღირებულება — როგორც შემონატანების სიდიდე ინვესტიციის ობიექტის ფუნქციონირების დამთავრებისას 19...5 წლის ბოლოსათვის. ინვესტიციებისაგან მოსალოდნელი დამატებითი მოგების მაჩვენებლები გამოითვლილია ცხრ.8.2. ეს მაჩვენებლები, წლების მიხედვით, მოტანილია მე-3 სვეტში.

მე-4 სვეტში მოცემულია რიგი გადასახადებისა და ინვესტიციური ციკლის შემონატანებისა, რომელიც მიღებულია 2 და 3 სვეტში მოცემული მაჩვენებლების შეკრების შედეგად. ცხრ. მ.2. ბოლო სვეტში გადარიცხვებისა და შემონატანების თანხების მაჩვენებლები ვადისკონტირებულია პერიოდის დასაწყისთან სააქციო საზოგადოება „მორსელის“ პროცენტული ვანაკვეთის 14%-ის გათვალისწინებით, მე-5 სვეტში. დისკონტირების კოეფიციენტი მე-5 სვეტში პოვნლია დისკონტირების ცხრილის მეშვეობით*, ფორმულით $(1+r)^n$ მე-6 სვეტში მოტანილი ინვესტიციებისაგან შემოსული მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების სიდიდე გამოთვლილია მე-4 სვეტის მაჩვენებლების გამრავლებით მე-5 სვეტის დისკონტირების კოეფიციენტზე.

მე-6 სვეტის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ინვესტიციებისაგან შემოსავლების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების საერთო სიდიდე 36000 კრონით აღემატება კაპიტალდაბანდებების სიდიდეს. ამ სიდიდეს წმინდა დისკონტირებული ღირებულება ეწოდება. თუ მას დადებითი მნიშვნელობა აქვს, მაშინ ინვესტიციები ეფექტიანია.

* — მოცემულია ცხრილის ბოლოში

ცხრილი 8.2.

წმინდა დისკონტირებული ღირებულების ანგარიში „მოსა“-ს პროექტისათვის

წელი-დო	გადასახადების ანგები-ები, ა. კრინი	დაატება-ი მოგება ანგები- ციებიდან, ა. კრინი	გადასახადების და შემოსავლების რავა, ა. კრინი	14%	
				კოეფი- ციენტი	მამდინარე დისკონტირებულ ღირებულება ა. კრინი
1		3	4	5	6
0	-450		-450		-450
19...1წ		+90	+90	0,8772	+79
19...2წ		+170	170	0,7695	+131
19...3წ		+194	194	0,6750	+131
19...4წ		+152	152	0,5921	+90
19...5წ	+50	56	+106	0,5194	+55
სულ	-400	+662	+262		+36

წმინდა დისკონტირებული ღირებულება—ესაა სხვაობა პროცენტის საანგარიშო ვანაკვეთის ბაზაზე დისკონტირებული ინვესტიციისაგან შემოსავლების მიმდინარე ღირებულებასა და კაპიტალდაბანდებების სიდიდეს შორის.

8.4.3. ინვესტიციების გამოსყიდვის შიდა ნორმების ბაზანბარიშების მეთოდი

მოცემული მეთოდი საშუალებას იძლევა შეფასდეს კაპიტალდაზღვრებითა ეფექტიანობა ინვესტიციების გამოსყიდვის შიდა ნორმების პროცენტის ეფექტიან განაკვეთთან შედარების გზით.

გამოსყიდვის შიდა ნორმა პროცენტის ისეთ განაკვეთს შეესაბამება, რომლის დროსაც ნულოვანი წმინდა დისკონტირებულ ღირებულება მიიღწევა.

ინვესტიციების გამოსყიდვის შიდა ნორმის ანგარიშის გამოყენება განვიხილოთ სააქციო საზოგადოება „სავეინგ“-ის მაგალითზე.

მაგალითი

სააქციო საზოგადოება „სავეინგ“-ის სამრეწველო საწარმოში „ბეტა“ პროდუქტზე გამოთვლილია ასეთი მაჩვენებლები შემდეგ 6 წელიწადზე:

წელიწადი	წარმოება და რეალიზაცია, ერთ	ხარეალიზაციო ფასი, კრონი	საშუალო ცვლადი დანახარჯები, კ-შო
19...1	40000	-80	40
19...2	40000	80	42
19...3	50000	85	44
19...4	40000	90	46
19...5	30000	90	48
19...6	30000	95	50

მოსალოდნელია, რომ 19... 6 წ შემდეგ „ბეტა“ საქონელი გასაღების ბაზარს დაკარგავს.

ამჟამად განიხილება საკითხი მანქანის შეძენაზე, რომლის საშუალებით „ბეტას“ საწარმო ციკლის ხანგრძლივობის შემცირების საშუალება გაჩნდება. მოსალოდნელია, რომ საწარმო ციკლის შემცირების ხარჯზე მომავალში საშუალო ცვლადი დანახარჯები 10% შემცირდება. აღნიშნული მანქანის ყიდვას ფირმა გეგმავს 700000 კრონად, ხოლო სალიკვიდაციო ღირებულება 6 წლის ექსპლუატაციის შემდეგ გათვალისწინებულია 60000 კრონის სიდიდით. მოცემულ პროექტზე განხორციელების გადაწყვეტილება განხილულ უნდა იქნეს დანახარჯების შესაძლო ეკონომიასთან, რომლის შესახებაც ახლა ვისაუბრებთ. დანახარჯების ეკონომიის სიდიდე გამოითვლება ზემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე შემდეგნაირად (ცხრ. 8.3.)

ცხრილი 8.3.

წელიწადი	წარმოების და რეალიზაციის მოცულობა	საშუალო ცვლილად დანახარჯები კაონა	ეკონომიას 10% პროდუქციას ერთეულზე, კაონა	სულ, ა.კაონა
19...1	40000	40	4,00	160
19...2	45000	42	4,20	189
19...3	50000	44	4,40	200
19...4	40000	46	4,60	184
19...5	30000	48	4,80	144
19...6	20000	50	5,00	100

შემდეგ შეიძლება ჩავატაროდ ინვესტიციის ანგარიში, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრ.8.4. ინვესტიციების სიდიდის, სალიკვიდაციო ღირებულებისა და დანახარჯების ეკონომიის მაჩვენებლების საფუძველზე დგება საინვესტიციო ციკლის გადასახადებისა და შემოსავლების სქემა. სქემის მაჩვენებლები აუცილებელია დისკონტირდეს პროცენტის სხვადასხვა განაკვეთების ბაზაზე მანამდე, სანამ ნაპოვნი არ იქნება პროცენტის ის განაკვეთი, რომელიც უზრუნველყოფს ნულოვან წმინდა დისკონტირებულ ღირებულებას.

ცხრ.8.4. ჩანს, რომ თავიდან შემოთავაზებული იყო 18% ტოლი პროცენტული განაკვეთი. მაგრამ მისი ასეთი მნიშვნელობის დროს წმინდა დისკონტირებული ღირებულება წარმოდგენილი იქნება უარყოფითი სიდიდით—77000 კრონი. შემდეგ სქემის მაჩვენებლები გადის დისკონტირებული 14 პროცენტული განაკვეთის ბაზაზე, რაც წმინდა დისკონტირებული ღირებულებებს შემდეგ მნიშვნელობას იძლევა:—9000 კრ. სახელდობრ, პროცენტის ასეთი განაკვეთისას წმინდა დისკონტირებული ღირებულების სიდიდე უფრო მიახლოებულია ნულთან. მთელი პროცენტების ბაზაზე დისკონტირებისას(დისკონტირდება 13%—ის ბაზაზე) გეძლევეს წმინდა დისკონტირებული ღირებულებას 10000 კრონის სიდიდით).

ამგვარად, ინვესტიციის გამოსყიდვის შიდა ნორმა „ბეტა„ პროექტის მიხედვით სულ მცირე 14 პროცენტს შეადგენს.

ცხრილი 8.4.

ინვესტიციის გამოსყიდვის შიდა ნორმების ანგარიში „ბეტა“-ს პროექტის მიხედვით

წილი- წადი	ინვესტი- ციების საღირებ	დანახარჯე- ბის ეკონო- მის საღირებ ათ. კრინი	გადასახდები- სა და შემოს- ის სქემა ათ. კრინი	18%		14%	
				დისკონტი- რების კოე- ფიციენტი	შემდინარე დაკ. ღირ- ებულება ათ. კრინი	დისკონ- ტირების კოეფი- ციენტი	შემდინარე დასკ- რებუ- ლება, ათ. კრინი
0	-700		-700		-700		-700
19		160	160	0,8475	136	0,8772	140
19		198	189	0,7182	136	0,7695	145
19		220	220	0,608	134	0,6750	149
19		184	184	0,5158	95	0,5921	109
19		144	144	0,4371	63	0,5194	75
19	60	100	160	0,3704	59	0,4556	73
ჯამ	640	997	357		-77		-

8.5. ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღება

ინვესტიციების ეთექტიანობას აღწერს ეკონომიკური შედეგები, რასაცა როგორც მოსალოდნელია, დაბანდებული სახსრები მოგვცემს. ამ ანგარიშებიდან გამომდინარე შეიძლება გადაწყდეს ეთექტიანია თუ არა დაგეგმილი ინვესტიციები წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით. თუ ანგარიში ჩატარებულა წმინდა დისკონტირებული ღირებულების განსაზღვრის მეთოდით, კაპიტალდაბანდებების განხორციელება შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა წმინდა დისკონტირებული ღირებულების სიდიდე დადებითა (ან ნულის ტოლია). თუ კი ანგარიში ტარდება კაპიტალდაბანდებათა გამოსყიდვის შიდა ნორმების განსაზღვრის მეთოდით, ინვესტიციები იმ შემთხვევაში ჩაითვლება ეთექტიანად, როცა ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

მაგრამ ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღების პროცესში როლს არა მარტო წმინდა ეკონომიკური ფაქტორები თამაშობს. ასე მაგალითად, გარე სამყაროს დაცვასთან, სამუშაო ადგილების შენარჩუნებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა შეუძლია გავლენა მოახდინოს ამა თუ იმ მიმართულებით გადაწყვეტილების არჩევაზე. ამას გარდა, ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღებისას, აუცილებელია სხვადასხვა სახის რისკის გათვალისწინება. რაც უფრო ხანგრძლივია ინვესტიციური ციკლი, ინვესტიციები სხვა თანაბარ პირობებში მით უფრო სარისკოა. ამიტომ ზოგიერთი ფირმა ე.წ. სრული ანაზღაურების მეთოდს იყენებს (რომელიც აგრეთვე pay-off მეთოდად იწოდება).

სრული ანაზღაურების მეთოდით განისაზღვრება პერიოდების რაოდენობა და ხანგრძლივობა (ყველაზე ხშირად წელიწადი), რომლის განმავლობაში საინვესტიციო სახსრების სრული ანაზღაურება ხდება. ინვესტიციური გადაწყვეტილების არჩევა ხორციელდება პრინციპით: რაც ნაკლებია კაპიტალდაბანდებათა სრული ანაზღაურების ვადა, მით უფრო

ეფექტიანია ისინი. ამის გარდა, შესაძლებლობა ჩნდება განისაზღვროს სრული ანაზღაურების მაქსიმალურად შესაძლებელი ვადა, რომელიც შეიძლება ფირმას მისაღებად ჩაეთვალოს.

მაგალითი.

მაგალითის სახით შევიჩიოთ გადასახადებისა და შემონატანების სქემა "ბეტა" პროექტზე ცხრ. მ.4.—დან. გამოვთვლით რა გადასახადებისა და შემონატანების თანხებს მზარდი ჯამით, განვსაზღვრავთ დაბანდებული სახსრები როდის იქნება სრულად ანაზღაურებული, ეს ნაჩვენებია ცხრ. მ.5, საიდანაც ცხადია, რომ დაბანდებული სახსრები ანაზღაურდება ინვესტიციების ფუნქციონირების მე-4 წლის განმავლობაში და მასშტაბზე, სრული ანაზღაურების ვადა 3—4 წლის ტოლია.

ცხრილი 8. 5.

ინვესტიციური ციკლის გადასახადებისა და შემონატანების სქემა „ბეტა“-ს პროექტის მზარდი ჯამით

წელ-წაღი	გადასახადებისა და შემონატანების თანხა, ათასი კრონი.	მზარდი ჯამით, ათკრონი
0	-700	-700
19...1	+160	-540
19...2	+189	-351
19...3	+220	-131
19...4	+184	153
19...5	+144	+198
19...6	+160	+357
სულ	+357	

ამა თუ იმ ინვესტიციური პროექტის ანალიზის დროს რისკზე განსაზღვრულ წარმოდგენას იძლევა სრული ანაზღაურების მეთოდის გამოყენება. თუ ლაპარაკი მიდის ძირითადი კაპიტალის სწრაფი ტემპით განახლებად დარგზე (მაგ. ინფორმაციული ტექნოლოგიები), რისკი სრული აღდგენის ხანგრძლივი ვადის პროექტების ინვესტირებისას ძალზე დიდია და პირიქით თუ ლაპარაკი მიდის უფრო თანაბარი განვითარების დარგებზე და მოკლევადიან სრული აღდგენის პროექტებზე, რისკი შედარებით დაბალი იქნება.

არ შეიძლება ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ სრული ანაზღაურების მეთოდით შესრულებულ ანგარიშზე დაყრდნობით. ისინი წარმოდგენას არ იძლევა ინვესტიციებისაგან შემოსავლების სიდიდეზე, რომლებიც სრული აღდგენის ვადის დამთავრების შემდეგ შემოვა. თუმცა ეს მეთოდი შეიძლება ეფექტიანად იქნეს გამოყენებული წმინდა დისკონტირებული ლირებულების ან კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის შიდა ნორმის ანგარიშის მეთოდებთან ერთად.

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ფრიად არსებით როლს თამაშობს დაბეგვრის საკითხები. მაგრამ ამ დამოკიდებულების დაწვრილებითი ანალიზი სცილდება მოცემული დამხმარე სახელმძღვანელოს ფარგლებს.

თავი 9 მოთხოვნილება კაპიტალზე

9.1. ცნება „კაპიტალზე მოთხოვნილება“

საწარმოს შექმნისას ან გაფართოებისას წარმოიქმნება მოთხოვნილება კაპიტალზე ე.წ. მოთხოვნილება ძირითად კაპიტალზე ხარჯების ანაზღაურებისათვის, რომელიც დაკავშირებულია მიწის შესყიდვასთან, შენობების აღმართვასთან, მანქანებისა და მოწყობილობების შექმნასთან და ა.შ.

მოქმედ საწარმოში შეიძლება აგრეთვე წარმოიქმნას მოთხოვნილება კაპიტალზე ე.წ. მოთხოვნილება საბრუნავ კაპიტალზე საწარმოო ან საქონლური მარაგის შექმნის, კლიენტთან დაკრედიტების ან საბრუნავი კაპიტალის სხვა ელემენტების ხარჯების ანაზღაურებისათვის.

ძირითად და საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნილების განსხვავების აუცილებლობა ნაკარნახევია იმით, რომ მოთხოვნილების ეს ორი ფორმა განსხვავებულია თავისი ხასიათით, რამდენადაც სხვადასხვაა მათი დაფინანსების შესაძლებლობები (იხ. თავი 10). მაგრამ მათ შორის საერთოა ის, რომ მოთხოვნილება ძირითად და საბრუნავ კაპიტალზე წარმოიქმნება სახსრების დაბანდებებისა და შემოსავლების შემოტანის ვადების განსხვავებულობის შედეგად. მაგალითისათვის მივმართოთ სავაჭრო საწარმოს, რომელიც მუდმივად ყიდულობს 1 მლნ. კრონის საქონელს თვეში და რომელიც ამ საქონელს ნაღვზე ყიდის საშუალოდ 2 თვის განმავლობაში. ამ საწარმოს შექმნისათვის მუდმივი მოთხოვნილება აქვს საბრუნავ კაპიტალზე 2 მლნ. კრონის სიდიდით (ნაყიდების 2 თვის მოცულობა თვეში 1 მლნ. კრონით). თუკი საწარმო თავის კლიენტებს აკრედიტებს, საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნილება გაიზრდება.

9.2. მოთხოვნილება ძირითად კაპიტალზე

ძირითად კაპიტალზე მოთხოვნილებების გაანგარიშება აუცილებელია არა მარტო ახალი საწარმოს შექმნისას ან მომავალში მისი გაფართოებისას, არამედ შასაძლო დამატებითი კაპიტალ დაბანდებების შემთხვევაშიც.

კაპიტალზე მოთხოვნილებების გაანგარიშება შედარებით ადვილია. დაგეგმილი ინვესტიციების ეფექტიანობის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, ამ შემთხვევაში რჩება უბრალოდ ძირითადი კაპიტალის შესაძენი ელემენტების მოსალოდნელი ფასების შეკრება.

საწარმოში, რომელიც ემზადება აღმართოს და მოაწყოს საწარმოო ობიექტი დამატებით არსებული სიმძლავრეებისადმი, ძირითად კაპიტალზე მოთხოვნილება შეიძლება შემდეგნაირად გამოითვალოს, კრონი:

მიწა

ფასი.....	300000
მიწის სამუშაოები და ა.შ.....	250000

სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები

სამშენებლო	
სამუშაოები.....	3000000
სამონტაჟო სამუშაოები.....	400000
მანქანები.....	1000000
მოწყობილობა.....	500000
ინჟინერების, არქიტექტორების და ა.შ.	
შრომის ანაზღაურება.....	300000
მოთხოვნილება კაპიტალზე.....	5750000

9.3. მოთხოვნილება საბრუნავ კაპიტალზე

როგორც § 9.2. არის ნაჩვენები ძირითად კაპიტალზე მოთხოვნილების ანგარიში განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს. და პირიქით, ხშირად რთული ხდება საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნილების გამოთვლა, რადგან იგი მრავალი ისეთი ფაქტორის ზემოქმედებით წარმოიქმნება, როგორცაა. საქონლის რეალიზაციისა და შესყიდვის პირობები, კრედიტების მიცემა და მასალებისა და საქონლის მარაგში ყოფნის დრო.

9.3.1. საგაბარო სწარმო

ა. სასაქონლო მარაგი

საწარმოს საქონელზე მოთხოვნილებასა და საქონლური მარაგის სიდიდეს შორის დამოკიდებულება შეიძლება გამოისახოს ორი სხვადასხვა ხერხით.

მაგალითისათვის მივმართოთ საწარმოს, სადაც საქონლის შესყიდვის წლიური დანახარჯების თანხა 2160000 კრონს შეადგენს ხოლო საქონლური მარაგის ღირებულება — 240000 კრონს. ეს ნიშნავს, რომ საქონლური მარაგი-წლის განმავლობაში 9-ჯერ გადაბრუნდება (იყიდება და ისევ ივსება).

$$\text{საქონლის მარაგის ბრუნთა რიცხვი} = \frac{\text{წლიური დანახარჯები, საქონლის შესყიდვა}}{\text{საქონლური მარაგის ღირებულება}}$$

ჩვენს მაგალითში საწარმო საქონლის შესაძენად ყოველდღიურად ხარჯავს 6000 კრონს (2160000 კრონი : 360). ამ რიგად, 240000 კრონის ღირებულების საქონლური მარაგი შეესაბამება ნაყიდების 40 დღიან მოცულობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქონელი ყიდვის მომენტიდან გაყიდვის მომენტამდე საშუალოდ მარაგის სახით 40 დღე არსებობს.

$$\text{საქონლის მარაგში ეოფნის დრო} = \frac{\text{საქონლური მარაგის ღირებულება} \cdot 360}{\text{წლიური დანახარჯები საქონლის შესყიდვაზე}}$$

საქონლური მარაგის ბრუნთა რიცხვი და საქონლის მარაგში არსებობის დრო ერთი და იგივე თანაფარლობას აღწერს, მაგრამ ორი განსხვავებული ხერხით.

საქონლური მარაგისათვის, ვიდრე კაპიტალზე მოთხოვნილებას გამოვთვლიდეთ, აუცილებელია საქონლის შესყიდვის დანახარჯებისა და საქონლური მარაგის ბრუნთა რიცხვის გამოთვლა (ან საქონლის მარაგში ყოფნის დრო).

მაგალითი. სავაჭრო ფირმამ მომავალი წინსვლისათვის დაგეგმა პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები 1440000 კრონის სიდიდით. მოსალოდნელია, რომ ფირმა შეძლებს მთლიანი შემოსავლის მიღებას 25%-ის სიდიდით ამონაგებიდან. საქონლური მარაგის დაგეგმილი ბრუნთა რიცხვი წელიწადში 12-ის ტოლია. ჯერ გამოვთვალოთ დანახარჯები საქონლის შესყიდვაზე.

ამონაგები რეალიზაციიდან.....14400000 კრონი
 —მოლიანი შემოსავალი: 14400000 კრონის 25%.....3600000 კრონი
 დანახარჯები საქონლის შესყიდვაზე.....10800000 კრონი

თუ საქონლის შესყიდვის დანახარჯები 10800000 კრონს შეადგენს და საქონლური მარაგის ბრუნთა რიცხვი 12-ის ტოლია, საქონლური მარაგის სიდიდე ღირებულებით გამოხატულებაში 9000000 კრონი იქნება (10800000 კრონი : 12).

საქონლური მარაგის გამოთვლილი ბრუნთა რიცხვი—წელმწადში 12 — საქონლის მარაგში ყოფნის დაგეგმილ დროს — 30 დღეს შეესაბამება (360 : 12). ამ გვარად საქონლური მარაგის ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს საქონლის შესყიდვის 30 დღის დანახარჯების თანხას. ამის საფუძველზე საქონლური მარაგის ღირებულება ისევ 9000000 კრონი იქნება (10800000 : 30).

ანგარიშის ხერხისაგან დამოკიდებულებით (საქონლური მარაგის ბრუნთა რიცხვისა და საქონლის მარაგში ყოფნის დროის საფუძველზე) სავაჭრო საწარმოში საქონლური მარაგის შექმნისათვის კაპიტალზე მოთხოვნის სიდიდე ქვემოთ მოტანილი ერთ-ერთი რომელიმე ფორმულით განისაზღვრება:

$$\text{საქონლური მარაგის ღირებულება} = \frac{\text{წლიური დანახარჯები საქონლის შესყიდვაზე}}{\text{საქონლური მარაგის ბრუნთა რიცხვი}}$$

$$\frac{\text{წლიური დანახარჯები საქ-ის შესყიდვაზე}}{\text{საქონლის მარაგში ყოფნის დრო}}$$

$$\text{საქონლური მარაგის ღირებულება} = \frac{\text{360}}{\text{360}}$$

ბ. საქონლური დებიტორები

განვადებით გასაყიდი საქონლის ღირებულებისა და საქონლის დებიტორულ დავალიანებას შორის თანათფარდობა შეიძლება გამოისახოს ან საქონლური დებიტორული დავალიანების ბრუნთა რიცხვით, ან კრედიტული დღეების რაოდენობით.

მიემართოდ მაგალითისათვის საწარმოს, სადაც კრედიტით გასაყიდი საქონლის წლიური ღირებულება 4800000 კრონის ტოლია, ხოლო საქონლური დებიტორული დავალიანება 488000 კრონს შეადგენს. თავდაპირველად ყურადღება მივაპყროთ იმას, რომ ორივე ეს სიდიდე ხასიათდება თანაბარი დამოკიდებულებით დამატებით ღირებულებაზე

(დღგ) გადასახადისადმი. დანიაში დამატებით ღირებულებაზე გადასახადი არ შედის ფირმის მიერ კრედიტით გასაყიდი საქონლის ღირებულებაში, მაშინ როცა იგი გვხვდება საქონლური დებიტორული დავალიანების თანხაში. ჩვენ შეგვიძლია ამ წინააღმდეგობების აცილება, შევიტანთ რა დღგ (1991 წ. მაისი-22%) კრედიტით გასაყიდი საქონლის ღირებულებაში, რის შედეგად მივიღებთ 5856000 კრონს.

შემდეგ შეიძლება გამოითვალოს, რომ საქონლური დებიტორული დავალიანება ბრუნავს ე.ი. ნაზღაურდება გადასახადის მეშვეობით და ისევ წარმოიქმნება საქონლის გაყიდვის მეშვეობით წელიწადში 12-ჯერ.

$$\text{საქონლური დებიტორული დავალიანების ბრუნთა რიცხვი} = \frac{\text{კრედიტით გასაყიდი საქონლის წლიური ღირებულება, დღგ-ს ჩათვლით}}{\text{საქონლური დებიტორული დავალიანება}}$$

ჩვენს მაგალითში ფირმა კრედიტით ყოველდღიურად ყიდის 16297 (5856000 / 360) კრონის ღირებულების საქონელს, დღგ-ს ჩათვლით. ამრიგად, საქონლური დებიტორული დავალიანება, 488000 კრონი 30 დღეში, განვადებით გაყიდული საქონლის ღირებულებას შეესაბამება. ეს იმას ნიშნავს, რომ ფირმა საშუალოდ კლიენტებს 30 დღით აკრედიტებს.

$$\text{დებიტორული დავალიანების კრედიტული ვადა, დღეებში} = \frac{\text{საქონლური დებიტორული დავალიანება 360}}{\text{კრედიტით გასაყიდი საქონლის წლიური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით}}$$

ფირმის მოთხოვნის ანგარიში კაპიტალზე კლიენტების დაკრედიტებისათვის უნდა ჩატარდეს კრედიტით გასაყიდი საქონლის ღირებულებისა და კრედიტების დაფარვის ვადების (ან საქონლური დებიტორული დავალიანების ბრუნთა რაოდენობის) ანგარიშების საფუძველზე.

მაგალითი. სავაჭრო ფირმამ მომავალი წლისათვის დაგეგმა რეალიზაციიდან ამონაგები 1800000 კრონის სიდიდით. ამგვარად, გათვალისწინებულია, რომ გაიყიდოს საქონელი: 1/3 ნაღდ ფულზე; 1/3 კრედიტზე შემდეგ პირობებში „მიმდინარე თვე 30 დღე“ 1/3 სამთვიანი კრედიტის პირობებში.

საქონლის სამი ჯგუფიდან, რეალიზაციის ამონაგები თითოეულსაგან 600 000 კრონს (1 800 000:3) შეადგენს.

რეალიზაცია ნაღდი ფულით, რა თქმა უნდა, არ ითვლება საქონლური დებიტორების დაკრედიტებისათვის კაპიტალზე მოთხოვნილების წყაროდ.

რაც შეეხება დაკრედიტების პირობას — „მიმდინარე თვე + 30 დღე“ — ასეთი კრედიტის

დაფარვის ზუსტი დრო დამოკიდებულია იმაზე, თვის რომელ დღეს ხდება კონკრეტული შესყიდვა. თუ დავუშვებთ, რომ კლიენტი საქონელს ყიდულობს საშუალოდ ყოველი თვის 15

რიცხვში, მაშინ დაფარვის ვადა შეადგენს დარჩენილ 15 დღეს + 30 დღე, ე.ი. სულ 45 დღეს.

კრედიტის დაფარვის ასეთი ვადა ნიშნავს, რომ საქონლური დებიტორული დავალიანება შეესაბამება იმ საქონლის ღირებულებას, რომელიც კრედიტით იყიდება 45 დღის განმავლობაში,

რამდენადაც „მიმდინარე თვე + 30 დღე“ პირობებში დღეში 1 667 კრონის ღირებულების საქონელი (600 000 : 360) იყიდება, 45 დღეში გასაყიდი საქონლის ღირებულება 75000 კრონს შეადგენს. დამატებითი ღირებულების გადასახადის (22%) გათვალისწინებით კლიენტთა დაკრედიტებისათვის, კაპიტალზე მოთხოვნილება 91500 კრონს (75000 X 1,22) შეადგენს.

ბოლო 600000 კრონის ამოღება დაგეგმილია საქონლის გაყიდვით სამთვიანი კრედიტის პირობებში. ვინაიდან კრედიტი 3 თვით იძლევა, საქონლური დებიტორული დავალიანება შეადგენს სიდიდეს, რომელიც 3 თვეში კრედიტით გასაყიდი საქონლის ღირებულებას შეესაბამებარადგან 3 თვიანი კრედიტის პირობებში ყოველთვიურად იყიდება 50000 კრონის საქონელი (600000 : 12), ამ პირობებში 3 თვეში გაყიდული საქონლის ღირებულება 150000 კრონს შეადგენს. დღგ-ს გადასახადის გათვალისწინებით კლიენტების დაკრედიტებისათვის კაპიტალზე მოთხოვნილება 183000 კრონს შეადგენს.

კრედიტების დაფარვის დაგეგმილი ვადები შესაბამისად 45 დღე და 3 თვე კორელაციაშია საქონლური დებიტორული დავალიანებების დაგეგმილ ბრუნთა რიცხვთან 8 (360 : 45 დღე) და 4 (12 : 3 თვე). ამის საფუძველზე საქონლური დებიტორული დავალიანების სიდიდე ასევე შეიძლება გამოითვალოს შესაბამისად 91500 (600000 კრონი : 8 X 1,22) კრონი და 183000 (600000 კრონი : 4 X 1,22) კრონი.

ანგარიშის ხერხისაგან დამოკიდებულებით-კრედიტული დროის ან საქონლური დებიტორული დავალიანების ბრუნთა რიცხვის საფუძველზე-კაპიტალზე მოთხოვნილების სიდიდე კლიენტის

დაკრედიტებისათვის შეიძლება ვიპოვოთ ერთ-ერთი რომელიმეტი ქვემოთ მოტანილი ორი ფორმულიდან:

$$\begin{array}{l} \text{საქონლური} \\ \text{დებიტორული} \\ \text{დავალიანება} \end{array} = \frac{\begin{array}{l} \text{კრედიტით გასაყიდი} \\ \text{საქონლის წლიური} \\ \text{ღირებულება} \end{array}}{\begin{array}{l} \text{კრედიტული} \\ \text{ვადა დღეებში} \cdot 1,22 (\text{დღგ}) \end{array}} \\ \text{360} \end{array}$$

$$\begin{array}{l} \text{საქონლური} \\ \text{დებიტორული} \\ \text{დავალიანება} \end{array} = \frac{\begin{array}{l} \text{კრედიტით გასაყიდი} \\ \text{საქონლის წლიური} \cdot 1,22 (\text{დღგ}) \\ \text{ღირებულება} \end{array}}{\begin{array}{l} \text{საქონლური დებიტორული} \\ \text{დავალიანების ბრუნთა რიცხვი} \end{array}}$$

გ. ავანსური გადასახდელები

იგულისხმება, რომ საქონლის უსყიდვის მიმდინარე ხარჯებისაარენდო გადასახადი, გარეშე ორგანიზაციების მომსახურების ანაზღაურება და ხელფასი საქონლის რეალიზაციით მიღებული მიმდინარე შემოსავლებით იფარება. მაშასადამე, მსგავსი გადარიცხვები, როგორცაა მოგების ბიუჯეტის დანახარჯები, რეალიზაციის ამონაგებიდან გამოირიცხება მანამდე, ვიდრე მოგების სიდიდე გამოითვლება, რომელიც შეიძლება მიმართული იქნეს თვითდაფინანსებაზე.

მაგრამ ეს არ ეხება იმ ხარჯებს, რომლებიც აუცილებლად წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი (საარენდო გადასახადი), ან ისეთი საქონლის ანაზღაურებას, რომლის მიხედვით ფირმას განსაზღვრული მარაგი უნდა ჰქონდეს (მაგალითად საკანცელარიო საქონელი, სარეკლამო მასალები და ა.შ.). ასეთი დანახარჯები გათვალისწინებული უნდა იქნეს კაპიტალზე მოთხოვნილების ანგარიშისას.

დ. ფულადი საშუალებები

ფირმას, დროის ნაბისმიერ მომენტში, ფულადი საშუალებების განსაზღვრული რაოდენობა უნდა ჰქონდეს (საკასო ნაღობა, სახსრები საბანკო ანგარიშზე, ვექსილები და შესაძლებელია, მაღალლიკვიდური ობლიგაციები), ამის აუცილებლობა, ერთი მხრივ, იმით აიხსნება, რომ ყოველთვის წარმოიქმნება დროებითი დაუმთხვევლობა მიმდინარე გადასახადებსა და შემონატანებს შორის. მეორე მხრივ, უნდა იყოს

ფულადი საშუალებების განსაზღვრული რეზერვი, რამდენადაც ყოველთვის არსებობს შემონატანებისა და გადარიცხვების გეგმიური და ფაქტობრივი ვადების დაუმთხვევლობის ალბათობა, კონკრეტული პირობების დაუცველობის ან არა ზუსტი დაცვის მიზეზით.

ამგვარად, ფულადი საშუალებების განსაზღვრული რაოდენობა გათვალისწინებული უნდა იქნეს ფირმის კაპიტალზე მთლიანი რაოდენობის ანგარიშისას.

ე. საქონლური კრედიტები

ზოგაერთ შემთხვევაში, ფირმებს ხელი მიუწვდება დაფინანსების წყაროებზე, რომლის გამოყენებას ისინი წინასწარ ვარაუდობენ კაპიტალზე მოთხოვნილების განსაზღვრისას, ასეთ სიტუაციებში რაციონალური იქნებოდა იმ დანახარჯების გათვალისწინებლობა, რომლებიც ასეთი კრედიტების ხარჯზე ფინანსდება, რათა გაირკვას რა ხარჯები უნდა დაფინანსდეს სხვა წყაროებიდან. ძალზე ხშირ შემთხვევაში დაფინანსების ასეთი „საიმედო“ წყაროს მაგალითს წარმოადგენს კომერციული კრედიტი (მიმწოდებლის საქონლური კრედიტი).

შესასყიდი საქონლის ღირებულება და საქონლური კრედიტორული დავალიანების სიდიდეს შორის დამოკიდებულება შეიძლება გამოისახოს საქონლური კრედიტორული დავალიანების ბრუნთა რიცხვით, ან კრედიტორული დღეების რაოდენობით.

შევიჩინოთ საწარმო, რომელიც წელიწადში 3000000 კრონის საქონელს ყიდულობს და რომლის საქონლური — კრედიტორული დავალიანება 915000 კრონს შეადგენს, რამდენადაც საქონლურ კრედიტორულ დავალიანებაში შეაქვთ გადასახადი დამატებით ღირებულებაზე, ეს ორი სიდიდე შესადარი რომ გახდეს, შესასყიდი საქონლის ღირებულებას 22 % გავზრდით (დანიში დღგ 22%) 3660000 კრონს ვღებულობთ. ამრიგად, საქონლური კრედიტორული დავალიანება წელიწადში 4-ჯერ მობრუნდება (3660000 : 915000).

კრედიტით შესასყიდი საქონლის წლიური ღირებულება დამატებით ღირებულებაში გადასახადის ჩათვლით

საქონლური კრედიტორული დავალიანების ბრუნთა რიცხვი

$$= \frac{\text{საქონლურ კრედიტორული დავალიანება}}{\text{კრედიტორული დავალიანება}}$$

ჩვენს მაგალითში ფირმა ყოველდღიურად კრედიტით 10167 კრონის საქონელს ყიდულობს დღგ ჩათვლით (3669999 : 360). მაშასადამე, 915000 კრონის საქონლური კრედიტორული დავალიანება

90 დღეში კრედიტით შესასყიდი საქონლის ღირებულებას შეესაბამება. ეს ნიშნავს, რომ ფირმა მიმწოდებლიდან კრედიტს საშუალოდ 90 დღით ღებულობს.

საქონლური კრედიტული დავალიანება 360

$$\frac{\text{კრედიტული დავალიანების კრედიტული დრო ღღებში}}{\text{კრედიტით შესასყიდი საქონლის წლიური ღირებულება დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით}} =$$

საქონლური კრედიტორული დავალიანების ანაზღაურებისათვის კაპიტალზე მოთხოვნის ანგარიში აუცილებელია, ჩატარდეს ბიუჯეტში დაგეგმილი კრედიტით შესასყიდი საქონლის ღირებულებისა და კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვადების საფუძველზე.

მაგალითი. სავაჭრო ფირმამ მომავალი წლისათვის დაგეგმა 2160000 კრონის ღირებულების საქონლის შესყიდვა. მოსალოდნელია, რომ ყველა შესყიდვა მოხდება ორთვიანი კრედიტის პირობებში. კრედიტის დაფარვის 2 თვე ნიშნავს, რომ საქონლური კრედიტორული დავალიანება შეესაბამება 2 თვეში კრედიტით შესყიდული საქონლის ღირებულებას. კრედიტით ნაყიდი საქონლის ყოველთვიური ღირებულება 180000 კრონის (2160000 : 12) ტოლია, ამიტომ ორ თვეში შესაძენი საქონლის ღირებულება 360000 კრონს შეადგენს. მაშასადამე, დამატებითი ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით საქონლური კრედიტორული დავალიანება 439200 კრონის ტოლია.

კრედიტების დაფარვის ორთვიანი ვადა შეესაბამება საქონლური კრედიტორული დავალიანების დაგეგმილ ბრუნთა რიცხვს—წელიწადში 6. ამის საფუძველზე აგრეთვე შეიძლება ბიუჯეტის საქონლური კრედიტორული დავალიანების გამოთვლა. იგი 439200 კრონის (2160000 კრონი 6 · 1,22) ტოლია.

		კრედიტით შესასყიდი საქონლის წლიური ღირებულება	კრედიტის დრო ღღებში	ღღგ-ს კოეფიციენტი
საქონლური კრედიტორული დავალიანება	=			
			360	

საქონლური კრედიტორული დავალიანება	=	კრედიტით შესასყიდი საქონლის წლიური ღირებულება	დამატებითი ღირებულების გადასახადის კოეფიციენტი
		საქონლის კრედიტორული დავალიანების ბრუნთა რიცხვი	

ზოგ შემთხვევაში, როცა საქონლური კრედიტორული დავალიანების დაგეგმივისას კრედიტით შესასყიდი საქონლის ღირებულება ჯერ კიდევ არ განსაზღვრულა, შეიძლება გამოყენებული იქნეს შესასყიდი საქონლის ღირებულება, როგორც მიახლოებითი სიდიდე. ასეთ შემთხვევაში ივულისხმება, რომ სასაქონლო მარაგის სიდიდე უცვლელია.

9.3.2. საწარმოო საწარმოს მარაგები

უმრავლეს დარგებში კაპიტალზე მოთხოვნილების ანგარიში ისე ტარდება, როგორც ეს სავაჭრო ფირმის მაგალითზე იყო ნაჩვენები. ამ ორი ტიპის საწარმოსათვის არსებითი განსხვავება მხოლოდ შესასყიდი საქონლის მიმართებაში ვლინდება.

როგორც მე-2 თავში იყო ნაჩვენები საწარმოო საწარმოში სამი მარაგი არსებობს (ნახ.9.1)

საწარმოო მარაგი — — — დაუმთავრებელი წარმოება — — — მზა პროდუქციის მარაგი

ნახ. 9.1. საწარმოო საწარმოს მარაგები

საწარმოო მარაგებში შედის ნედლეული საქონელის და შესაფუთი მასალები, რომლებიც ჯერ არ მონაწილეობს წარმოების პროცესში. დაუმთავრებელი წარმოება მოიცავს იმ პროდუქციას, რომელიც ანგარიშის მომენტში საწარმოო პროცესის ამა თუ იმ ტაღიაზე იმყოფება მაშასადამე, ამ მარაგში ამა თუ იმ მოცულობით შედის ნედლეული საქონელი, მაგრამ ამის გარდა, შესაძლებელია დახარჯული სამუშაო ღირის, მოხმარებული ენერჯის რაოდენობა და ა.შ.

მზა პროდუქციის მარაგში შედის ისეთი საქონელი, რომლის წარმოება დამთავრებულია და მზადაა რეალიზაციისათვის. ასეთი საქონლის მიმართ დანახარჯები ნედლეულზე, ხელფასზე და სხვა შესაძლო საწარმოო ცვლადი დანახარჯები წარმოდგენილია სრული მოცულობით.

საწარმოო საწარმომში ხშირად უფრო დეტალიზებულ ბიუჯეტს ადგენენ, ვიდრე სავაჭროში, ე.ი. საწარმოო მარაგებს, დაუმთავრებელ წარმოებას და მზა პროდუქციის მარაგს გეგმავენ ცალებში, კილოგრამებში და ა.შ. თუკი ეს არ ხდება ანუ თუ საწარმოო მარაგი, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქციის მარაგი ღირებულებით გამოსახულებაში იგეგმება კაპიტალზე მოთხოვნილების ანგარიში, ბევრად შესატყვისი სავაჭრო საწარმოს ანგარიშისა (იხ. 9.3.1. ა ქვეგანყ.). თუმცა შესასყიდი საქონლის ღირებულება უნდა შეიცვალოს შემდეგი სიდიდეებით:

საწარმოო მარაგის ღირებულება: ნედლეულისა და მისაღების წლიური მოხმარება;

დაუმთავრებელი წარმოების ღირებულება: წლიური ცვლადი საწარმოო დანახარჯები : 2;

მზა პროდუქციის მარაგის ღირებულება: წლიური მუდმივი საწარმოო დანახარჯები.

დაშვება, რომ დაუმთავრებელი წარმოების ღირებულება გამოითვლება ცვლადი საწარმოო დანახარჯების 2-ზე გაყოფით, იმას ეფუძნება, რომ საწარმოო დანახარჯები საწარმოო პროცესის განმავლობაში თანაბარზომიერად წარმოიქმნება.

მაშასადამე, დასაშვებია ვარაუდი, რომ იმ საქონელმა, რომელიც მოცემულ მომენტში

საწარმოო პროცესში იმყოფება, საშუალოდ საწარმოო ციკლის ნახევარი გაიარა. თუმცა ასე ყოველთვის არ ხდება. მაგალითად, ვინაიდან ნედლეულის საწარმოო პროცესის საწყის პროცესში შედის, მაშინ როცა დანარჩენი საწარმოო დანახარჯები თანაბრად წარმოიქმნება. კორექტული იქნებოდა დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშის საფუძველად აღებულიყო სიდიდე — ნედლეულისა და მასალების წლიური მოხმარების ღირებულება + (სხვა წლიური ცვლადი საწარმოო დანახარჯები : 2).

საწარმოოში, სადაც პროდუქციის მარაგების შექმნისათვის წარმოება იგეგმება ცალებში, კილოგრამებში და ა.შ. კაპიტალზე მოთხოვნილების ანგარიშის ძირითადი წესები აღწერილი იქნება შემდეგ ქვეგანყოფილებებში.

მაგალითი. განვიხილოთ მარაგის შესაქმნელად სააქციო საზოგადოება „სტილას“ საწარმოო საწარმოს კაპიტალზე მოთხოვნილების ანგარიში. 19...3წ. პროდუქტ „არონზე“ დაგეგმილია შემდეგი მაჩვენებლები:

დანახარჯების გეგმიური კალკულაცია, საქონელ

„არონის“ ერთეულზე, კრონი

ნედლეული და მასალები: XX საქონლის 1 ცალი 1400 კრონად	—14,00
ხელფასი: 1:15 სთ; 1 სთ-ში 120 კრონი	8,00
სხვა ცვლადი საწარმოო დანახარჯები	4,00
სხვა ცვლადი საწარმოო დანახარჯები	26,00

ნედლეული XX საქონლის შესყიდვა და აგრეთვე „არონის“ წარმოება და რეალიზაცია თანაბრად ხორციელდება-დღეში 200 ცალი.

საწარმოო ციკლი 10 დღე გრძელდება, ხოლო ნედლეული XX საქონელი საწარმოო პროცესში მისი დაწყებისთანავე შედის, მაშინ როცა

შრომის ანაზღაურებისა და სხვა ცვლადი საწარმოო დანახარჯები თანაბრად წარმოიქმნება მთელი საწარმოო პროცესის განმავლობაში. სავარაუდოა, რომ ნედლეული, საწარმოო პროცესში ჩართვამდე, 30 დღე საწყობში იქნება, ხოლო მზა პროდუქცია-45 დღე, მისი გაყიდვაში შეტანამდე.

ა. საწარმოო მარაგი

სააქციო საზოგადოება „სტილასში“ ნედლეულისა და მასალების საწარმოო მარაგში ყოფნის დრო 30 დღეს შეადგენს, ეს კი ნიშნავს, რომ საწარმოო მარაგის ღირებულება 30 დღის განმავლობაში მოხმარებული ნედლეულის ღირებულების ტოლია. ამიტომ, საწარმოო მარაგის ღირებულება შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\begin{aligned} &\text{საწარმოო} \\ &\text{მარაგის} &= & 30 \text{ დღე} \cdot 200 \text{ ცალი} \cdot 14 \text{ კრონი} &= & 84000 \text{ კრონი} \\ &\text{ღირებულება} \end{aligned}$$

საწარმოო		საქონლის	დღეში მოხმარებული	მუდგევის
მარაგის	=	საწყობში	• საქონლის	ფრანკო
ღირებულება		ყოფნის ვადა	რაოდენობა	საწყობის ფასი

ბ. დაუმთავრებელი წარმოება

სააქციო საზოგადოება „სტილასში“ საწარმოო პროცესში მყოფი საწარმოო ციკლის ხანგრძლივობა 10 დღე გრძელდება, ხოლო პროდუქტ „არონის“ რაოდენობა დროის ნებისმიერ მომენტში 2000 ცალს შეადგენს (10 დღე X 200 ცალზე) რამდენადაც ნედლეული საწარმოო პროცესში მისი დაწყებიდანვე შედის. 2000 ცალი XX საქონლის ღირებულება თითოეული 14 კრონად, მიკუთვნებული უნდა იქნეს საწარმოო მარაგის შექმნის დანახარჯებს. დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე და სხვა ცვლადი დანახარჯები თანაბრად წარმოიქმნება 10 დღიანი საწარმოო ციკლის განმავლობაში. აქედან გამომდინარეობს, რომ საწარმოო პროცესში მყოფ 2000 ცალი საქონლიდან, თითოეულზე ამ დანახარჯების ნახევარი მოდის ე.ი. $12 \cdot 2 = 6$ კრონი.

ამიტომ დაუმთავრებელ წარმოებაზე კაპიტალის მოთხოვნილება შეიძლება შემდეგნაირად გამოითვალოს:

დაუმთავრებელი წარმოების ღირებულება	=	საწარმოო ციკლის დღეების რაოდენობა	•	წარმოების დღეური მოცულობა ცლ.	•	პროდუქციის ერთეულზე მოხმარებული ნედლ. ღირებ.	(დამატ.)	$\frac{1}{2}$	დანარჩენი ცვლადი საწარმოო დან. პროდუქციის ერთეულზე
------------------------------------	---	-----------------------------------	---	-------------------------------	---	--	----------	---------------	--

როგორც აღრე იყო აღნიშნული, არის შემთხვევები, როცა დანახარჯები წარმოების პროცესში სხვა რიტმით წარმოიშობა, ვიდრე სააქციო საზოგადოება „სტილასში“. მაგალითად, თუ ყველა დანახარჯი, საწარმოო მარაგების შექმნის დანახარჯების ჩათვლით, თანაბრად წარმოიქმნება, საშუალო-არითმეტიკული ცვლადი საწარმოო დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე 13,00 კრონის ტოლი იქნება (26,00 2).

გ. მზა პროდუქციის მარაგი

სააქციო საზოგადოება „სტილასში“ მზა პროდუქცია საწყობში 45 დღე იმყოფება, ეს კი ნიშნავს, რომ მზა პროდუქციის მარაგის მოცულობა, დროის ნებისმიერ მომენტში 45 დღეში, წარმოებული პროდუქციის მოცულობას შეესაბამება ე.ი. 9000 ცალის ტოლია (45 დღე X 200 ცალი დღეში). პროდუქციის ყოველ ერთეულზე მოდის 26,00 კრონის ცვლადი საწარმოო დანახარჯი და ამიტომ მზა პროდუქციის მარაგის ღირებულება შეიძლება შემდეგნაირად გამოითვალოს:

$$\text{მზა პროდუქციის მარაგის ღირებულება} = 45 \text{ დღე} \cdot 200 \text{ ცალი} \cdot 26 \text{ კრონი} = 234000 \text{ კრონი}$$

მზა პროდუქციის მარაგის ღირებულება	საწყობში	დღეში	საშუალო ცვლადი საწარმოო დანახარჯები
	= საქონლის უოფნის დღეთა რაოდენობა	• რეალიზაციის მოცულობა	•

9.4. განზოგადებული მაგალითი

პეტერ ოლრენი განიხილავს შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის შექმნის შესაძლებლობას საქონელ „რანას“ წარმოებისა და რეალიზაციისათვის. განზრახულია განთავსება არენდებულ შენობაში, მაგრამ აუცილებელია 700000 კრონი მანქანების და 300000 კრონი მოწყობილობების შესაძენად.

პროდუქცია „რანას“ ერთეულზე დაგეგმილია შემდეგი მაჩვენებლები:

ა) გეგმიური კალკულაცია:	
1 ცალი პკ მასალა	48 კრონი
სხვა ცვლადი საწარმოო დანახარჯები	32 კრონი
	80 კრონი

საწარმოო პროცესის განმავლობაში უველა დანახარჯი თანაბრად წარმოიქმნება.

ბ) ნედლეულის შესყიდვა, პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია თანაბარზომიერად ხდება—დღეში 200 ცალი.

გ) რეალიზაციის ფასია 130 კრონი

დ) საქონლის მარაგში უოფნისა და კრედიტების დაფარვის ვადები:

საწარმოო მარაგი, დღე20

დაუმთავრებელი წარმოება, დღე10

მზა პროდუქციის მარაგი, დღე.....40

მომხმარებლის მიერ კრედიტების

დაფარვის ვადა, დღე.....60

(რეალიზაციის მთელ მოცულობაზე)

და ბოლოს, არის ინფორმაცია, რომ ავანსად შეტანილი საიჯარო გადასახადის თანხა 200000 კრონს შეადგენს და აგრეთვე აუცილებლად ითვლება ფულადი საშუალებების რეზერვის შექმნა 100000 კრონის სიდიდით.

ახლა პეტერ ორლენმა უნდა გამოითვალოს მოთხოვნილება კაპიტალზე.

მოთხოვნილება ირითად კაპიტალზე, კრონი

მანქანები.....700000

მოწყობილობა.....300000

სულ.....1000000

მოთხოვნილება საბრუნავ კაპიტალზე, კრონი. საწარმოო მარაგის ღირებულება:

20 დღეში უოველდღიურად 200 ცალი თითოეული 48 კრონად.....192000

დაუმთავრებელი წარმოების ღირებულება:

10 დღეში უოველდღიურად 200 ცალი თითოეული 8012 კრონად....80000

მზა პროდუქციის მარაგის ღირებულება:

40 დღეში უოველდღიურად 200 ცალი თითოეული 80 კრონი.....640000

სასაქონლო დებიტორული დავალიანება:

60 დღეში უოველდღიურად 200 ცალი (130 დამ. სდ.დ.გ. 22%)

კრონად1903200

ავანსად შეტანილი საარენდო გადასახადი და ა.შ.200000

ფულადი საშუალებების რეზერვი100000

სულ3115200

კაპიტალზე მოთხოვნილება სულ4115200

ლაზინანსება

10.1 ლაზინანსების მიზანდასახული სტრუქტურის განსაზღვრა

ფირმის დაფინანსებაში ესმით საწარმოს ძირითადი და საბრუნავი ფონდების შექმენისათვის აუცილებელი კაპიტალის მოზიდვა, სხვა სიტყვებით: კაპიტალზე ფირმის მოთხოვნილების დაფარვა.

როგორც მე-9 თავში იყო აღნიშნული, არჩევენ მოთხოვნილებას ძირითად და საბრუნავ კაპიტალზე.

დაფინანსების წყაროები შეიძლება დაიყოს საკუთარ და ნასესხებ კაპიტალად.

როცა საქმე ეხება საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს, განსაზღვრულად ითვლება ცნებები „საკუთრების უფლება“ და „ფინანსური ვალდებულება“ თუ ინვესტორს სურს მესაკუთრის ან თანამფლობელის უფლების შექმნა და ამით ხმის უფლებისაც, ვთქვათ სააქციო საზოგადოებებში, მას შეუძლია, იყიდოს ერთი ან რამდენიმე აქცია. ამგვარად მიზიდულ კაპიტალს საკუთარ კაპიტალს უწოდებენ. თუ კი პირიქით, ინვესტორი ამა თუ იმ ფირმას აკრედიტებს, იგი იძენს ვალდებულებას მის ფინანსურ ვალდებულებაზე, მაგრამ როგორც წესი ხმის უფლებას არ ღებულობს. რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში საუბარია ინვესტიციებზე, რომელსაც ახორციელებენ არა ფირმის მფლობელები, არამედ გარეშე კრედიტორები, ასეთი კაპიტალი ნასესხებ კაპიტალად იწოდება.

ვაზოგადებთ რა, შეიძლება ითქვას, რომ ინვესტორების მიერ საწარმოში დასაბანდებელი კაპიტალი, რომლებიც ამ საწარმოს მესაკუთრებათ ითვლებიან, საკუთარ კაპიტალს ეკუთვნის. მართალია ისიც, რომ საკუთარი კაპიტალი შეიძლება შეიქმნას თვითდაფინანსების ხარჯზეც, კერძოდ მოგების ანარიცხებისაგან.

როგორც წესი, შეუძლებელი ხდება სრული სიზუსტით განისაზღვროს საკუთარი კაპიტალის სიდიდე, რამდენადაც იგი საანგარიშო პლანით წარმოადგენს სხვაობას მთელი საწარმოს (აქტივების)საერთო ღირებულებასა და კრედიტორების დავალიანების თანხას შორის. კრედიტორული დავალიანების (ნასესხები კაპიტალი) თანხა შეიძლება ზუსტად გამოითვალოს საფინანსო დოკუმენტებში ჩაწერილი პროცენტების დარიცხვისა, გაცემის და ვალის დაფარვის პირობების მიხედვით. მაგრამ საწარმოს საერთო ღირებულება

დამოკიდებულია ცალკეული აქტივების ღირებულების შეფასებაზე, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია მომავალ ეკონომიკურ კონიუქტურაზე და ამ აქტივების გამოყენების ხელმძღვანელობის უნარზე.

საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს შორის უმნიშვნელოვანესი განსხვავებები, საერთო სახით, შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:

ცხრილი 10.1. საკუთარი და ნასესხები კაპიტალი

	საკუთარი კაპიტალი	ნასესხები კაპიტალი
შპს უფლება	სრული ან შეზღუდული*	არ გვხვდება**
კრედიტების დაფარვა	უფლება წარმოიქმნება მხოლოდ ნასესხები კაპიტალის გაღებულების შესრულების შემდეგ.	უხატვეოდ უფლება აქვს პოლიოგოს კრედიტის დაფარვა საფინანსო დაკუმენტებში ჩაწერა პირობების შეხედვით
პროცენტების გათმა	პროცენტების ან დივიდენდების სხვა მხრივ ამ შემთხვევაში თუ საწარმო პოტენციალი იქნება	სავალი გაღებულებებში გათმის წინააღმდეგ პროცენტების გათმა აუცილებელია საპურარეო სკეპანობის შედეგებისაგან დამოუკიდებლად.

შემდგომ, ნასესხები კაპიტალი შეიძლება დავყოთ გრძელვადიან და მოკლევადიან კაპიტალად, ანუ მოკლევადიან და გრძელვადიან პასივებად. ამ განსხვავების საფუძველში ძვეს ვადა, რომლითაც გაცემულია ან რომლის მერე დაფარული უნდა იქნეს კრედიტი.

როგორც წესი, ნასესხები კაპიტალი ერთ წლამდე ვადით მიეკუთვნება მოკლევადიან კაპიტალს, ხოლო ერთ წელზე მეტი ვადით—გრძელვადიან კაპიტალს. თანაც ეს ეხება საკუთარ კაპიტალსაც.

დავალიანების ბევრი სახე ძნელია მივაკუთვნოთ ამა თუ იმ ჯგუფს, ასე მაგალითად, საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული კრედიტი სპეციალურ სასესხო ანგარიშით, როგორც წესი, კონტრაქტის თანახმად

* —დამოკიდებულია დამფუძნებელი დოკუმენტების შინაარსზე. მაგალითად, შეიძლება გამოშვებული იქნეს აქციები შეზღუდული ხმის უფლებით.

** —მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო იხდის პროცენტებს და ანაღებს კრედიტს დადგენილ ვადებში.

შეიძლება გაწვეული იქნეს სესხის მიმცემის მიერ გაფრთხილებით 14 დღის ვადაში და ამიტომ დავალიანება მის მიხედვით უნდა მიეკუთვნოს მოკლევადიან კაპიტალს.

მეორე მხრივ მსესხებელი დარწმუნებულია, რომ ის შეძლებს პროცენტების გასტუმრებისა და კრედიტის პირობების პირობების შესრულებას დადგენილი ვადებში და თუ ის აგრეთვე დარწმუნებულია,

რომ საფინანსო ინსტიტუტი სხვა მიზეზების გამო არ გაწყვეტს კონტრაქტს ერთ წელზე ადრე გაფრთხილებით, ასეთი კრედიტის მიხედვით დავალიანება მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება მიეკუთვნოს გრძელვადიან კაპიტალს.

კითხვა იმის შესახებ, როგორ დაფინანსდეს საწარმოს ესა თუ ის აქტივები, მოკლევადიანი ან გრძელვადიანი კაპიტალის (გრძელვადიანი, ნასესხები და საკუთარი) ხარჯზე შეიძლება განვიხილოთ ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში. მაგრამ ფირმები ხშირად იცავენ წესს, რომლის თანახმად ძირითადი კაპიტალის ყოველი ელემენტი აგრეთვე საბრუნავი კაპიტალის უფრო სტაბილური ნაწილი (მაგალითად ფულადი სახსრების რეზერვებისათვის აუცილებელი დასაზღვევო მარაგი), აგრეთვე დებიტორული დავალიანების სტაბილური ნაწილი ძირითადად უნდა დაფინანსდეს გრძელვადიანი კაპიტალის ხარჯზე, საბრუნავი აქტივების დარჩენილი ნაწილი, რომლის სიდიდე დამოკიდებულია საქონლური ნაკადის სიდიდეზე, პირიქით მოკლევადიანი კაპიტალის ხარჯზე უნდა დაფინანსდეს. დაფინანსების ასეთი სტრუქტურული სქემა ნაჩვენებია ნახაზზე 10.1.

თუ ფირმა ამგვარად ფინანსდება, ის არაფრით არ რისკავს, რომ შენობებში, მანქანებში (ანუ ძირითადი კაპიტალი) და ა.შ. დაბანდებული კაპიტალი, აგრეთვე აუცილებელი მარაგების, ფულადი რეზერვების, კლიენტების დაკრედიტების შექმნაში (ანუ საბრუნავი კაპიტალი) და ა.შ. მოულოდნელად იქნება გამოთხოვილი კრედიტორების მიერ. ამავე დროს ფირმას შეეძლება, ვთქვათ, მარაგების იმ ნაწილის სეზონური ცვლილებისას, რომელიც აღემატება ნორმატიულს, სწრაფად მიიღოს ის კაპიტალი, რომლის ხარჯზეც ფინანსდება სეზონური მარაგების შექმნა.

აქტივები		პასივები
ძირითადი აქტივები	საკუთარი კაპიტალი	გრძელვადიანი კაპიტალი
საბრუნავი აქტივები	გრძელვადიანი ნასესხები კაპიტალი	
	მოკლევადიანი ნასესხები კაპიტალი	მოკლევადიანი კაპიტალი

ნახ. 10.1. დაფინანსების სტრუქტურის მაგალითი

10.2. საკუთარი კაპიტალი

10.2.1. ერთპიროვნული საწარმო

ასეთი ტიპის საწარმოებში კაპიტალი წარმოდგება ერთი პირის—მფლობელის მიერ, რომელიც ამასთან, როგორც წესი, ფირმის ოპერატიულ ხელმძღვანელობასაც ახორციელებს. ფირმის შექმნისას მფლობელი თავდაპირველ კაპიტალს აბანდებს ფულადი სახსრების ან რეალური ფასეულობების (მიწა, მანქანები, შენობები და ა.შ.) სახით. თავდაპირველი კაპიტალის სიდიდე შემდგომში შეიძლება შეიცვალოს დამატებითი კაპიტალდაბანდებების ან მოხსენების ხარჯზე, ისე როგორც საქმიანობის შედეგები წლის განმავლობაში მოგების ან ზარალის სახით, ასევე მფლობელის პირად მოხმარებას შესაბამის წლებში შეუძლია გავლენა მოახდინოს საკუთარი კაპიტალის სიდიდეზე, რამდენადაც ერთპიროვნული საწარმოს მფლობელი სრულ პასუხისმგებლობას ატარებს ფირმის ფინანსურ ვალდებულებებზე, ასეთი ფირმის კრედიტუნარიანობის შეფასებისას აუცილებელია, ყურად იქნეს მიღებული საწარმოს, როგორც ეკონომიური მდგომარეობა, ასევე მფლობელის პირადი ქონებრივი მდგომარეობაც.

10.2.2. სრული ამხანაგობა

მოცემულ შემთხვევაში საუბარია ორ ან რამდენიმე პირზე, რომლებიც კაპიტალს წარმოადგენენ. საკუთარი კაპიტალი შეიტანება, იზრდება ან მცირდება ისეთნაირად, როგორც ერთპიროვნულ საწარმოში. რამდენადაც ყოველი ცალკეული მფლობელი სრულ და სოლიდურ პასუხისმგებლობას ატარებს ფინანსური ვალდებულებების მხედვით. ყველა მფლობელის გადახდის უნარიანობას და ქონებრივ მდგომარეობას, ისევე როგორც ერთპიროვნული საწარმოს შემთხვევაში, უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ფირმის კრედიტუნარიანობის შეფასებისას.

10.2.3. სააქციო საზოგადოება და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა

სააქციო საზოგადოებებში და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობებში საკუთარი კაპიტალი ორი ნაწილისგან შედგება:

- 1) სააქციო (საპაიო კაპიტალი)
- 2) სარეზერვო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის აქციონერების დამფუძნებლების სახსრებისაგან, რომლებიც მათ მიერ დაბანდებულია ფირმის შექმნისას, აგრეთვე შესაძლო შემდგომი ანაბრებისაგან.

სარეზერვო კაპიტალი წარმოიქმნება მიღებული მოგებიდან (თვითდაფინანსება) ანარიცხების ხარჯზე.

სააქციო საზოგადოებებში და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობებში მფლობელები პასუხისმგებლობას ატარებენ ფირმის ვალდებულებების მიხედვით მხოლოდ მათ მიერ დაბანდებული კაპიტალით. შესაძლებლობა, ატაროს შეზღუდული პასუხისმგებლობა, ხსნის კერძოდ იმ ფაქტს, რომ ასეთი ფირმების შესაძლო ინვესტორების წრე მნიშვნელოვნად ფართოა, ვიდრე მაშინ, როცა მფლობელები სრულ პასუხისმგებლობას ატარებენ.

სრული ამხანაგობის მომავალი წევრი აუცილებლად უნდა ფლობდეს სრულყოფილ იმფორმაციას იმ ფირმის შესახებ, რომელშიც იგი ეპირება დააბანდოს კაპიტალი, რამდენადაც იგი პასუხისმგებლობას იკისრებს ფირმის ვალდებულებებზე მთელი თავისი ქონებით. აქციების მფლობელი სულაც არაა ვალდებული ასეთი გულმოდგინებით გაანალიზოს ფირმის ეკონომიური მდგომარეობა, ვიდრე იგი გადაწყვეტს იყიდოს აქციების მცირე პაკეტი.

ის ფაქტი, რომ, როგორც წესი, აქციები გაიყიდება, ვთვით ნებისმიერ მომენტში, საფონდო ბირჟაზე, აქციონერმა როგორც არ უნდა გადაწყვიტოს ამ ოპერაციის ჩატარება, ასევე ხელს უწყობს იმას, რომ სააქციო საზოგადოებების და მათი მსგავსი ფირმების შესაძლო ინვესტორების წრე ფართოა, ვიდრე სრული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში სახსრების დაბანდების მსურველთა წრე.

კაპიტალის მენაბრეები შეიძლება დაჯვოთ სამ ჯგუფად. პირველი მაკონტროლებელი ჯგუფი, რომელიც აერთიანებს მენაბრეებს, აქციებს და პაიებს რომ იძენენ ფირმის საქმიანობის კონტროლის შესაძლებლობების მიღების მიზნით. მეორე, სპეკულაციური ჯგუფი, რომელიც მოიცავს მენაბრეებს აქციებს ან პაიებს რომ ყიდულობენ მათი კურსის ცვლილებების მოლოდინში, რათა მოგება მიიღოს მათი გაყიდვისას (ითამაშებს რა კურსების სხვაობაზე). მესამე საინვესტიციო ჯგუფი, რომელსაც წარმოადგენენ მენაბრეები იმისათვის, რომ მომავალში მათგან მიიღონ მულმივი და საიმედო შემოსავალი.

აქციები და პაიები მათ მფლობელებს უფლებას აძლევენ მიიღონ დივიდენდები, თუ მოგების ისდიდე ამის საშუალებას იძლევა, აგრეთვე საერთო კრებაში მონაწილეობის უფლებას. სააქციო საზოგადოებებზე დანიის კანონმდებლობის თანახმად ყოველი აქცია ხმის უფლებას იძლევა.

დანიაში აქციების ორი ტიპი არსებობს. ჩვეულებრივი აქციები და პრივილიგირებული აქციები, პირველს მფლობელები ჩვეულებრივი წესით ღებულობენ, ხოლო პრივილიგირებული აქციების მფლობელებს დივიდენდების მიღების უპირატესი უფლება აქვთ. იმისაგან

დამოკიდებულებით, აქვთ თუ არა აქციებს სრული ან შეზღუდული ხმის უფლება, ისინი იყოფა, ერთი მხრივ, ა, აქციებად და მეორე მხრივ— ბ, გ, დ აქციებად.

სააქციო კაპიტალის გადიდება შეიძლება მოხდეს საფონდო აქციების ემისიის ხარჯზე, ის ნიშნავს აქციონერებისათვის უფასო ახალი აქციების გამოშვებას. საფონდო აქციების გამოშვებისას სარეზერვო კაპიტალიდან განსაზღვრული თანხა გადაიტანება სააქციოში, ფირმის საკუთარი კაპიტალის სიდიდე (სააქციო კაპიტალს პლუს სარეზერვო კაპიტალი), მაშასადამე, არ იცვლება, თუმცა ამ ოპერაციას განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს.

სხვა თანაბარ პირობებში ის იწვევს მოცემული ფირმის აქციების კურსის შემცირებას. აქციის საანგარიშო ღირებულების (შიდა ღირებულება) განტოლებაში:

საკუთარი კაპიტალი • 100

სააქციო კაპიტალი

მრიცხველი უცვლელი რჩება, ხოლო მნიშვნელი, საფონდო აქციების გამოშვებისას, იზრდება. მაშასადამე, თვით წილადის მნიშვნელობა მცირდება, მაგრამ კურსის რეალური შემცირება სულაც არ იქნება აქციების შიდა ღირებულების შემცირების არითმეტიკული შედეგის შესაბამისი. ფირმის საფონდო აქციების გამოშვების თვით ფაქტი, როგორც წესი, ხალხის მიერ განიხილება, როგორც ნიშანი იმისა, რომ ფირმის ხელმძღვანელობა ოპტიმისტურად აფასებს მის ახლანდელ ეკონომიკურ მდგომარეობას და მომავალში მოგების მიღების შესაძლებლობას. ეს კი უკვე თავისთავად გამოიწვევს კურსის ამაღლებას და საბოლოო შედეგი ჩვეულებრივად გამოიხატება მასში, რომ აქციების კურსი მცირდება უფრო მცირე სიდიდით, ვიდრე, ის რომელიც სააქციო კაპიტალის სიდიდეს შეესაბამებოდა.

10.3. ნასესხები კაპიტალი

10.3.1. იპოთეკური კრედიტი

იპოთეკური კრედიტის ინსტიტუტები (კრედიტული საზოგადოებები იპოთეკური და სასესხო ფონდები და ა.შ.) იძლევიან გრძელვადიან კრედიტებს უძრავი ქონების საწინდრით. იპოთეკური კრედიტის ინსტიტუტები სასესხო კაპიტალს იზიდავენ ობლიგაციების გამოშვების ხარჯზე უძრავობის საწინდრის სახელით უზრუნველყოფით, რასაც მსესხებლები წერენ შესაბამისი დაწესებულებებისათვის. ამგვარად, იპოთეკური კრედიტის ინსტიტუტები სესხის მიმცემლებსა და

მსესხებლებს შორის შუამავლების როლში გამოდიან. იპოთეკური კრედიტის¹ ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხების უფრო გავრცელებულ ფორმებად დანიაში ანუ იტეტური სესხები ითვლება, რომლის განაღდების თანხა ერთნაირია (პროცენტი პლუს მორიგი საწევრო) მათი მოქმედების მთელი ვადის მანძილზე; თანამიმდევრულად დაფარვადი სესხები, რომელიც თანაბარი წილის სიდიდებით ნაზღაურდება გადასახადის თითოეულ ვადაში შესაბამისად მკირდება მათი მოქმედების ვადის ბოლოს პროცენტების გადასახადების თანხებით. შერეული კომბინირებული სესხები—რომელიც შეიცავს როგორც ანუ იტეტურ ელემენტებს, ასევე დავალიანების დაფარვის თანამიმდევრულ პრინციპებსაც. გაიცემა აგრეთვე პირდაპირი (ან ერთდროულად დაფარვადი) სესხები, რომლის პირობების მიხედვით კრედიტის მთელი თანხა უკან ბრუნდება მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ შუალედურ ვადებში კი ნაღდდება მხოლოდ პროცენტების მუდმივი თანხები.

10.3.2. სააქციო საზოგადოება

„მრეწველობის და რეწვის დაფინანსების ორგანიზაცია“

სააქციო საზოგადოება მრეწველობისა და რეწვის დაფინანსების ორგანიზაცია დაფუძნდა 1958 წელს რიგი დანიური სამრეწველო ორგანიზაციების და დანიის ნაციონალური ბანკის მიერ. ამ ორგანიზაციის დაფუძნება ახსნილი იყო ძირითადი ფონდების დაფინანსებისათვის კაპიტალზე მოთხოვნილების ზრდის პერსპექტივებით, ეკონომიკის საერთო განვითარების შედეგად. ამასთან კავშირში ორგანიზაციის დამფუძნებლებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს საფინანსო საკრედიტო ინსტიტუტის შექმნა, რომელიც შეთავსებდია იპოთეკური კრედიტის ინსტიტუტებს უფრო მოკლე პერიოდის სესხების გაცემის ნაწილში. რამდენადაც სააქციო საზოგადოება მრეწველობისა და რეწვის დაფინანსების ორგანიზაცია ჩანაფიქრის მიხედვით უნდა გამოსულიყო შუალედურ რგოლად მოკლევადიანი კრედიტის გამცემ ფულად—კრედიტულ ინსტიტუტებსა და იპოთეკური კრედიტის ინსტიტუტებს შორის, რომლებიც გრძელვადიან კრედიტებს ახორციელებენ.

ამგვარად, „მრეწველობისა და რეწვის დაფინანსების ორგანიზაცია“ საშუალოვადიან კრედიტებს იძლევა დანიის მრეწველობის საწარმოების ძირითადი ფონდების ინვესტირებისათვის, სკუთარ კაპიტალს ფლობს, რომელიც შეტანილია დამფუძნებლების მიერ. ამას გარდა, კრედიტული სახსრები მოიზიდება ობლიგაციების განთავსების ხარჯზე როგორც დანიაში, ასევე საზღვარგარეთაც.

¹3. ფირმის ეკონომიკა

10.3.3. ფულად-კრედიტული ინსტიტუტები

ფულად-კრედიტულ ინსტიტუტებს მიეკუთვნება ბანკები და შემნახველ სალაროები. ფუნქციონალურ მიმართებაში დანიის შემნახველი სალაროები ბანკების უფლებებთან გათანაბრდა 1975 წელს, ხოლო 1989 წელს მათ საშუალება მიიღეს გარდაქმნილიყვნენ თვითდაფინანსებადი დაწესებულებებიდან სააქციო საზოგადოებაში ბანკების მსგავსად

უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს შორის, რომელსაც დღეს ასრულებენ ფულად-კრედიტული ინსტიტუტები, შეიძლება გამოვყოთ სახსრების დაზოგვა. საანგარიშო საკასო მომსახურება და დაკრედიტება, შემდგომში ყურადღების კონცენტრაციას მოვახდენთ ბოლო ფუნქციაზე ე.ი. ფულად-კრედიტული ინსტიტუტების მიერ სახსრების გაცემაზე საკუთარი სახსრებიდან. აგრეთვე მათ შუამავლობაზე სხვა ინვესტორების სახსრების მოზიდვაში.

ა) საფინანსო რესურსების მიწოდება და ა.შ.

შემდგომში ჩვენ განვასხვავებთ მიმდინარე კრედიტებს და სესხებს. მიმდინარე (ლიმიტირებადი) კრედიტები გაიცემა მაქსიმუმის ან ლიმიტის დადგენის პირობებში. მსესხებელს შეუძლია მოხსნას თანხა ანგარიშიდან დადგენილი მაქსიმუმის ზღვრებში. მაგრამ მოცემული ფორმის კრედიტებისათვის დამახასიათებლად ითვლება ის, რომ სალლო ამასთან ერთად შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითიც, ასეთი სახის კრედიტები მოხერხებულა ამიტომ ხარჯების დანახარჯების დაფინანსებისათვის, რომლის სიდიდე რჩევებს ემორჩილება, მაგალითად საქონლური მარაგის ან მზა პროდუქციის შექმნის დანახარჯები, რომელთა სიდიდე სეზონისაგან დამოკიდებულებით წლის განმავლობაში იცვლება.

მარტივი სესხის (მარტივი სასესხო ანგარიშის კრედიტი) პირობები გულისხმობს ყველა აუცილებელი ფორმალობის შესრულებისათვის კრედიტის მთელი თანხის (შესაძლებელია კრედიტის გახსნის საკომისიოების გამოკლებით) ერთდროულ მიღებას. სესხი გამოიყენება მსესხებლის მიერ, როგორც წესი, ძირითადი კაპიტალის ელემენტების დაფინანსებისათვის, მაგალითად, მანქანების შესასყიდად და ა.შ.

ბ) მიმდინარე (ლიმიტირებადი) კრედიტი

სპეციალური სასესხო ანგარიშის კრედიტი და კონტოკორენტული ანგარიშის კრედიტი იმით ხასიათდება, რომ მათი გამოყოფისას დგება თანხის მაქსიმუმი (ლიმიტი), რომლის ფარგლებში მსესხებელს შეუძლია მოხსნას ფული ანგარიშიდან. კრედიტის ამ ფორმას

შორის სხვაობა ჩვეულებრივ მასში მდგომარეობს, რომ სპეცსახსრის ანგარიშის კრედიტი იმ შემთხვევებში გამოიყენება, როცა მოსალოდნელია მუდმივად სალდო, ხოლო კონტოკორენტული ანგარიშის კრედიტი—როცა მოსალოდნელია როგორც დადებითი ისე უარყოფითი სალდო.

კრედიტის ამ ორივე სახისათვის საერთოდ ითვლება ის რომ, ისინი გამოიხატება იმ შემთხვევებში, როცა მსესხებლის კაპიტალზე მოთხოვნის სიდიდე არამყარია და იგი ხსნის ფულს ანგარიშიდან მხოლოდ აუცილებლობისას. სპეციალური კონტოკორენტული ანგარიშის დაკრედიტებისას ჩვეულებრივ დაითქმება ვალის დაფარვის პირობები ყოველკვარტლური ან ნახევარწლიური გადასახადების მეშვეობით, მაგრამ კონტრაქტში შეიძლება ნათქვამი იყოს, რომ კრედიტის სიდიდე ისე გადაისინჯება, როცა მსესხებელი ხელშეკრულების მიხედვით წარუდგენს ფულად კრედიტულ ინსტიტუტს თავის წლიურ ანგარიშს.

ზოგჯერ მსგავსი კრედიტები ბლანკის პირობებზე გაიცემა ე.წ. ბლანკური (მინდობითი) კრედიტი, ეს ნიშნავს, რომ მსესხებელი სახელდობრ არ წარადგენს უზრუნველყოფას, თუმცა მოცემულ შემთხვევაშიც ფულად-კრედიტული ინსტიტუტი კრედიტის გაცემამდე, რა თქმა უნდა, სწავლობს კლიენტის ანგარიშს, ბიუჯეტს და სხვა ფინანსურ დოკუმენტებს.

უმრავლეს შემთხვევაში კი კრედიტი გაიცემა მესამე პირის თავდებობის, მანქანებისა და მოწყობილობების საწინდრის სახით, რომლებიც სესხის მიმცემს შეუძლია მოითხოვოს უპირობო წესით, საკუთარი მევალებების სავალო ვალდებულებების გადატანით და სხვა.

გაცემული კრედიტის პროცენტული განაკვეთი გამოითვლება ფულად-კრედიტული დაწესებულების მიერ, ყოველთვის, კრედიტის დავალიანების სიდიდის დროის ნებისმიერ მომენტში, ამას გარდა მსესხებელმა უნდა გადაიხადოს საკომისიო. მათი დარიცხვის ხერხები შეიძლება რამდენადმე განსხვავდებოდეს, მაგრამ ჩვეულებრივ ისინი წარმოადგენს კრედიტის მაქსიმალური თანხის პროცენტულ წილს.

მაგალითი.

განვიხილოთ სპეცსესხის ანგარიშის კრედიტი შემდეგი პირობების მიხედვით :

პროცენტული განაკვეთი: 2% კვარტალში;

საკომისიოები: 1% კრედიტის მაქსიმალური თანხისა კვარტალში;

პროცენტებისა და საკომისიოების გადახდა ხორციელდება ყოველი პერიოდის ბოლოს;

კრედიტის მაქსიმალური სიდიდე: 100000 კრონი.

თუ მსესხებელი ყოველკვარტლურად სრულებით ღებულობს მისთვის გამოყოფილ კრედიტის თანხას, პროცენტული დარიცხვები და საკომისიოები გამოითვლება შემდეგნაირად:

2% ფაქტობრივად გამოყენებული თანხიდან, 100000 კრონი
= 2000 კრონს;

1% საკომისიო კრედიტის მაქსიმალური სიდიდიდან, 100000
კრონი = 1000 კრონს;

პროცენტებისა და საკომისიოების თანხა: 3000 კრონი.

ამგვარად, მსესხებელმა გადაიხადა 3000 კრონი იმისათვის, რომ მიიღოს 100000 კრონის კრედიტი და მისი საერთო ხარჯები ვალის მომსახურებაზე პროცენტულ მიმართებაში ამიტომ შეიძლება გამოითვალოს ასე:

$$\frac{3000 \cdot 100}{100000} = 3\% \text{ კვარტალში}$$

რაც სულაც არ არის გასაკვირი, რამდენადაც შედეგი წარმოადგენს პროცენტებისა და საკომისიოების ჯამს, მაგრამ სიტუაცია სხვანაირად გამოიყურება, თუ მსესხებელი ირჩევს მხოლოდ მისთვის გამოყოფილი სახსრების ნაწილს, ამჯერად ვივარაუდოთ, რომ იგი ანგარიშიდან ხსნის 50000 კრონს საშუალოდ კვარტალში.

ასეთ შემთხვევაში ვალის მომსახურების ხარჯების სიდიდე შემდეგნაირად გამოითვლება:

2% ფაქტობრივად გამოყენებული თანხიდან, 50000 კრონი
= 1000 კრონს;

1% საკომისიოებისა მაქსიმუმიდან, 100000 კრონი
= 1000 კრონს;

პროცენტები და საკომისიოები, სულ
= 2000 კრონს.

ამჯერად მსესხებელმა გადაიხადა კრედიტის გამო 50000 კრონი და მისი ვალზე მომსახურების ხარჯების სიდიდე შეადგენს

$$\frac{2000 \cdot 100}{50000} = 4\% \text{ კვარტალში.}$$

მაგალითი გვიჩვენებს, რომ პროცენტის ეფექტიანი განაკვეთი მით უფრო მეტად იზრდება, მატსიმალური თანხის რაც უფრო მცირე ნაწილს იყენებს, რაც საკომისიოების მაქსიმალური წილით აიხსნება.

ზოგიერთ შემთხვევაში საკომისიოების სიდიდე გამოითვლება ანგარიშიდან, აღებული ყველაზე მაღალი თანხის საფუძველზე. ნათელია, რომ ასეთი სისტემა უმჯობესია იმ მსესხებლებისათვის, რომლებიც კრედიტს ყოველთვის სრულიად არ იყენებენ.

გ) მარტივი სასესხო ანგარიშის კრედიტი (მარტივი სესხი)

როგორც უკვე აღნიშნული იყო მარტივი სასესხო ანგარიშის დაკრედიტებისას მსესხებელს კრედიტის მთელი თანხა სრულად ეძლევა (შესაძლებელია ანგარიშის გახსნის საკომისიოების გამოკლებით). შემდეგ მსესხებელი ფულად-საკრედიტო ინსტიტუტს პროცენტებს უხდის და ანაღლებს გადარიცხვებს კრედიტის დაფარვის ხარჯზე კონტრაქტის შესაბამისად. პროცენტული განაკვეთებისა და საკომისიოების სიდიდე შეიძლება იყოს მუდმივი ან ცვალებადი, ხოლო მისი ანგარიში ხორციელდება ან პერიოდის დასაწყისში, ან მის ბოლოს. დაფარვა ხდება ყველაზე ხშირად ანუიტეტის პირობებში კრედიტის ერთნაირი თანხის გადარიცხვით, დაფარვის ყოველ შუალედურ ვადაში, მაგრამ შეიძლება გამოყენებული იქნეს ვალის თანდათანობითი დაფარვის პრინციპი, ვალის თანაბარი წილის დაფარვით, დაფარვის თითოეულ ვადაში. სხვა შემთხვევებში კრედიტი გაიცემა პირდაპირი სესხის პირობებში, როცა მსესხებელი მისი მოქმედების მთელ ვალის განმავლობაში იხდის მხოლოდ პროცენტებს, ვალის მთელი თანხას აბრუნებს ერთდროულად კრედიტის მოქმედების ვალის დასრულებისას.

დ) კრედიტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე

კრედიტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე წარმოადგენს **დროებითი კრედიტის** სახეს, რომელსაც მეიჯარე იყენებს თავისი ხარჯების დაფინანსებისათვის მშენებლობის დაწყებიდან ჰიპოთეკური სესხის მიღებამდე პერიოდში, მაგალითად კრედიტულ საზოგადოებაში, სადაც შემკვეთს ეძლევა სამშენებლო კრედიტი უკვე აღებული უძრავობის საწინდრით. კრედიტი სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოებზე, გამოყენებული უნდა იქნეს მოიჯარის მიერ მშენებელი მუშების ხელფასის ხარჯების დაფარვისათვის და სახელმწიფო მუნიციპალური ორგანიზაციების მომსახურების განაღლებისათვის. (მშენებლობის ნებართვა საკონტროლო მოწმობები და ა.შ.).

კრედიტის სიდიდე განისაზღვრება საიჯარო სამუშაოების ღირებულებით. მეიჯარის შესაძლო წილის გამოკლებით მოცემულ ფულად საკრედიტო ინსტიტუტში. დაკრედიტების თანხის მიღების წესი განისაზღვრება

ხარჯთაღრიცხვით, რომელშიც მითითებულია სხვა და სხვა ანაზღაურების ვადები—კალატოზისათვის, ხუროსათვის, დურგლისათვის, ზეინკლისა და სხვა მშენებელი მუშებისათვის.

ე) ვექსილური კრედიტი

ვექსილის აღრიცხვაში იგულისხმება მისი ყიდვა ბანკის მიერ ვექსილის მფლობელიდან, ვექსილის ვადის გასვლამდე.

აღრიცხავს რა ვექსილს, ფულად-კრედიტული ინსტიტუტი შედის ვექსილის მფლობელთან ურთიერთობაში მისთვის ვექსილის საზოგადო ღირებულების გადახდის გზით, ჯამაგირის გარეშე (დისკონტი ან სააღრიცხვო პროცენტი).

თითოეული ვექსილის აღრიცხვისას ვექსილის მფლობელს აღმოუჩნდება კრედიტი ვექსილის აღრიცხვის მომენტიდან ვადის გასვლამდე, მაგრამ კლიენტებთან მიმართებაში, რომლებიც მუდმივად ღებულაზენ კრედიტს, აღსარიცხი ვექსილების მიხედვით, შეიძლება დადგენილი იქნეს დაკრედიტების ლიმიტი, რომლის ჩარჩოებში ვექსილის მფლობელი აძლევს რა ბანკს ვექსილს დათქმული თანხით და შეუძლია მოხსნას ფული ანგარიშიდან.

ასეთი სახის კრედიტი, რომელიც განახლებადად ითვლება, ესე იგი საშუალებას იძლევა ვექსილის ვადის გასვლამდე აღირიცხოს ახალი ვექსილები დაკრედიტებული ლიმიტების ფარგლებში, ვექსილურ კრედიტად იწოდება.

პროცენტის ეფექტიანი განაკვეთის ანგარიში ვექსილის აღრიცხვისას ვაჩვენოთ მაგალითზე:

მაგალითი:

ფირმა ბანკს თავაზობს 100000 კრონის ვექსილს ვადის გასვლამდე 3 თვით ადრე; გაითვალისწინება, რომ სააღრიცხვო განაკვეთის სიდიდე წლიური 16% შეადგენს, ხოლო საკომისიოსი—1,8%.

ნომინალური ღირებულება		100000 კრონი
— სააღრიცხვო პროცენტი	$\frac{10000 \cdot 16 \cdot 3}{100 \cdot 12}$	40000 კრონი
— საკომისიო	$\frac{10000 \cdot 1}{100 \cdot 8}$	12,50 კრონი
		9587,50 კრონი

ვექსილის მფლობელი იხდის 412,50 კრონს, რათა მიიღოს კრედიტი სამი თვით 9587,50 კრონის სიდიდით, ამიტომ პროცენტის ეფექტური განაკვეთი ტოლი იქნება:

ვ) უცხოური სესხები

დანიის ფულად-კრედიტული ინსტიტუტები დანიელ მსესხებლებს შუამავლურ მომსახურებას უწევენ უცხოური სესხების (კრედიტების) მიღებაში და გარანტიებს თავაზობენ.

დანაკარგების რისკი სავალუტო ცვლილებების გამო დამოკიდებულია სტაბილურობაზე, აგრეთვე შესაძლო დევალვაციებზე და ან რევალვაციებზე, როგორც დანიური კრონის, ასევე შემაბიძის უცხოური ვალუტისაგან, რომლითაც იცემა კრედიტი. რაც მეტია კრედიტის დაფარვის ვადა, მით, რა თქმა უნდა, მაღალია კურსის ცვლილების ალბათობა მისი მოქმედების მთელ მანძილზე.

rol-over (როლოვერ კრედიტი)—ის საფუძველზე კრედიტის გაცემის საარრიცხო პროცენტი კრედიტის მოქმედების განმავლობაში რამდენჯერმე დგება (მსესხებელი შესაძლებლობას ღებულობს პროლონგაციის ვადებში აირჩიოს სესხის დარჩენილი ნაწილი სხვა ვალუტით (multi currency—მრავალვალუტიანი კრედიტი).

ამას გარდა მსესხებელი ხშირად ღებულობს შესაძლებლობას დაანაწილოს რისკი სავალუტო კურსის ცვლილებისაგან დამოკიდებულებით რამდენადმე განსხვავებულ ვალუტად, აფორმებს რა ე.წ. mix კრედიტის (ვალუტათშორისი კრედიტი) ხელშეკრულებას, რომელიც რამდენიმე ვალუტაში გაიცემა. ჩვეულებრივ ვალუტათშორისი კრედიტი სამ სხვადასხვა ვალუტაში გაიცემა, რომელთაგან თითოეული დაკრედიტებული თანხის მესამედ ნაწილს ფარავს.

უცხოური კრედიტორები უმეტეს შემთხვევაში გარანტიებს საჭიროებენ ცნობილი დანიური ფულად—კრედიტული ინსტიტუტების მხრიდან კრედიტის წარდგენასთან კავშირში, მაგალითად, ამა თუ ის დანიური, სწორედ ის ფულად—კრედიტული ინსტიტუტი, რომელიც მოცემული კრედიტის გარანტიად ითვლება, ატარებს სრულ პასუხისმგებლობას მსესხებლების მიერ, ხელშეკრულების პირობების შესაძლო შეუსრულებლობის შეთხვევაში. გარანტიების გაცემის რისკის გამო ფულად—კრედიტული ინსტიტუტები დანიური თირმებიდან საკომისიოებს იღებენ. ზემო აღნიშნული საკომისიოების გარდა, რომელსაც დანიური ფულად—კრედიტული ინსტიტუტები ანაღდებენ, უცხოური კრედიტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები სხვა რიგ ელემენტებს შეიცავს.

უცხოურ რესურსებზე პროცენტის განაკვეთის სიდიდე ხშირად

განისაზღვრება libob—ის (london- inter- bank offered- bate) ლონდონის ბანკთაშორისი კრედიტი) საფუძველზე შესაბამისი ვალუტებისათვის (ან ვალუტისათვის თუ ლაპარაკია mix—კრედიტებზე). ამას გარდა, მსესხებელი უცხოურ ფულად—კრედიტულ ინსტიტუტს უზღის დამატებით თანხას, ე.წ. spread (სპრედო) ანუ საბანკო მარჟას. სპრედის სიდიდე დამოკიდებულია კრედიტის მოცულობაზე, მისი დაფარვის ვადებზე, აგრეთვე დანიური ფულად—კრედიტული ინსტიტუტის კრედიტის გამცემი გარანტიის ავტორიტეტზე. მივამატებთ რა ამას საკომისიოებს გარანტიების წარდგენის გამო, მივიღებთ მიმდინარე პროცენტული გადასახადებისა და საკომისიოების თანხას, რომლის განაღდებაზე ვალდებულია მსესხებელი.

პროცენტის ეფექტიანი განაკვეთის გამოთვლისას აუცილებელია, აგრეთვე, მხედველობაში იქნეს მიღებული, შესაძლო ზარალი ან შემოსავლები სავალუტო კურსის ცვლილებასთან კავშირში თუ მსესხებელი ამა თუ იმ ხერხით დაზღვეული არ არის მსგავსი ცვლილებების შემთხვევაში.

არსებობს უცხოური ვალუტის კრედიტის დაზღვევის სხვადასხვა ხერხები. სავალუტო კურსის ცვლილებების შემთხვევაზე ძალზე გავრცელებულია ფიუჩერსული სავალუტო კონტრაქტების გაფორმების პრაქტიკა. ფიუჩერსული სავალუტო გარიგება წარმოადგენს ხელშეკრულებას ამა თუ იმ ვალუტის განსაზღვრული თანხის შექნაზე ან გაყიდვაზე მომავალში, რომელიმე მომენტში წინასწარ დადგენილი კურსის მიხედვით.

10.3.4. ლიზინგი

საკუთრივ სიტყვა ლიზინგი ნიშნავს „დაქირავებას“, „გასესხებას“. მაგრამ ამ ტერმინის ზმარების სფერო თანდათან გაფართოვდა და ახლა იგი ნიშნავს აგრეთვე დაფინანსების განსაკუთრებულ ფორმას, რომლის წყალობით სხვადასხვა სახის მანქანებისა და მოწყობილობების მომხმარებლები შესაძლებლობას ღებულობენ მათ გამოყენებაზე არენდის პირობებში. ლიზინგის მზარდი მნიშვნელობის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ითვლება მეცნიერულ—ტექნიკური განვითარების დაჩქარება, რის შედეგად ფირმები სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან ყველაზე თანამედროვე მოწყობილობების შექმნის საქმეში დაფინანსების ტრადიციულ პირობებში, ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ განსაზღვრულ მომენტებში შეიძლება გაჩნდეს კაპიტალის უქმარისობა.

ჩვეულებრივ არჩევენ ლიზინგის ორ ფორმას—ოპერატიულს და საფინანსოს.

ობერატიული ლიზინგი იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა მწარმოებელი ან გამყიდველი არენდით იძლევა ძირითადი კაპიტალის ამა თუ იმ ელემენტს, ამასთან, ჩვეულებრივ ლიზინგის მიმცემი თავის თავზე ღებულობს ვალდებულებას სალიზინგო გარიგების ობიექტის ტექნიკურ მომსახურებაზე და რემონტზე, აგრეთვე მის გამო სრულ პასუხისმგებლობას ატარებს, და ამიტომ ვალდებულია, ზრუნავდეს მისი დაზღვევის აუცილებელ სახეებზე.

აფორმებს რა სალიზინგო კონტრაქტს, ლიზინგის მიმცემი, როგორც წესი, საკმაოდ მაღალი ლიზინგურ გადასახადებს აწესებს, რადგან მან ეს თანხა უნდა, შეიტანოს დანახარჯების ტექნიკურ მომსახურებაზე და რემონტზე, დაზღვევაზე და ა. შ. ისე როგორც ლიზინგის მიმცემი ჩვეულებრივ მოიცავს არენდით გასაცემი ობიექტების მომსახურებისათვის აუცილებელ აპარატს. ჩვეულებრივ ლიზინგური ხელშეკრულება მოკლე დროით, მაგალითად 12 თვით, ფორმდება.

ობერატიული ლიზინგი განსაკუთრებით გავრცელებულია ავტომობილების, ფოტოასლების, მოწყობილობების და ელექტროგამომთვლელი მანქანების არენდირებისას.

ფინანსური ლიზინგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ლიზინგური ხელშეკრულება ფორმდება გამყიდველსა და ფირმას შორის, რომელიც ექსპლუატაციას გაუწევს ამ თუ იმ ობიექტს ამ ობიექტის შექმნის დაფინანსების მიზნით.

ლიზინგის ამ ფორმისას ლიზინგის მიმღები ჩვეულებრივ იღებს ობიექტის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ყველა ხარჯს, ისე როგორც იგი ვალდებულია გაანაღდოს ამ ობიექტის დაზღვევის ყველა აუცილებელი ხარჯი.

10.3.5. ფაქტორინგი

თავისი ტიპური ფორმით ფაქტორინგი წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ფაქტორი—ფირმა მოთხოვნილებას ყიდულობს მასთან ხელშეკრულებაში მყოფ საწარმოებთან თავისი კლიენტებისათვის.

ფაქტორინგი, როგორც დაფინანსების ფორმა, ცნობილი გახდა აშშ-ში გასული საუკუნის ბოლოს, როცა ტექსტილური წარმოების სფეროში მოქმედმა ფაქტორ-ფირმებმა, ფირმა მწარმოებლის მოთხოვნების ყიდვა დაიწყეს თავისი კონტრაქტებისათვის, მიიღეს რა ამასთან საკომისიოების განმსაზღვრელი თანხა. მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ცნობილი გახდა ევროპაში, ხოლო 1965 წ. რიგმა ბანკებმა ფაქტორსაზოგადოება დააფუძნეს დანიაშიც.

ყველა ფაქტორ-ფირმას თავისთავზე შეუძლია აიღოს:

1. თავისი კლიენტებისათვის დებიტორული აღრიცხვა;
2. ინკასოს ოპერაციები;
3. თავისი კლიენტების დებიტორული ვალდებულებების დაფინანსება.

ამას გარდა ფაქტორფირმების კრედიტული რისკების დაზღვევა. ფაქტორ-ფირმების უმეტესობას თავის თავზე შეუძლია აიღოს:

4. თავისი კლიენტების კრედიტული რისკების დაზღვევა.

10.3.6. კომერციული კრედიტი

ასეთი სახის კრედიტი საწარმოს შეუძლია მიიღოს საქონლის ყიდვისას ან საწარმოო მარაგის შექმნისას. ამიტომ კომერციული კრედიტი ლიკვიდობის თვალსაზრისით დაფინანსების ძალზე მანევრულ ფორმად ითვლება, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში, სრულიად ავტომატურად გაითვალისწინება დასაკრედიტებელი ფირმის სამეურნეო საქმიანობის დინამიკა.

მრავალი წვრილი ფირმისათვის კომერციული კრედიტი წარმოადგენს დაფინანსების უმნიშვნელოვანეს წყაროს და მრავალ დარგში მსგავსი კრედიტი, ერთ თვემდე ვადით, იმდენად ბუნებრივ მოვლენად ითვლება, რომ გადაარიცხვები მის მიხედვით ამ ვადის ფარგლებში, ზოგჯერ, ნაღდ ანაზღაურებად იწოდება.

მიუხედავად იმისა, რომ ხელიდან გაშვებული სარგებელი კომერციული კრედიტის გამოყენებისას ბულალტრულად ანგარიშგებაში არ აისახება, მას მით უფრო შეუძლია წარმოადგენდეს მნიშვნელოვან სიდიდეს, თუ მიმწოდებელი წარმოადგენს ფასეულობას უფრო მოკლე ვალებში.

მაგალითი.

ფირმა მიმწოდებელს შეუძლია, მაგალითად, კრედიტის საკუთარი პირობების განსაზღვრა შემდეგნაირად:

განაღდება ერთი თვის ვადაში — 4% (ფასდაკლება) ან განაღდება სამი თვის ვადაში — ფასდაკლების გარეშე (ნომინალური ღირებულების მიხედვით).

ეს ნიშნავს რომ ფირმას, რომელიც მოცემული მიმწოდებლის მომსახურებით სარგებლობს, შეუძლია შეიძინოს მოცემული საქონელი მისი ნომინალური ღირებულების 96%-ად თუ იგი მას განაღდება არაუგვიანეს 3 თვეში გაყიდვის მომენტიდან. სხვა სიტყვებით, განაღდების დაგვიანებაზე ორი თვის ვადით (სამ თვეს გამოკლებული ერთი თვე) გადახდილი უნდა იყოს 4 ერე.

რამდენადაც კრედიტი 2 თვით 4% ღირს, შეიძლება სწრაფად,

მაგრამ არც ისე ზუსტად, გამოითვალოს რომ წლიური კრედიტი 24% ღირს.

უფრო ზუსტი ანგარიში ხორციელდება შემდეგნაირად. ყოველ დაკრედიტებულ კრონზე, რომელიც აღნიშნულია ანგარიშ-ფაქტურაში (საგადასახადო მოთხოვნაში), შეიძლება გადახდილი იქნეს მხოლოდ 96% ერე, თუ კრედიტი იფარება პირველი თვის განმავლობაში. თუკი ფირმა, პირიქით, კრედიტს სამი თვის განმავლობაში აბრუნებს, იგი ვალდებულია გაანაღდოს (დააბრუნოს) ერთი კრონი. ამგვარად იმისათვის, რომ მივიღოთ კრედიტი 96 ერე, ორი თვის ვადით (სამ თვეს მინუს ერთი თვე), გადახდილი უნდა იქნეს 4 ერე. ეს შეესაბამება პროცენტის წლიურ განაკვეთს:

$$9 \cdot 100 \cdot 12$$

$$\frac{\quad}{96 \cdot 2}$$

კომერციული კრედიტის მიმღებმა ფირმამ, ისე როგორც კაპიტალის მოზიდვის ყველა სხვა შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიაქციოს დამოკიდებულების პრობლემას. თუ, მაგალითად, ვალდებულება აიძულებს ფირმას, მიაღწიოს კრედიტს ამა თუ იმ მიმწოდებელთან, შეიძლება წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როცა მიმწოდებელი თავს მოახვევს ფირმას არახელსაყრელ ფასებს ან უფრო დაბალი ხარისხის საქონელს, ისე როგორც შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მიმწოდებელი მოთხოვს ფირმას და მის ხელმძღვანელობას საქმიანი კავშირების გაწყვეტას მოცემული მიმწოდებლის კონკურენტებთან.

თავი 11

შიდასაფირმო დაბეგმვა

11.1. შიდასაფირმო დაბეგმვის ცნება

ფირმის ხელმძღვანელობა ყოველთვის იმყოფება არჩევნის აუცილებლობის წინაშე მან უნდა მოახდინოს გამოსაშვები პროდუქციის სერიების ოპტიმალური სარეალიზაციო ფასების სიდიდის შერჩევა; მიიღოს გადაწყვეტილებები საკრედიტო და ინვესტიციური პოლიტიკის სფეროში და მრავალი სხვა. ეკონომიკურად დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა რომ უზრუნველყოთ, საწარმოებში იქმნება და ანალიზდება ალტერნატიული წინადადების ანგარიშები, როგორც ეს ნაჩვენებია ზოგიერთ წინანდელ თავში.

მაგრამ არასაკმარისია, რათა ცალკეული მისაღები გადაწყვეტილებები თავის თავად ეკონომიკურად ეფექტიანი იყოს. აუცილებელია

ისეთი მდგომარეობის მიღწევა, რომ ფირმის მთელი საქმიანობა კომპლექსში რენტაბელური იყოს და უზრუნველყოფდეს ფულად შემოსავლებს იმ მოცულობით, რომელიც დააკმაყოფილებდა ფირმის მუშაობის შედეგებში დაინტერესებული პირების ჯგუფს (მფლობელებს, კრედიტორებს და ა. შ.). ეკონომიკური საქმიანობის მოსალოდნელი შედეგების მომავალ პერიოდში აღწერას ადგილი აქვს ფირმის ბიუჯეტების (გეგმების) შედგენისას.

როგორც წესი არჩევენ მოკლევადიან და გრძელვადიან დაგეგმვას. ზოგიერთი მისაღები გადაწყვეტილებების მნიშვნელობა ძალზე გრძელვადიან პერსპექტივაზე ვრცელდება. ეს ეხება, მაგალითად, გადაწყვეტილებებს ისეთ დარგებში, როგორიცაა ძირითადი კაპიტალის ელემენტების შექმნა, საკადრო პოლიტიკა, გამოსაშვები პროდუქციის ასორტიმენტის განსაზღვრა. ასეთი გადაწყვეტილებები განსაზღვრავს ფირმის საქმიანობას რამდენიმე წლით ადრე და ასახული უნდა იქნეს გრძელვადიან გეგმებში (ბიუჯეტებში), სადაც დეტალიზაციის ხარისხი ჩვეულებრივ საკმაოდ მაღალი არაა. გრძელვადიანი გეგმები უნდა წარმოადგენდეს თავისებურ ჩარჩოებრივ კონსტრუქციას, რომლის ძირითად ელემენტად ითვლება მოკლევადიანი გეგმები.

ამ თავში ლაპარაკია მხოლოდ მოკლევადიან დაგეგმვაზე. ამ მიმართებით საწარმოს უმეტესობაში საქმე გვაქვს საგეგმო პერიოდთან, რომელიც ერთი წლის ტოლია. ეს აინსნება იმით, რომ ასეთი განფენილობის პერიოდში, როგორც შეიძლება ვივარაუდოთ, მიმდინარეობს ფირმის ცხოვრებისათვის ყველა ტიპური ნდომილება, რამდენადაც ამ ვადაში თანაბრდება კონიუქტურის სეზონური რხევები. ამასთან, ასეთი პერიოდი შეესაბამება საანგარიშო პერიოდის კანონომდებლურ მოთხოვნილებებს. წლიური ბიუჯეტი (გეგმა) დროში შეიძლება დაიყოს თვიურ და კვარტალურ ბიუჯეტებად (გეგმები).

შეუძლებელია ბიუჯეტის დეტალიზაციის განსაზღვრული ზოგადი წესების გამომუშავება. პირველ რიგში იგი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მაღალია შესადგენი ანგარიშების საიმედოობის დონე. ამას გარდა, თითოეულ კონკრეტულ საწარმოში ბიუჯეტები აუცილებელია შეფასდეს, დეტალიზაციის ხარისხი ცალკეული დაგეგმილი მოქმედებების კოორდინაციის უზრუნველყოფისათვის.

11. 2. შიდასაფირომო დაბაზმვის მიზნები

შიდასაფირომო დაგეგმვის მიზნები შეიძლება სხვადასხვა იყოს სხვადასხვა საწარმოში. გავრცელებული აზრი, რომ შიდასაფირომო დაგეგმვა მოხერხებულია ხმოლოდ მსხვილ ფირმებში, მცდარია. მაგრამ შიდასაფირომო დაგეგმვას შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა მიეცეს საწარმოს სახისა და სიდიდისაგან დამოკიდებულებით.

ბიუჯეტი როგორც ეკონომიკური პროგნოზი. ნებისმიერი საწარმოს ხელმძღვანელობამ, მისი სახისა და სიდიდისაგან დამოუკიდებლად ვალდებულია იცოდეს, ეკონომიკური საქმიანობის სფეროში მას რა დავალებები შეუძლია დაგეგმოს მომდევნო პერიოდისათვის. როგორც წინა პარაგრაფში იყო აღნიშნული, ფირმის საქმიანობაში დაინტერესებული პირების ჯგუფი მისი მუშაობის შედეგებს განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს უყენებს. ამასთან საქმიანობის ზოგიერთი სახეების დაგეგმვისას აუცილებელია ვიცოდეთ რა ეკონომიკური რესურსებია საჭირო დასახული ამოცანების შესრულებისათვის. ეს მიეკუთვნება, მაგალითად, დაგეგმვას კაპიტალის მიზიდვის სფეროში (კრედიტების მიზიდვა, სააქციო კაპიტალის მოზიდვა და ა.შ.) და ინვესტიციების მოცულობის განსაზღვრა.

ბიუჯეტი როგორც კონტროლის საფუძველი. ბიუჯეტში მოტანილი გეგმების რეალიზაციის კვალდაკვალ აუცრლებელია ფირმის საქმიანობის ფაქტობრივი შედეგების რეგისტრირება. ფაქტობრივი მაჩვენებლის დაგეგმილთან შედარებით შეიძლება განხორციელდეს ე.წ. **საბიუჯეტო კონტროლი.** ამ მიზნით ძირითადი ყურადღება ეთმობა მაჩვენებლებს, რომლებიც გადახრილია გეგმიურიდან და ანალიზდება ამ გადახრების მიზეზები. ამგვარად, ივსება ინფორმაცია ფირმის საქმიანობის ორივე მხარეზე. საბიუჯეტო კონტროლი საშუალებას იძლევა, მაგალითად, გაირკვეს, რომ ფირმის საქმიანობის რაიმე სფეროში დასახული გეგმები არაადამაკმაყოფილებლად სრულდება. მაგრამ შეიძლება, რა თქმა უნდა, ვივარაუდოთ ისეთი სიტუაცია, როცა აღმოჩნდება, რომ თვით ბიუჯეტი შედგენილი იყო არა რეალისტური საწყისი დებულებების საფუძველზე. ორივე შემთხვევაში ხელმძღვანელობა დაინტერესებულია ინფორმაციის მიღებაში ამის შესახებ ისე, რომ მიღებული იქნეს აუცილებელი მოქმედებები ანუ შეიცვალოს გეგმების შესრულების ხერხები ან რევიზია გაუკეთდეს დებულებას, რასაც ეფუძნება ბიუჯეტი.

ბიუჯეტი როგორც კოორდინაციის საშუალება. ბიუჯეტი წარმოადგენს ღირებულებით მაჩვენებლებში გამოხატული მოქმედებების (გეგმის) პროგრამას წარმოების, ნედლეულის ან საქონლის, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის სფეროში. მოქმედებების

პროგრამაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკეული ღონისძიებების დროითი და ფუნქციონალური კოორდინაცია (შეთანხმება). გასაღების რენტაბელობა დამოკიდებულია, მაგალითად, მიმწოდებლის მოსალოდნელი ფასის სიდიდისა და წარმოების პირობებისაგან; გამოსაშვები პროდუქციის რაოდენობა— რეალიზაციის მოსალოდნელ მოცულობაზე; გასაცემი ფასის სიდიდე— იმისაგან, ნელეულისა და მასალების რა მოცულობებს საჭიროებს წარმოებისა და რეალიზაციის პროგრამა.

ბიუჯეტი როგორც საფუძველი ამოცანის დასმისათვის. ვამუშავებთ რა ბიუჯეტს მომდევნო პერიოდისათვის, აუცილებელია მივიღოთ გადაწყვეტილებები დროულად, ამ პერიოდში საქმიანობის დაწყებამდე, ასეთ შემთხვევაში არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ გეგმის შემუშავებელს ეყოფა დრო ალტერნატიული წინადადებების წამოყენებისა და ანალიზისათვის, ვიდრე, იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილება მიიღება ყველაზე ბოლო მომენტში, სხვა სიტყვებით ბოლო მაგალითში ფირმა ბევრად რისკს ეწევა წავიდეს უმცირესი წინააღმდეგობის გზით.

ბიუჯეტი როგორც უფლებამოსილების დელეგირების საშუალება. ფირმის ხელმძღვანელობის მიერ ბიუჯეტის (გეგმის) ქვედანაყოფის მოწონება ითვლება იმის სიგნალად, რომ შემდგომში ოპერატიული გადაწყვეტილებები მიიღება ამ ქვედანაყოფის დონეზე (დეცენტრალიზებულად) თუ ისინი არ გამოდის ბიუჯეტის მიერ დადგენილ ჩარჩოებს გარეთ, თუკი ბიუჯეტები ქვედანაყოფების დონეზე არ დგება, ფირმის ხელმძღვანელობას საეჭვოა, ექნეს. ამ შემთხვევაში, ოპერატიული გადაწყვეტილებების, დეცენტრალიზაციის პროცესისადმი მიდრეკილება.

11.3. შიდა საფირმო დაგეგმვის სამუშაოების ორგანიზაცია

შიდა საფირმო დაგეგმვის სამუშაოების ორგანიზაცია დამოკიდებულია საწარმოს სიდიდეზე. ძალზე წვრილ ფორმებში არ არსებობს მართვლობითი ფუნქციების დანაწილება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და ხელმძღვანელობას საშუალება აქვს დამოუკიდებლად ჩაიხედოს ყველა პრობლემაში, მსხვილ საწარმოებში ბიუჯეტების (გეგმების) შედგენისას სამუშაოები დეცენტრალიზებულად უნდა მოხდეს, რადგან სწორედ ქვედანაყოფების დონეზეა თავმოყრილი კადრები, რომელთაც უდიდესი გამოცდილება აქვთ წარმოების შესყიდვების რეალიზაციის, ოპერაციული ხელმძღვანელობის სფეროებში და სხვა. ამიტომ სწორედ ქვედანაყოფებიდან წარმოდგება წინადადებები

ისეთი მოქმედებების მიმართ, რომლის მიღება მიზანშეწონილი იქნება მომავალში; როგორც § 14—2 ქვედანაყოფების ბიუჯეტები ერთმანეთისაგან იზოლირებულად არ დგება; მაგალითად, რეალიზაციის გეგმიური მაჩვენებლების და ამასთან, დაფარვის სიდიდის ანგარიშისას, აუცილებელია წარმოების პირობებისა და დაგეგმილი გასაცემი ფასების ცოდნა. კოორდინაციის ქმედითი სისტემა რომ უზრუნველყოთ, ბევრ საწარმოში დგება ბიუჯეტის შედგენის ხარჯები, წარმოების პირობები და დაგეგმილი გასაცემი ფასები. კოორდინაციის ქმედითი სისტემა რომ უზრუნველყოთ ბევრ საწარმოში დგება ბიუჯეტების შედგენის ინსტრუქციები, რომლებშიც მოცემულია ღრობითი გეგმა, აგრეთვე ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის დაწესება საბიუჯეტო მაჩვენებლების ანგარიშისას.

შიდა საფირმო დაგეგმვის ლიტერატურაში, ჩვეულებრივ არჩევენ ბიუჯეტების (გეგმების შედგენის სამუშაოების ორგანიზაციის გეგმების ორ სქემას: break-down მეთოდს (ზემოდან ქვემოთ) და build-up (ქვემოდან ზემოთ) მეთოდს. ბიუჯეტების შედგენის სამუშაოების break-down მეთოდი იწყება „ზემოდან“ ე.ი. ფირმის ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მიზნებსა და ამოცანებს, კერძოდ, მოგებას, გეგმიურ მაჩვენებლებს, შემდეგ ეს მაჩვენებლები, სულ უფრო დეტალიზებული ფორმით საწარმოს; უფრო დაბალი სტრუქტურული დონეებისაკენ გადაადგილების კვალდაკვალ ქვედანაყოფების გეგმაში შეიტანება. build-ის მეთოდის მიხედვით, პირიქით იქცევიან, მაგალითად, რეალიზაციის მაჩვენებლების ანგარიშს იწყებენ ცალკეული გამსაღებელი ქვედანაყოფები, ხოლო ამის შემდეგ ფირმის რეალიზაციის განყოფილების ხელმძღვანელს შეაქვს ეს მაჩვენებლები ერთიან ბიუჯეტში (გეგმაში), რომელიც შემდგომში შეიძლება განდეს საწარმოს საერთო ბიუჯეტის (გეგმის) შემდგენელი ნაწილი.

break-down და build-up მეთოდი წარმოადგენს ორ საწინააღმდეგო ტენდენციას. პრაქტიკაში მიზანშეწონილია ამ მეთოდებიდან მხოლოდ ერთის გამოყენება. ბიუჯეტების დაგეგმვა და შედგენა წარმოადგენს მიმდინარე პროცესს, რომელშიც აუცილებელია მუდმივად განხორციელდეს სხვადასხვა ქვედანაყოფების ბიუჯეტების კოორდინაცია.

11.4. შიდასაფირმო დაგეგმვის პროცესი

ფირმამ დაგეგმა და კონტროლი უნდა განახორციელოს ორ ძირითად ეკონომიკურ სფეროში, საქმე ეხება მისი მუშაობის მომგებიანობას (რენტაბელობას) საფინანსო მდგომარეობითაც, ამოტომ მოგების ბიუჯეტი (გეგმა) და საფინანსო გეგმა (ბიუჯეტი) შიდასაფირმო დაგეგმვის ძირითად ელემენტებად ითვლება.

შემდგომში შიდასაფირმო დაგეგმვის პროცესი, აგრეთვე მოგების ბიუჯეტისა და საფინანსო გეგმის შინაარსი გაშუქებული იქნება საბითუმო სავაჭრო ფირმა „დანხანდელის“ მაგალითზე. გამარტივების მიზნით მხედველობაში არ მიიღება ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა გადასახადი დამატებით ღირებულებაზე, დაკავებული საშემოსავლო გადასახადი, სოციალური დაზღვევის ანარიცხები და ა.შ.

11.4.1. მოგების ანგარიშიდან მოგების კორექტირებულ ანგარიშამდე

მოგების ანგარიში წარმოადგენს მოგების ბიუჯეტის ბუნებრივ საფუძველს მომავალი პერიოდისათვის. მოგების ანგარიშში ასახულია საქმიანობის ეკონომიკური შედეგები წარსულ პერიოდში. ასეთი სახის ინფორმაციებს აქვს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა მომავალ პერიოდში დაგეგმილი საქმიანობის ეკონომიკური შედეგების პროგნოზის შედგენისას.

თუკი მომავალ პერიოდში დაგეგმილია იგივე საქმიანობა, რაც განხორციელებული იყო საანგარიშო წელს, შემოსავლის სიდიდე მომავალ წელს განსხვავებული იქნება შემოსავლის სიდიდისაგან, რაც ასახულია ბოლო წლის ანგარიშში. საქმე ისაა, რომ ფირმის საქმიანობის გარეშე პირობების ცვლილებები ყოველთვის ხდება. მაკროეკონომიკური ფაქტორები შეიძლება, მაგალითად, შეიცვალოს ინფლაციის ზემოქმედებით, ცვლილებებით სავალუტო ურთიერთობებისა და შემოსავლების პოლიტიკის სფეროში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფოლკეტინგს (პარლამენტი) შეაქვს შესწორება სამეურნეო კანონმდებლობაში, მოთხოვნის სტრუქტურა ბაზრის ცალკეულ სეგმენტებში შეიძლება შეიცვალოს მოსახლეობის სტრუქტურის ცვლილებების ძალით. შეიძლება შეიცვალოს კონკურენციის პირობებიც კონკურენტების რაოდენობის გადიდების ან შემცირების მიზეზით.

მაგრამ ფირმის საქმიანობის შიდა პირობებიც შეიძლება შეიცვალოს საგეგმო პერიოდში საანგარიშოსთან შედარებით. ასე მაგალითად, ხელმძღვანელობას შეუძლია წინასწარ, ჯერ კიდევ წლიური ბიუჯეტის შედგენამდე, მიიღოს გადაწყვეტილება შესრულებაზე საანგარიშო წლის დაწყებიდან ახალ ინვესტიციებზე, ახალი პრდუქტის წარმოებაზე, თანამშრომელთა რაოდენობის გადიდებაზე და ა.შ. მოგების გათვალისწინების კორექტირებული ანგარიში ფირმის საქმიანობის შიდა და საგარეო პირობების მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით იწოდება მიცემის კორექტირებულ ანგარიშად ანუ მოგების ბიუჯეტად.

საბითუმო ვაჭრობის საწარმო „დანხანდელის“ მაგალითში

იგულისხმება რომ 19.. 1წ. ოქტომბერში ფირმას უნდა შეედგინა ბიუჯეტში 19.. 2წ. მოსალოდნელია, რომ მოგების ანგარიში 19.. წ. და 31.12.19.. 1წ. ბალანსი გამოხატული იქნება შემდეგნაირად:

ცხრილი 11.1.

მოგების მოსალოდნელი ანგარიში 19.. 1წ. ათ. კრონებში

		საქონლური ჩაუფი		
				სულ
მთლიანი ამონაგები	10200	8572	18200	36972
- დანახარჯები საქონლის შექმნაზე	5400	5000	11400	21800
- მთლიანი შემოსავალი	4800	3572	6800	15172
- ყოველწლიურად განახლებადი მუდმივი დანახარჯები				10460
- წმინდა შემოსავალი				4712
- ამორტიზაცია				1000
მოგება პროცენტის დარიცხვამდე				3712
- დანახარჯები პროცენტის გასტუმრებაზე				400
წმინდა მოგება				3312

ცხრილი 11.2.

მოსალოდნელი ბალანსი 31.12.19..წ. ათ. კრონი

აქტივები		პასივები	
მოწყობილობა	3787	საკუთარი კაპიტალი	7890
საქონლური მარაგები	3320	საბანკო დავალიანება	2700
საქ. დებიტორული დავალიანება	9513	საქ. კრედიტორული დავალიანება	6150
სულ აქტივები	16740	სულ პასივები	16740

გაანალიზებულია ფირმის საქმიანობის საგარეო პირობები 19.. 2წ. აგრეთვე გათვალისწინებულია შიდა პირობების სავარაუდო ცვლილებები 19..2წ. შემდეგ მიღებულია შემდეგი მონაცემები:

ა) A საქონლური ჯგუფი რვალიზდება საქსპორტო ბაზარზე. 19.. 1წ. სექტემბერში გაჩნდა ახალი კონკურენტი, რომლის საქონელი ყველაფრის მიუხედავად მოეწონა მყიდველს. ამიტომ ფირმა „დანახანდელის“ ხელმძღვანელობა ელოდება, რომ მოთხოვნის საერთო გადიდების

მიუხედავად, A ჯგუფის საქონლის რეალიზაცია 20% შემცირდება.

ბ) B საქონლური ჯგუფის მიმართ რეალიზაციის მოცულობა მოსალოდნელია ისეთივე სიდიდით, როგორც 19.. 1წ. იგულისხმება, რომ შესაძენი საქონლის ფასი 15%-ით გაიზარდება.

გ) B ჯგუფის საქონლის გასაღების ბაზარი მნიშვნელოვნად ფართოვდება. მოსალოდნელია რეალიზაციის მოცულობის გადიდება 10%-ით უცვლელი სარეალიზაციო ფასისას.

დ) ხელფასის გადიდებაზე და პერსონალის რაოდენობის მატებაზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ ყოველწლიურად განახლებადი მუდმივი ხარჯები 1000000 კრონით მოიმატებს.

ამ დებულებების საფუძველზე გამოითვლება შემდეგი ცვლილებები 19..1წ. მაჩვენებლებთან შედარებით, ათ. კრონებში:

ა) მთლიანი ამონაგები	10200— 20% = 8160
— დანახარჯები საქონლის შექენაზე	5400 — 20% = 4320
— მთლიანი შემოსავალი	4800 3840
ბ) მთლიანი ამონაგები	8572 8572
— დანახარჯები საქონლის შექენაზე	5000 + 15% = 5750
მთლიანი შემოსავალი	3572 1822
გ) მთლიანი ამონაგები	18200 + 10% = 20020
— დანახარჯები საქონლის შექენაზე	11400 + 10% = 12540
მთლიანი შემოსავალი	6800 7480
დ) 10460 + 1000	= 11460

შემდეგ შეიძლება შედგენილი იქნეს მოგების კორექტირებული ანგარიში, როგორც ნაჩვენებია ცხრილ 11.3. ანგარიში შესრულებულია სტრიქონ „წმინდა შემოსავლის“ ჩათვლით. ეს აიხსნება იმით, რომ დაგეგმვის მხოლოდ უფრო გვიანდელ სტადიაზე მიიღება მხედველობაში ინვესტიციებისა და დაფინანსების საკითხები და მაშასადამე, ამორტიზაცია და პროცენტების გასტუმრების დანახარჯები.

ცხრილი 11.3.

მოგების კორექტირებული ანგარიში 19..2წ. ათ. კრონებში

			საქონლური ჯგუფები	
მთლიანი ამონაგები	8160	8572	20020	36752
— დანახარჯები				
საქონლის შექენაზე	4320	5750	12540	22610
— მუდმივი დანახარჯები				11460
ყოველწლიურად განახლებადი წმინდა შემოსავალი				1
				260

11.4.2. მოზაზის კორექტირებადი ანგარიშიდან მოზაზის ბიუჯეტისაკენ

მოგების კორექტირებადი ანგარიშის შედგენა შეიძლება მიეკუთვნოს დაგეგმვის პასიურ სტადიას. შემდგენლები ამოდიან იქედან, რომ საწარმო გაიმეორებს იგივე მოქმედებებს, რასაც გასულ წელს და მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ „პასიურად“ მიიღებენ მხედველობაში ფირმის ცხოველმოქმედების ცვალებად პირობებს.

დაგეგმვის უფრო აქტიური სტადია გულისხმობს ანალიზს იმისას, იძლევა თუ არა მოცემულ პირობებში მოგების კორექტირებადი ანგარიშში მოცემული მაჩვენებლები უმაღლეს მომგებიანობას.

ფირმის ხელმძღვანელობამ ახლა სტიმული უნდა მისცეს თანამშრომლებს, კრიტიკულად გაანალიზონ პირობები, რასაც ეყრდნობა მოგების კორექტირებადი ანგარიში. აუცილებელია დავსვათ ისეთი საკითხები როგორცაა:

იქნება თუ არა ხელსაყრელი, შეიცვალოს რეალიზაციის ფასი A სასაქონლო ჯგუფის მიხედვით?

იქნება თუ არა ხელსაყრელი რენტაბელური საქონლის რეალიზაციის სხვა არხი მყიდველებისათვის?

გამოისყიდება თუ არა სარეკლამო კომპანია B საქონლური ჯგუფის მიხედვით?

ხელსაყრელია თუ არა საქონლის ასორტიმენტში ახალი F საქონლური ჯგუფის შეტანა?

ყველა შემოსული წინადადება გაანალიზებული უნდა იქნეს ალტერნატიული ანგარიშების შედგენის საფუძველზე. მოგების კორექტირებადი ანგარიშის მაჩვენებლებისა და მიღებული ცვლილებებიდან გამომდინარე დგება მოგების ბიუჯეტი.

ფირმა „დანხანდელის“ ჩვენს მაგალითში შემოთავაზებულია ჩატარდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) A ჯგუფის საქონელზე ფასების 5% შემცირების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ფირმას შეუძლია კონიუქტურაზე ნეგატიური ზემოქმედების ელიმინირება, რომელიც დაკავშირებულია ახალი კონკურენტის შემდგომ გამოჩენასთან. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ფასების შემცირებისას რეალიზაციის მოცულობა 20%-ით გაიზარდება.

ბ) B ჯგუფის საქონელზე ფასების 10 პროცენტით შემცირების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ რეალიზაციის მოცულობა 25%-ით გაიზარდება.

გ) მოსალოდნელია, რომ B ჯგუფის საქონლის რეალიზაციის მოცულობა 20%-ით გაიზარდება სარეკლამო კომპანიის მიერ 600000 კრონის ღირებულების განხორციელებისას.

ამ საბი წინადადების შეფასების ანგარიშები აცემული უნდა იქნეს შემდეგნაირად, ათ. კრონებში:

ა. მთლიანი ამონაგები $8160 - 5 = 7752 + 20 = 9302$

— დანახარჯები საქონლის

შეძენაზე $4320 + 20\% = 5184$

მთლიანი შემოსავალი 3840 4118

ამგვარად ფასების შემცირება ხელსაყრელია.

ბ. მთლიანი ამონაგები $8572 - 10 = 7715 + 25 = 9644$

— დანახარჯები საქონლის

შეძენაზე $5750 + 25\% = 7188$

მთლიანი შემოსავალი 2822 2456

მაშასადამე, ფასების შემცირება არახელსაყრელია

გ. მთლიანი ამონაგები $20020 + 20\% = 24024$

— ხარჯები საქონლის შეძენაზე $12540 + 20\% = 15048$

მთლიანი შემოსავალი 7480 8976

— დანახარჯები რეკლამაზე 0 600

7480 8376

მაშასადამე, სარეკლამო კომპანიის საქმიანობა ხელსაყრელია.

ამის შემდგომ შეიძლება შედგენილი იქნეს მოგების ბიუჯეტი სტრიქონის „წმინდა შემოსავალი რეალიზაციის გამო“ ჩათვლით, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილ 11.4. ბიუჯეტის შედგენისას გაითვალისწინება, როგორც მოგების კორექტირებული ანგარიშის მაჩვენებლები, ასევე ზემოთ მოტანილი ცვლილებები (ა) და (ბ), რომლებიც აღიარებულია ეფექტიანად.

ცხრილი 11.4.

მოგების ბიუჯეტი 19...2 წ. ათ. კრონი

			საქონლური ჯგუფები	
მთლიანი ამონაგები	9302	8572	24024	41898.
— დანახარჯები საქონლის შეძენაზე	5184	5750	15048	25982
მთლიანი შემოსავალი	4118	2822	8976	15916
— უოველწლოურად განახლებადი ხარჯები		(11460 + 600)		12060
წმინდა შემოსავალი რეალიზაციის გამო				3856

11.4.3. მოზაზის ბიუჯეტიდან საფინანსო ბაზმისაკენ

საფინანსო გეგმა (საფინანსო ბიუჯეტი) დგება მოსალოდნელი გადახდებისა და მოსალოდნელი შემოსულობების შეჯერების საფუძველზე. აქედან გამომდინარე შეიძლება, შეიქმნას წარმოდგენა იმის შესახებ, იქნება თუ არა დამაკმაყოფილებელი ფირმის საფინანსო მდგომარეობა.

წლის განმავლობაში მოთხოვნილება ფულად სახსრებზე შეიძლება არსებითად შეიცვალოს. ეს ნიშნავს, რომ წლიური საფინანსო ბიუჯეტის მაჩვენებლებიც რომ მოწმობდეს ფირმის საკმაო ლიკვიდობაზე, კვარტალურ ან თვიურ ბიუჯეტს შეუძლია აჩვენოს ფულადი სახსრების უკმარისობა პერიოდის ერთ ან რამდენიმე მომენტში.

ფირმა „დანხანდელის“ მაგალითზე 19...2 წ. გაითვალისწინება შემდეგი, ათ.კრონი:

1. საფინანსო გეგმა დგება კვარტალური დანაწილებით.
2. მთლიანი ამონაგები და დანახარჯები საქონლის შექენაზე მოგების ბიუჯეტში (ცხრილი 11.4.) შემდეგნაირად ნაწილდება.

	მთლიანი ამონაგები	ხარჯი საქონლის შექენაზე
1 კვარტალი	9042	5607
2 კვარტალი	9427	5846
3 კვარტალი	10825	6730
4 კვარტალი	12577	7799
	41899	25982

1992 წ. ჰირველ კვარტალში დაგეგმილია საქონლური მარაგის გადიდება ისე, რომ იგი შეესაბამებოდეს საქონლური მარაგის საშუალო-წლიური სიდიდეს 19...2 წ. იგულისხმება, რომ საქონლური მარაგის ბრუნვის საშუალო რიცხვი ექვსის ტოლი იქნება. არსებობს მოლაპარაკება მიმწოდებელთან, რომ საქონლური მარაგის შევსება-განაღდება შესყიდვის მომენტიდან 6 თვის შემდეგ.

მოსალოდნელია, რომ რეალიზაცია და საქონლის მიმდინარე შესყიდვა (რომელიც ყველა შესასყიდი საქონლის მოცულობის ტოლია) ისე როგორც 19...1 წ., განხორციელდა სამთვიანი კრედიტების საფუძველზე.

3. მოსალოდნელია, რომ ყოველწლიურად განახლებადი მუდმივი დანახარჯების ყოველკვარტალურ დაფარვაზე მიმართული იქნება ამ წილური დაგეგმილი თანხის 25%.

4. დანახარჯები პროცენტების გადახდაზე დაგეგმილია 110 კრონის სიდიდით კვარტალში.

5. მეორე კვარტალში ნავარაუდევია მოწყობილობების შესყიდვა 600 კრონის სიდიდით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს მე—4 კვარტალში.

მოწყობილობების საამორტიზაციო ჩამოწერები 19...2 წ. შეადგენს 1100 კრონს.

6. გადასახადები საბანკო დავალიანების გამო უნდა განხორციელდეს მე-4 კვარტალში 400 კრონის სიდიდით.

7 ფირმა „დანხანდელის“ მფლობელის პირად მოხმარებაზე ნავარაუდევია გამოიყოს 150 კრონი კვარტალში.

8. დაგეგმილია, რომ მე-3 კვარტალში საკუთარი კაპიტალი 1000 კრონით გაიზარდება.

ცხრილ 11.5. მოტანილია ფირმა „დანხანდელის“ საფინანსო გეგმა კვარტლებად დანაწილებით. საფინანსო გეგმას თან ერთვის შემდეგი კომენტარები:

ბალანსის მიხედვით ფულადი სახსრების სიდიდე პერიოდის დასაწყისში მოცემულია 31.12.19...1 წ. (ცხრ.11.2.).

საქონლის გაყიდვის გამო შემოსავლების სიდიდე პირველ კვარტალში ასევე მოცემულია ბალანსის მიხედვით 31.12.19... წ. ამ კვარტალში შემონატანები წარმოადგენს 19...1 წ. მე-4 კვარტალში გაყიდული საქონლის განაღდებას სამთვიანი კრედიტის პირობებში. შემონატანები მე-2 კვარტალში წარმოადგენს პირველ კვარტალში გაყიდული საქონლის განაღდებას და ა.შ.

საქონლური მარაგის საშუალო წლიური ღირებულება 19...2 წ. განსაზღვრულია შესასყიდი საქონლის (25 982111 კრონი, იხ.ცხრ.11.4.) დაგეგმილი ღირებულების გაყოფით საქონლური მარაგის ბრუნთარიცხვზე, რომელიც ექვსის ტოლია. საქონლური მარაგის საშუალო წლიური ღირებულება შეადგენს 4330000 კრონს. წლის დასაწყისში ბალანსის შესაბამისად (ცხრ.11.2.) საქონლური მარაგის ღირებულება წლის დასაწყისში შეადგენს 3320000 კრონს და ამგვარად საქონლური მარაგის შევსების ღირებულება პირველ კვარტალში შეადგენს 1010000 კრონს, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს ოთხ თვის შემდეგ ანუ მე-3 კვარტალში.

გადასახადები პირველ კვარტალში 6150000 კრონის სიდიდით საქონლის მიმდინარე შესყიდვების მიხედვით წარმოადგენს 19...1 წ. მე-4 კვარტალში ნაყიდი საქონლის განაღდებას: ეს თანხა მოცემულია ცხრ.11.2. ბალანსის სტრიქონში „საქონლური კრედიტორული დავალიანება“ გადასახადები მე-2 კვარტალში შეესაბამება შესყიდვას პირველ კვარტალში და ა.შ.

ყოველწლიურად განახლებადი მუდმივი ხარჯების დაფარვაზე კვარტალურად მიმართულია წელიწადის დაგეგმილი თანხის მეოთხედი ნაწილი 12060000 კრონის სიდიდით (ცხრ.11.4.).

მოწყობილობების მიმართ აღინიშნება, რომ საფინანსო გეგმის

შედგენისას დაგეგმილი საამორტიზაციო ანარიცხების სიდიდე მხედველობაში არ მიიღება, რამდენადაც ასეთი ანარიცხები საფინანსო ოპერაციების განხორციელებას არ გულისხმობს.

საფინანსო გეგმის მაჩვენებლები მოწმობს, რომ ფირმის ფულადი სახსრების სიდიდე ოთხი კვარტიდან თითოეულის ბოლოს დადებითი იქნება.

ცხრილი 11.5.


საფინანსო გეგმა 19... 2 წ. ათ.კრონი

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შემოსავლები				
ფულადი სახსრების				
მარაგი პერიოდის დასაწყისში	120	—	—	—
საკუთარი კაპიტალის გადიდება	—	—	1000	—
საქონლის რეალიზაცია სამთვლიანი კრედიტის პირობებში	9513	9042	9427	10852
სულ	9633	9042	10427	10852
გადასახადები				
საქონლური მარაგის გადიდება	—	—	1010	—
საქონლის მიმდინარე შესყიდვა სამთვლიანი კრედიტის პირობებში	6150	5607	5846	6730
უოველწლიურად განახლებადი მუდმივი დანახარხები პროცენტები	110	110	110	110
მოწეობილობები	—	—	—	600
საბანკო დავალიანება	—	—	—	400
შფლობელთა პირადი მოხმარება	150	150	150	150
სულ	9425	8862	10131	11005
შემოხატახები — გადასახადები	208	160	269	- 153
შემონატახები —გადა- სახადები	208	160	296	-153
მზარდი ქამით(ტოლია ფულადი სახსრების მარაგისა პერიოდის ბოლოს)	208	368	664	511

11.4.4. საფინანსო გეგმიდან გეგმიან ბალანსამდე

გეგმიური ბალანსი დგება მოგების ბიუჯეტისა, და საფინანსო გეგმის მაჩვენებლების გათვალისწინებით.

გეგმიური ბალანსი არ უნდა ჩაითვალოს ეკონომიკური მართვის ცენტრალურ ელემენტად. თუ ხელმძღვანელობა კმაყოფილია მოგებიანობისა და ლიკვიდობის მაჩვენებლებით, რომლებიც გამოთვლილია მოგების ბიუჯეტითა და საფინანსო გეგმით, გეგმიურმა ბალანსის შინაარსმა საექვო გავლენა იქონია გადაწყვეტილების მიღებაზე. გეგმიური ბალანსი წარმოადგენს მხოლოდ საბუღალტრო დოკუმენტს, რომლის შედგენა ხდება ორი ბიუჯეტის მაჩვენებლების საფუძველზე. მით უფრო ჩვეულებრივი პრაქტიკაა გეთავაზობს გეგმიური ბალანსის შედგენას საფირმო დაგეგმვის დამამთავრებელ სტადიაზე.



ნახ. 11.1. ბიუჯეტების (გეგმების) ძირითადი სახეები

ვიდრე გადავალთ ფირმა „დანხანდელის“ გეგმიური ბალანსის შედგენაზე, შევაგსოთ ცხრილი 11.4. მოტანილი მოგების ბიუჯეტი საამორტიზაციო ანარიცხების მაჩვენებლებითა და პროცენტული გადარიცხვებით, რომელიც განსაზღვრულია საფინანსო გეგმის (ცხრ. 11.6.) შედგენის გამო.

ცხრილი 11.6.

მოგების ბიუჯეტი 19...2 წ., ათ.კრონი

	საკონლური ჩგუფი			სულ
მთლიანი ამონაგები	9302	8572	24024	41898
— ხარჯები საკონლის შექენაზე	5184	5750	15048	25982
მთლიანი შემოსავალი	4118	2822	8976	15916
— უოველწლიურად განახლებადი მუღმევი დანახარჯები				12060
წმინდა შემოსავალი				3856
— ამორტიზაცია				1100
მოგება პროცენტის დარიცხვამდე				2756
— დანახარჯები პროცენტის გახტუმრებამდე				440
წმინდა მოგება				2316

გეგმიური ბალანსი 19... 2 წ., ათ. კრონი

აქტივები		პასივები	
მოწყობილობა	3287	საკუთარი კაპიტალი	10606
საქ. მარაგი	4330	საბანკო დავალიანება	2300
საქონლური დებიტორული დავალიანება	12577	საქონლური კრედიტორული დავალიანება	7799
ფულადი სახსრები	511		
სულ აქტივები	20705	სულ პასივები	20705

კომენტარები
სტრიქონი „მოწყობილობა“

ნარჩენი ღირებულება წლის დასაწყისს.....3787000 კრონი
 + შექმნა საფინანსო გეგმის მიხედვით.....600000 კრონი
 — ამორტიზაცია მოგების ბიუჯეტის
 მიხედვით.....1100000 კრონი
 ნარჩენი ღირებულება წლის ბოლოს.....3287000 კრონი

სტრიქონი „საქონლური მარაგი“

ღირებულება წლის დასაწყისს.....3320000 კრონი
 + მატება საფინანსო გეგმის მიხედვით.....1010000 კრონი
 ღირებულება წლის ბოლოს.....4330000 კრონი

სტრიქონი „საქონლური დებიტორული დავალიანება“
 და „საქონლური კრედიტორული დავალიანება“

19...2 წ. მე-4 კვარტალში რეალიზებული და შესყიდული საქონლის ღირებულება ტოლია, რომლის განაღდება მოხდება, როგორც მოსალოდნელია სამთვიანი კრედიტის პირობებში.

სტრიქონი „ფულადი სახსრები“

წარმოდგება საფინანსო გეგმით, მაგრამ მოცემული სიდიდის მიმართ (511000 კრონი). უნდა აღინიშნოს, რომ ფირმები, ჩვეულებრივ, ცდილობენ, არ ჰქონდეთ ასეთი დიდი თანხის ნაღდობები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ თანხის ნაწილი გამოყენებული იქნება. დამატებით გადასახადებზე საბანკო დავალიანების, ობლიგაციების შესყიდვის მიხედვით და ა.შ.

**სტრიქონი „საკუთარი კაპიტალი“
საკუთარი კაპიტალი ბალანსის მიხედვით**

წლის დასაწყისს.....	7890000 კრონი
+ საკუთარი კაპიტალი გადიდება საფინანსო გეგმის მიხედვით.....	100000 კრონი
+ წმინდა მოგება მოგების ბიუჯეტის მიხედვით.....	2316000 კრონი
— პირადი მოხმარება მოგების ბიუჯეტის მიხედვით.....	11206000 კრონი
საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს.....	10606000 კრონი

სტრიქონი „საბალანსო დავალიანება“

საბანკო დავალიანება ბალანსის მიხედვით წლის დასაწყისს	2700000 კრონი
— გადასახადები საბანკო დავალიანების მიხედვით, საფინანსო გეგმის მიხედვით	400000 კრონი
საბანკო დავალიანება ბალანსის მიხედვით წლის ბოლოს	23000000 კრონი

**11.5. ახლად წარმოქმნილი
საწარმოს მატალიტი**

ფირმა „დანხანდელის“ მაგალითის განხილვისას ჩვენ საქმე გვქონდა უკვე არსებულ საწარმოსთან. მოცემულ პარაგრაფში ვაჩვენებთ როგორ ხდება მოგების ბიუჯეტის, საფინანსო გეგმის და ოლე ოლესენის გეგმიური ბალანსის ანგარიში, რომელიც 19...3 წ. პირველი იანვრიდან ვარაუდობს გახსნას საცალო ვაჭრობის საწარმო. გამარტივებისათვის მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა გადასახადი დამატებით ღირებულებაზე, დაკავებული საშემოსავლო გადასახადი, ანარიცხები სოციალურ დაზღვევაზე და ა.შ. ოლე ოლესენი ანგარიშობს, რომ ფირმის საქმიანობის პირობები მისი არსებობის პირველ წელს შემდეგნაირად იქნება:

1. მთლიანი ამონაგები დაგეგმილია შემდეგ სიდიდეებში:	
1-ლი კვარტალი	1500000 კრონი
მე-2 კვარტალი	2400000 კრონი
მე-3 კვარტალი	3000000 კრონი
მე-4 კვარტალი	3300000 კრონი
	<hr/>
	10200000 კრონი

2. მთლიანი შემოსავალი: 40% მთლიანი ამონაგებისა

3. მოსალოდნელია, რომ მთლიანი ამონაგების 25% შემოვა ნაღობის გაყიდვის გამო, ხოლო დანარჩენი ნაწილი — გაყიდვისაგან ორთვიანი კრედიტის პირობებში.

4. წლის დასაწყისში იგეგმება საწყისი საქონლური მარაგის შექმნა, რომელიც შეესაბამება 19...3 წ. საშუალო წლიურ საქონლურ მარაგს. მოსალოდნელია, რომ საქონლური მარაგის ბრუნთა რიცხვი ხუთის ტოლი იქნება. საწყისი მარაგის მოცულობის 25% ნაღდად ანაზღაურდება, კიდევ 25% — 1.09.19...3 წ., ხოლო დანარჩენი ნაწილი — 1.04.19... 4 წ.

5. მიმდინარე საქონლური შესყიდვის განაღებებისათვის აღებული იქნება ორთვიანი კრედიტი.

6. გამყიდველებს საკომისიოები ერიცხებათ 2% სიდიდით რეალიზებული საქონლის ღირებულებიდან.

7. დანახარჯები თანამშრომლების თანამდებობრივი განაკვეთების ანაზღაურებაზე დაგეგმილია 100000 კრონის სიდიდით თვეში.

8. მოწყობილობის შეძენა ხდება საწარმოს მუშაობის დაწყების მომენტში 800000 კრონის სიდიდით. 100000 კრონი გადაირიცხება 19...3 წ. იანვარში, ხოლო დანარჩენი ნაწილი — 19...3 წ. 15 აპრილიდან, 20000 კრონი ყოველ თვეში. საამორტიზაციო დანარიცხები ხორციელდება ბაზური მეთოდით 5 წლის ანგარიშზე. სალიკვიდაციო ღირებულება არ გაითვალისწინება.

9. საარენდო გადასახადი გადაირიცხება ავანსად სამი თვის განმავლობაში 60000 კრონის სიდიდით თვეში.

10. სხვა ყოველწლიურად განახლებადი მუდმივი ხარჯები იფარება 225000 კრონის სიდიდით კვარტალში.

11. პირადი მოხმარება ივნისისა და დეკემბრის გადასახადების ჩათვლით დაგეგმილია თვეში 30000 კრონის სიდიდით, ხოლო დანარჩენ თვეებში — 40000 კრონი თვეში.

12. 19...3 წ. პირველ იანვარს ოლე ოლესენი აბანდებს კაპიტალს 400000 კრონის სიდიდით.

13. ფულად სახსრებზე წარმოქმნილი მოთხოვნილება დაფინანსდება მიმდინარე კრედიტის ხარჯზე. პროცენტების განაღებების ხარჯები დაგეგმილია ასეთ სიდიდეებში:

1-ლი კვარტალი	60000 კრონი
მე-2 კვარტალი	70000 კრონი
მე-3 კვარტალი	100000 კრონი
მე-4 კვარტალი	70000 კრონი

ცხრილ 11.8-ში მოცემულია მოგების ბიუჯეტი 19... 3 წ. შედგენილი ზემოაღნიშნული პირობების საფუძველზე.

რამდენადაც მთლიანი შემოსავალი დაგეგმილია 40% მთლიანი ამონაგებიდან, დანახარჯები საქონლის შექმნაზე გამოთვლილია 60% სიდიდით მთლიანი ამონაგებიდან.

საარენდო გადასახადი გათვლილია 12 თვეზე 60000 კრონის სიდიდით თვეში. სახარჯო მუხლების სხვა მაჩვენებლები უშუალოდ აღებულია ზემოთ მოცემული პირობებიდან.

აღინიშნება, რომ ოლე ოლესენის პირადი მოხმარება არ გაითვალისწინება მოგების ბიუჯეტში, რამდენადაც ეს მუხლი არ მიეკუთვნება ფირმის საქმიანობას.

ცხრილი 11.8

მოგების ბიუჯეტი 19...3 წ. ათ.კრონი

მთლიანი ამონაგები		10200
-დანახარჯები საქონლის შექმნაზე		6120
მთლიანი შემოსავალი		4080
-საკომისიოები გაყიდვებზე		204
დაფარვის ხიდი		3876
-ყოველწლიურად განხლებადი მუდმივი დანახარჯები		
თანაშრომელთა ხარჯები	1200	
საარენდო გადასახადი	720	
სხვა	900	2820
წმინდა შემოსავალი		1056
- მოწყობილობის ამორტიზაცია		160
მოგება პროცენტის დარიცხვამდე		896
- დანახარჯები პროცენტების ამორტიზაციაზე		300
წმინდა მოგება		596

ცხრილ 11.11 მოცემულია ოლე ოლესენის საფინანსო გეგმა კვარტლებად დანაწილებით.

შემონატანები საქონლის ნაღდად გაყიდვის გამო კვარტალში გამოთვლილია 25% ყოველწლიურად მთლიანი ამონაგებიდან. რომ განვსაზღვროდ შემოსავლების სიდიდე საქონლის გაყიდვის გამო ორთვიანი კრედიტის პირობებში, შეიძლება შედგეს დამხმარე ცხრილი (ცხრ.11.9.)

საწყისი საქონლური მარაგი გამოითვლება წლის განმავლობაში შესასყიდი 6120000 კრონი საქონლის ღირებულების სიდიდის გაყოფით საქონლური მარაგის ბრუნთა რიცხვზე, რომელიც 6-ის ტოლია. იგი შეადგენს 1224000 კრონს, რომელთაგან 25 ნაზღაურდება პირველ კვარტალში, ხოლო კიდევ 25—მესამეში.

საქონლის მიმდინარე შესყიდვაზე გადასახადების ანგარიშისათვის (რომლის თანხის რაოდენობა წლის განმავლობაში

შესასყიდი საქონლის ღირებულების ტოლია) ორთვიანი კრედიტის პირობებში შეიძლება შედგეს დამხმარე ცხრილი 11.10 მსგავსი.

ცხრილი 11.9.

საქონლის გაყიდვის გამო შემონატანების სიდიდის ანგარიში ორთვიანი კრედიტის პირობებში. ათ.კრონი

თვე	შოლანი ამონაგები		მათგან: დებიტორული დავალიანება ორთვიანი კრედიტის გამო	შემონატანები რეალიზაციის გამო ორთვიანი კრედიტის გათვალისწინებით	
	კვარტალში	თვეში		თვეში	კვარტალში
იანვარი		500	375	0	
თებერვალი	1500	500	375	0	375
მარტი		500	375	375	
აპრილი		800	600	375	
მაისი	2400	800	600	375	1350
ივნისი		800	600	375	
ივლისი		1000	750	600	
აგვისტო	3000	1000	750	600	1350
სექტემბერი		1000	750	750	
ოქტომბერი		1100	825	750	
ნოემბერი	3300	1100	825	750	2325
დეკემბერი		1100	825	825	

ცხრილი 11.10

დანახარჯების სიდიდის ანგარიში საქონლის შექმნაზე ორთვიანი კრედიტის პირობებში, ათ.კრონი

თვე	შოლანი ამონაგები კვარტალში	საქონლური კრედიტული დავალიანება ორ თვეში (60%)		გადასახადი ორთვიანი კრედიტის გამო	
		კვარტალში	თვე	თვე	კვარტალში
იანვარი			300	—	
თებერვალი	1500	900	300	—	300
მარტი			300	300	
აპრილი			480	300	
მაისი	2400	1440	480	300	1080
ივნისი			480	480	
ივლისი			480	480	
აგვისტო	3000	1800	600	480	1560
სექტემბერი			600	600	
ოქტომბერი			660	600	
ნოემბერი	3300	1960	660	600	1860
დეკემბერი			660	600	

საარენდო გადასახადი გადაირიცხება 60000 კრონის სიდიდით თვეში ე.ი 180000 კვარტალში. მაგრამ პირველ კვარტალში საარენდო გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს 6 თვეში, რამდენადაც პირობების თანახმად იგი შეტანილი უნდა იქნეს 3 თვით ადრე (ავანსად). საფინანსო გეგმის დანარჩენი მუხლების მიმართ მონაცემები აღებულია მაგალითში შემოთავაზებული პირობებიდან.

საფინანსო გეგმა მოწმობს, რომ მიმდინარე კრედიტის უდიდესი თანხა მოიხსნება მე-3 კვარტალის ბოლოს, როცა საბანკო დავალიანება 985000 კრონი იქნება. მე-4 კვარტლის ბოლოს მისი სიდიდე 706000 კრონის ტოლი იქნება.

ცხრილი 11.11

საფინანსო გეგმა 19... 3 წ. ათ-კრონი

	პირველი კვარტალი	მეორე კვარტალი	მესამე კვარტალი	მეოთხე კვარტალი
შემონატანები				
თავდაპირველი კაპიტალი ოლე ოლესენი	400			
საქონლის გაყიდვა ნაღდად	375	600	750	825
საქონლის გაყიდვა ორთვიანი კრედიტის პირობებში	375	1350	1950	2325
სულ	1150	1950	2700	3150
გადახახადები				
საწუხის საქონლური მარაგის შექმნა	306	—	306	—
საქონლის მიმდინარე შესყიდვა	300	1080	1560	1860
გაყიდვების საკომისიოები	30	48	60	66
თანამდებობრივი ხარჯები	300	300	300	300
მოწყობილობა				
საარენდო გადახახადი	360	180	180	180
სხვა ყოველწლიურად განახლებადი დანახარჯები	225	225	225	225
პირადი მოხმარება	120	110	120	110
პროცენტების	60	70	100	70
განადღების დანახარჯები				
სულ	1801	2073	2911	2871
შემონატანები —				
გადახახადები	-651	-123	-211	+ 279
შემონატანები—				
გადახახადები მზარდი ქაშით (ფულადი სახსრების მარაგის ტოლია)	-651	-774	-985	-706

ცხრ. 11.12. წარმოდგენილ ოლე ოლესენის გეგმიურ ბალანსში 31.12.19... 3 წ. საკასო ნაღდობის სიდიდე გამოითვლილი არ არის, მაგრამ იგი უბრალოდ გაწონასწორებული იქნებოდა სპეციალური სესხების ანგარიშიდან მოხსნილი დიდი თანხების ხარჯზე.

საგეგმო ბალანსი 31.12.19... წ., ათ. კრონი

აქტივები		პასივები	
მოწყობილობა	640	საკუთარი კაპიტალი	536
საქონლური მარაგი	1224	დავალიანება მიმდინარე	
საქონლური დებიტორული დავალიანება	1650	კრედიტის მიხედვით	706
		საქონლის მიმდინარე	
		შესყიდვის მიხედვით	1320
საარენდო გადასახადი გადახდილი ავანსად	190	საქონლური კრედიტორული დავალიანება ხაწყისი	
		საქ. მარაგის ფორმირების მიხედვით	612
		კრედიტორული დავალიანება მოწყობილობის	
სულ აქტივები	3694	შეძენის გამო	520
		სულ პასივები	3694

კომენტარები:
სტრიქონი „მოწყობილობა“

შეძენა 800000 კრონი
ამორტიზაცია მოგების ბიუჯეტის მიხედვით 160000 კრონი
ნარჩენი ღირებულება წლის ბოლოს 640000 კრონი

სტრიქონი „საქონლური მარაგი“
გამოთვლილია საფინანსო გეგმის შედგენასთან კავშირში.

სტრიქონი „საქონლური დებიტორული დავალიანება“
საქონლის ღირებულება გაყიდული ორთვიანი კრედიტის პირობებში იანვარსა და დეკემბერში ცხრილი 11.9. მონაცემების მიხედვით.

სტრიქონი „საარენდო გადასახადი ავანსად განაღდებული“
სამთვიანი საარენდო გადასახადი საფინანსო გეგმის შესაბამისად.

სტრიქონი „საკუთარი კაპიტალი“
ოლე ოლესენის თავდაპირველი კაპიტალი საფინანსო გეგმის შესაბამისად: 400000 კრონი
+ წმინდა მოგება, მოგების ბიუჯეტის შესაბამისად 596000 კრონი
— პირადი მოხმარება საფინანსო გეგმის შესაბამისად 460000 კრონი
საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს 536000 კრონი

სტრიქონი „ დავალიანება მიმდინარე კრედიტის მიხედვით“
მაჩვენებლები მოცემულია საფინანსო გეგმის მიხედვით.

სტრიქონი„ საქონლურ კრედიტორული დავლიანება
საქონლის მიმდინარე შესყიდვების მიხედვით“

საქონლის ღირებულება შექმნილი ორთვიანი კრედიტის
პირობებში ნოემბერსა და დეკემბერში ცხრილ 11.10—ის მაჩვენებლების
შესაბამისად.

სტრიქონი„ საქონლური, კრედიტორული დავლიანება
საწყისი სასაქონლო მარაგის ფორმების მიხედვით“

საქონლური მარაგის ღირებულება, სულ	1224000 კრონი
—გადახდილია 19..3წ.საფინანსო გეგმის	612000 კრონი
შესაბამისად დავალიანება წლის ბოლოს	612000 კრონი

სტრიქონი„ კრედიტორული დავლიანება
მოწყობილობის შესყიდვის მიხედვით“


შექმნა	800000 კრონი
—გადახდილია 19.. 3 წლის საფინანსო	280000 კრონი
გეგმის შესაბამისად დავალიანება წლის ბოლოს	520000 კრონი

ღანართი A

კოორდინატთა სისტემა

მიკროეკონომიკური მოდელების შემუშავებისას მთელი სისრულით გამოიყენება კოორდინატთა სისტემა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა აიგოს სხვადასხვა სახის მრუდები.

კოორდინატთა მართკუთხოვანი სისტემა შედგება ორი ერთმანეთთან სწორი კუთხით მიმართული ღერძისაგან. პორიზონტალურად მიმართული ღერძი იწოდება აბსცისათა ღერძად, X ღერძად ან პირველ ღერძად. ვერტიკალურად მიმართული ღერძი — კოორდინატთა ღერძად ანუ Y ღერძად, მეორე ღერძად. ამ ორი ღერძის გადაკვეთის წერტილი კოორდინატთა საწყისად ანუ ნულოვან წერტილად იწოდება (ნახ. A.1).



ნახ. A.1. კოორდინატთა სისტემის ორი ღერძი

კოორდინატთა სისტემა გამოიყენება იმისათვის, რომ გრაფიკულად გამოიხატოს დამოკიდებულება ორ ცვლად სისტემას შორის, მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

წლის დრო—ტემპერატურა

რეალიზაციის მოცულობა—ფასი

წარმოების მოცულობა—დანახარჯების სიდიდე


დაქირავებული მუშაკის ასაკი—შემოსავლების სიდიდე

კოორდინატთა ჩვეულებრივი სისტემა ორ განზომილებიანად ითვლება (ორი ღერძი—სიმაღლე და სიგანე) და მაშასადამე არ შეიძლება გამოყენებული იქნეს დიდი სიდიდეების, მაგალითად „დაქირავებული მუშის ასაკი—შემოსავლების სიდიდე, დაგროვების სიდიდე“ დიდი რაოდენობის სიდიდეების დამოკიდებულების ილუსტრირებისათვის.

ორი ღერძის გადაკვეთის წერტილი, როგორც აღინიშნა, კოორდინატთა საწყისად ითვლება— აბსცისთა ის ნაწილი რომელიც კოორდინატთა საწყისიდან მარჯვნივ იმყოფება, დადებით სიდიდეებს

წარმოადგენს, ხოლო ის ნაწილი რომელიც კოორდინატთა სათავეს საწყისიდან მარცხნივ იმყოფება— უარყოფითებს. ღერძებზე დადებითი სიდიდეები გადაიზომება კოორდინატთა საწყისიდან მალა, ხოლო უარყოფითები— დაბლა. მაშასადამე კოორდინატთა სისტემა შეიძლება დაიყოს ოთხ კვანდრანტად, რომელშიც X და Y შეუძლია მიიღოს დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობა (ნახ. A.2.).

(X, Y) სიდიდეების თითოეული წყვილი X, Y X—სა და Y—ის კონკრეტული მნიშვნელობებით, X და Y-ის შესაბამისად შეიძლება აღიწეროს როგორც წერტილი კოორდინატთა სისტემაში. ნათელვყოთ ეს დებულება მაგალითით.



ნახაზი A.2. კოორდინატთა ოთხკვანდრანტიანი სისტემა მაგალითი.

ფირმის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ კვირაში წარმოებული საქონლის ერთეულის რაოდენობასა და კვირეული დანახარჯების სიდიდეს შორის შემდეგი დამოკიდებულება არსებობს:

წარმოების მოცულობა კვირაში. ცალ.	დანახარჯების სიდიდე კვირაში, კრონი.
0	4000
1000	5000
2000	6000
3000	7000
4000	8000
5000	9000
6000	10000


მანამ, ვიდრე ვაჩვენებდეთ ამ დამოკიდებულებას მრუდის საშუალებით, საჭიროა დაიყოს კოორდინატთა სისტემის ორივე ღერძი შესაბამის მონაკვეთებად, თუ მაგალითად, გადავწყვეტთ, Y-თა ღერძზე განვალაგოთ ის სიდიდეები, რომლებიც ფასს არ ნიშნავს, უნდა ვიზრუნოთ, რათა კრონების მოცემული რაოდენობა ამ ღერძზე წარმოდგენილი უნდა იყოს ერთნაირი სიდიდის მონაკვეთებით.

იგივე პრინციპი აუცილებელია გამოყენებული იქნეს X ღერძის მიმართაც. მონაკვეთი, რომელიც Y ღერძზე საზომი ერთეულის ტოლია, აუცილებელი არ არის დაემთხვეს სიდიდით შესაბამის მონაკვეთს Y ღერძზე.

მესამე ნახ. A.3-ზე გადავზომოთ წარმოები კვირეული მოცულობის სიდიდე X ღერძზე, ცალებში, ხოლო დანახარჯების სიდიდე Y ღერძზე, კრონებში. ამის შესახებ ნათლად მოწმობს წარწერები ორივე ღერძზე, ერთი სანტიმეტრი სიდიდის მონაკვეთი X ღერძზე აღნიშნავს სიდიდეს, რომელიც 1000 ცალის ტოლია, ხოლო Y ღერძზე— 2000 კრონის.

პირველ წყვილ წერტილს (0,4000) ვპოულობთ მონაკვეთის გადაზომით Y ღერძზე, რომელიც 4000-ის ტოლია. მომდევნო წყვილის სიდიდის წერტილს (1000, 5000) აქვს კოორდინატები X ღერძზე 1000 და Y ღერძზე 5000. ამიტომ ვპოულობთ მას დასახელებული კოორდინატის X და Y ღერძების ორი შესაბამისი ხაზის (პუნქტირულის) გადაკვეთის წერტილებზე დახრილი სწორი ხაზის გატარებით. გადავზომავთ რა კოორდინატთა ღერძებზე ერთმანეთის შესაბამის ყველა მნიშვნელობას, შევაერთებთ მათი გადაკვეთის წერტილებს ხაზით (ჩვენ მაგალითში— უწყვეტით).

დამხმარე ხაზები (ჩვენს მაგალითში— პუნქტირული) ჩვეულებრივ გრაფიკზე არ გვხვდება.




ხშირად ხდება ისე, რომ ნულიდან დაწყებული მნიშვნელობების ყველა შკალის გამოყენებისას, გრაფიკის სივრცე არარაციონალურად იხარჯება. ასეთ შემთხვევებში შეიძლება უკუაგდოთ შკალის ნაწილი ან როგორც იტყვიან **გატუღეს** ლერძი, მსგავსი მოქმედებები მკაფიოდ უნდა აისახოს გრაფიკზე ისე, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოტანილ მაგალითზე.


ფირმის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ რეალიზაციის ფასსა და მოცულობას შორის თვეში შემდეგი დამოკიდებულებ არსებობს:

ფასი, კრონებში	რეალიზაციის მოცულობა თვეში, ცალ.
18	2000
16	3000
14	4000
12	5000
10	6000

ნახაზ A.4.—ზე აღნიშნული დამოკიდებულება გამოსახულია კოორდინატთა სისტემით. რამდენადაც ფასების უმცირესი სიდიდე მოცემულ რიგში 10 კრონს შეადგენს, გადაწყვიტეს არ გადაზომონ Y ლერძზე 0—დან 10 კრონამდე. სხვა სიტყვებით ლერძს ვტეხავთ.



ზოგ შემთხვევაში წარმოიქმნება აუცილებლობა აისახოს მხოლოდ მრუდის შეასაძლო მიმართულება, სიდიდეების კონკრეტული მნიშვნელობების მიუხედავად, ასეთ შემთხვევებში ლაპარაკობენ პრინციპული ტენდენციების გამოსახულებაზე. მაგალითის სახით ნახაზ A.5.—ზე მოტანილია საქონლის ფასსა და მის მოცულობას შორის პრინციპული დამოკიდებულების მრუდი.



იმ შემთხვევაში, როცა ლაპარაკია გრაფიკულ დამოკიდებულებაზე ნატურალურ (მაგალითად, წარმოების მოცულობა ან რეალიზაცია) და ღირებულებით (მაგალითად, შემოსავალი და დანახარჯები) მაჩვენებლებს შორის, ეკონომიკურ ლიტერატურაში ნატურალური მაჩვენებლების მნიშვნელობები გადაიზომება აბსცისათა ღერძზე, ღირებულებითისა—ორდინატთა ღერძზე.


დანართი B

დისკონტირებული ღირებულების მეთოდი

თუ წლის შემდეგ შევიძენთ ერთ კრონს, მისი ფასი ისეთი მაღალი არ იქნება როგორც დღეს. თუ ჩვენ შევიძენთ 1 კრონს 2 წლის შემდეგ მისი ფასი დაბალი იქნება, ვიდრე 1 წლით ადრე შეძენილი იმავე კრონი ფასი. ეს აიხსნება იმით რომ გვაქვს, რა ხელზე დღეს ერთი კრონი, ჩვენ შეგვიძლია მისი დაბანდება საქმეში და პროცენტების მიღება, რომელსაც დავკარგავთ თუ ამ კრონს შევიძენთ 1 ან 2 წლის შემდეგ. უცვლელი პროცენტული განაკვეთისას 2 წლის განმავლობაში მიღებული პროცენტული თანხა, რა თქმა უნდა აღემატება წელიწადში შემოსავლების თანხას.

სხვადასხვა დროის გადასახადებისა და შემონატანების სიდიდეები რომ შედარებითი გავხადოთ, აუცილებელია ისინი დავიყვანოთ ერთ განსაზღვრულ პერიოდზე. ნახ.5.1. ნაჩვენებია გადასახადებისა და შემონატანების ციკლები, რომელშიც გადასახადი მოდის პირველი წლის დასაწყისზე, ხოლო შემოსავლები— ყოველი წლის ბოლოზე პირველიდან მეხუთე წლის ჩათვლით. ახლა, პროცენტის მოცემული განაკვეთიდან გამომდინარე შეიძლება ეს თანხა დავიყვანოთ პირველი წლის დასაწყისთან (შემდგომში დროის ის მომენტი იწოდება „0 წელიწადად“) ანუ დისკონტირდეს ის ციკლის დასაწყისთან (მიმდინარე პერიოდთან). მაგრამ შეიძლებოდა ამ სიდიდეების დაყვანა 5 წლის ბოლოსთანაც; ესე იგი, დისკონტირდეს იგი ციკლის ბოლოსათვის.

მოცემული სახელმძღვანელოს თემატიკა გულისხმობს მომავალი გადასახადებისა და შემონატანების მხოლოდ მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების განსაზღვრას და მომავალში მისი გამოთვლის გადმოცემული მეთოდი წოდებული იქნა როგორც „დისკონტირებადი“



ნახ. 1. მომდინარე და მომავალი დისკონტირებული ღირებულების განსაზღვრა

ამა თუ იმ თანხის დისკონტირება ციკლის დასაწყისისათვის, ესე იგი მისი მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება, განისაზღვრება მისი გამრავლებით დისკონტირების კოეფიციენტზე, რომელიც (1 წ) ტოლია, სადაც ნიშნავს პროცენტული განაკვეთის სიდიდეს, ხოლო პერიოდების რაოდენობას (წელიწადის ნახ.).

მაგრამ არ არის აუცილებლობა შევასრულოთ მათემატიკური გარდაქმნები, რამდენადაც სპეციალურად შედგენილ ცხრილში მოტანილია დისკონტირების კოეფიციენტების მნიშვნელობები, პროცენტული განაკვეთებისა და პერიოდების რაოდენობის სხვადასხვა სიდიდეებისათვის. დისკონტირების კოეფიციენტების ცხრილი მოტანილია წიგნის ბოლოში.

ღირებულების დისკონტირების მეთოდის აღწერისათვის მივმართოთ ნახ. 1-ზე მოცემული გადასახადებისა და შემონატანების ციკლს, იგულისხმება რომ ყველა აღნიშნული სიდიდე მოცემულია 1000 კრონის მთელ მნიშვნელობებში, სქემა აგებულია იმასთან კავშირში, რომ ოლე ოლსენი განიხილავს არნე ანდერსენის დაფინანსების პროექტს, დაფინანსების შესაძლებლობას 700000 კრონის თანხით. ასეთ შემთხვევაში არნე ანდერსენი დაფარავს დავალიანებას პირველი წლის ბოლოსათვის 200000 კრონის გადახდით პროცენტული დარიცხვების გათვალისწინებით, 300000 კრონს მეორე წლის ბოლოს და ა.შ. იხილეთ

ნახაზი ნ.1. ოლე ოლსენი თანახმაა გასცეს კრედიტი მინიმუმ წლიურის 14% ანგარიშიდან. ცხრილ ნ.61.—ში გამოთვლილია მომავალი გადასახადებისა და შემონატანების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება, რომელიც დაკავშირებულია არნე ანდერსენის კრედიტთან და მის დაფარვასთან, რამდენადაც საქმე ეხება მიმდინარე ღირებულებას, მიმდინარე შემოსატანები (გადასახადები კრედიტისა და პროცენტის გამო) დაყვანილი უნდა იყოს 0 წლისადმი ისე, რომ შეიძლებოდეს მისი შეჭერება 700000 კრონის საერთო თანხის კრედიტთან.

დისკონტირებული კოეფიციენტების ცხრილში $(1+r)^n$ 14% განაკვეთისა (ოლსენის პირობა) და $n = 1$ მნიშვნელობისათვის ვპოულობთ კოეფიციენტს, რომელიც 0,8722 უდრის. ეს ნიშნავს, რომ ერთი კრონის ღირებულება წლის შემდეგ შეესაბამება 0,8722 კრონს მიმდინარე ღირებულებისას, სხვა სიტყვებით დღეს დაბანდებული 0,8722 კრონი წლის შემდეგ პროცენტული დარიცხვების ჩათვლით 1 კრონამდე გაიზრდება, ცხრილ 2.-ში შემონატანები პირველი წლის ბოლოს გამოთვლილია 200000 კრონის სიდიდით. გავამრავლებთ რა ამ სიდიდეს 0,8722-ზე 14% წლიური განაკვეთის ბაზაზე ვლებულობთ მის მიმდინარე ღირებულებას 175000 კრონს. ცხრილში ვპოულობთ, რომ, როცა $n = 2$, 1 კრონის ღირებულებას 2 წლის შემდეგ შეესაბამება მიმდინარე ღირებულება 0,7695 კრონი. შემდეგ ოლე ოლსენის შემოსატანები 2 წლის შემდეგ 300000 კრონის სიდიდით შეიძლება დაყვანილი იქნეს მიმდინარე ღირებულებამდე 231000 კრონი (300000 : 0,7695).

გავადისკონტირებთ რა ცხრ. ნ 2. 3, 4 და 5 წლების შემოსატანებს დავინახავთ, რომ მომავალი და საწყისი პერიოდისათვის დისკონტირებული სიდიდეები 700000 კრონი კრედიტის საერთო თანხას 79000 კრონით აღემატება. ეს სიდიდე იწოდება **წმინდა დისკონტირებულ ღირებულებად**.

ამგვარად, წმინდა დისკონტირებულ ღირებულებას დადებითი მნიშვნელობა აქვს, ხოლო მომავალი შემოსავლების თანხა აკმაყოფილებს ოლე ოლსენის მოთხოვნას წლიური 14%-ის მინიმალურ პროცენტულ განაკვეთს. საერთო სირთულით იგი მიიღებს:

- ა) დაკრედიტებული თანხის სრულ ანაზღაურებას;
- ბ) 14 წელიწადში დარიცხული პროცენტების მიხედვით;
- გ) 79000 კრონის წმინდა დისკონტირებულ ღირებულებას;

დისკონტირება წლიური 14%-ის ბაზაზე

		14%	
წელიწადი	გადახადებისა და შემოტანების ციკლი, ათ.კრონი	დისკონტირების კოეფიციენტი	მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება, ათ.კრონი
0	-700	0,8722	-700
1	+200	0,7695	+175
2	+300	0,6750	+231
3	+300	0,5921	+203
4	+200	0,5194	+118
5	+100		+52
სულ	+400		+79

ისეთი კალკულატორის ქონებისას, რომელიც საფინანსო ფუნქციებს ფლობს დისკონტირება, მაგალითად, 3 წლისათვის შემდეგნაირად ხორციელდება (TEXAS-ის კლავიატურა):

1. ღირებულება მომავალში, 300000 კრონი, აიკრიბება:

$$300000 \text{ FV} \quad \boxed{\text{FV}}$$

2. პერიოდების რიცხვი, 3, აიკრიბება:

$$3 \quad + \quad \boxed{\text{IV}}$$

3. პროცენტული განაკვეთის სიდიდე თითოეულ პერიოდში, აიკრიბება:

$$14 \quad \boxed{\%1}$$

ამ სამი მაჩვენებლის მიმდევრობის შერჩევა თავისუფალია. შემდეგ იძლევა ბრძანება განისაზღვროს

4. მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება

$$\boxed{\text{CPT}} \quad \boxed{\text{PV}}$$

-რის შემდეგ დისპლეიზე გაჩნდება „202451კრონი“.

ცხრ.ნ.1. სამი წლის მანძილზე შემოტანილი დისკონტირებული თანხა დამრგვალებულია 203 000 კრონამდე. ახლახან განხილულ მაგალითში ოლე ოლსენმა დაადგინა 14% წლიური პროცენტული განაკვეთი, რომელიც მის ინტერესებს მინიმალურად აკმაყოფილებს. მაგრამ შეიძლება წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როცა ინვესტორს შეუძლია

გაიგოს, რა რეალურ მოგებას მოიტანს კაპიტალდაბანდებები. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია აირჩიოს ინვესტიციის ისეთი პროექტი, რომლებიც უდიდეს მოგებას მისცემს.

ცხრ. B.1—დან ჩანს რომ ინვესტიციების (კრედიტის) რენტაბელობა წოდებული გამოსყიდვის შიდა ნორმად 14%—ზე მეტი უნდა იყოს, ვსინჯოთ მომავალი შემონატანების დისკონტირება წლიური 20%—ის ბაზაზე (ცხრ. B.2).

ცხრ. B.2. დისკონტირება წლიური 20%-ის ბაზაზე

წელიწადი	გადახადებისა და შემოსავლების ციკლი, ათ.კრონი	20%	
		დისკონტირების კოეფიციენტი	მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება, ათ.კრონი
0	- 700	0,8333	-700
1	+200	0,6944	+167
2	+300	0,5787	+208
3	+300	0,5787	+174
4	+200	0,4823	+96
5	+100	0,4019	+40
სულ	+400		-15

მაშასადამე, წლიური 20%-სას წმინდა დისკონტირებული ღირებულება შეადგენს 15000 კრონს. ეს ნიშნავს, რომ ინვესტიციების გამოსყიდვის შიდა ნორმა 20 %-ზე დაბალია, ამიტომ ვსინჯოთ ცხრილი B.3.-ის მომავალი შემოსავლების დისკონტირება წლიური 19%-ის ანგარიშიდან, ცხრილში შეტანილია მაჩვენებლები ცხრილებიდან B.1. და B.2. ადგილის ეკონომიის მიზნით დისკონტირების კოეფიციენტი ამ ორი ცხრილიდან არ მოიტანება.

ცხრ. B.3. დისკონტირება წლიური 19% -ის ბაზაზე

წელი	გადახადებისა და შემოსავლების ციკლი	14% მიმდინარე ღირებულება	20% მიმდინარე ღირებულება	დისკონტირების კოეფიციენტი	19% მიმდინარე ღირებულება
0	- 700	- 700	-700	—	—700
1	+200	+175	+165	0,8403	+168
2	+300	+231	+208	0,7062	+212
3	+200	+302	+174	0,5934	+178
4	+200	+118	+96	0,4987	+100
5	+100	+52	+40	0,4190	+42
სულ	+400	+79	-15		0

მაშასადამე, წლიური 19%-სას წმინდა დისკონტირებული ღირებულება 0-ის ტოლია და ინვესტიციების გამოსყიდვის შიდა ნორმა ზუსტად 19%-ს შეადგენს. მოცემული სახელმძღვანელოს ამოცანის გადაწყვეტისას საკმარისია ინვესტიციების გამოსყიდვის შიდა ნორმის განსაზღვრა მთელ პროცენტებში, ეს ნიშნავს, რომ არა ყველა დავალებაში არსებობს წმინდა დისკონტირებული სიდიდის ზუსტად 0-მდე (ნულოვან მნიშვნელობამდე) დაყვანის შესაძლებლობა.

როგორც განხილული მაგალითიდან ჩანს, აუცილებელია მომავალი ხარჯების დისკონტირება პროცენტის განაკვეთის ყველა შესაძლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვიდრე პოვნილი არ იქნება პროცენტის განაკვეთი, რომლის დროსაც დისკონტირებული შესატანები ინვესტიციების მოცულობის ტოლია.

**ამოცანების კრებული
შირშის ეკონომიკაში მათი ამოხსნის
სახელმძღვანელოთი**

მოცემული ამოცანათა კრებული მათი ამოხსნის შესაბამისი სახელმძღვანელოთი იორგენ კორსტსა და ჰეტერ რევენტლოუს „ფირმის ეკონომიკის“ სახელმძღვანელოს თანმხვედრ სასწავლო მასალად ითვლება.

ამოხსნის შემოთავაზებულ ვარიანტებს იმის პრეტენზია არა აქვს, რომ ერთადერთი სწორ ამოხსნად ითვლებოდეს. დამხმარე სახელმძღვანელოში მოტანილი ამოცანები შეიძლება სხვა ხერხებითაც ამოხსნას.

ამას გარდა, უნდა შევნიშნოთ, რომ მოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოში მუშაობის უდიდესი ეფექტიანობის მიღწევის მიზნით, ვიდრე ამოცანების უშუალო ამოხსნაზე და შესწავლაზე გადავიდოდეთ უურადლებით უნდა გავეცნოთ პრობლემის დასმას.

დავალება 1

19.. 4 წ. საეპრო ფირმა „სუპერგროსიტს“ შემდეგი საანგარიშო მაჩვენებლები აქვს:

	ათახი კრონი
დანახარჯები საქონლის შეძენაზე -----	9400
სხვა საგარეო დანახარჯები -----	2800
პერსონალის შენახვაზე გაწეული დანახარჯები -----	3600
ექსტრაორდინალური დანახარჯები -----	100
ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია -----	600
ამონაგები რეალიზაციიდან -----	17100
პროცენტული დარიცხვებისაგან მიღებული შემოსავლები და სხვა -----	100
დანახარჯები პროცენტების გადახდაზე და სხვა -----	300

შეადგინეთ მოგების ანგარიში 19.. 4 წ. ეკონომიკური ელემენტების მიხედვით ფირმის დანახარჯების დაჯგუფების საფუძველზე.

დავალება 2

19..6 წ. საწარმოო საწარმოს „კონსტრუქტს“ შემდეგი საანგარიშო მაჩვენებლები აქვს:

	ათახი კრონი
სარეალიზაციო დანახარჯები -----	4300
აღმინისტრაციულ-მმართველობითი დანახარჯები -----	5500
საწარმოო დანახარჯები -----	14800
პროცენტული დარიცხვებისაგან მიღებული შემოსავლები და სხვა -----	600
ექსტრაორდინალური შემოსავლები -----	400
ამონაგები რეალიზაციიდან -----	26100
ექსტრაორდინალური დანახარჯები -----	100
პროცენტული დარიცხვებისაგან მიღებული შემოსავლები და სხვა -----	200

შეადგინეთ 19.. 6 წ. მოგების ანგარიში საკალკულაციო მუხლების მიხედვით დანახარჯების დაჯგუფების საფუძველზე.

დავალება 3

1995 წ. 31 დეკემბრის მიხედვით სააქციო საზოგადოება სამრეწველო საწარმო „ორიონს“ შემდეგი საანგარიშო მაჩვენებლები აქვს:

აქციები სხვა კომპანიებში	500
სახაქონლო დებიტორები	1000
ვექსილური დებიტორები	400
გაცემული ავანსები	200
სააქციო კაპიტალი	3000
სარეზერვო კაპიტალი	1100
გაუნაწილებელი მოგება	
წინა წლებში	300
საანგარიშო წელიწადში	100
ოპოტიკური დავალიანება	
რომელსაც ვადა უმთავრდება 19.. 6 წ.	100
რომელსაც ვადა უმთავრდება 19.. 6 წ. შემდეგ	1800
ბანკის ხესხი (გრძელვადიანი)	1200
მიწის ნაკვეთები და შენობები	3300
მანქანები	1100
მოწუობილობევი	800
ავტომანქანები	400
Goodwill	400
კრედიტი სპეცხესხის ანგარიშზე	600
საქონლური კრედიტორები	1200
სახელმწიფო კრედიტორები (მოკლევადიანი)	900
დივიდენდები წლის შედეგების მიხედვით	300
ნედლეული და მასალები	700
დაუმთავრებელი წარმოება	500
მზა პროდუქცია	900
ნაღდი ფული სალაროში	100
საბანკო ანგარიშები	200
სხვა ანგარიშები	100

შეადგინეთ ბალანსი 31.12. 19.. 5 წ.

დაგვალევა 4

19 7 წ. სავაჭრო ფირმა „მიმოზას“ შემდეგი საანგარიშო მაჩვენებლები	
აქვს:	
19.. 7 წ. მოგების ანგარიშიდან	ათ. კრონი
დანახარჯები საქონლის შექმნაზე	12400000
სხვა გარეშე დანახარჯები	2200000
(მათ შორის ცვლადი — 200000)	
დანახარჯები პერსონალის შენახვაზე	2800000
(მათ შორის ცვლადი — 400000)	
ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	800000

დანახარჯები პროცენტის გადახდაზე ----- 600000
 ამონაგები რეალიზაციიდან ----- 2000000

31.12. 19.. 7 წ. ბალანსიდან

მოწყობილობები ----- 1700000
 საქონლური მარაგები ----- 4000000
 დებიტორული დავალიანება ----- 3900000
 ფულადი სახსრები ----- 300000
 საკუთარი კაპიტალი ----- 4200000
 კრედიტი სპეციალურ ხეხის ანგარიშზე ----- 3400000
 საქონლური კრედიტორები ----- 1700000
 მდლ და სხვა ----- 600000

ა) შეადგინეთ მოგების წლიური ანგარიში ფირმის რენტაბელობისა და შემოსავლიანობის შემდეგი ანალიზისათვის.

ბ) გამოიანგარიშეთ საკვანძო ინდიკატორები ფირმის რენტაბელობის აღსაწერად.

გ) მოკლედ დაახასიათეთ საკვანძო ინდიკატორების ნაპოვნი მნიშვნელობები.

დავალება 5

სააქციო საზოგადოება „სოკვილის“ საწარმოს 13.12. 19.. 1 წ. ბალანსის მიხედვით შემდეგი მაჩვენებლები გააჩნია:

31.12.19.. 1 წ. ბალანსი, ათ. კრონი

აქტივები		პასივები	
1		2	
Goodwill	330	სააქციო კაპიტალი	2000
მიწის ნაკვეთები და შენობები	1810	სარეზერვო კაპიტალი	3400
მანქანები	1180	გაუნაწილებელი მოგება	630
ავტომობილები	640	ობთეკური დავალიანება	
მოწყობილობები	830	(მათ შორის 180 გადახდილი უნდა იქნეს წლის განმავლობაში)	1130
ნედლეულის მარაგები	1010	საქონლური კრედიტორები	4200
დაუმთავრებელი წარმოება	990	კრედიტი სპეცხეხის ანგარიშზე (max 1000)	730
მზა პროდუქციის მარაგები	3140	მდლ	340
საქონლური დებიტორები	2810	სხვა მოკლევადიანი დავალიანებები	610
ნაღდი ფული საღაროში	80		
ფულადი სახსრები ანგარიშზე	230		
	13050		13050

ა) გამოთვალეთ ფირმის გადახდისუნარიანობის საკვანძო ინდიკატორები და მოკლედ დაახასიათეთ.

ბ) გამოთვალეთ ფირმის ლიკვიდურობის კოეფიციენტი და მოკლედ დაახასიათეთ.

დავალება 6

ფირმამ, რომლის მუდმივი დანახარჯები (= ნარჩენი დანახარჯები) ოვეში 100000 კრონს შეადგენს, პროდუქციის ყოველთვიურ წარმოებასა და ცვლადი დანახარჯების მაჩვენებლებს შორის დაეგემა შემდეგი თანაფარდობა:

წარმოება, ერთ.	ცვლადი დანახარჯები, კრონო
0	0
10 000	100 000
20 000	180 000
30 000	250 000
40 000	300 000
50 000	350 000
60 000	420 000
70 000	510 000
80 000	620 000
90 000	750 000
100 000	920 000

ა) გამოსახეთ ერთ გრაფიკზე ფირმის მუდმივი და მთლიანი დანახარჯების დინამიკა.

ბ) გაიანგარიშეთ საშუალო ცვლადი და მთლიანი საშუალო დანახარჯების მნიშვნელობები, გამოსაშვები პროდუქციის სხვადასხვა მოცულობისას, აგრეთვე ზღვრული დანახარჯები წარმოების მოცულობების შესაბამისი ინტერვალებისათვის.

გ) ნაპოვნი სიდიდეების გამოყენებით (ბ კითხვა), გამოსახეთ მოცემული დანახარჯების დინამიკა ერთ გრაფიკზე და აღნიშნეთ მასზე საშუალო მუდმივი დანახარჯების მნიშვნელობები.

დ) მიუთითეთ წარმოების მოცულობის მნიშვნელობები რომელ ინტერვალებში ითვლება ცვლადი დანახარჯები შესაბამისად დეგრესიულად, პროპორციულად და პროგრესიულად.

დავალება 7

ფირმის მუდმივი დანახარჯები თვეში 100 000 კრონს შეადგენს, ხოლო 20 000 ცლ. პროდუქციის წარმოების საშუალო მთლიანი დანახარჯები — 12 000 კრონს თვეში. გამოთვლილია, რომ მოცემული პროდუქციის წარმოების შემდგომი გაფართოების შემთხვევაში ზღვრული დანახარჯები შეადგენს:

წარმოება, ცლ.	ზღვრული დანახარჯები, კრონო
20 000	9,10
25 000	11,50
30 000	16,20
40 000	

ა) გამოთვალეთ საშუალო მთლიანი დანახარჯები თვეში 40 000 ცლ. წარმოებისას.

ბ) რა სიდიდის იქნება საშუალო ცვლადი დანახარჯები თვეში 40 000 ცლ. პროდუქციის წარმოების მოცულობისას?

დავალეზა 8

დაგეგმილია A საქონლის საბაზრო მოთხოვნისა და მიწოდების შემდეგი თვიური მაჩვენებლები:

ფასი, კრონი	მიწოდება, ცლ.	მოთხოვნა, ცლ.
12,00	10 000	3 000
11,00	9 000	4 000
10,50	8 000	4 500
9,50	6,500	5 000
9,00	6 000	6 000
8,50	5 500	7 300
8,00	5 000	8 800
7,00	4 000	10 200

ა) გამოსახეთ ერთ გრაფიკზე მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები და კოორდინატთა ღერძზე უჩვენეთ მოსალოდნელი ფასისა და გაყიდვის მოცულობის სიდიდეები.

ბ) გადასახადი დამატებით ღირებულებაზე იზრდება. (ა) შეკითხვის მითითების მიხედვით აგებულ გრაფიკზე პუნქტირული ხაზით აჩვენეთ, ამას რა მოსალოდნელი შედეგები შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნისათვის.

დავალეზა 9

საქონლის ფასსა და მისი რეალიზაციის მოცულობას შორის დამოკიდებულება შემდგომი პერიოდისათვის გამოთვლილია შემდეგნაირად:

ფასი, კრონი	პროდუქციის მოცულობა, ცლ.
10,00	800
9,00	1000
8,00	1500
7,00	1800
6,00	2000
5,00	2200

ა) გამოთვალეთ მთლიანი ამონაგების სიდიდე სხვადასხვა ფასების დროს, აგრეთვე ზღვრული შემოსავლების სიდიდეები მოცემულ ინტერვალებში.

ბ) გამოსახეთ გრაფიკულად გამყიდველის მთლიანი ამონაგების მრუდი.

გ) გამოსახეთ ერთ გრაფიკზე საქონლის გასაღებისა და გამყიდველის ზღვრული შემოსავლების მრუდები.

დ) რა ინტერვალებში იქნება მოთხოვნა შესაბამისად ელასტიური და არაელასტიური? პასუხი დაასაბუთეთ.

დავალება 10

საწარმო ყიდის თავის საქონელს სრული კონკურენციის პირობებში. მუდმივი დანახარჩები შემდგომი პერიოდისათვის დაგეგმილია 50 000 კრონის სიდიდით, ხოლო ცვლადი დანახარჩები გამოთვლილია შემდეგნაირად:

რეალიზაციის მოცულობა, ცლ.	ცვლადი დანახარჩები, კრონი
1000	75 000
2000	138 000
3000	180 000
4000	230 000
5000	305 000
6000	390 000
7000	500 000
8000	625 000

ამჟამად 1 ცლ-ის საბაზრო ფასი 100 კრონის ტოლია.

ა) განსაზღვრეთ საწარმოსათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი რეალიზაციის მოცულობა 1) მთლიანი მაჩვენებლების შედარების მეთოდისა და 2) ზღვრული მაჩვენებლების შედარების მეთოდის საშუალებით.

ბ) აჩვენეთ გრაფიკზე გამყიდველის მთლიანი ამონაგებისა და მთლიანი დანახარჩების მრუდები. აჩვენეთ მოგება საწარმოსათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი რეალიზაციის მოცულობისას.

გ) აჩვენეთ ერთსა და იმავე გრაფიკზე ზღვრული დანახარჩებისა და გამყიდველის ზღვრული შემოსავლის მრუდები. აჩვენეთ გრაფიკზე საწარმოსათვის ყველაზე უფრო მომგებიანი რეალიზაციის მოცულობის მნიშვნელობა.

დ) როგორია რეალიზაციის ყველაზე მცირე ფასი, რომელიც შეიძლება მიიღოს საწარმომ 1) მოკლევადიან პერსპექტივაში? 2) გრძელვადიან პერსპექტივაში?

დავალება 11

მონოპოლისტურმა ფირმამ მომდევნო წლისათვის დაგეგმა შემდეგი მაჩვენებლები:

რეალიზაციის ფასი, კრონი	რეალიზაციის მოცულობა, ცლ.	მთლიანი დანახარჩები კრონი
400	40 000	17 500 000
375	50 000	19 700 000

350	70 000	22 800 000
325	95 000	26 000 000
300	105 000	28 000 000

მულტივი დანახარჯები: 7 500 000 კრონი

ა) იპოვეთ მთლიანი და ზღვრული მაჩვენებლების შეჯერების მეთოდის საშუალებით როგორ გამოითვლება საწარმოსათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი რეალიზაციის მოცულობა და ფასი.

ბ) აჩვენეთ გრაფიკზე ფირმის მთლიანი ამონაგებისა და მთლიანი დანახარჯების მრუდები. აჩვენეთ მოგება (ა) შეკითხვაში პოვნილ რეალიზაციის მოცულობის სიდიდისას.

გ) აჩვენეთ გრაფიკზე გასაღების მრუდი, ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული შემოსავლების მრუდები, აგრეთვე რეალიზაციის მოცულობისა და ფასის მნიშვნელობები, რომლის დროსაც მაქსიმალური მოგება მიიღწევა.

დაპალევა 12

საწარმოში ვარაუდობენ, რომ ერთ-ერთი სარეალიზაციო საქონლის გასაღების შესაძლებლობა მომავალ წელს ასეთი იქნება:

რეალიზაციის ფასი, კრონი	რეალიზაციის მოცულობა, ცალი
200	10 000
190	15 000
180	21 000
170	39 000
160	55 000
150	60 000
140	62 000

პროდუქციის ერთეულზე ცვლადი დანახარჯები (პროპორციული) დაგეგმილია 70 კრონის სიდიდით.

ა) გაიანგარიშეთ ზღვრული შემოსავლის სიდიდე რეალიზაციის მოცულობის ყველა მნიშვნელობისას.

ბ) გამოთვალეთ საწარმოსათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი სარეალიზაციო ფასი.

გ) გამოთვალეთ საწარმოს დაფარვის წლიური სიდიდე მოცემულ საქონელზე (ბ) შეკითხვაში პოვნილ რეალიზაციის ფასისას.

საწარმოში არის ინფორმაცია, რომ აღნიშნული საქონლის მყიდველთა ორ A და B ჯგუფებს მიეყიდება და ამოტომ გადაწყვეტილია გაანალიზდეს გამოიყიდება თუ არა ფასობრივი დისკრიმინაციის გატარება. მიჩნეულია, რომ მისი განხორციელების ყველა სხვა პირობა არსებობს.

ივარაუდება, რომ მომავალ წელს საქონლის მიყიდვა მყიდველთა ორ ჯგუფზე შემდეგნაირად ნაწილდება:

სარეალიზაციო ფასი, კრონი

რეალიზაციის მოცულობა, ცლ.

	ჯგუფი A	ჯგუფი B
200	10 000	0
190	14 000	1000
180	16 000	5000
170	17 000	22 000
160	18 000	37 000
150	18 000	42 000
140	18 000	44 000

დ) ზღვრული მაჩვენებლების შედარების მეთოდის გამოყენებით განსაზღვრეთ, ხელსაყრელია თუ არა ფასობრივი დისკრიმინაციის განხორციელება. დადებითი პასუხის შემთხვევაში განსაზღვრეთ, როგორი ფასი უნდა დაადგინოს საწარმომ მყიდველთა თითოეული ჯგუფისათვის.

ე) გამოთვალეთ საწარმოს დაფარვის საერთო სიდიდე მოცემული საქონლის მიხედვით (ე) შეკითხვაში პოვნილ რეალიზაციის მოცულობის მნიშვნელობისას.

დავალება 13

ფირმა აწარმოებს და ყიდის, სახელდობრ, A საქონელს, რომლის მიმართ შედგენილია დანახარჯების კალკულაცია პროდუქციის ერთეულზე:

სარეალიზაციო ფასი	120,00 კრონი
ნედლეული	40,00 კრონი
ხელფასი	15,00 კრონი
საკომისიო გასამრჩელო გამყიდველებს (5% სარეალიზაციო ფასიდან)	6,00 კრონი
სხვა ცვლადი დანახარჯები	5,00 კრონი
მუდმივი დანახარჯები	<u>44,00 კრონი</u> <u>110,00 კრონი</u>
მოგება	10,00 კრონი

იგულისხმება, რომ ცვლადი დანახარჯები რეალიზაციის მოცულობის პროპორციულად იზრდება.

ამჟამად თვეში ფირმა დაახლოებით 10 000 ცლ. A საქონელს ყიდის. მაგრამ რამდენადაც არსებული საწარმოო სიმძლავრეები საშუალებას იძლევა წარმოებული და რეალიზებული იქნას თვეში 25 000 ცლ-მდე საქონელი, გადაწყვეტილია გაანალიზდეს მეტი მოგების მიღების შესაძლებლობა რეალიზაციის ფასის ცვლილებების შემთხვევაში. ანალიზის საფუძველის სახით ფირმაში შესრულდა დამოკიდებულების ანგარიში თვიური რეალიზაციის მოცულობასა და ფასს შორის:

რეალიზაციის ფასი, კრონი

რეალიზაციის მოცულობა, ცლ.

150,00	5 000
140,00	6 000
130,00	8 000
120,00	10 000
110,00	15 000
100,00	18 000
90,00	22 000
80,00	25 000

ა) ზღვრული მაჩვენებლების შედარების მეთოდის საფუძველზე გამოთვალეთ A საქონლის ყველაზე უფრო ხელსაყრელი სარეალიზაციო ფასი.

ბ) გაიანგარიშეთ დაფარვის თვიური სიდიდე (ა) შეკითხვაში ნაპოვნი ფასის მიხედვით.

ფირმა იხილავს აგრეთვე უცხოელი მყიდველის წინადადებას, რომელიც მზადაა კვირაში შეისყიდოს 25 000 ცლ. A საქონლი, 1 ცლ. 90,00 კრონად. ამასთანავე აუცილებელია გავითვალისწინოთ ის, რომ ასეთ შემთხვევაში ფირმას მოუწევს ექსპორტირებადი პროდუქციის ტრანსპორტირებაზე და ა.შ. დამატებითი დანახარჯების გაღება 15 კრონის სიდიდით 1 ცალზე. ამავ დროს ექსპორტირებად საქონელზე ფირმა არ გადაუხდის გამყიდველებს საკომისიო გასამრჩელოს.

გ) გამოთვალეთ, იქნება თუ არა ხელსაყრელი საექსპორტო მიწოდება და დადებითი პასუხის შემთხვევაში აჩვენეთ როგორ უნდა განაწილდეს მიწოდებები შიგა და გარე ბაზრების მიმართ.

დ) გამოთვალეთ დაფარვის თვიური სიდიდე (გ) შემთხვევაში პოვნული რეალიზაციის მოცულობის მაჩვენებლისას.

დაკვლევა 15

სააქციო საზოგადოება საწარმოო საწარმო „სეკვენსმა“ მომავალში უნდა აწარმოოს 18 000 ცლ. საქონელი — „ექო“ წელიწადში პროდუქციის ერთეულზე ცვლადი საწარმოო დანახარჯები დაგეგმილია 18 კრონის რაოდენობით. დანახარჯები წარმოების მომზადებაზე და ა.შ. ყოველ სერიაზე 2400 კრონი შეადგენს; $r=20\%$ (დანახარჯები პროდუქციის დასაწყობრიობაზე პროცენტებში მისი მარაგის საშუალო წლიური ღირებულებიდან). საწარმოო სიმძლავრეები გათვლილია 54 000 საქონლის წარმოებაზე წელიწადში.

ა) გამოთვალეთ სერიის ოპტიმალური სიდიდე.

ბ) მოკლედ გააანალიზეთ (ა) შეკითხვისათვის რა მნიშვნელობა აქვს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აუცილებელია „ექო“ საქონლის მინიმალური მარაგის შექმნა 1000 ცლ. სიდიდით.

დავალეზა 16

სავაჭრო ფირმა „მადსენ ენგროსლაგერს“ საქონელ „ტიპტონის“ იმპორტირების საშუალება აქვს ერთ-ერთი ოკეანისიკეთა ქვეყნიდან. ითვლება, რომ 1 ცლ. შეიძლება გაიყიდოს 80 კრონად. ფირმის მფლობელი თვლის, რომ საქონლის დაფარვის სიდიდემ უნდა შეადგინოს სულ ცოტა 30% მაინც. საქონელ „ტიპტონის“ შეძენასთან და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები გამოთვლილია შემდეგნაირად:

ფრახტი საბაჟო საზღვრამდე — 6 კრონი საქონლის ერთეულზე
საბაჟო გადასახადი ————— დაბეგვრილი ღირებულებიდან 10%
ფრახტი საბაჟო საზღვრიდან საწუბამდე — 3 კრონი საქონლის ერთეულზე
საკომისიო გასამრჩელო გაჟიღველებსათვის — 5% გასაჟიღვი ფასიდან

შებრუნებული კალკულაციის მეთოდით გამოთვალეთ როგორია უდიდესი ფასი, რომელიც მდსენის საბითუმო ფირმას შეუძლია გადაუხადოს უცხოელ მიმწოდებელს საქონელ „ტიპტონის“ ერთეულზე.

დავალეზა 17

სააქციო საზოგადოება საწარმოო საწარმო „ექსპანდი“ იხილავს წინადადებებს დააფინანსოს ობიექტი ახალი პროდუქტის „როზას“ წარმოებისათვის. მოსალოდნელია, რომ „როზას“ სასიცოცხლო ციკლი 5 წელიწადი იქნება. ნახარაუღვეია რეალიზაციისა და დანახარჯების შემდეგი დინამიკა:

	წელი 1	წელი 2	წელი 3	წელი 4	წელი 5
რეალიზაციის მოცულობა, ცლ.	35 000	40 000	50 000	40 000	20 000
სარეალიზაციო ფასი, კრონი	80	80	84	84	80
საშუალო ცვლადი დანახარჯები, კრონი	45.	46	47	48	49

გამოთვლილია, რომ კაპიტალდაბანდებების განხორციელების შემთხვევაში ყოველწლიურად განახლებადი მუდმივი დანახარჯები 300 000 კრონამდე გაიზრდება წელიწადში.

საწარმოო ობიექტის ღირებულება 2 500 000 კრონია. მოსალოდნელია, რომ მისი სალიკვიდაციო ღირებულება 5 წლის შემდეგ 200 000 კრონი იქნება.

სააქციო საზოგადოება „ექსპანდმა“ საანგარიშო განაკვეთის პროცენტი 25% დაადგინა წელიწადში.

- ა) განსაზღვრეთ წმინდა დისკონტირებული ღირებულება.
- ბ) განსაზღვრეთ ინვესტიციის გამოსყიდვის შიდა ნორმის სიდიდე.
- გ) განსაზღვრეთ კაპიტალდაბანდების სრული ანაზღაურების ვადა.

დავალება 18

იორგენ ოლსენი გეგმავს არენდით აღებულ შენობაში მალაჩიის გახსნას. პირველი სამეურნეო წლისათვის დაგეგმილია შემდეგი მაჩვენებლები:

- ა) მთლიანი ამონაგები ————— 6 000 000 კრონი
- ბ) მთლიანი შემოსავალი ————— 50% მთლიანი ამონაგებიდან
- გ) მუიდველთა დაკრედიტება ——— რეალიზაციის მოცულობის 25%
- ერთვიანი კრედიტის პირობებში, 25% - ორთვიანი კრედიტის, 50% -
ნაღდი ფულის პირობებში.
- დ) აუანსით ანაზღაურებული დანახარჯები(საარენდო გადახახალი და
ა.შ.) ————— 100000 კრონი
- ე) მოწყობილობების შექენა და ა.შ. — 450 000 კრონი
- ვ) ნაღდი ფული სალაროში ————— 25 000 კრონი
- ზ) საქონლური მარაგის ბრუნთა რიცხვი ————— 6
- თ) მდლ = 22%

ა) ზემოთ წარმოდგენილი საგეგმო მაჩვენებლების საფუძველზე გამოთვალეთ იორგენ ოლსენის საქიროება კაპიტალზე.

იორგენ ოლსენი საქონლის მიმდინარე შექენისათვის ასევე გეგმავს სამთვიანი კრედიტის მიღებას (შესაძენი საქონლის შესაბამის ღირებულებიდან).

ბ) გამოთვალეთ კრედიტების თანხა, რომელიც იორგენ ოლსენს შეუძლია მიიღოს თავისი მიმწოდებლისაგან.

დავალება 19

საწარმოო საწარმოში, რომელიც აწარმოებს და ყიდის A საქონელს 360 000 ცლ. მოცულობით წელიწადში (360 დღე) საქონლის მარაგში ყოფნის დროს შეადგენს, დღე:

- საწარმოო მარაგი ————— 20
- დაუმთავრებელი წარმოება ————— 10
- მზა პროდუქციის მარაგი ————— 40

1 ცლ. A საქონელი იყიდება 90 კრონად, 50% გაიცემა პირობებში „ერთი თვე + 30 დღე“, 25% - სამთვიანი კრედიტის პირობებში, 25% ნაღდი ფულით.

1 ცლ. A საქონლის წარმოებისათვის საქიროა 30 კრონი ღირებულების ნედლეული და შრომითი დანახარჯები, რომლის ასანაზღაურებლად საქიროა 30 კრონი. ნედლეული საწარმოო ციკლში შედის მისი დაწყებისთანავე, მაშინ როცა ხელფასი მთელ საწარმოო ციკლზე თანაბრად ნაწილდება. წარმოება და რეალიზება თანაბრად ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში. დამატებით ღირებულებაზე გადასახალი — 22%-ია.

ა) გამოთვალეთ A საქონლის წარმოებისათვის საჭირო საბრუნავი კაპიტალის საერთო სიდიდე.

ბ) გამოთვალეთ, რა ვადაში უნდა მიიღოს საწარმომ კრედიტი ნედლეულის მიმწოდებლისაგან, თუ ცნობილია, რომ მისმა თანხამ უნდა დაფაროს A შეკითხვაში გამოთვლილი კაპიტალზე მოთხოვნილების ნახევარი.

გ) როგორ შეიცვლება ა შეკითხვაში გამოთვლილი კაპიტალზე მოთხოვნილების სიდიდე, თუ საწარმოს დებიტორები გადასახადებს 10 დღით შეაჩერებენ?

დავალება 20

სააქციო საზოგადოების ფირმა „ატლანტა“ აწარმოებს და ყიდის X — 19 პროდუქტს. ფირმამ შეადგინა წარმოების ცვლადი დანახარჯების შემდეგი გეგმიური კალკულაცია:

ნედლეული და მასალები	-----	
3კგ. A ხაქონელი 4,5 კრონად	-----	13,50 კრონი
2კგ. B ხაქონელი 8,25 კრონად	-----	16,50 კრონი
		30,00 კრონი
ენერჯის მოხმარება: 10 კვტ. სთ. 90კრონად	-----	9,00 კრონი
ხელფასი: 3/4 სთ. 1 სთ.-ში 80 კრონი	-----	60,00 კრონი
სულ ცვლადი დანახარჯები	-----	99,00 კრონი

X - 19 იწარმოება და რეალიზირდება თანაბრად, დღეში 500 ცლ. 1 ცლ-ის სარეალიზაციო ფასი დღმ-ს გაუთვალისწინებლად 125 კრონის ტოლია. ნედლეული საწარმოო ციკლში შედის მისი დასაწყისისთანავე. ენერჯიასა და ხელფასზე დანახარჯები თანაბრად ნაწილდება მთელი საწარმოო ციკლის განმავლობაში, რომელიც ორ დღეს გრძელდება.

საწარმოო მარაგისა და მზ პროდუქციის მარაგის ბრუნვათა რიცხვი იგეგმება შემდეგნაირად:

საწარმოო მარაგი	-----	12-ჯერ წელიწადში
მზა პროდუქციის მარაგი	-----	10-ჯერ წელიწადში

საქონლის 25% რეალიზდება ნაღდ ანგარიშზე. დანარჩენი ნაწილი იყიდება კრედიტით, პირობებში: „მიმდიარე თვე + 30 დღე“ მდლ - 22%.

ა) გამოთვალეთ საერთო მოთხოვნა კაპიტალზე მარაგების შექმნისა და საქონლური დებიტორების დაკრედიტებისათვის.

სააქციო საზოგადოება „ატლანტა“ დაფინანსების შემდეგ შესაძლებლობებს ფლობს:

1) საქონლის მიმწოდებელი თავაზობს კრედიტს მისი ნომინალის დაფარვის პირობებით 60 დღის განმავლობაში, ანდა 1%-ის თასდაკლებით — 7 დღის განმავლობაში.

2) კრედიტს შემნახველი სალაროს მარტივი სასესხო ანგარიშით წელიწადში 11% -ით, 300 000 კრონის სიდიდით;

3) საბანკო კრედიტს სპეციალურ სასესიო ანგარიშით 10% წლიური + 3% წლიური საკომისიო მაქსიმუმიდან - 800 000 კრონიდან გამომდინარე;

ბ) გამოთვალეთ კომერციული კრედიტის პროცენტის წლიური ეფექტური განაკვეთი.

გ) გამოთვალეთ კაპიტალზე მოთხოვნილებების ნაწილი, რომელიც შეიძლება დაფინანსდეს კომერციული კრედიტის გამოყენების ხარჯზე 60 დღის მანძილზე მისი დაფარვის პირობებში.

დ) შეადგინეთ მომგებიანობის თვალსაზრისით დაფინანსების ოპტიმალური გეგმა.

ე) გამოთვალეთ სპეციალური ანგარიშიდან კრედიტის პროცენტის ეფექტიანი განაკვეთი (დ) შეკითხვის პასუხში განსაზღვრული მაქსიმუმის გამოსაყენებელი ნაწილის გათვალისწინებით.

დავალება 21

საწარმოს იანვარის, თებერვლისა და მარტის თვეებში საქონლის ყიდვისა და გაყიდვის შესახებ შემდეგი ინფორმაცია აქვს:

	ნაყიდი საქონლის ღირებულება, კრონი	მთლიანი ამონაგები კონი
იანვარი	300 000	400 000
თებერვალი	325 000	450 000
მარტი	275 000	375 000

მომდევნო სამთვიანი პერიოდისათვის (აპრილი, მაისი, ივნისი) ლაგეგმილია შემდეგი მაჩვენებლები:

	შესასყიდი საქონლის ღირებულება, კრონი	მთლიანი ამონაგები კრონი
აპრილი	250 000	325 000
მაისი	350 000	475 000
ივნისი	300 000	400 000

საქონლის ყიდვის პირობები: შესყიდული საქონლის ნახევარი ანაზღაურება ერთთვიანი კრედიტის პირობებში, ხოლო დანარჩენი ნაწილი — სამთვიანისა (შესყიდვები | კვარტალში იმავე პირობებში ხორციელდება).

საარენდო გადასახადი: 12 000 კრონი თვეში
 ხელფასი: 30 000 კრონი თვეში

სხვა ყოველწლიურად განახლებადი მუდმივი დანახარჯები: 8 000 კრონი თვეში, ნაღდად ნაზღაურდება.

მოწყობილობები:

მოწყობილობათა ნაწილი იცვლება მაისში. შეიძლება 120 000 კრონი ღირებულების ახალი მოწყობილობა. არსებობს მოლაპარაკება გამყიდველთან, რომ ის ნახმარ მოწყობილობას 20 000 კრონის სანაცვლოდ მიიღებს. ახალი მოწყობილობის ღირებულების დარჩენილი ნაწილი ანაზღაურდება I იენისიდან 3000 კრონის ანგარიშით თვეში.

მფლობელის პირადი

მოხმარება:

15 000 კრონი თვეში.

საქონლის რეალიზაცია :

ა) შეიმუშავეთ საფინანსო გეგმები აპრილის, მაისის და ივნისის თვეებისათვის. გეგმაში ნაჩვენებია უნდა იქნეს ფულადი სახსრების სიდიდე თითოეული თვის ბოლოს.

ბ) გამოთვალეთ საქონლური დებიტორული დავალიანების სიდიდე 30 ივნისისათვის.

გ) გამოთვალეთ საქონლური კრედიტორული დავალიანების სიდიდე 30 ივნისისათვის.

დავალება 22

პეტერ იენსენი გეგმავს 19.. 4 წ. I იანერიდან გახსნას მალაზია. პირველი სამეურნეო წლისათვის გამოთვლილი აქვს შემდეგი მაჩვენებლები:

საქონლის რეალიზაცია: 12 000 000 კრონი ღირებულების საქონლის რეალიზაცია მთელი წლის განმავლობაში თანაბრად ხორციელდება სარეალიზაციო ფასზე 25%-ის საშუალო სავაჭრო ფასნამატით. საქონლის ნახევარი იყიდება ნაღდ ანგარიშზე, ხოლო დარჩენილი ნაწილი — ერთთვიანი კრედიტის პირობებით.

საქონლური მარაგები : სასაქონლო მარაგის ბრუნვის რიცხვი — 4.

საქონლის შესყიდვა: საწყისი სასაქონლო მარაგი უნდა შეესაბამებოდეს მომავალი საშუალოწლიურ სასაქონლო მარაგს. მისი ღირებულების 10% ანაზღაურდება ნაღდ ანგარიშზე, 40% — 19..4 წ. I იენისიდან, დარჩენილი ნაწილი — 19..5 წ. I აპრილიდან. მიმდინარე საქონლური

შესყიდვები ხორციელდება ორთვიანი კრედიტის პირობებში.

ხელფასი:

60 000 კრონი თვეში.

პირადი მოხმარება:

15 000 კრონი თვეში.

საარენდო გადასახადი:

15 000 კრონი თვეში 19.. 4 წ. | იანვრიდან ავანსად გადაირიცხება სამთვიანი საარენდო გადასახადი.

მოწყობილობები:

შეიძინება 400 000 კრონის ღირებულებისა, რომლის ნახევარი ანაზღაურდება 1994 წ. 1 ივნისს, დარჩენილი ნაწილი კი 19.. 5 წ. | იანვარს.

საწარმოს გახსნისათვის აუცილებელი ძირითადი კაპიტალი:

ძირითადი კაპიტალის ღირებულება 150000 კრონის სიდიდით ანაზღაურდება 19..4წ. | მარტს.

რეკლამა:

სარეკლამო კომპანიის სასტარტო ღირებულება — 100 000 კრონი ანაზღაურდება 19....4 წ. თებერვლის თვიდან დაწყებული რეკლამაზე დანახარჯები თვეში 10 000 კრონი იქნება და ანაზღაურდება ნაღდი ფულით.

სხვა ყოველწლიურად განახლებადი მუდმივი დანახარჯები:

სავაჭრო ფასნამატიდან 20% ნაწილდება თანაბრად და ანაზღაურდება ნაღდად.

თავდაპირველი კაპიტალი:

პეტერ იენსენს 19....4 წ. | იანვარს 500 000 კრონი შეაქვს ნაღდად და წარადგენს 100 000 კრონის ღირებულების ნახმარ სატვირთო ავტომობილს.

ა) შეადგინეთ 19....4 წ. საფინანსო გეგმა კვარტლების მიხედვით. გეგმაში ნაჩვენები უნდა იქნეს ფულადი სახსრების სიდიდე თითოეული კვარტლის ბოლოსათვის.

ბ) შეიმუშავეთ ეკონომიკური ელემენტების მიხედვით დანახარჯების დაჯგუფების მეთოდის საფუძველზე 19....4 წ. მოგების ბიუჯეტი იმის გათვალისწინებით, რომ წარმოების გახსნისათვის აუცილებელი ძირითადი კაპიტალის, სატვირთო ავტომობილის და მოწყობილობის ამორტიზაცია ხორციელდება 5 წლის მანძილზე ხაზური მეთოდით.

გ) შეადგინეთ 19....4 წ. 31 დეკემბრისათვის გეგმიური ბალანსი.

დავალება 23

საუკურო ფირმა „დანაში“ 19...5 წ. შემუშავებულია შემდეგი გვეგპური მაჩვენებლები, კრონი:

ამონაგები რეალიზაციიდან	40 000 000
დანახარჯები საქონლის შექმნაზე	25 000 000
საკომისიო გასამრჯელო გამყიდველებისათვის (5%)	2 000 000
უოველწლიურად განახლებადი მუღმში დანახარჯები	8 000 000
ამორტიზაცია	800 000
დანახარჯები პროცენტის გადახდაზე	400 000

ა) შეადგინეთ ბიუჯეტი მოგების მიხედვით 19...5 წ.

ბ) გამოთვალეთ:

1. დაფარვის კოეფიციენტი;
2. არამომგებიანი ბრუნვა;
3. საიმედობის მარაგი.

გ) ფირმის ხელმძღვანელობა იხილავს წინადადებას თანამშრომელთა შტატის გაფართოებას ერთი ერთეულით. იგულისხმება, რომ მომავალი წლისათვის ეს გამოიწვევს მუღმში დანახარჯების გადიდებას 250 000 კრონით. გარდა ამისა, ახალ გამყიდველს უნდა გადაუხადონ საკომისიო გასამრჯელო 5%-ის სიდიდით მის მიერ გაყიდული საქონლის ღირებულებიდან.

გამოთვალეთ მინიმალური სიდიდე, რომლითაც უნდა გაიზარდოს საქონლის რეალიზაციის მოცულობა, რომ ფირმა გამართლებულად თვლიდეს სამუშაოზე ახალი გამყიდველის მიღებას (ახალი სამუშაო ადგილის შექმნას).

დავალება 24

ოლე ჰანსენმა შემოთავაზებული პროექტებიდან ერთ-ერთისათვის გამოთვალა ფულადი გადასახადებისა და შემონატანების შემდეგი საინვესტიციო ციკლი:

წელი	ფულადი გადასახადები და შემონატანები
0	- 1700
1	+ 600
2	+ 700
3	+ 800
4	+ 600
5	+ 500

ა) განსაზღვრეთ წმინდა დისკონტირებული ღირებულება 18% წლიური საანგარიშო განაკვეთის საფუძველზე.

ბ) გამოთვალეთ ინვესტიციის გამოსყიდვის შიდა ნორმა.

მითითებები ამოცანების ამოსახსნელად

ღაპალება 1

მოგების ანგარიში 19...4წ., ათ.კრონია

ამონაგები რეალიზაციიდან	-----	17100
-დანახარჯები საქონლის შექმნაზე	-----	9400
მთლიანი შემოსავალი	-----	7700
-სხვა გარე დანახარჯები	----- 2800	
-დანახარჯები პერსონალის შენახვაზე	----- 3600	6400
წმინდა შემოსავალი	-----	1300
-ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	-----	600
მოგება პროცენტების დარიცხვამდე და ა.შ.	-----	700
+ შემოსავლები პროცენტული დარიცხვების		
მიღებასთან დაკავშირებით და სხვა	----- 100	
-პროცენტული გადასახადების დანახარჯები და სხვა	----- 300	200
მოგება ექსტრაორდინალური შედეგების გარეშე	-----	500
-ექსტრაორდინალური გასავლები რეალიზაციის		
გარეშე ოპერაციებზე	-----	100
წმინდა მოგება	-----	400

ღაპალება 2

მოგების ანგარიში 19... 6 წ. ათ.კრონი

ამონაგები რეალიზაციიდან	-----	26100
-საწარმოო დანახარჯები	-----	14800
არაწმინდა მოგება	-----	11300
-სარეალიზაციო დანახარჯები	----- 4300	
-მმართველობითი დანახარჯები	----- 5500	9800
მოგება პროცენტების დარიცხვამდე	-----	1500
+ შემოსავლები პროცენტული დარიცხვების მიღებასთან		
დაკავშირებით	----- 200	
-პროცენტული გადასახადების დანახარჯები და სხვა	----- 600	400
მოგება ექსტრაორდინალური შედეგების გარეშე	-----	1100
ექსტრაორდინალური შემოსავლები	----- 400	
-ექსტრაორდინალური გასავლები	----- 100	300
წმინდა მოგება	-----	1400

დავალება 3

31.12.19... 5წ. ბალანსი, ათ.კრონი

აქტივები

ძირითადი კაპიტალი

არამატერიალური აქტივები

Goodwill ----- 400

მატერიალური აქტივები

მიწის ნაკვეთები და შენობები—3300

მანქანები ----- 1100

მოწყობილობა ----- 800

აქრომობილები ----- 400

5600

ფინანსური აქტივები

აქტივები სხვა კომპანიებში --- 500

სულ: ----- 6500

საბრუნავი კაპიტალი

საქონლური მარაგები

ნედლეული და მასალები ----- 700

დაუმოაზრებელი წარმოება --- 500

მზა პროდუქცია ----- 900

2100

დებიტორული დავალიანება

საქონლური დებიტორები ----- 1000

ვექსილური დებიტორები ----- 400

გაცემული ავანსები ----- 200

1600

ფულადი სახსრები

ნაღდი ფული სალაროში ----- 100

საბანკო ანგარიშები ----- 200

სხვა ანგარიშები ----- 100

400

სულ ----- 4100

აქტივების საერთო შედეგები — 10600

პასივები

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი ----- 3000

სარეზერვო კაპიტალი ----- 1100

გაუნაწილებელი მოგება—

გასულ წლებში ----- 300

საანგარიშო წლის ----- 100

400

სულ: ----- 4500

დავალიანება

გრძელვადიანი

იპოტეკური დავალიანება ----- 1800

საბანკო სესხი ----- 1200

3000

მოკლევადიანი

იპოტეკური დავალიანება ----- 100

კრედიტი სპეცსესხის ანგარიშიდან— 600

საქონლური კრედიტები ----- 1200

სასელმწიფო კრედიტები ----- 900

დივიდენდები წლის შედეგების

მიხედვით ----- 300

3100

სულ ----- 6100

პასივების საერთო შედეგები — 10600

დაპლაქება 4

ა) მოკეების ინვარიში 19...7 წ., ათ. კრონი

ამონაგები რეალაზაციიდან -----	20 000
— დანახარები საქონლის შექმნაზე -----	12 400
მთლიანი შემოსავალი -----	7600
— სხვა ცვლადი დანახარები -----	600
დაფარვის სიდიდე -----	7000
— უოველწლიურად განახლებადი მუდმივი დანახარები-----	4400
წმინდა შემოსავალი -----	2600
—ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია -----	800
მოგება პროცენტის დარიცხვამდე და სხვა -----	1800
— დანახარები პროცენტულ გადასახადებზე -----	600
წმინდა მოგება -----	1200

31.12.19...7 წ. ბალანსი, ათ. კრონი

აქტივები	პასივები
ინვენტარი ----- 1700	საკუთარი კაპიტალი ----- 4200
საქონლური მარაგები ----- 4000	კრედიტი სპეცსესხის
	ანგარიშიდან ----- 3400
დებიტორული დავალიანება—3900-	საქონლური კრედიტოვები — 1700
ფულადი სახსრები ----- 300	მდღ და სხვა ----- 600
<u>9900</u>	<u>9900</u>

$$\text{ბ) საერთო რენტაბელობის დონე} = \frac{1800 \cdot 100}{9900} = 18,2\%$$

$$\text{ბრუნვის რენტაბელობა} = \frac{1800 \cdot 100}{20000} = 9\%$$

$$\text{კაპიტალის ბრუნვათა რიცხვი} = \frac{20\ 000}{9900} = 2,0 \text{ ჯერ}$$

$$\text{საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონე} = \frac{1200 \cdot 100}{7000 \cdot 100 \cdot 4200} = 28,6\%$$

$$\text{გ) დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{9200}{9200} = 35,0\%$$

$$\text{არამომგებაიანი ბრუნვა, ათ. კრონი} = \frac{5200 \cdot 100}{35} = 14\ 857$$

$$\text{საიმედობის მარაგი} = \frac{(20\ 000 - 14\ 857)}{20\ 000} = 26\%$$

დ) ფირმის საერთო რენტაბელობის დონე გაცილებით მაღალია

საბაზრო პროცენტის განაკვეთზე (19...1 წ. — დაახლოებით 11% წელიწადში). საერთო რენტაბელობის დონე იანგარიშება ბრუნვის რენტაბელობის (9%) კაპიტალის ბრუნვის (2) რიცხვზე გამრავლების გზით. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონე აღემატება საერთო რენტაბელობის დონეს. ეს, ნიშნავს იმას რომ მოგება მიიღწევა სასესხო კაპიტალის გამოყენების გზით. ამგვარად, პროცენტმა სასესხო კაპიტალზე შეადგინა „მხოლოდ“ 10,5% წელიწადში (600 პროცენტული შეფარდებით 5700-თან).

დაფარვის კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ ბრუნვაში ჩაშვებულ ყოველ კრონზე ფირმა 35 ერეს ღებულობს, რომლის ერთი ნაწილი მიდის მუდმივი დანახარჯების დაფარვაზე, ხოლო მეორე ნაწილი — მოგებაში შედის. არამომგებიანი ბრუნვის სილიდე გვიჩვენებს, რომ 14 857 კრონის მთლიანი ამონაგებისას ფირმის მოგების მნიშვნელობა პროცენტების დარიცხვამდე ნულოვანი იქნება. (ეს გულისხმობს, რომ დაფარვის კოეფიციენტი ძველებურად 35% შეადგენს). და ბოლოს, საიმედობის მარაგი გვიჩვენებს, რომ მთლიანი ამონაგები შეიძლება 26%-ით შემცირდეს, ვიდრე ფირმა არამომგებიანი ბრუნვის პირობებში აღმოჩნდება.

დავალება 5

ა) საკუთარი კაპიტალი ათ. კრონი

სააქციო კაპიტალი	2000
სარეზერვო კაპიტალი	3400
გაუნაწილებელი მოგება	630
	<u>6030</u>

$$\text{გადახდის უნარიანობიანობის კოეფიციენტი} = \frac{6030 \cdot 100}{13050} = 46\%$$

ეს ნიშნავს, რომ ფირმას შეუძლია დაკარგოს თავისი აქტივების 46%, ვიდრე ეს სასესხო კაპიტალს შეეხება.

$$\text{აქციის შიდა ღირებულება} = \frac{6030 \cdot 100}{2000} = 320$$

ეს ნიშნავს, რომ ყოველი 100 კრონიანი აქციიდან 202 კრონი სარეზერვო კაპიტალში ექცეოდა.

ბ) მალალოიკვიდური აქტივები, ათ. კრონი

საქონლური დებიტორები	2810
ნაღდი ფული საღაროში	80
ფულადი სახსრები ანგარიშებში	230
	<u>3120</u>

სასესხო კაპიტალი (მოკლევადიანი დავალიანება),	ათ. კრონი
ობოტეკური დავალიანება	180
საქონლური დებიტორები	4210
256	

კრედიტო სპეცხესხის ანგარიშიდან	730
მდღ	340
სხვა მოკლევადიანი დავალიანება	610
	<u>6070</u>


$$\text{ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{3120 \cdot 100}{6070} = 51\%$$

მაღალლიკვიდური აქტივების სასესხო კაპიტალის მოკლევადიანი დავალიანების მხოლოდ ნახევარს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ ლიკვიდობის კოეფიციენტი დაბალია.

დავალება 6

მთლიანი დანახარჩები (ВИ) წარმოების მოცულობის სხვადასხვა სიდიდისას (0 ერთ., 10 000 ერთ., 20 000 ერთ., , 100 000 ერთ.) გამოითვლება როგორც მულმივი დანახარჩებისა (ПОИ! = 100 000 კრ.) და ცვლადი დანახარჩების (ПИ) ჯამი.

სათანადო წესით აღვნიშნოთ გრაფიკის კოორდინატთა ღერძები და შესაბამისი სიდიდეების წყვილთა შეფარდება წერტილებით, რის შედეგადაც მიღებულ წერტილებს ვაერთებთ მთლიანი ხაზით.



ბ) საშულო ცვლადი დანახარჩები (СПИ) იანგარიშება შემდეგნაირად.

$$\text{СПИ} = \frac{\text{ПИ} \cdot \text{M}}{\text{M}}$$

სადაც M — წარმოების მოცემული მოცულობაა.

მაგალითად, პროდუქციის 10 000 ერთ. წარმოების მოცულობისას მივიღებთ

$$\text{СПИ} 10000 = \frac{100000 \text{ კრონო}}{10\ 000 \text{ ერთ.}} = 10,00 \text{ კრონო}$$

საშუალო დანახარჯები (СВИ) იანგარიშება ფორმულით:

$$СВИ_M = \frac{ВМ}{M} \text{ სადაც } M - \text{წარმოების მოცემული მოცულობაა.}$$

მაგალითად, პროდუქციის 20 000 ერთ. წარმოების მოცულობისას მივიღებთ:

$$СВИ_{20\ 000} = 280\ 000 / 20\ 000 = 14,00 \text{ კრონი}$$

ზღვრული დანახარჯები (ПРИЗ) გამოითვლება შემდეგნაირად:


$$ПРИЗ = \frac{ВМ \text{ მნიშვნელობების ცვლილება}}{M \text{ მნიშვნელობების ცვლილება}}$$

10 000-დან 20 000-მდე ერთ. ინტერვალში წარმოების მოცულობის მნიშვნელობებისათვის ვღებულობთ:

$$ПРИЗ = \frac{280\ 000 \text{ კრონი} - 200\ 000 \text{ კრონი}}{20\ 000 \text{ ერთ.} - 10\ 000 \text{ ერთ.}} = \frac{80\ 000 \text{ კრონი}}{10\ 000 \text{ ერთ.}} = 8,00 \text{ კრონი}$$

წარმოების მოცულობა, ერთ.	ცვლადი დანახარჯები, კრონი	შლიანი დანახარჯები, კრონი	საშუალო ცვლადი დანახარჯები, კრონი	საშუალო შლიანი დანახარჯები, კრონი	ზღვრული დანახარჯები, კრონი
1	2	3	4	5	6
0	0	100 000	—	—	
10 000	100 000	200 000	10,00	20,00	10,00
20 000	180 000	280 000	9,00	14,00	8,00
30 000	250 000	350 000	8,33	11,67	7,00
40 000	300 000	400 000	7,50	10,00	5,00
50 000	350 000	450 000	7,00	9,00	5,00
60 000	420 000	520 000	7,00	8,67	7,00
70 000	510 000	610 000	7,29	8,71	9,00
80 000	620 000	720 000	7,75	9,00	11,00
90 000	750 000	850 000	8,33	9,44	13,00
100 000	920 000	1020 000	9,20	10,20	17,00

გ) მოვნიშნოთ სათანადო წესით გრაფიკის კოორდინატთა ღერძები და აღვნიშნოთ წერტილებით შესაბამისი სიდიდეების წყვილთა შეფარდება, რომლის შემდეგადაც შევეაერთოთ წერტილები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზღვრული დანახარჯების მნიშვნელობები (ПРИЗ) აღინიშნება იმ ინტერვალის შუაში, რომლისთვისაც ისინია გაანგარიშებული.



წარმოების მოცულობის სხვადასხვა მნიშვნელობისას საშუალო მუდმივი დანახარჯები (სპოი) სვი 0 სპი) გრაფიკზე ნაჩვენებია ვერტიკალური პუნქტირული ხაზებით.

ვერტიკალური ღერძის ნაწილი ტეხილია, იმის აღსანიშნავად, რომ მოცემული ინტერვალის მნიშვნელობები სხვებისაგან გამოირჩევიან არ გაითვალისწინება.

ღ) 0-დან 50 000 ერთ. ინტერვალში ცვლადი დანახარჯები **ПИ** დეგრესიულია, რადგანაც საშუალო ცვლადი დანახარჯები **СПИ** მცირდება.

50 000-დან 60 000-მდე ერთ. ინტერვალში ცვლადი დანახარჯები **ПИ** პროპორციულია, რამდენადაც საშუალო ცვლადი დანახარჯებს **СПИ** ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს.

60 000-დან 100 000-მდე ერთ. ინტერვალში ცვლადი დანახარჯები **ПИ** პროგრესულია, რადგანაც საშუალო ცვლადი დანახარჯები **СПИ** იზრდება.

დავალება 7

ა) ВИ 20 000 ცლ.	20 000 · 12 კრონი	240 000 კრონი
	+5000 · 9,1 კრონი	45 000 კრონი
	+5000 · 11,5 კრონი	57 500 კრონი
	+10000 · 16,20 კრონი	162 000 კრონი

ВИ 40 000 ცლ. ----- 505 000 კრონი


$$\text{СВИ 40 000 (ცლ.)} = \frac{505\,000 \text{ კრონი}}{40\,000 \text{ კრონი}} = 12,63 \text{ კრონი}$$

ბ) ВИ 40 000 ცლ.	-----	505 000 კრონი
- ПИИ	-----	100 000 კრონი
ПИ 40 000 ცლ.	-----	<u>405 000 კრონი</u>

$$\text{СПИ 40 000 (ცლ.)} = \frac{405\,000 \text{ კრონი}}{405\,000 \text{ კრონი}} = 10,13 \text{ კრონი}$$

დავალება 8

ა) მოვნიშნოთ სათანადო წესით გრაფიკის კოორდინატთა ღერძები და აღვნიშნოთ წერტილებით შესაბამისი სიდიდეების წყვილი თანათარღობა, რის შემდეგაც შევაერთოთ წერტილები.





ბ) განვიხილოთ ზემოთ მოტანილი (A) გრაფიკი. რადგანაც არაფერი არ არის ცნობილი საჭონლის სახეობაზე და მყიდველთა პირად შემოსავლებზე, ამიტომ მოცემულ კითხვას შეიძლება მხოლოდ ზოგადად ვუპასუხოთ: მოთხოვნა დაეცემა. გრაფიკზე ეს ნაჩვენებია მოთხოვნის მრუდით

СПРОС_М რომელიც გამოსახულია მოთხოვნის მრუდის СПРОС პარალელური პუნქტით.

დავალება 9

ა)

ფაზი, კრონი	გაყიდვის მოცულობა, (გასაღება), 'ცლ.	მოლიანი ამონაგები, კრონი	ზღვრული შემოსავალი, კრონი
-	0	0	
10,0	800	8000	10,00
9,00	1000	9000	5,00
8,00	1500	12000	6,00
7,00	1800	12600	2,00
6,00	2000	12000	-3,00
5,00	2200	11000	-5,00



ბ) მოვნიშნოთ სათანადო წესით გრათიკის კოორდინატთა ღერძები და აღვნიშნოთ წერტილებით ზემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისი სიდიდეების წყვილთა თანათარღობა, რის შემდეგაც შევაერთოთ წერტილები.

გ) გრათიკის იმავე ხერხით იგება, როგორც წინა (პასუხი ბ) უნდა აღინიშნოს, რომ ზღვრული დანახარჯები სიდიდე PD გრათიკზე აღინიშნება იმ ინტერვალის შუაში, რომლისთვისაც ისინია გამოთვლილი.

დ) პუნქტ ა-ში მოტანილი ცხრილის შესაბამისად, ვლებულობთ 0-დან 1800 ცლ. ინტერვალში მოთხოვნა ელასტიურია, რადგანაც ზღვრულ დანახარჯებს PD დადებითი მნიშვნელობა აქვს.

1800-დან 2200 ცლ-მდე ინტერვალში მოთხოვნა არაელასტიურია, რამდენადაც ზღვრულ დანახარჯებს PD უარყოფითი მნიშვნელობა აქვს.

დავალება 10

ა) 1.

რელიზაციის მოცულობა, OP	მოლიანი ამონაგები BB, კრონი	მუდმივი დანახარჯები ПОИ, კრონი	ცვლადი დანახარჯები ПИ კრონი	მოლიანი დანახარჯები ВИ კრონი	მოგება კრონი
0	0	50 000	0	50 000	-50 000
1000	100 000	50 000	75 000	125 000	-25 000
2000	200 000	50 000	138 000	188 000	12 000
3000	300 000	50 000	180 000	230 000	70 000
4000	400 000	50 000	230 000	280 000	120 000
5000	500 000	50 000	305 000	355 000	145 000
6000	600 000	50 000	390 000	440 000	160 000
7000	700 000	50 000	500 000	550 000	150 000
8000	800 000	50 000	625 000	675 000	125 000

ყველაზე უფრო ხელსაყრელია საქონლის რელიზაცია 6000 ცლ-ის მოცულობით, რადგანაც ასეთი მოცულობისას მიიღწევა მოგების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები.

ა) 2.



რელიზაციის მოცულობა ცლ. OP	მუდმივი დანახარჯები, ВИ კრონი	ზღვრული დანახარჯები, ПРМЗ კრონი	ზღვრული შემოსავლები, PD, კრონი
0	50 000	75,00	
1000	125 000	63,00	100,00
2000	188 000	42,00	100,00
3000	230 000	50,00	100,00
4000	280 000	75,00	100,00
5000	335 000	85,00	100,00
6000	440 000	110,00	100,00
7000	550 000	125,00	100,00
8000	675 000		100,00

სრული კონკურენციის პირობებში ზღვრული შემოსავალი Π რეალიზაციის ფასის ტოლია.

მაჩვენებლების საზღვრებში, რომლის დროსაც ზღვრული შემოსავალი Π აღემატება ზღვრულ შემოსავლებს ПРИЗ რეალიზაციის მოცულობის ზრდა რენტაბელურია.

რეალიზაციის ყველაზე უფრო ხელსაყრელი მოცულობაა — 6000 ცლ.

ბ)



დ) რეალიზაციის უმციირესი ფასი, რომელიც შეიძლება საწარმოს ჰქონდეს მოკლევადიან პერსპექტივაში, საშუალო ცვლადი დანახარჯების СПИ სიდიდის ტოლია. გრძელვადიან პერსპექტივაში მინიმალური ფასი საშუალო მთლიანი დანახარჯების СВИ უმცირეს მაჩვენებელს უნდა შეესაბამებოდეს.

რეალიზაციის მოცულობის სხვადასხვა მნიშვნელობისას ΠИ და მთლიანი დანახარჯების ВИ (იხ.ა1) მაჩვენებლის საფუძველზე გამოითვლება საშუალო ცვლადი დანახარჯები СПИ და საშუალო მთლიანი დანახარჯები СВИ .

რეალიზაციის მოცულობა, OP ცლ.	საშუალო ცვლადი დანახარჯები, CPI კრონი	საშუალო მთლიანი დანახარჯები, CBI კრონი
0	—	—
1000	75,00	125,00
2000	69,00	94,00
3000	60,00	76,67
4000	57,50	70,00
5000	61,00	71,00
6000	65,00	73,33
7000	71,43	78,57
8000	78,13	84,38


- 1) მინიმალური ფასი — 57,50 კრონი.
- 2) მინიმალური ფასი — 70,00 კრონი.


დავლება 11

ა)

ფასი, კრონი	რეალიზაციის მოცულობა, ა.ო.ცლ. OP	მთლიანი ამონაგები კრონი BB	ზღვრული შემოსავალი, ΠΔ კრონი	მთლიანი დანახარჯები, BI კრონი	ზღვრული დანახარჯები, ΠΡΙЗ კრონი	მოგება ა.ო.კრონი
—	0	0		7500		-7500
400	40	16 000	400,00	17 500	250,00	-1500
375	50	18 750	275,00	19 700	220,00	-950
350	70	24 500	287,50	22 800	155,00	1700
325	95	30 875	255,00	26 000	128,00	4875
300	105	31 500	62,50	28 000	200,00	3500

მთლიანი მაჩვენებლების შედარების მეთოდით ანგარიშისას ყველაზე დიდ მოგებას (4 875 000) ფირმა მაშინ ღებულობს, როცა ფასი 325 კრონის ტოლია, ხოლო რეალიზაციის მოცულობა 95 000 ცლ. შეადგენს. იგივე შედეგებს ვღებულობთ ზღვრული სიდიდეების შეჭერების მეთოდის გამოყენებისას, რადგანაც ზღვრული შემოსავალი ΠΔ აღემატება ზღვრულ დანახარჯებს ΠΡΙЗ 70 000-დან 95 000 ცლ. ინტერვალში.





გ) აღნიშნეთ, რომ გრაფიკით ზღვრული მაჩვენებლები — ფასი დაახლოებით 330 კრონი, რეალიზაციის მოცულობა დაახლოებით 91 000 ცლ. რაოდენობამდე განსხვავდება (ა) ცხრილით გამოთვლილი მაჩვენებლისაგან.

დავალება 12

ა)

ფასი, კრონი	რეალიზაციის მოცულობა, ცლ. OP	მთლიანი ამონაგები ათ. კრონი BB	ზღვრული შემოსავალი კრონი PD
—	0	0	
200	10 000	2000	200
190	15 000	2850	170
180	21 000	3780	155
170	39 000	6630	158
160	55 000	8800	136
150	60 000	9000	40
140	62 000	8680	-160

ბ) ყველა ინტერვალში (საშუალო ცვლად დანახარჯებს) ზღვრული დანახარჯები თანაბარ სიდიდეებს შეადგენს.

ყველაზე უფრო მომგებიანია გასაღება 55000 ცლ. მოცულობით (რეალიზაციის ფასი 160 კრონი), რადგან ზღვრული შემოსავლები PD აჭარბებს ზღვრულ დანახარჯებს ПРИЗ ამაზე დაბალ ყველა მნიშვნელობის შემთხვევაში.

გ) დაფარვის წლიური სიდიდე 55000ცლ. (160 კრონი — 70 კრონი) 4950 000 კრონს.

ლ)

A ჯგუფის შეიღვევები				B ჯგუფის შეიღვევები			
ფასი, კრონი	რეალიზაციის მოცულობა	მთლიანი ამონაგები, კრონი	ზღვრული შემოსავლები, კრონი	ფასი, კრონი	რეალიზაციის მოცულობა	მთლიანი ამონაგები, კრონი	ზღვრული შემოსავლები, კრონი
0	0	0	200	—	0	0	—
200	10 000	2000	165	200	0	0	—
190	14 000	2660	110	190	1000	190	195
180	16 000	2880	10	180	5000	900	178
170	17 000	2890	—	170	22000	3740	167
160	18 000	2880	—	160	37000	5920	145
150	18 000	2700	—	150	42000	6300	76
140	18 000	2520	—	140	44000	6160	—

აღნიშნეთ, რომ ზღვრულ შემოსავლებზე დაიმედებას იმ შემთხვევაში, როცა მთლიანი ამონაგები მცირდება რეალიზაციის მოცულობის გაღვივებისას, აზრი არ აქვს. ამასთან ზღვრული შემოსავალი წარმოდგენილი იქნება უარყოფითი სიდიდით.

ზღვრული დანახარჯები წინანდებურად შეადგენს 70 კრონს ყველა ჩნიშვნელობისას (მნიშვნელობათა ყველა ინტერვალში).

რეალიზაციის მოცულობა A ჯგუფის მიხედვით: 16 000 ცლ. (რეალიზაციის ფასი — 1800კრონი), რადგანაც ზღვრული შემოსავალი ПДА აღემატება ზღვრულ დანახარჯებს ПРИЗ აღნიშნულზე დაბალი ყველა ჩნიშვნელობისას. რეალიზაციის მოცულობა B ჯგუფის მიხედვით 42000 ცლ. (რეალიზაციის ფასი — 150 კრონი), რადგანაც ზღვრული შემოსავალი ПДВ აღემატება ზღვრულ დანახარჯებს ПРИЗ მოცემულზე დაბალი ყველა ჩნიშვნელობისას.

ე) მთლიანი ამონაგები, ВВ ჯგუფი A : 16000ცლ. 1ცლ. — 180 კრონად — 2820000კრონი

მთლიანი ამონაგები, ВВ, ჯგუფი B : 42000ცლ. 1ცლ. — 150 კრონად

6300000 კრონი

9180000 კრონი

— დაფარვის ზღვრული დანახარჯები СПИ 580000ცლ. 1ცლ. 70 კრონად ————— 4060000კრონი

დაფარვის სიდიდე, ВП ————— 5120000კრონი

ღაკალემა 13

ა) წმინდა გასაყიდი ფასი იანგარიშება რეალიზაციის ფასიდან გამყიდველებისათვის საკომისიო გასამრჯელოს 5%-ის გამოკლებით.

რამდენადაც სხვა ცვლადი დანახარჯები პი პროპორციულად იზრდება, საშუალო ცვლადი დანახარჯების სპი სიდიდე (გამყიდველებისათვის საკომისიო გასამრჯელოს გამოკლებით) მუდმივი იქნება და ზღვრული დანახარჯების პრი3 სიდიდის ტოლი იქნება მნიშვნელობის ყველა ინტერვალში.

ნედლეული ----- 40,00 კრონი

ხელფასი ----- 15,00 კრონი

სხვა ცვლადი დანახარჯები ----- 5,00 კრონი

საშუალო ცვლადი დანახარჯები სპი

(გამყიდველებისათვის საკომისიო გასამრჯელოს გათვალისწინების

გარეშე ----- 60,00კრონი

სუფთა გასაყიდი ფასი, კრონი	რეალიზაციის მოცულობა OP	მთლიანი ამონაგები კრონი BE	ზღვრული შემოსავალი კრონი PD	ზღვრული დანახარჯები, კრონი პრი3
142,50	5000	712500		
133,00	6000	798000	85,50	60,00
123,50	8000	988000	95,00	60,00
114,00	10000	1140000	76,00	60,00
104,50	15000	1567000	85,50	60,00
95,00	18000	1710000	47,50	60,00
85,50	22000	1881000	42,75	60,00
76,00	25000	1900000	6,33	60,00

სარეალიზაციო ფასმა უნდა შეადგინოს 110,00 კრონი(რომელიც წმინდა გასაყიდ ფასს 104,50 კრონს შეესაბამება), რადგანაც ზღვრული შემოსავალი PD აღემატება ზღვრულ დანახარჯებს პრი3 ფასის ამ მაჩვენებელამდე შემცირებისას.

ბ) მთლიანი ამონაგები: 15000 ცლ. · 110,00 კრონი — 1650000 კრონი

— საკომისიო გასამრჯელო გამყიდველებისათვის: 1650000კრონი · 0,05
----- 825000 კრონი

— სხვა ცვლადი დანახარჯები პი 15000ცლ · 60,00კრონი 900000კრონი

----- 982500კრონი

დაფარვის სიდიდე ----- 667500 კრონი

გ) იმასთან დაკავშირებით, რომ ფირმას შეუძლია საქონლის ექსპორტირება მყარი ფასით, ზღვრული შემოსავალი PD (90,00 კრონი — 15,00 კრონი) 75,00კრონს, რადგანაც ექსპორტთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები რეალიზაციის ფასიდან გამოკლებულია.

ჩელიზაციის მოცულობა ცლ. OP	ზღვრული დანახარჯები, კრონი ПРИЗ	შიგა ზღვრული შემოსავალი, კრონი ПД ^{cosRP}	საექსპორტო ზღვრული შემოსავალი, კრონი ПИ კო
1	2	3	4
5000			
6000	60,00	85,50	75,00
8000	60,00	95,00	75,00
10000	60,00	76,00	75,00
15000	60,00	85,00	75,00
18000	60,00	47,50	75,00
22000	60,00	42,50	75,00
25000	60,00	6,33	75,00

ვიდრე ზღვრული შემოსავალი ПД აღემატება ზღვრულ დანახარჯებს ПРИЗ, ჩელიზაციის მოცულობის გადიდებისას, უკანასკნელი რენტაბელურია. საწარმომ უნდა გაყიდოს 25 000 ცლ. საქონელი თვეში. საწარმომ ყოველთვის უნდა გაყიდოს საქონელი იმ მოცულობით, რომელიც ზღვრული შემოსავლების ПД უდიდეს მნიშვნელობას შეესაბამება, ე.ი. შიდა ბაზარზე 15 000 ცლ.; გარე ბაზარზე — 10 000 ცლ.

ღ) შიდა მთლიანი ამონაგები BB^{cosRP} : 15 000 ცლ. · 110,00 კრონი = 1650 000 კრონი

საექსპორტო მთლიანი ამონაგები BB_{კო} : 10000 ცლ. · 90,00 კრონი = 900 000 კრონი

მთლიანი ამონაგები BB = 2 550 000 კრონი

—საკომისიო გასამრჩელო გამყიდველებისათვის: 1650000 კრონი · 0,5 = 825000 კრონი

—დამატებითი დანახარჯები: 10000 ცლ. · 15,00 კრონი = 150000 კრონი

—სხვა ცვლადი დანახარჯები: 25000 ცლ. · 60,00 კრონი = 150000 კრონი

1732500 კრონი

დაფარვის სიდიდე BB ————— 817500 კრონი

დავალება 14

შესყიდვის რაოდენობა	4	5	6
შესასყიდი პარტიის სიდიდე, ცლ.	12500	10000	8333
საქონლური მარაგის საშუალო წლიური სიდიდე, ცლ.	6250	5000	4166
საქონლური მარაგის საშუალო წლიური სიდიდე, კრონი	62 500	50000	41660
დასაწყობრობის წლიური დანახარჯები, კრონი	12 500	10000	8332

წლიური დანახარჯები შესუიდევის მომსახურებაზე, კრონი	8000	10000	12000
წლიური დანახარჯები და ხაწუობროობაზე და შესუიდევის მომსახურებაზე, კრონი	20500	20000	20332

ან

$$\text{პარტიის ოპტიმალური სიდიდე } \sqrt{\frac{2 \cdot 500000 \cdot 2000}{10 \cdot 0,20}} \approx 10\ 000 \text{ ცლ.}$$

მაშასადამე, ფირმამ 5-ჯერ უნდა შეისყიდოს საქონელი, პარტიაში 10 000 ცლ. რაოდენობით.

დავალება 15

- ა) საწარმოო ხიმძლავრეები წელიწადში ----- 54 000 ცლ.
- რეალიზაცია წელიწადში ----- 18 000 ცლ.
- მზა პროდუქციის მარაგი წლის დახასრულს ----- 36 000 ცლ.
- მზა პროდუქციის საშუალო წლიური მარაგი ----- 18 000 ცლ.

ე.ი. მზა პროდუქციის მარაგის საშუალო წლიური სიდიდე შეადგენს სერიის სიდიდის 1/3 (18000/54000)

სერიების რაოდენობა წელიწადში	2	3	4
სერიის სიდიდე, ცლ.	9000	6000	4500
მზა პროდუქციის მარაგის საშუალო-წლიური სიდიდე, ცლ.	3000	2000	1500
მზა პროდუქციის მარაგის საშუალო-წლიური ღირებულება, კრონი	54000	36000	27000
დასაწუობროობის დანახარჯები, კრონი წელიწადში	10000	7200	5400
დანახარჯები წარმოების მომზადებაზე ერთ სერიაზე გაანგარიშებით: კრონი წელიწადში	4800	7200	9600
სულ	15600	14400	15000

ან

$$\text{სერიათა საშუალო სიდიდე} = \frac{2 \cdot 18000 \cdot 2400}{18 \cdot 0,20(1-1/3)} = 6000 \text{ ცლ.}$$

ე.ი. უფრო მოსახერხებელია ვაწარმოთ წელიწადში სამ სერიად. თითოეულში 600 ცლ.

ბ) არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც მინიმალური მარაგები დაბანდებული პროცენტები კაპიტალზე (ხელიდან გაშვებული სარგებელი) მუდმივ დანახარჯებს ეკუთვნის სერიის სიდიდისაგან დამოუკიდებლად.

დავალება 16

რელიზაციის ფასი	80,00 კრონი
— დაფარვის ხიდილე $\frac{80 \cdot 30}{100}$	24,00 კრონი
საშუალოდ ცვლადი დანახარჯების СПИ ანაზღაურებაზე	56,00 კრონი
— საკომისიო გასამრჩელო გამყიდველებსათვის	4,00 კრონი
მყიდველის ფრანკო-საწყობის ფასის ანაზღაურებაზე	52,00 კრონი
— ფრანტი საბაჟო საზღვრამდე	3,00 კრონი
<u>49,00 კრონი</u>	
110	
— საბაჟო გადასახადი	4,45 კრონი
— ფრანტი საბაჟოს საზღვრამდე	44,45 კრონი
	6,00 კრონი
მიმწოდებლის უმაღლესი გასაცემი ფასი	38,55 კრონი

დავალება 17

ა)

წელიწადი	დაფარვის ხიდილე პროდუქციის ერთ კრონი БИ	ხეროი დაფარვის ხიდილე, ათ. კრონი БИ	უოველწლიურად აღდგენადი მუღ-მივე დანახარჯები ათ. კრონი	დამატებითი მოგება, ათ. კრონი
1	35	1225	300	925
2	34	1360	300	1060
3	37	1850	300	1550
4	36	1440	300	1140
5	31	620	300	320

წელიწადი	გადასახადები - ნებისმიერი მხედვი, ათ. კრონი	დამატებითი მოგება ათ. კრონი	გადასახადებისა და შემონატანების დიკლო, ათ. კრონი	დისკონტირების კოეფიციენტი 25%	მიმდინარე დისკონტირული ღირებულება, ათ. კრონი
0	-2500		-2500		-2500
1		+ 925	+ 925	0,8000	+ 740
2		+ 1060	+ 1060	0,6400	+ 678
3		+ 1550	+ 1550	0,5120	+ 794
4		+ 1140	+ 1140	0,4096	+ 467
5	+ 200	+ 320	+ 520	0,3277	+ 170
ხულ	2300	+ 4995	+ 2695		+ 349

ინვესტიციები რენტაბელურია, რადგანაც წმინდა დისკონტირებული ღირებულება დადებითი სიდიდეა (349000 კრონი).

ბ)

წელიწადი	გადახაზადებისა და შემონატანების ციკლი, ათ.კრონი	დისკონტირების კოეფიციენტი	მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება, ათ. კრონი
0	-2500		-2500
1	+ 925	0,7576	+ 701
2	+ 1060	0,5739	+ 608
3	+ 1550	0,4348	+ 376
4	+ 1140	0,3294	+ 376
5	+ 520	0,2495	+ 130
სულ	2695		-11

გამოსყიდვის შიდა ნორმა 32%-ის ტოლია წელიწადში, რადგანაც ამ მაჩვენებლის დროს წმინდა დისკონტირებული ღირებულება ნულთან ახლოსაა (დისკონტირება 31% პროცენტის ბაზაზე გვაძლევს წმინდა დისკონტირებულ ღირებულებას +35000 კრონი).

გ)

წელიწადი	გადახაზადებისა და შემონატანების ციკლი ათ. კრონი	გადახაზადებისა და შემონატანების ციკლი მზარდი ქამით, ათ.კრონი
0	-2500	-2500
1	+ 925	-1575
2	+ 1060	-515
3	+ 1550	+ 1035
4	+ 1140	+ 2175
5	+ 520	+ 2695
სულ	2695	

კაპიტალდაბანდების სრული ანაზღაურების ვადა 2-3 წელიწადს შეადგენს.

დავალება 18

ა) შესასყიდი საქონლის ღირებულება მთლიანი ამონაგების 50% შეადგენს (6000000 კრონი : 2), ან 3000000 კრონს.

საქონლური მარაგი 3000000 კრონი : 6 = 500000 კრონი

საქონლური დებიტორული დავალიანება ერთთვიანი კრედიტის მიხედვით:

$$\frac{6000000 \text{ კრონი} \cdot 30 \text{ დღე} \cdot 1,22}{360} \cdot 0,25 = 152500 \text{ კრონი}$$

სასაქონლო დებიტორული დავალიანება ორთვიანი კრედიტის მიხედვით:

$$\frac{6000000 \text{ კრონი} \cdot 30 \text{ დღე} \cdot 1,22}{360} \cdot 0,25 = 305000 \text{ კრონი}$$

ავანსად გადახდილი დანახარჯები	100000 კრონი
მოწყობილობა და სხვა	450000 კრონი
ნაღდი ფული ხალაროში	25000 კრონი
ხაერთო მოთხოვნა კაპიტალზე	1532500 კრონი

ბ) საქონლური კრედიტორული დავალიანება

$$\frac{3000000 \text{ კრონი} \cdot 30 \text{ დღე} \cdot 1,22}{360} = 915000 \text{ კრონი}$$

დავალევა 19

წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა დღეში:

$$360000 \text{ ცლ} : 360 \text{ დღე} = 1000 \text{ ცლ.}$$

საწარმოო მარაგის ღირებულება:

$$20 \text{ დღე} \cdot 1000 \text{ ცლ.} \cdot 30 \text{ კრონი} = 600000 \text{ კრონი}$$

დაუმთავრებელი წარმოების ღირებულება

$$10 \text{ დღე} \cdot 1000 \text{ ცლ.} \cdot (30 + 20 / 2) \text{ კრონი} = 400000 \text{ კრონი}$$

მზა პროდუქციის მარაგის ღირებულება:

$$40 \text{ დღე} \cdot 1000 \text{ ცლ.} \cdot (30 + 20) \text{ კრონი} = 200000 \text{ კრონი}$$

მოთხოვნილება კაპიტალზე/მარაგების შესაქმნელად - 3000000 კრონი

სარეალიზაციო პროდუქციის (250 ცლ. / დღეში)

კრედიტით იყიდება პირობებში „მიმდინარე თვე + 30 დღე“ (საშუალოდ 45 დღე).

გასაყიდი საქონლის 25% (250 ცლ. დღეში), სამთვინი კრედიტის (50 დღე) პირობებში იყიდება.

კრედიტი მყიდველებისათვის 45 დღე:

$$45 \text{ დღე} \cdot 500 \text{ ცლ.} \cdot (90 \cdot 1,22) \text{ კრონი} = 2470500 \text{ კრონი}$$

კრედიტი მყიდველებისათვის 90 დღე:

$$90 \text{ დღე} \cdot 250 \text{ ცლ.} \cdot (90 \cdot 1,22) \text{ კრონი} = 2470500 \text{ კრონი}$$

კაპიტალზე მოთხოვნილება მყიდველთა

დახაკრედიტებლად 4941000 კრონი

საერთო მოთხოვნილება საბრუნავ კაპიტალზე

$$3000000 + 4941000 = 7941000 \text{ კრონი}$$

ბ) კაპიტალის მოთხოვნილების სიდიდის ნახევარი:

$$7941000 : 2 = 3970500 \text{ კრონი}$$

შესასყიდი ნედლეულის წლიური ღირებულება:

$$360000 \text{ ცლ.} \cdot 30 \text{ კრონი} = 10800000 \text{ კრონი}$$

$$\text{კრედიტული დრო: } \frac{3970500 \text{ კრონი} \cdot 360}{10800000 \text{ კრონი} \cdot 1,22} = 109 \text{ დღე}$$

გ) კაპიტალზე მოთხოვნილების ზრდა:

$$10 \text{ დღე} (500 \text{ ცალი} + 250 \text{ ცალი}) (90 \cdot 1,22) \text{ კრონი} = 823 500 \text{ კრონი}$$

დავალება 20

ა) საწარმოო მარაგის ღირებულება:

500 ცლ: 30 დღე 30 კრონი ————— 450000 კრონი

ლაუმთავრებელი წარმოების ღირებულება:

500 ცლ. · 2 დღე (30 კრონი · 60 კრონი · 9 კრონი) ————— 64500 კრონი

2

ბ) მზა პროდუქციის მარაგის ღირებულება:

500 ცლ. 36 დღე 99 კრონი ————— 1782000 კრონი

მოთხოვნილება კაპიტალზე მარაგების შექმნისათვის,

სულ ————— 2296500 კრონი

მოთხოვნილება კაპიტალზე საქონლური დებიტორების დეკრედიტებისათვის:

$\frac{500 \text{ ცლ.} \cdot 75}{100} = (15 + 30) \text{ დღე } 1125 \text{ კრონი } 1,22 - 2573438 \text{ კრონი}$

საერთო მოთხოვნილება კაპიტალზე ————— 486930 კრონი

ბ) $\frac{1 \cdot 100 \cdot 360}{99 \cdot 53} = 6,86\% \text{ წელიწადში}$

გ) 500 ცლ. · 60 დღე 30 კრონი 1,22 ————— 1098000 კრონი

დ) მოთხოვნილება კაპიტალზე რომელიც გამოთვლილია ა-ში

————— 4869948 კრონი

კომერციული კრედიტი ————— 1098000 კრონი

კრედიტი მარტივი სახესხო ანგარიშებიდან ————— 3000000 კრონი

კრედიტის გამოყენებული ნაწილის თანხა

სპეცსესხის ანგარიშის მიხედვით ————— 771938 კრონი

კაპიტალში მოთხოვნილებების დაფარვა, სულ — 4869938 კრონი

ე) 771938 — დან 10% ————— 77193,80 კრონი

საკომისიო გასამრჩელო გამყიდველებისათვის

3% 800000 — დან ————— 24000 კრონი

დანახარჯები პროცენტების გადახდაზე, სულ — 101193,80 კრონი

პროცენტის ეფექტიანი განაკვეთი

$\frac{101193,80 \text{ კრონი}}{771938 \text{ კრონი}} \cdot 100 = 13,11\% \text{ წელიწადში.}$

დავალება 21

ა) შემონატანები ნაღდ ანგარიშზე გაყიდული საქონლიდან გაანგარიშებულია გამომდინარე იქედან, რომ მასზე მოდის რეალიზაციის მოცულობის 50%.

შემონატანები კრედიტით გაყიდვის გამო:

თვე	მთლიანი ამონაგები კრონი	მთ შორის:		შემონატანები კრედიტების მიხედვით	
		თვეში 30% კრედიტის პირობით,კრ.	3თვეში 20% კრედიტის პირობით,კრ.	თვის განმავლობაში, კრონი	სამი თვის განმავლობაში, კრონი
იანვარი	400000	120000	80000		
თებერვალი	450000	135000	90000		
მარტი	375000	112500	75000		
აპრილი	325000	97500	65000	112500	80000
მაისი	475000	142500	95000	97500	90000
ივნისი	400000	120000	80000	142500	75000

ფულადი გადასახადები საქონლური კრედიტორებისათვის გამოითვლება შემდეგნაირად:

თვე	შესახველი საქონლის	მთ შორის:		გადასახადები კრედიტების მიხედვით	
		თვეში 50% კრედიტის პირობით,კრ.	3თვეში 50% კრედიტის პირობით,კრ.	თვის განმავლობაში, კრონი	სამი თვის განმავლობაში, კრონი
იანვარი	300000	150000	150000		
თებერვალი	325000	162000	162500		
მარტი	275000	137500	137500		
აპრილი	250000	125000	125000	137500	150000
მაისი	350000	175000	175000	125000	162500
ივნისი	300000	150000	150000	175000	137500

აპრილი, მაისი, ივნისი, კრონი კრონი კრონი

შემონატანები:

ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისს გაუიღვა ნაღდ ანგარიშზე	25000		
საქონლური დებიტორებიდან 1 თვე	162500	237500	200000
საქონლური დებიტორებიდან 3 თვე	112500	97500	142500
სულ	80000	90000	75000
	380000	425000	417000

ფულადი გადასახადები:

საქონლურ კრედიტორებზე, 1 თვე	137500	125000	175000
საქონლურ კრედიტორებზე 3 თვე	150000	162500	137500
საიჯარო გადასახადი	12000	12000	12000
ხელფასი	30000	30000	30000
სხვა დანახარჯები	8000	8000	8000
მოწულობილობები			3000
პირადი მოხმარება	15000	15000	15000
სულ	352500	352500	380500
შემონატანები-გადასახადები	27500	72500	37500
შემონატანები-გადასახადები მზარდი	27500	100000	375000

შედეგების მიხედვით (ტოლია ფულადი სახსრების სიდიდის)

ბ) ზემოთმოტანილი ცხრილის შესაბამისად საქონლური დებიტორული დავალიანება 30 ივნისისათვის შეადგენს: 120000 კრონი + 65000 კრონი + 95000 კრონი + 80000 კრონი + 150000 = 360 000 კრონი

გ) წინა ცხრილში მოტანილი მონაცემების საშუალებით საქონლური კრედიტორების დავალიანება 30 ივნისისათვის შემდგენიარად იანვარიშება: 150 000 + 125 000 + 175 000 + 150000 = 600 000 კრონი

დავალება 22

ა) საქონლის რეალიზაცია. სარეალიზაციო საქონლის ნახევარი ნაღდ 6000000 კრონზე იყიდება. ყოველკვარტალური შემონატანები ამ სახის ვაჭრობიდან მითითებული თანხის მეოთხედს ანუ 1500000 კრონს შეადგენს.

საქონლის მეორე ნახევარი 6000000 კრონის თანხით ერთთვიანი კრედიტის პირობებში იყიდება. კრედიტით გასაყიდი საქონლის ყოველთვიური ღირებულება მითითებული თანხის მეოთხრმეტედ ნაწილს, ანუ 500000 კრონს შეადგენს.

პირველ კვარტალში შემოიტანება იანვარში და თებერვალში გაყიდული საქონლის ღირებულება (1000000 კრონი). მე-2 კვარტალში მარტში გაყიდული საქონლის საფასური, ასევე აპრილში და მაისში (1500000 კრონი). მე-3 და მე-4 კვარტლებში კი ისეთივე თანხები შემოდის (1500000 კრონი), როგორც მე-2 კვარტალში.

საწყისი საქონლური მარაგი: შესაძენი საქონლის ღირებულება მთლიანი ამონაგების 75% ანუ 9000000 კრონს შეადგენს, რამდენადაც საქონლური მარაგის ბრუნთა რიცხვი 4-ს უდრის, საშუალოწლიური საქონლური მარაგის ღირებულება შესასყიდი საქონლის ღირებულების მეოთხედი ანუ 2250000 კრონი იქნება.

საქონლის მიმდინარე შეძენა. რამდენადაც საწყისი მარაგი საშუალოწლიურის ტოლია, ამდენად საქონლის მიმდინარე შესასყიდი ღირებულება შეესაბამება შესაძენი საქონლის ღირებულებას, ე.ი. 2250000 კრონს შეადგენს კვარტალში, ანუ 750000 კრონს თვეში (2250000:3).

პირველ კვარტალში ანაზღაურება იანვარში (750000 კრონი) შესასყიდი საქონელი, მე-2 კვარტალში ანაზღაურდება თებერვალში, მარტში, აპრილში (2250000 კრონი) შესყიდული საქონელი. მე-3 და მე-4 კვარტალში ისეთივე თანხა გადაიხდებიან, როგორც მე-2 კვარტალში (2500000 კრონი).

ხხვა ყოველწლიურად განახლებადი მუდმივი დანახარჯები. სავაჭრო ფასნამატი შეადგენს 3000000 კრონს (25% 12000000 კრონიდან) ანუ 750000 კრონს კვარტალში (მეოთხედი ნაწილი). ამ თანხიდან ყოველკვარტალურად გაიცემა 20% ანუ 150000 კრონი.

19....4 წ. ხაფინანსო გეგმა

1 კვარტალი კრონი 2 კვარტალი კრონი 3 კვარტალი კრონი 4 კვარტალი კრონი

შემონტანები				
პირველადი კაპიტალი	500000			
ნაღდი ანგარიშით				
გაუიღვა ნაღდი ანგარიშზე	1500000	1500000	1500000	1500000
საქონლური დებიტორებიდან	1000000	1500000	1500000	1500000
სულ	3000000	3000000	3000000	3000000
გადახახადები				
ხაწუხის საქონლური მარაგი	225000		900000	
საქონლის მიმდინარე შესუიღვა	750000	2500000	2250000	2250000
ხელფახი	180000	180000	180000	180000
პირადი მოხმარება	45000	45000	45000	45000
ხაარენლო გადახახადი	90000	45000	45000	45000
მოწყობილობა		200000		
ფირმის გაახახნელად აუცილებელი				
ძირითადი კაპიტალი	150000			
რეკლამა	120000	30000	30000	30000
ხვა ყოველწლიურად განახლებადი				
მუღმივე დანახარჯები	150000	150000	150000	150000
სულ	1710000	2700000	3800000	2700000
შემონტანები-გადახახადები	1290000	300000	800000	300000
შემონტანები-გადახახადები მზარდი				
შედგები მხედვიით (ტოლია ფულადი				
ახახრების ხიდიდინა პერიოდის ბოლოს)	1290000	1590000	790000	1090000

ბ) და გ) ფირმის გაახახნელად აუცილებელი ძირითადი კაპიტალი:

ამორტიზაცია: $150000 : 5 = 30000$ კრონი.

ნარჩენი დირებულება პერიოდის ბოლოსათვის:
 $150000 - 30000 = 120000$ კრონი.

მოწყობილობა:

ამორტიზაცია: $400000 : 5 = 80000$ კრონი

ნარჩენი დირებულება პერიოდის ბოლოსათვის:
 $400000 - 80000 = 320000$ კრონი.

ხატვირთო ავტომანქანა:

ამორტიზაცია: $100000 : 5 = 20000$ კრონი

ნარჩენი დირებულება პერიოდის ბოლოსათვის:
 $100000 - 20000 = 80000$ კრონი.

საქონლური დებიტორული დავალიანება:

დავალიანება დაკავშირებული ხაწუხის მარაგის შექმნასთან:
 $2250000 - (225000 + 900000) = 1125000$ კრონი.

დავალიანება მიმდინარე შესუიღვების მიხედვით:
 $2 \cdot 750000 = 1500000$ კრონი.

მოწყობილობის მიმწოდებლის დავალიანება:

$400000 - 200000 = 200000$ კრონი

19...4 წ. მოგების ბიუჯეტი, კრონი

მთლიანი ამონაგები	12000000	
დანახარჯები საქონლის შექენაზე	9000000	
მთლიანი შემოსავალი	3000000	
სხვა გარე დანახარჯები		
ხაარენდო გადასახადი	180000	
რეკლამა	210000	
სხვა უოველწლიურად განახლებადი დანახარჯები	600000	990000
დანახარჯები ბერსონალის შენახვაზე		
ხელფასი	720000	1710000
წმინდა შემოსავალი		12900000
ამორტიზაცია		
ფირმის გახახსნელად აუცილებელი ძირითადი კაპიტალი	30000	
მოწუბილობა	80000	
სატვირთო ავტომობილი	20000	1300000
მოგება წელიწადში		1160000

19...4 წ. 31 დეკემბრის ბალანსი, კრონი
აქტივი

ფირმის გახახსნელად აუცილებელი ძირითადი კაპიტალი	120000	
ხაარენდო გადასახადი (ხაწინდარი)	45000	
მოწუბილობა	320000	
სატვირთო ავტომობილი	80000	
საქონლური მარაგი	2250000	
საქონლური დებიტორული დავალიანება	500000	
ფულადი ხახსრები	109000	
სულ	4405000	
	პასივი	
საკუთარი კაპიტალი წლის დახაწყისში	600000	
მოგება წლის განმავლობაში	1160000	
	1760000	
პირადი მოხმარება	180000	1580000
მოწუბილობის მიწოდების დავალიანება	200000	
საქონლური კრედიტორული დავალიანება	2625000	
სულ	4405000	

ღაკპალემაბ 23

ა) 19...5 წ. მოგების ბიუჯეტი, ათ, კრონი

მთლიანი დანახარჯები	40000
— დანახარჯები საქონლის შექენაზე	25000
მთლიანი შემოსავალი	15000
—საკომისიო გახამრჯელო გაშუიდეველებისათვის	2000
დაფარვის ხიდიდე	13000
— უოველწლიურად განახლებადი მუდმივი დანახარჯები	8800

წმინდა შემოსავალი	4200
ამორტიზაცია	800
მოგება პროცენტების დარიცხვამდე	3400
– დანახარჯები პროცენტების გადახდაზე	400
წმინდა მოგება	3000

ბ) დაფარვის კოეფიციენტი:

$$\frac{13000 \cdot 100}{40000} = 32,5\%$$

არამომგებიანი ბრუნვა, ათ. კრონი:

$$\frac{(8800 + 800) \cdot 100}{32,5} = 29538$$

საიმედობის მარაგი: $\frac{(40000 - 29538) \cdot 100}{40000} = 26\%$

ახალი გამყიდველის „არამომგებიანი ბრუნვა“, ათ. კრონი

$$\frac{250000 \cdot 100}{32,5} = 769$$

დავალეზა 24

ა) 18%

წელიწადი	გადახადებები და შემოსატანები ათ. კრონი	დისკონტირების კოეფიციენტი 18%	მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება, ათ.კრონი
0	-1700		-1700
1	+ 600	0,8475	+ 509
2	+ 700	0,7182	+ 503
3	+ 800	0,6086	+ 487
4	+ 500	0,5158	+ 258
5	+ 600	0,4371	+ 262
სულ	+ 1500		+ 319

წმინდა დისკონტირებული ღირებულება = + 319000 კრონი

ბ)

წელიწადი	გადასახდები და შემოსავლები, ა. კარი	დისკონტირების კოეფიციენტი, 28%	შედარებითი დისკონტირების კოეფიციენტი, ა. კარი	დისკონტირების კოეფიციენტი 26%	შედარებითი დისკონტირების კოეფიციენტი, ა. კარი
0	-1700		-1700		-1700
1	+ 600	0,7813	469	0,7937	476
2	+ 700	0,6104	427	0,6299	441
3	+ 800	0,4768	381	0,4999	400
4	+ 500	0,3725	186	0,3968	198
5	+ 600	0,2910	175	0,3149	189
სულ	1500		-62		4

გამოსყიდვის შილა ნორმა 26% შეადგენს, რადგანაც ამ მაჩვენებლის დროს წმინდა დისკონტირებული ღირებულება ნულს უახლოვდება.

დისკონტირების კოეფიციენტების ცხრილი rentetabel (1+r)-n

n	1%	2%	3%	4%	5%	6%	7%	8%	9%	10%
1	0,9901	0,9804	0,9709	0,9615	0,9524	0,9434	0,9346	0,9259	0,9174	0,9091
2	0,9803	0,9612	0,9426	0,9246	0,9070	0,8900	0,8734	0,8573	0,8417	0,8264
3	0,9706	0,9423	0,9151	0,8890	0,8638	0,8396	0,8163	0,7938	0,7722	0,7513
4	0,9610	0,9238	0,8885	0,8548	0,8227	0,7921	0,7629	0,7350	0,7084	0,6830
5	0,9515	0,9057	0,8626	0,8219	0,7835	0,7473	0,7130	0,6806	0,6499	0,6209
6	0,9420	0,8880	0,8375	0,7903	0,7462	0,7050	0,6663	0,6302	0,5963	0,5645
7	0,9327	0,8706	0,8131	0,7599	0,7107	0,6651	0,6227	0,5835	0,5470	0,5132
8	0,9235	0,8535	0,7894	0,7307	0,6768	0,6274	0,5820	0,5403	0,5019	0,4665
9	0,9143	0,8368	0,7664	0,7026	0,6464	0,5919	0,5439	0,5002	0,4604	0,4241
10	0,9053	0,8203	0,7441	0,6756	0,6139	0,5584	0,5083	0,4632	0,4224	0,3855

n	21%	22%	23%	24%	25%	26%	27%	28%	29%	30%
1	0,8264	0,8197	0,8130	0,8065	0,8000	0,7937	0,7874	0,7813	0,7752	0,7692
2	0,6830	0,6719	0,6610	0,6504	0,6400	0,6299	0,6200	0,6104	0,6009	0,5917
3	0,5645	0,5507	0,5374	0,5245	0,5120	0,4999	0,4882	0,4768	0,4658	0,4552
4	0,4665	0,4514	0,4369	0,4230	0,4096	0,3968	0,3844	0,3725	0,3611	0,3501
5	0,3855	0,3700	0,3552	0,3411	0,3277	0,3149	0,3027	0,2910	0,2799	0,2693
6	0,3186	0,3033	0,2888	0,2751	0,2621	0,2499	0,2383	0,2274	0,2170	0,2072
7	0,2633	0,2486	0,2348	0,2218	0,2097	0,1983	0,1877	0,1776	0,1682	0,1594
8	0,2176	0,2038	0,1909	0,1789	0,1678	0,1574	0,1478	0,1388	0,1304	0,1226
9	0,1799	0,1670	0,1552	0,1443	0,1342	0,1249	0,1164	0,1084	0,1011	0,0943
10	0,1486	0,1369	0,1262	0,1164	0,1074	0,0992	0,0916	0,0847	0,0784	0,0725

	11%	12%	13%	14%	15%	16%	17%	18%	19%	20%
0,9009	0,8929	0,8850	0,8772	0,8696	0,8621	0,8547	0,8475	0,8403	0,8333	
0,8116	0,7972	0,7831	0,7695	0,7561	0,7432	0,7305	0,7182	0,7062	0,6944	
0,7312	0,7118	0,6931	0,6750	0,6575	0,6407	0,6244	0,6086	0,5934	0,5787	
0,6587	0,6335	0,6133	0,5921	0,5718	0,5523	0,5337	0,5158	0,4987	0,4823	

11%	12%	13%	14%	15%	16%	17%	18%	19%	20%
0.5935	0.5674	0.5428	0.5194	0.4972	0.4761	0.4561	0.4371	0.4190	0.4019
0.5346	0.5066	0.4803	0.4556	0.4323	0.4104	0.3898	0.3704	0.3521	0.3349
0.4817	0.4523	0.4251	0.3996	0.3759	0.3538	0.3332	0.3139	0.2959	0.2791
0.4339	0.4039	0.3762	0.3506	0.3269	0.3050	0.2848	0.2660	0.2487	0.2326
0.3909	0.3606	0.3329	0.3075	0.2843	0.2630	0.2434	0.2225	0.2090	0.1938
0.3522	0.3220	0.2946	0.2697	0.2472	0.2267	0.2080	0.1911	0.1756	0.1615

31%	32%	33%	34%	35%	36%	37%	38%	39%	40%
0.7634	0.7576	0.7519	0.7463	0.7407	0.7353	0.7299	0.7246	0.7194	0.7143
0.5827	0.5739	0.5653	0.5569	0.5487	0.5407	0.5328	0.5251	0.5176	0.5102
0.4448	0.4348	0.4251	0.4156	0.4064	0.3975	0.3889	0.3805	0.3724	0.3644
0.3396	0.3294	0.3196	0.3102	0.3011	0.2923	0.2839	0.2757	0.2679	0.2603
0.2592	0.2495	0.2403	0.2315	0.2230	0.2149	0.2072	0.1998	0.1927	0.1859
0.1979	0.1890	0.1807	0.1727	0.1652	0.1580	0.1512	0.1448	0.1386	0.1328
0.1510	0.1432	0.1358	0.1289	0.1224	0.1162	0.1104	0.1049	0.0997	0.0949
0.1153	0.1085	0.1021	0.0962	0.0906	0.0854	0.0806	0.0760	0.0718	0.0678
0.0880	0.0822	0.0768	0.0718	0.0671	0.0628	0.0588	0.0551	0.0516	0.0484
0.0672	0.0623	0.0577	0.0536	0.0497	0.0462	0.0429	0.0399	0.0371	0.0346

**ფორმულების კრებითი ცხრილი
„ნარმოების აკონომიკის“ კურსიდან სავაჭრო
და სამრეწველო ფირმების აკონომისტებისა
და მენეჯერების მოსამზადებლად**

$$\text{საერთო რენტაბელობის დონე} = \frac{\text{მოგება პროცენტების ღირებულებამდე} \cdot 100}{\text{აქტივები}}$$

$$\text{კაპიტალის ბრუნვათა რიცხვი} = \frac{\text{მთლიანი ამონაგები} \cdot 100}{\text{აქტივები}}$$

$$\text{ბრუნვის რენტაბელობა} = \frac{\text{მოგება პროცენტების ღირებულებამდე} \cdot 100}{\text{მთლიანი ამონაგები}}$$

$$\text{საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა} = \frac{\text{მოგება პროცენტების ღირებულების შემდეგ} \cdot 100}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

$$\text{დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{\text{დაფარვის ხილილე} \cdot 100}{\text{მთლიანი ამონაგები}}$$

$$\text{არამომგებიანი ბრუნვა} = \frac{\text{მუდმივი დანახარჯები} \cdot 100}{\text{დაფარვის კოეფიციენტი}}$$

$$\text{არამომგებიანი ბრუნვა} = \frac{\text{მუდმივი დანახარჯები}}{\text{დაფარვის ხილილე პროდუქციის ერთეულზე}}$$

$$\text{საიმედობის მარაგი} = \frac{(\text{მთლიანი ამონაგები} - \text{არამომგებიანი ბრუნვა}) \cdot 100}{\text{მთლიანი ამონაგები}}$$

$$\text{ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ვეელაზე უფრო ლიკვიდური აქტივები} \cdot 100}{\text{მოკლევადიანი დავალიანება}}$$

$$\text{გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი} \cdot 100}{\text{აქტივები}}$$

$$\text{აქციის შიდა ღირებულება} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალ} \cdot 100}{\text{სააქციო კაპიტალი}}$$

$$\text{საქონლური დებიტორული დავალიანების ბრუნვათა რიცხვი} = \frac{\text{კრედიტით გაუიფული საქონლის ღირებულება დღმ-ის ჩათვლით}}{\text{საქონლური დებიტორული დავალიანება}}$$

$$\text{საქონლური დებიტორული დავალიანების ბრუნვათა რიცხვი} = \frac{\text{კრედიტით ნაყიდი საქონლის ღირებულება დღმ-ის ჩათვლით}}{\text{საქონლური დებიტორული დავალიანება}}$$

$$\text{საქონლური მარაგის (საექრო სანარმოების) ბრუნვათა რიცხვი} = \frac{\text{შესახეიდი საქონლის ღირებულება}}{\text{საქონლური მარაგის ღირებულება}}$$

თავი I. შ ე ს ა ვ ა ლ ი	5
1.1. კურსის ამოცანები	5
1.2. ეკონომიკის მართვა	5
1.3 სახელმძღვანელოს შინაარსი	5
თავი 2. ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი ს შ ე ღ გ ე ნ ა	8
2.1. განსაზღვრა	9
2.2. მიზნები	10
2.3. მოგების ანგარიში	12
2.3.1. დანახარჯების ცნება	12
2.3.2. დანახარჯების დაჯგუფება ეკონომიკური ელემენტების მიხედვით	14
2.3.3. დანახარჯების დაჯგუფება საკალკულაციო მუხლების მიხედვით	17
2.4. ბალანსი	18
2.4.1. აქტივები	19
2.4.2. პასივები	22
2.5. საწარმოს ფორმები	24
თავი 3. ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი ს ა ნ ა ლ ი ზ ი	
3.1. სააქციო საზოგადოება „ბროსტრემი“-ს სავაჭრო საწარმო.....	30
3.2. რენტაბელობის ანალიზი.....	32
3.3.1. დანახარჯები და მოგების სტრუქტურის ცნება	32
3.3.2. სააქციო საზოგადოება „ბროსტრემი“-ს მოგების ანგარიშის სხვა სტრუქტურა	43
3.3.3. საკვანძო ინდიკატორების ანგარიში	44
3.4. ლიკვიდურობის ანალიზი	47
3.5. გადახდისუნარიანობის ანგარიში	49
თავი 4. ს ა წ ა რ მ ო ს დ ა ნ ა ხ ა რ ჯ ე ბ ი	
4.1. კიდევ ერთხელ დანახარჯების ცნების შესახებ	52
4.1.1. დანახარჯები	52
4.1.2. ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების დანახარჯები	52
4.2. კიდევ ერთხელ მუდმივი დანახარჯების შესახებ	54
4.2.1. მუდმივი დანახარჯების დინამიკა	54
4.2.2. ნარჩენი და სასტარტო დანახარჯები	56
4.2.3. მუდმივი დანახარჯების ნახტომები	57

4.3. კიდევ ერთხელ ცვლადი დანახარჯების შესახებ	60
4.3.1. პროპორციული ცვლადი დანახარჯები	60
4.3.2. დეგრესიული ცვლადი დანახარჯები	62
4.3.3. პროგრესული ცვლადი დანახარჯები	63
4.4. საწარმოს მთლიანი დანახარჯები	64
4.5. ზღვრული დანახარჯები	65
4.5.1. საკუთრივ ზღვრული დანახარჯები	65
4.5.2. ზღვრული დანახარჯები	66
4.6. დანახარჯების ტიპური დინამიკა	68
4.7. დანახარჯების მუხლები	71
4.7.1. მასალები	71
4.7.2. შრომის ანაზღაურება	73
4.7.3. გადასახადი შენობის არენდის გამო	79
4.7.4. სხვა დანახარჯები	80
4.7.5. მარკეტინგული დანახარჯები	81
4.7.6. ამორტიზაცია	81
4.7.7. პორცენტების გადახდასთან დაკავშირებული დანახარჯები	85
4.8. დანახარჯების სტრუქტურა	85
თავი 5. საწარმო და ბაზარი	-
5.1. მიწოდება და მოთხოვნა	87
5.2. მოთხოვნის დეტერმინანტები	89
5.3. გასაღება	90
5.4. პროდუქცია	91
5.4.1. სტანდარტიზებული და დიფერენცირებული საქონელი	91
5.4.2. საქონლის სასიცოცხლო ციკლი	92
5.4.3. ბოსტონის მოდელი	95
5.4.4. საქონელთა ურთიერთშეცვლადობა	97
5.5. ბაზრის სუბიექტები	98
5.5.1. მყიდველი	98
5.5.2. მიმწოდებელი	100
5.5.3. კონკურენტები	100
5.5.4. კონკურენციის ტიპები	101
5.6. გასაღებაზე ზემოქმედების პარამეტრები	108
5.6.1. საქონლის ფასი	108
5.6.2. საქონლის ხარისხი და შეფუთვა	114
5.6.3. სერვისული მომსახურება	116
5.6.4. საქონლის გავრცელების არხები	116

5.6.5. საწარმოს ადგილმდებარეობა	117
5.6.6. საქონლური ასორტიმენტი.....	118
5.6.7 რეკლამა	119
5.6.8. გამყიდველებისა და სავაჭრო აგენტების საქმიანობა	120
5.6.9. გასაღებაზე ზემოქმედების პარამეტრების კომბინირებული გავლენა	121

**თავი 6. წარმოებისა და გასაღების
ობტექტალური მოცულობის განსაზღვრა**

6.1. ოპტიმიზაცია	121
6.1.1. სრული კონკურენცია	122
6.1.2. მონოპოლია	128
6.1.3. კონკურენციის სხვა ტიპები	132
6.2. ფასწარმოქმნა ახალ პროდუქტზე	133
6.3. ფასობრივი დისკრიმინაცია	134
6.3.1. ცნება	134
6.3.2. ოპტიმიზაცია	136
6.3.3. პირობები	139
6.3.4. პრაქტიკული მაგალითები	141
6.4. კალკულაცია	143
6.4.1. ცნება	143
6.4.2. ცვლადი დანახარჯები კალკულაციის დაფარვის სიდიდის მეთოდით	144
6.4.3. საერთო კალკულაცია	145
6.4.4. სააქციო საზოგადოება „რივოლი“-ს მოგების ბიუჯეტი	147
6.4.5. გამოსაშვები პროდუქციის ასორტიმენტის შეზღუდვა	148
6.4.6. დამატებითი შეკვეთის პრობლემა	149
6.4.7. მარკეტინგული დანახარჯები	149
6.4.8. შიდასაფირმო გასაღებითი ურთიერთ- დამოკიდებულებები	150

თავი 7. დანახარჯების ანგარიში

7.1. საწარმოო მომარაგების მართვა და სერიული წარმოება	151
---	-----

7.1.1. დამოკიდებულება საწარმოო მომარაგებას, წარმოების პროცესსა და მზა პროდუქციის რეალიზებას შორის	151
7.1.2. ჩასაშვები მასალების პარტიის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა	152
7.1.3. სერიის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა	156
7.1.4. დაშვებები ანგარიშებისას	158
7.2. ვაწარმოთ თვითონ თუ შევისყიდოთ სხვა მწარმოებლისაგან	160
7.3. შებრუნებული კალკულაციის მეთოდი	161

თავი 8. ინვესტიციების ეფექტიანობის ანგარიში

8.1. ინვესტიციების ცნება	163
8.2. დროის ფაქტორის მნიშვნელობა	163
8.3. ალტერნატიული ინვესტიციური მიწოდებების მაჩვენებლები	164
8.4. ინვესტიციების ეფექტიანობის ანგარიში	165
8.4.1. წმინდა დისკონტირებული ღირებულების ანგარიშის მეთოდი	166
8.4.2. ინვესტიციების გამოსყიდვის შიდა ნორმის ანგარიშის მეთოდი	169
8.5. ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღება	171

თავი 9. კაპიტალზე მოთხოვნილება

9.1. ცნება „კაპიტალზე მოთხოვნილება“	173
9.2. მოთხოვნილება ძირითად კაპიტალზე	174
9.3. მოთხოვნილება საბრუნავ კაპიტალზე	174
9.3.1. სავაჭრო საწარმო	175
9.3.2. საწარმოო საწარმო	183
9.4. განმაზოგადებელი მაგალითი	185

თავი 10. დაფინანსება

10.1. დაფინანსების მიზანშეწონილი სტრუქტურის განსაზღვრა	187
10.2. საკუთარი კაპიტალი	190
10.2.1. ერთპიროვნული საწარმო	190

10.2.2. სრული ამხანაგობა	190
10.2.3. სააქციო საზოგადოება და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა	190
10.3. ნასესხები კაპიტალი	192
10.3.1. იპოთეკური კრედიტი	192
10.3.2. სააქციო საზოგადოება „მრეწველობისა და რეწვის დაფინანსების ორგანიზაცია“	193
10.3.3. ფულად-კრედიტული ინსტიტუტი	194
10.3.4. ლიზინგი	200
10.3.5. ფაქტორინგი	201
10.3.6. კომერციული კრედიტი	202

თავი 11. შ ი დ ა ს ა ფ ი რ მ ო დ ა გ ე გ მ ე ვ ა

11.1. შიდასაფირმო დაგეგმვის ცნება	203
11.2. შიდასაფირმო დაგეგმვის მიზნები	205
11.3. შიდასაფირმო დაგეგმვის სამუშაოს ორგანიზაცია	206
11.4. შიდასაფირმო დაგეგმვის პროცესი	207
11.4.1. მოგების ანგარიშიდან მოგების კორექტირებული ანგარიშისაკენ	208
11.4.2. მოგების კორექტირებული ანგარიშიდან მოგების ბიუჯეტისაკენ	211
11.4.3. მოგების ბიუჯეტიდან ფინანსური გეგმისაკენ	213
11.4.4. საფინანსო გეგმიდან გეგმიური ბალანსისაკენ	216
11.5 ახლადშექმნილი საწარმოს მაგალითი	218

დანართი ა. კოორდინატთა სისტემა	225
დანართი ბ. დისკონტირებული ღირებულების მეთოდი ...	229

ამოცანების კრებული ფირმის ეკონომიკაში მათი ამოხსნის სახელმძღვანელოთი	236
დისკონტირებული კოეფიციენტების ცხრილი	279

ზიზის ეკონომიკა

გამომცემლობის რედაქტორი ბოჩა ჩიტინძე
მეცნიერული რედაქტორი რამაზ ნამიჯეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლეილა კვიციანი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.08.96წ. ფორმატი 60X84 1/16,
ფიზიკური ბეჭდვითი ფურცელი 18, პირობითი ბეჭდვითი
ფურცელი 16,74. ბეჭდვა ოფსეტური.

შეკვეთა №1339 ტირაჟი 1000

ზანი სახელმწიფო